

სმპ 006-2016

საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი

---

# ეკონომიკური საქმიანობის სახეები

რედაქცია 2

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური  
თბილისი

## საინფორმაციო მონაცემები

1. შემუშავებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მიერ.
2. დამტკიცებულია და შემოღებულია სამოქმედოდ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2016 წ. 28 ივლისის № 10 დადგენილებით საქართველოს კანონის “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” მე-13 მუხლის “დ” ქვეპუნქტის შესაბამისად.
3. ცვლილებები და შესწორებები შეტანილია საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის 2023 წ. 22 დეკემბრის № 140 ბრძანებით
4. წინამდებარე სტატისტიკური კლასიფიკატორი შეესაბამება ევროპულ კლასიფიკატორს NACE Rev. 2 Statistical classification of economic activities in the European Community.

# სარჩევი

1.	შესავალი.....	7
2.	გამოყენების სფერო.....	8
3.	განმარტებები.....	8
4.	კლასიფიკატორის სტრუქტურა.....	9
<b>სექცია A</b>		
განყოფილება 01	<b>სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა.....</b>	<b>10</b>
	მემცენარეობა და მეცხოველეობა, ნადირობა და აღნიშნულ სფეროებში მომსახურების გაწევა.....	10
განყოფილება 02	მეტყევეობა და ხე-ტყის დამზადება.....	23
განყოფილება 03	თევზჭერა და აკვაკულტურა.....	26
<b>სექცია B</b>		
	<b>სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება.....</b>	<b>29</b>
განყოფილება 05	ნახშირის და ლიგნიტის მოპოვება.....	29
განყოფილება 06	ნედლი ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვება.....	31
განყოფილება 07	ლითონის მადნების მოპოვება.....	32
განყოფილება 08	სამთომოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების სხვა დარგები.....	33
განყოფილება 09	სამთომოპოვებითი მრეწველობის დამხმარე მომსახურება.....	36
<b>სექცია C</b>		
	<b>დამამუშავებელი მრეწველობა.....</b>	<b>38</b>
განყოფილება 10	კვების პროდუქტების წარმოება.....	40
განყოფილება 11	სასმელების წარმოება.....	52
განყოფილება 12	თამბაქოს ნაწარმის წარმოება.....	55
განყოფილება 13	ტექსტილის წარმოება.....	55
განყოფილება 14	ტანსაცმლის წარმოება.....	61
განყოფილება 15	ტყავის და მასთან დაკავშირებული ნაწარმის წარმოება.....	64
განყოფილება 16	ხის და კორპის ნაწარმის წარმოება, ავეჯის გარდა; ნაკეთების წარმოება ჩალის და წნული მასალებისაგან.....	66
განყოფილება 17	ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება.....	70
განყოფილება 18	ბეჭდვა და მედია-ჩანაწერების აღწარმოება.....	73
განყოფილება 19	კოქსის და ნავთობპროდუქტების წარმოება.....	77
განყოფილება 20	ქიმიკატების და ქიმიური პროდუქტების წარმოება.....	78
განყოფილება 21	ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტების და ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება.....	86
განყოფილება 22	რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება.....	88
განყოფილება 23	სხვაარაღივითონური მინერალური პროდუქტების წარმოება.....	91
განყოფილება 24	ძირითადი ლითონების წარმოება.....	99
განყოფილება 25	ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა.....	106
განყოფილება 26	კომპიუტერების, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქციის წარმოება.....	114
განყოფილება 27	ელექტრონული მოწყობილობების წარმოება.....	125
განყოფილება 28	მანქანების და მოწყობილობების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი.....	132
განყოფილება 29	ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მისაბმელების და ნახევარმისაბმელების წარმოება.....	148
განყოფილება 30	სხვა სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოება.....	151
განყოფილება 31	ავეჯის წარმოება.....	157

განყოფილება 32	სხვა მზა ნაკეთობების წარმოება.....	159
განყოფილება 33	მანქანების და მოწყობილობების რემონტი და დაყენება.....	166
<b>სექცია D</b>	<b>ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება.....</b>	<b>175</b>
განყოფილება 35	ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება.....	175
<b>სექცია E</b>	<b>წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები.....</b>	<b>179</b>
განყოფილება 36	წყლის დაგროვება, დამუშავება და განაწილება.....	179
განყოფილება 37	კანალიზაცია.....	180
განყოფილება 38	ნარჩენების შეგროვების, დამუშავების და მოცილების საქმიანობები; ნარჩენების უტილიზაცია.....	181
განყოფილება 39	დაბინძურებისაგან გასუფთავება და ნარჩენების მართვის სხვა მომსახურება.....	186
<b>სექცია F</b>	<b>მშენებლობა.....</b>	<b>187</b>
განყოფილება 41	შენობების და ნაგებობების მშენებლობა.....	188
განყოფილება 42	სამოქალაქო მშენებლობა.....	189
განყოფილება 43	სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები.....	193
<b>სექცია G</b>	<b>საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი.....</b>	<b>200</b>
განყოფილება 45	ავტომობილებით და მოტოციკლებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა და მათი რემონტი.....	201
განყოფილება 46	საბითუმო ვაჭრობა, ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა.....	204
განყოფილება 47	საცალო ვაჭრობა, ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობისგარდა.....	219
<b>სექცია H</b>	<b>ტრანსპორტი და დასაწყობება.....</b>	<b>232</b>
განყოფილება 49	სასმელეთო ტრანსპორტი და ტრანსპორტირება მილსადენებით.....	232
განყოფილება 50	წყლის ტრანსპორტი.....	236
განყოფილება 51	საჰაერო ტრანსპორტი.....	238
განყოფილება 52	დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობები.....	239
განყოფილება 53	საფოსტო და საკურიერო საქმიანობები.....	242
<b>სექცია I</b>	<b>განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები.....</b>	<b>245</b>
განყოფილება 55	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა.....	245
განყოფილება 56	საკვებით და სასმელებით მომსახურება.....	247
<b>სექცია J</b>	<b>ინფორმაცია და კომუნიკაცია.....</b>	<b>251</b>
განყოფილება 58	საგამომცემლო საქმიანობა.....	251
განყოფილება 59	კინოფილმების, ვიდეო- და სატელევიზიო პროგრამების წარმოება, ხმის ჩაწერის და მუსიკალური გამოცემის საქმიანობები.....	255
განყოფილება 60	პროგრამების შექმნის და ტელერადიომაუწყებლობის საქმიანობები.....	258
განყოფილება 61	ტელეკომუნიკაციები.....	260
განყოფილება 62	კომპიუტერული დაპროგრამება, კონსულტირება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები.....	263
განყოფილება 63	საინფორმაციო სამსახურების საქმიანობები.....	265

<b>სექცია K</b>	<b>საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები.....267</b>
განყოფილება 64	საფინანსო მომსახურების საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების საქმიანობის გარდა.....267
განყოფილება 65	დაზღვევა, გადაზღვევა და საპენსიო ფონდების საქმიანობები, სავალდებულო სოციალური უსაფრთხოების გარდა..... 271
განყოფილება 66	საფინანსო მომსახურების და დაზღვევის დამხმარე საქმიანობები .....272
<b>სექცია L</b>	<b>უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები.....276</b>
განყოფილება 68	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები.....276
<b>სექცია M</b>	<b>პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები.....279</b>
განყოფილება 69	იურიდიული და სააღრიცხვო საქმიანობები.....279
განყოფილება 70	სათავო ოფისების საქმიანობები; მართვის კონსულტირების საქმიანობები .....281
განყოფილება 71	არქიტექტურული და საინჟინრო საქმიანობები; ტექნიკური გამოცდები და ანალიზი ..... 283
განყოფილება 72	მეცნიერული კვლევები და დამუშავებები.....285
განყოფილება 73	სარეკლამო საქმიანობა და ბაზრის გამოკვლევა .....287
განყოფილება 74	სხვა პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები .....289
განყოფილება 75	ვეტერინარული საქმიანობები .....292
<b>სექცია N</b>	<b>ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები.....294</b>
განყოფილება 77	საიჯარო და სალიზინგო საქმიანობები.....294
განყოფილება 78	დასაქმებასთან დაკავშირებული საქმიანობები..... 300
განყოფილება 79	ტურისტული სააგენტოები, ტურ-ოპერატორები და სხვა დაჯავშნის მომსახურება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები ..... 302
განყოფილება 80	უსაფრთხოების დაცვის და საგამომძიებლო საქმიანობები..... 303
განყოფილება 81	შენობების და ტერიტორიის მომსახურების საქმიანობები..... 305
განყოფილება 82	ოფისის ადმინისტრაციული, ოფისის დამხმარე და ბიზნესის სხვა დამხმარე საქმიანობები..... 309
<b>სექცია O</b>	<b>სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება.....314</b>
განყოფილება 84	სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება.....314
<b>სექცია P</b>	<b>განათლება .....321</b>
განყოფილება 85	განათლება .....321
<b>სექცია Q</b>	<b>ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები .....328</b>
განყოფილება 86	ჯანდაცვის საქმიანობები ..... 328
განყოფილება 87	რეზიდენტული ზრუნვა ..... 332
განყოფილება 88	სოციალური მომსახურების საქმიანობები საცხოვრებლით უზრუნველყოფის გარეშე.....335
<b>სექცია R</b>	<b>ხელოვნება, გართობა და დასვენება .....338</b>
განყოფილება 90	შემოქმედებითი, სახელოვნებო და გართობის საქმიანობები .....338
განყოფილება 91	ბიბლიოთეკების, არქივების, მუზეუმების და სხვა კულტურული დაწესებულებების საქმიანობები.....340

განყოფილება 92	აზარტული თამაშების საქმიანობები.....	342
განყოფილება 93	საქმიანობები სპორტის, გართობის და დასვენების სფეროში.....	342
<b>სექცია S</b>	<b>სხვა სახის მომსახურება .....</b>	<b>347</b>
განყოფილება 94	საწვერო ორგანიზაციების საქმიანობები .....	347
განყოფილება 95	კომპიუტერების და პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტი.....	351
განყოფილება 96	სხვა პერსონალური მომსახურების საქმიანობები.....	354
<b>სექცია T</b>	<b>შინამეურნეობების, როგორც დამჭირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის.....</b>	<b>357</b>
განყოფილება 97	შინამეურნეობების, როგორც მომსახურე პერსონალის დამჭირავებლის, საქმიანობები .....	357
განყოფილება 98	არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოების საქმიანობები კერძო შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის.....	357
<b>სექცია U</b>	<b>ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები.....</b>	<b>359</b>
განყოფილება 99	ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები .....	359

---

## ეკონომიკური საქმიანობის სახეები

---

შემოღების თარიღი 2016 წ. 1 აგვისტო

### 1. შესავალი

სტატისტიკური სტანდარტების ერთ-ერთ ძირითად კომპლექსს, რომელიც უზრუნველყოფს მართვის სისტემების და მონაცემთა ბაზების ინფორმაციულ თავსებადობას, წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის საკლასიფიკაციო სისტემა, რომელიც აწესრიგებს და უნიფიცირებულს ხდის სტატისტიკურ ინფორმაციას.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული სტატისტიკური კლასიფიკატორის ოფიციალურ ვერსიას, რომელიც შემუშავებულია ევროკავშირის სტატისტიკური ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორის NACE Rev. 2 Statistical classification of economic activities in the European Community-ს ბაზაზე.

ასეთი გამოცემის აუცილებლობა განპირობებული იქნა მსოფლიოს სტატისტიკოსების (მათ შორის გაეროსა და ევროკავშირის სტატისტიკური სამსახურების) მოთხოვნებით კიდევ უფრო ამაღლებინათ სხვადასხვა სახელმწიფოებში წარმოებული ოფიციალური სტატისტიკის თავსებადობისა და ჰარმონიზების დონე. ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორის ეს ვერსია განიხილება, როგორც საერთო სტატისტიკური ენის ნაწილი.

2006 წლის ოქტომბერში მიღებული იქნა ევროკავშირის გადაწყვეტილება სტატისტიკურ საკლასიფიკაციო სისტემაში ცვლილებების შეტანის შესახებ. მისი გადამუშავება განპირობებული იქნა მსოფლიოში ტექნოლოგიების და საერთაშორისო ნორმების განვითარებითა და ცვლილებებით.

კლასიფიკატორის ევროპული ვერსია ადაპტირებულია გაეროს საქმიანობის სახეების კლასიფიკატორთან (ISIC). მისი სტრუქტურა მნიშვნელოვნად იქნა დეტალიზებული ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკური საქმიანობების სახეების წარმოსახენად, რომლებიც არასაკმარისად იყო ასახული ძველ ვერსიაში. ამასთან ერთად გათვალისწინებული იქნა ეროვნული კლასიფიკატორების სპეციფიკური მახასიათებლები, რის გამოც კლასიფიკატორში შეყვანილი იქნა არა მარტო ის საქმიანობები, რომლებიც მნიშვნელოვანია ევროკავშირის ყველა ქვეყნისთვის, არამედ ისეთებიც, რომლებიც მნიშვნელოვანია ზოგიერთი ცალკეული ქვეყნისთვის, მაგრამ არცთუ ისე მნიშვნელოვანია სხვებისთვის. ამ გარემოებამ განაპირობა კლასიფიკატორის დაჯგუფებების მნიშვნელოვანი გაზრდა.

ძირითადი ყურადღება მიექცა საქმიანობის განვითარებად სახეებს, რომელთა როლი მკვეთრად გაიზარდა (მაგალითად, საქმიანობები, დაკავშირებული ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან, არაფორმალური საქმიანობები, ნარჩენების მოცილებასთან და რესტრუქტურისა და დაცვასთან დაკავშირებული საქმიანობები, შინამეურნეობების საქმიანობები და სსვ.) და პარალელურად აღიარებული

იქნა ის გარემოებაც, რომ რიგი საქმიანობების სახეების როლი შემცირდა, (მაგალითად, იმ საქმიანობების, რომლებიც დაკავშირებულია მოპოვებით მრეწველობასთან).

## 2. გამოყენების სფერო

წინამდებარე კლასიფიკატორის დანერგვა უზრუნველყოფს:

- ქვეყნის ეკონომიკაში სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარებას საწარმოების და ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით;
- ეროვნულ ანგარიშთა სისტემის პრინციპებზე აგებული მაკროეკონომიკური მოდელირების ამოცანების გადაჭრას;
- საწარმოების და ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო, ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის, ბიუჯეტის ფორმირების, შემოსავლების, მათი განაწილების, მოხმარების, კაპიტალის ფორმირების, საგარეო ეკონომიკური თანამშრომლობის დასახასიათებლად სამუშაოების ჩატარებას;
- საქართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთიან სახელმწიფო რეგისტრში საწარმოების და ორგანიზაციების რეგისტრაციას ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით;
- ერთიანი სტატისტიკური ტერმინოლოგიის გამოყენებას ევროკავშირში მიღებული სტატისტიკური ერთეულების განსაზღვრის მიზნით;
- ეროვნული სტატისტიკური ინფორმაციის შესადარისობას საერთაშორისო დონეზე და სხვ.

ს კლასიფიკატორი აგრეთვე გამოიყენება სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, სერტიფიცირების, საწარმო-საფინანსო, საბანკო, საბაჟო-სატარიფო და სხვა სამსახურების საქმიანობაში.

## 3. განმარტებები

**მეურნე სუბიექტი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას;

**ეკონომიკური საქმიანობა** – პროცესი, რომლის საშუალებითაც მიიღება პროდუქცია (საქონელი ან მომსახურება). ეკონომიკურ საქმიანობას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა გაერთიანებულია რესურსები (მოწყობილობები, სამუშაო ძალა, ტექნიკური საშუალებები, ნედლეული) კონკრეტული პროდუქციის შესაქმნელად;

**ძირითადი საქმიანობის სახე** – ეკონომიკური საქმიანობის სახე, რომელსაც შეაქვს უმეტესი წვლილი სტატისტიკური ერთეულების დამატებულ ღირებულებაში;

**მეორეხარისხოვანი საქმიანობა** – ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხელს უწყობს პროდუქციის (საქონელი, მომსახურება) წარმოებას;

**დამხმარე საქმიანობა** – საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ძირითადი საქმიანობის სახის უზრუნველსაყოფად შუალედური საქონლის ან მომსახურების მიწოდებით, მხოლოდ აღნიშნული ერთეულის მიერ გამოსაყენებლად.

#### 4. კლასიფიკატორის სტრუქტურა

ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორი შედგება ორი ბლოკისგან: საიდენტიფიკაციო და დასახელებების ბლოკი. საიდენტიფიკაციო ბლოკს აქვს კლასიფიკაციის იერარქიული სტრუქტურა და კოდირების სისტემა ანბანურ-ციფრული კოდის გამოყენებით.

საკლასიფიკაციო ობიექტის კოდს აქვს შემდეგი სახე:  
Y XX.XX.X

სადაც

Y – სექცია

XX – განყოფილება

XX.X – ჯგუფი

XX.XX – კლასი

XX.XX.X – ქვეკლასი (მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა საჭიროება მოითხოვს ეროვნული ნიშნით კლასიფიცირებას)

მაგალითი: კოდი B05.10, სადაც

B – სექცია “სამთომოპოვებითი მრეწველობადა კარიერების დამუშავება”

05 – განყოფილება “ნახშირის და ლიგნიტის მოპოვება”

05.1 – ჯგუფი “ქვანახშირის მოპოვება”

05.10 – კლასი “ქვანახშირის მოპოვება”

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, როგორც უმაღლესი სახელმწიფო ორგანო სტატისტიკური კლასიფიკატორების და კოდირების ეროვნული სისტემის შექმნის, წარმართვის და დანერგვის საქმეში:

– უზრუნველყოფს ინფორმაციის მუდმივ განახლებას სტატისტიკური კლასიფიკატორების შემუშავების, წარმართვის და მოდერნიზების საქმეში საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

– უზრუნველყოფს ახალ კლასიფიკატორებზე გადასვლისთვის სამუშაოთა სამართლებრივი ბაზის და მონაცემთა ავტომატიზებული ბანკის შექმნას კომპიუტერული ქსელების გამოყენებით.

# ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორი

## სექცია A – სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა

ეს სექცია შეიცავს მცენარეული და ცხოველური ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, რაც შეიცავს კულტურების მოყვანას, ცხოველების მოვლასა და მოშენებას, მერქნის მიღებასა და სხვადასხვა მცენარეების მოყვანას, ცხოველების და თევზის მოშენებას და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების მიღებას სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ან ბუნებრივ გარემოში.

### 01 მემცენარეობა და მეცხოველეობა, ნადირობა და აღნიშნულ სფეროებში მომსახურების გაწევა

ეს განყოფილება შეიცავს საქმიანობის ორ ძირითად სახეობას: მემცენარეობის პროდუქტების წარმოებას და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას. ის აგრეთვე მოიცავს ორგანულ სოფლის მეურნეობას, გენეტიკურად მოდიფიცირებული კულტურების მოყვანას და ცხოველების მოშენებას. მოცემული განყოფილება შეიცავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანას ღია გრუნტში და სათბურებში.

01.5 ჯგუფის (შერეული სოფლის მეურნეობა) კლასიფიცირება არ შეესაბამება ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის განსაზღვრის ჩვეულებრივ პრინციპებს. ეს აიხსნება იმით, რომ სოფლის მეურნეობის მრავალი საწარმო აწარმოებს როგორც მეცხოველეობის, ისე მემცენარეობის პროდუქციას (დაახლოებით თანაბარ პროპორციებში). ამდენად არასწორი იქნებოდა მათი მიკუთვნება ამა თუ იმ დაჯგუფებისადმი.

აღნიშნულ განყოფილებაში აგრეთვე შედის სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურება, ისევე როგორც ნადირობა, ნადირობა მახეების მეშვეობით და სხვა მსგავსი საქმიანობები.

აღნიშნული სექცია არ შეიცავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებას, რომელიც კლასიფიცირებულია მე-10 და მე-11 (კვების პროდუქტების და სასმელების წარმოება) და მე-12 განყოფილებებში (თამბაქოს ნაწარმის წარმოება), მათი პირველადი დამუშავების გარდა. აქვეა ჩართული პროდუქტების მომზადება პირველადი ბაზრისთვის.

ამ განყოფილებაში არ შედის მინდვრების დაპროექტება და მომზადება (მაგალითად: სასოფლო-სამეურნეო მიწის დატერასება, დრენაჟი, ბრინჯის მინდვრების მომზადება და ა.შ.), რომლებიც კლასიფიცირებულია F სექციაში (მშენებლობა), აგრეთვე შემსყიდველი და კოოპერაციული ასოციაციები, რომლებიც დაკავებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის მარკეტინგით და კლასიფიცირებულია G სექციაში. აქ არ შედის ლანდშაფტის დაცვა და მოვლა, რომელიც კლასიფიცირებულია კლასში 81.30.

### 01.1 ერთწლოვანი კულტურების მოყვანა

აღნიშნული ჯგუფი შეიცავს ერთწლოვანი კულტურების მოყვანას, ანუ მცენარეების, რომლებიც არსებობენ არა უმეტეს ორი ვეგეტაციური პერიოდისა. აქვე შედის ამ მცენარეების მოყვანა თესლის წარმოების მიზნით.

## 01.11 მარცვლეული კულტურების (ბრინჯის გარდა), პარკოსანი და ზეთოვანი კულტურების მოყვანა

ეს კლასი შეიცავს მარცვლეული, პარკოსანი და ზეთოვანი კულტურების მოყვანას ღია გრუნტში. აღნიშნული კულტურების მოყვანა ხშირ შემთხვევაში გაერთიანებულია ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო ქვედანაყოფებში.

### 01.11.1 ხორბლის მოყვანა

### 01.11.2 სიმინდის მოყვანა

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ტკბილი (შაქრის) სიმინდის მოყვანას, იხ. 01.13.0
- სიმინდის მოყვანას ცხოველების გამოსაკვებად (სასილოსედ), იხ. 01.19.0

### 01.11.3 მზესუმზირის მოყვანა

## 01.11.9 სხვა მარცვლეული (ბრინჯის გარდა), პარკოსანი და ზეთოვანი კულტურების მოყვანა

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მარცვლეული კულტურების მოყვანას, როგორცაა:
  - სორგო
  - ქერი
  - ჭვავი
  - შვრია
  - ფეტვი
  - სხვა მარცვლეული კულტურები სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
- პარკოსანი კულტურების მოყვანას, როგორცაა:
  - ცერცვი
  - ცხენის ცერცვი
  - ლობიო
  - ცერცველა
  - ოსპი
  - ხანჭკოლა
  - ბარდა, მუხუდო, კაიანუსი
  - სხვა პარკოსანი კულტურები
- ზეთოვანი კულტურების მოყვანას, როგორცაა:
  - სოია
  - არაქისი
  - აბუსალათინი
  - სელი
  - მდოგვი
  - ზეთისხილი
  - რაფსი
  - ალისარჩული
  - შირბახტი
  - სხვა ზეთოვანი კულტურები

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ბრინჯის მოყვანას, იხ. 01.12.0

- ზეთოვანი ნაყოფების მოყვანას, იხ. 01.26.0

## 01.12 ბრინჯის მოყვანა

### 01.12.0 ბრინჯის მოყვანა

## 01.13 ბოსტნეულის და ბაღჩეულის, ძირხვენების და ტუბერების მოყვანა

### 01.13.0 ბოსტნეულის და ბაღჩეულის, ძირხვენების და ტუბერების მოყვანა

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ფოთლოვანი და ღეროვანი ბოსტნეულის მოყვანას, როგორცაა:
  - არტიშოკი
  - სატაცური
  - კომბოსტო
  - ყვავილოვანი კომბოსტო და ბროკოლი
  - სალათა და ვარდკაჭაჭა
  - ისპანახი
  - სხვა ფოთლოვანი და ღეროვანი ბოსტნეულის სახეობები
- ბაღჩეული კულტურებისა და ბოსტნეულის მოყვანას, როგორცაა:
  - კიტრი და კორნიშონი (ნეკა კიტრი)
  - ბადრიჯანი
  - პომიდორი
  - საზამთრო
  - გოგრა
  - მუსკუსის ნესვი
  - ბაღჩეული კულტურების სხვა სახეობები
- ძირხვენების, ბოლქვიანების და ტუბერების მოყვანას, როგორცაა:
  - სტაფილო
  - ტურნეფსი
  - ნიორი
  - ხახვი (ჭკეალის ჩათვლით)
  - პრასი და სხვა ხახვისებრნი
  - სხვა ძირნაყოფიანი და ბოლქვიანი სახის ბოსტნეული
- სოკოს და ტრიუფელის (თირკმელა სოკოს) მოყვანას
- ბოსტნეულის თესლის მოყვანას, შაქრის ჭარხლის თესლის ჩათვლით, სხვა სახეობის ჭარხლის თესლის გარდა
- შაქრის ჭარხლის მოყვანას
- სხვა ბოსტნეულის მოყვანას
- ძირნაყოფიანი და ბოლქვიანი სახის ბოსტნეულის მოყვანას, როგორცაა:
  - კარტოფილი
  - ტკბილი კარტოფილი (ბატატი)
  - მანიჰოტი
  - ჩინური კარტოფილი
  - სხვა ძირნაყოფიანი და ბოლქვიანი სახის ბოსტნეული

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- წიწაკის, პილპილის, სხვა სახის სანელებლების და არომატული კულტურების მოყვანას, იხ. 01.28.0
- სოკოს მიცელიუმის მოყვანას, იხ. 01.30.0

**01.14 შაქრის ლერწმის მოყვანა**

**01.14.0 შაქრის ლერწმის მოყვანა**

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- შაქრის ჭარხლის მოყვანას, იხ. 01.13.0

**01.15 თამბაქოს მოყვანა**

**01.15.0 თამბაქოს მოყვანა**

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- თამბაქოს ნაწარმისწარმოებას, იხ. 12.00.0

**01.16 ბოჭკოვანი სართავი კულტურების მოყვანა**

**01.16.0 ბოჭკოვანი სართავი კულტურების მოყვანა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ნედლი ბამბის მოყვანას
- ჯუთის, კენაფის და ტექსტილის სხვა სართავი კულტურების მოყვანას
- სელის და კენაფის მოყვანას
- მექსიკური აგავის, ლაფნის ბოჭკოს და აგავის სხვა სახეობების მოყვანას
- მანილის კენაფის, ჩინური ჭინჭრის და ტექსტილის სხვა სართავი ბოსტნეული კულტურების მოყვანას
- სხვასართავიკულტურების მოყვანას

**01.19 სხვა ერთწლოვანი კულტურების მოყვანა**

**01.19.0 სხვა ერთწლოვანი კულტურების მოყვანა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- თაღგამურას, საფურაჟე ჭარხლის, სამყურას, იონჯას, ესპარცეტის და სხვა ბალახების, სიმინდის მოყვანას ცხოველების გამოსაკვებად (სასილოსედ) და სხვა საფურაჟე კულტურების მოყვანას
- ჭარხლის თესლის მოყვანას (შაქრის ჭარხლის თესლის გარდა) და საკვები მცენარეების თესლის მოყვანას
- ყვავილების მოყვანას
- ახლადმოჭრილი ყვავილების და ყვავილების კოკრების წარმოებას
- ყვავილების თესლის მოყვანას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ერთწლოვანი სანელებლების, არომატული ბალახების, სამკურნალო და ფარმაცევტული კულტურების მოყვანას, იხ. 01.28.0

## **01.2 მრავალწლოვანი კულტურების მოყვანა**

ეს ჯგუფი შეიცავს მრავალწლოვანი კულტურების მოყვანას, რომელთა სავეგეტაციო პერიოდი აღემატება ორს, ხმება ყოველი სეზონის შემდეგ ან მუდმივად იზრდება. აქვე შედის ამ მცენარეების სათესლედმოყვანა.

### **01.21 ყურძნის მოყვანა**

#### **01.21.0 ყურძნის მოყვანა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საღვინე და სუფრის ყურძნის მოყვანას ვენახებში

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ღვინის წარმოებას, იხ. 11.02.0

### **01.22 ტროპიკული და სუბტროპიკული ხილის მოყვანა**

#### **01.22.0 ტროპიკული და სუბტროპიკული ხილის მოყვანა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ტროპიკული და სუბტროპიკული ხილის მოყვანას, როგორცაა:
  - ავოკადო
  - ბანანი და ბოსტნეული ბანანი (*lat.Musa paradisiaca*)
  - ფინიკი (უნაბი)
  - ლეღვი
  - ბროწეული
  - ხურმა
  - მანგო
  - პაპაია
  - ანანასი
  - სხვა ტროპიკული და სუბტროპიკული ხილი

### **01.23 ციტრუსების მოყვანა**

#### **01.23.0 ციტრუსების მოყვანა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ციტრუსული ხილის მოყვანას, როგორცაა:
  - გრეიპფრუტი და პომელო
  - ლიმონი და ლაიმი
  - ფორთოხალი
  - ყველა სახის მანდარინი (თურინჯი, მანდარინი და კლემენტინი)

- სხვა ციტრუსეული ხილი

## 01.24 თესლოვანი და კურკოვანი ხილის მოყვანა

### 01.24.0 თესლოვანი და კურკოვანი ხილის მოყვანა

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- თესლოვანი და კურკოვანი ხილის მოყვანას, როგორცაა:
  - ვაშლი
  - გარგარი
  - ბალი და ალუბალი
  - ატამი და ვაშლატამა
  - მსხალი და კომში
  - ქლიავი და კვრინჩხი, ღოღნაშო
  - ტყემალი
  - სხვა თესლოვანი და კურკოვანი ხილი

## 01.25 სხვა ხილის, კენკროვნების და კაკლისებრების მოყვანა

### 01.25.0 სხვა ხილის, კენკროვნების და კაკლისებრების მოყვანა

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- კენკროვნების მოყვანას, როგორცაა:
  - მოცვი, ლურჯი მოცვი
  - მოცხარი
  - ხურტკმელი
  - კივი
  - ჟოლო
  - მარწყვი
  - სხვა კენკროვანები
- ხილის თესლის მოყვანას
- კაკლისებრების მოყვანას, როგორცაა:
  - ნუში
  - ქეშიუ
  - წაბლი
  - თხილი
  - ფსტა
  - კაკალი
- სხვა ხილის და კენკროვნების მოყვანას:
  - კერატის ნაყოფის

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ქოქოსის კაკლის მოყვანას, იხ. 01.26.0

## 01.26 ზეთოვანი ხილის მოყვანა

### 01.26.0 ზეთოვანი ხილის მოყვანა

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ზეთოვანი ხილის მოყვანას, როგორცაა:
  - ქოქოსის კაკალი
  - ზეთისხილი
  - ზეთოვანი პალმა
  - ზეთოვანი ნაყოფის სხვა სახეობები

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სოიას, არაქისის და სხვა ზეთოვანი კულტურების მოყვანას, იხ. 01.11.0

## **0127 კულტურების მოყვანა სასმელების წარმოებისთვის**

### **0127.0 კულტურების მოყვანა სასმელების წარმოებისათვის**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- კულტურების მოყვანას სასმელების წარმოებისთვის, როგორცაა:
  - ყავა
  - ჩაი
  - მატე
  - კაკაო
  - სხვა კულტურები სასმელების წარმოებისთვის

## **0128 სანელებლების, არომატული, ნარკოტიკული და ფარმაცევტული კულტურების მოყვანა**

### **0128.0 სანელებლების, არომატული, ნარკოტიკული და ფარმაცევტული კულტურების მოყვანა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მრავალწლოვანი და ერთწლიანი საკაზმ-სანელებლების, სუნელ-სანელებლების და არომატული კულტურების მოყვანას, როგორცაა:
  - წიწაკა (piper sop.)
  - ჩილი და პაპრიკა (capsicum sop.)
  - ჯაეზი, ილი და ჯაეზის ხმელი ჩენჩოსაგან დამზადებული არომატული სუნელები
  - ანისული, რეჰანი და დიდი კამა
  - დარიჩინი
  - მიხაკი
  - კოჭა
  - ვანილი
  - სვია
  - სანელებლების და არომატული კულტურების სხვა სახეობები
- ნარკოტიკული და ფარმაცევტული კულტურების მოყვანას

## **0129 სხვა მრავალწლოვანი კულტურების მოყვანა**

### **0129.0 სხვა მრავალწლოვანი კულტურების მოყვანა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ბრაზილიური ჰევეას (კაუჩუკის ხე) მოყვანას ლატექსის მისაღებად
- საახალწლო ნაძვის ხეების მოყვანას
- ხეების გაშენებას წვენის მისაღებად
- მცენარეების მოყვანას ძირითადად საწნავად გამოსაყენებლად

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ყვავილების მოყვანას, კოკრებიანი ყვავილების და ყვავილების თესლის მოყვანას, იხ. 01.19.0
- ბუნებრივი წვენების ან ფისების შეგროვებას ველური ხეებიდან, იხ. 02.30.0

### **01.3 ნერგების და ჩითილების წარმოება**

#### **01.30 ნერგების და ჩითილების წარმოება**

##### **01.30.0 ნერგების და ჩითილების წარმოება**

ეს ქვეკლასი შეიცავს ჩითილების მოყვანას, სანერგე მასალების და თესლის მომზადების ჩათვლით, მცენარეების გაშენებისათვის ან ხეების დასამყნობად და ნერგების დასარგავად.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მცენარეების მოყვანას პლანტაციებში დასარგავად
- მცენარეების მოყვანას ლანდშაფტის გალამაზების ან ტერიტორიების კეთილმოწყობისათვის, ბუსნოს დაგებისა და პიკირების ჩათვლით
- მრავალწლოვანი მცენარეების მოყვანას ბოლქვების, ტუბერების და ფესვების მისაღებად; კალმების და ყლორტების; სოკოს მიცელიუმის მოყვანას
- ხეების სანერგეების საქმიანობას, ტყის ხეების ნარგავების მოვლის გარდა

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მცენარეების მოყვანას თესლის მიღების მიზნით, იხ. 01.1, 01.2
- ტყის სანერგეების საქმიანობას, იხ. 02.10.0

### **01.4 მეცხოველეობა**

ეს ჯგუფი შეიცავს ყველა სახეობის ცხოველების გამოზრდას (სასოფლო-სამეურნეო) და მოშენებას, წყლის ცხოველების გარდა.

*ეს ჯგუფი არ შეიცავს:*

- სასოფლო-სამეურნეო ცხოველების შენახვას და მოვლას, იხ. 01.62.0
- ბეწვეულის და ტყავის წარმოებას პირუტყვის კვლის ადგილებზე, იხ. 10.11.0

#### **01.41 მერძეული ჯიშების პირუტყვის მოშენება**

##### **01.41.0 მერძეული ჯიშების პირუტყვის მოშენება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მერძეული ჯიშების პირუტყვის გამოზრდას და მოშენებას
- ფურის და ფურკამეჩის ნედლი რძის წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- რძის გადამუშავებას, იხ. 10.51.0

#### **0142 მსხვილფეხა პირუტყვის სხვა ჯიშების და კამეჩების მოშენება**

##### **0142.0 მსხვილფეხა პირუტყვის სხვა ჯიშებისა და კამეჩების მოშენება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მსხვილფეხა პირუტყვის და კამეჩების გამოზრდას და მოშენებას ხორცის მისაღებად
- ბუდის სპერმის მიღებას

#### **0143 ცხენების და სხვა ცხენისებრთა ჯიშების მოშენება**

##### **0143.0 ცხენების და სხვა ცხენისებრთა ჯიშების მოშენება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ცხენების, ვირების, ჯორების და ჯორცხენების გამოზრდას და მოშენებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- დოდის და მარულის ცხენების შესანახი საჯინიბოების საქმიანობას, იხ. 93.19.0

#### **0144 აქლემების და აქლემისებრთა მოშენება**

##### **0144.0 აქლემების და აქლემისებრთა მოშენება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- აქლემების (ერთკუზიანი აქლემების) და აქლემისებრთა გამოზრდას და მოშენებას

#### **0145 ცხვრების და თხების მოშენება**

##### **0145.0 ცხვრების და თხების მოშენება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ცხვრების და თხების გამოზრდას და მოშენებას
- ცხვრის და თხის ნედლი რძის წარმოებას
- მატყლის დამზადებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ცხვრების კრეჭას გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე, იხ. 01.62.0
- დაწეწილი მატყლის წარმოებას, იხ 10.11.0
- რძის გადამუშავებას, იხ. 10.51.0

## **0146 ღორების და გოჭების მოშენება**

### **0146.0 ღორების და გოჭების მოშენება**

## **0147 მეფრინველეობა**

### **0147.1 კვერცხის წარმოება**

### **0147.2 ქათმის მოშენება**

### **0147.9 სხვა სახის მეფრინველეობა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- შინაური ფრინველის გამოზრდას და მოშენებას:
  - ინდაურების, იხვების, ბატების და ციცრების
- საინკუბატორო სადგურების მართვას შინაური ფრინველის მოსაშენებლად

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ნაკრტენის და ბუმბულის წარმოებას, იხ. 10.12.0

## **0149 სხვა ცხოველების მოშენება**

### **0149.1 მეფუტკრეობა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მეფუტკრეობას და თაფლის და ფუტკრის ცვილის წარმოებას,

### **0149.9 სხვა ცხოველების მოშენება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ნახევრად მოშინაურებული და სხვა ცხოველების გამოზრდას და მოშენებას:
  - სირაქლეძების და ემუს
  - სხვა ფრინველის (შინაური ფრინველის გარდა)
  - მწერების
  - ბოცვრების და სხვა ბეწვიანი ცხოველების
- ბეწვიანი ტყავის, ქვეწარმავლების და ფრინველების ტყავის წარმოებას, ცხოველების ფერმებში მოშენების შედეგად.
- ფერმების საქმიანობას ჭიების, ლოკოკინების, მოლუსკების და მისთ. მოსაშენებლად
- აბრეშუმის ჭიის მოშენებას, აბრეშუმის ჭიის პარკის წარმოებას
- შინაური ბინადარი ცხოველების გამოზრდას და მოშენებას (თევზების გარდა):

- კატების და ძაღლების
- ფრინველების, როგორცაა გრძელკუდა თუთიყუშები და მისთ.
- ზაზუნების და მისთ.

– სხვა სახეობების ცხოველების გამოზრდას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ცხოველების ბეწვეულის და ტყავის მიღებას ნადირობის და ჭერის შედეგად იხ. 01.70.0
- ბაყაყების, ნიანგების, ზღვის ლოკოკინების ფერმების საქმიანობას, იხ. 03.21.0, 03.22.0
- თევზის მოსაშენებელი ფერმების საქმიანობას, იხ. 03.21.0, 03.22.0
- შინაური ცხოველების მოვლას და წვრთნას, იხ. 96.09
- შინაური ფრინველის გამოზრდას და მოშენებას, იხ. 01.47.0

## **01.5 შერეული სოფლის მეურნეობა**

### **01.50 შერეული სოფლის მეურნეობა**

#### **01.50.0 შერეული სოფლის მეურნეობა**

ეს ქვეკლასი შეიცავს მემცენარეობის და მეცხოველეობის შერეულ წარმოებას სპეციალიზაციის გარეშე. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ყველა სახის მოცულობა არ წარმოადგენს განმსაზღვრელ ფაქტორს. თუ მემცენარეობის ან მეცხოველეობის პროდუქციის წილი მოცემულ მეურნეობაში აღემატება 66 პროცენტს, ასეთი მეურნეობა არ მიეკუთვნება ამ კლასს, არამედ შესაბამისად კლასიფიცირდება როგორც მემცენარეობა ან მეცხოველეობა.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- შერეული მემცენარეობის წარმოებას, იხ.01.1 და 01.2
- შერეული მეცხოველეობის წარმოებას, იხ. 01.4

## **01.6 სოფლის მეურნეობის დამხმარე და მოსავლის აღების შემდგომი საქმიანობები**

ეს ჯგუფი შეიცავს სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს და აგრეთვე სოფლის მეურნეობის მსგავს საქმიანობებს, რომლებიც არ ხორციელდება წარმოების მიზნებისათვის (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება), გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე.

აღნიშნული ჯგუფი აგრეთვე შეიცავს მოსავლის აღების შემდგომ საქმიანობას, რომელიც გამიზნულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოსამზადებლად პირველადი ბაზრისთვის.

### **01.61 დამხმარე საქმიანობის სახეები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის დარგში**

#### **01.61.0 დამხმარე საქმიანობის სახეები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის დარგში**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სახეებს გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე:
  - ფართობების (ნიადაგის) მომზადებას
  - სასოფლო-სამეურნეო კულტურების დარგვას და თესვას
  - კულტურების დამუშავებას
  - კულტურების შეწამვლას, მათ შორის ჰაერიდან
  - ხეხილისა და ვაზის გასხვლას
  - ბრინჯის დარგვას, ჭარხლის გამოხშირვას
  - მოსავლის აღებას
  - სოფლის მეურნეობის მავნებლებთან (კურდღლებისჩათვლით) ბრძოლას
- ზომების მიღებას სასოფლო-სამეურნეო მიწების და გარემოს დაცვისათვის.
- სარწყავი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების მუშაობას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- მომსახურების გაწევას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, ოპერატორებთან და ტექნიკურ პერსონალთან ერთად

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას მოსავლის აღების შემდეგ, იხ. 01.63.0
- სასოფლო-სამეურნეო მიწების დაშრობას, იხ. 43.12.0
- ლანდშაფტურ არქიტექტურას, იხ. 71.11.0
- საკონსულტაციო მომსახურებას აგრონომიის და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის დარგში, იხ. 74.90.0
- ლანდშაფტურ დაგეგმარებას და კულტურების დარგვას, იხ. 81.30.0
- სასოფლო-სამეურნეო ბაზრობების და გამოფენების მოწყობას, იხ. 82.30.0

**01.62 დამხმარე საქმიანობის სახეები ცხოველების მოშენებისათვის**

**01.62.0 დამხმარე საქმიანობის სახეები ცხოველების მოშენებისათვის**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სახეებს გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე:
  - ცხოველების მოშენების, ზრდისა და პროდუქტიულობის სტიმულირებასთან დაკავშირებულ საქმიანობას
  - ნახირის მდგომარეობის გამოკვლევას, საქონლის გადარეკვას, საქონლის ძოვებას, შინაური ფრინველის დაკოდვას, საქათმეების წმენდას და ა.შ.
  - ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებულ საქმიანობას
  - საჯინიბო მომსახურებას
  - ცხვრების კრეჭას
  - სასოფლო-სამეურნეო ცხოველების შენახვასა და მოვლას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ცხენებისთვის ნალის დაკვრას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სადგომებით უზრუნველყოფას მხოლოდ ცხოველების მოსაველად, იხ. 68.20.0
- ვეტერინარულ მომსახურებას, იხ. 75.00
- ცხოველების ვაქცინაციას, იხ. 75.00
- ცხოველების (მაგალითად, ჯოგის) იჯარას, იხ. 77.39.0
- შინაური ცხოველების მოვლას და შენახვას, იხ. 96.09

## **01.63 სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები მოსავლის აღების შემდეგ**

### **01.63.0 სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები მოსავლის აღების შემდეგ**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სასოფლო-სამეურნეო კულტურების მომზადებას პირველადი ბაზრისთვის: გასუფთავებას, გაწმენდას, შემოჭრას, დახარისხებას, დამუშავებას
- ბამბის ნედლეულის თესლისაგან გამოცლას
- თამბაქოს ფოთლის მომზადებას, მაგალითად, გაშრობას
- კაკაო-ცერცვის მომზადებას, მაგალითად, გაწმენდას
- ხილის გასანთვლას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მომზადებას მწარმოებლის მიერ, იხ. 01.1, 01.2 ან 01.3 ჯგუფების შესაბამისი კლასები
- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას მოსავლის აღების შემდეგ, რომელიც აუცილებელია თესლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის, იხ. 01.64
- თამბაქოს კალმების მოცილებას და თამბაქოს მეორად შრობას, იხ. 12.00.0
- სავაჭრო აგენტებისა და კოოპერაციული ასოციაციების მარკეტინგულ საქმიანობას, იხ. 46
- სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით საბითუმო ვაჭრობას, იხ. 46.2

## **01.64 თესლის დამუშავება და მომზადება გასამრავლებლად**

### **01.64.0 თესლის დამუშავება და მომზადება გასამრავლებლად**

ეს ქვეკლასი შეიცავს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას მოსავლის აღების შემდეგ, რომელთა მიზანია მინარევეების, არასაკმარისი ზომის თესლის, მექანიკურად ან მწერების მიერ დაზიანებული და მოუმწიფებელი თესლის მოცილების გზით თესლის ხარისხის გაუმჯობესება, აგრეთვე თესლის შესანახად ვარგის დონემდე ტენიანობის შემცირება.

მოცემულ საქმიანობაში შედის თესლის შრობა, გაწმენდა, დახარისხება და დამუშავება სარეალიზაციოდ. ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს გენეტიკურად მოდიფიცირებული თესლის დამუშავებას.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- თესლის მოყვანას, იხ. 01.1, 01.2
- თესლის დამუშავებას ზეთის მიღების მიზნით, იხ. 10.41.0

- გამოკვლევებს თესლის ახალი ფორმების მიღების ან მოდიფიკაციის მიზნით, იხ. 72.11.0

**01.7 ნადირობა, ჭერა და მასთან დაკავშირებული მომსახურება**

**01.70 ნადირობა, ჭერა და მასთან დაკავშირებული მომსახურება**

**01.70.0 ნადირობა, ჭერა და მასთან დაკავშირებული მომსახურება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ნადირობას და ჭერას კომერციული მიზნით
- ნადირობას და ჭერას საკვების, ბეწვეულის და ტყავის მისაღებად, კვლევით სამუშაოებში გამოსაყენებლად, ზოოპარკებში ან საშინაო პირობებში საყოლად
- ბეწვეულის, ფრინველის და ქვეწარმავლების ტყავის წარმოებას ნადირობის ან ჭერის შედეგად

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ზღვის ძუძუმწოვრების, როგორებიცაა ლომვეშაპები და სელაპები სახმელეთო ჭერას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ბეწვიანი ტყავის, ქვეწარმავლების და ფრინველების ტყავის წარმოებას ცხოველების ფერმებში მოშენების შედეგად, იხ. 01.49.2
- ნადირის მოშენებას ფერმებში, იხ. 01.4
- ვეშაპების ჭერას, იხ. 03.11.0
- ტყავის წარმოებას სასაკლაოებზე, იხ. 10.11.0
- სპორტულ-სამოყვარულო ნადირობას და მასთან დაკავშირებულ საქმიანობებს, იხ. 93.19.0
- ნადირობის და ჭერის განვითარებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს, იხ. 94.99.0

**02 მეტყვეობა და ხე-ტყის დამზადება**

ეს განყოფილება შეიცავს მრგვალი ხე-ტყის დამზადებას, აგრეთვე ტყის ველური პროდუქტების მოპოვებას და შეგროვებას (ხე-ტყის გარდა). ხე-ტყის დამზადების გარდა მეტყვეობა იძლევა პროდუქტებს, რომლებიც ექვემდებარება უმნიშვნელო დამუშავებას, როგორიცაა შეშა, ხის ნახშირი და მრგვალი ხე-ტყე, რომელიც გამოიყენება დაუმუშავებელი სახით (ბოძები, საბალანსო მერქანი და ა.შ.). აღნიშნული საქმიანობის სახეები შეიძლება განხორციელდებულ იქნას ბუნებრივ ან ხელოვნულად გაშენებულ ტყეებში.

ეს განყოფილება არ შეიცავს ხე-ტყის შემდგომ დამუშავებას სახერხი ან სარანდი ინსტრუმენტების მეშვეობით, იხ. განყოფილება 16.

**02.1 მეტყვეობა და სხვა სატყეო-სამეურნეო საქმიანობა**

**02.10 მეტყვეობა და სხვა სატყეო-სამეურნეო საქმიანობა**

**02.10.0 მეტყვეობა და სხვა სატყეო-სამეურნეო საქმიანობა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საშენი ხე-ტყის გაშენებას: დარგვას, გადარგვას, ტყეებისა და ტყესაკაფების გამოსწორვას და დაცვას
- ამონაყარი შიშალის მოყვანას, საბალანსო მერქნის და შეშის მიღებას
- ტყის ხეების სანერგეების საქმიანობას

ეს სამუშაოები შესაძლოა განხორციელდეს უშუალოდ ბუნებრივ ან ხელოვნურად გაშენებულ ტყეებში

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საახალწლო ნაძვისხეების გაშენებას, იხ. 01.29.0
- სანერგეების საქმიანობას, ტყის ხეების სანერგეების გარდა, იხ. 01.30.0
- სოკოს და ტყის სხვა ველური პროდუქტების შეგროვებას (ხე-ტყის მასალების გარდა), იხ. 02.30.0
- ხის ნაფოტების, ნახერხის და ბურბუშელას წარმოებას, იხ. 16.10.0

## **02.2 ხე-ტყის დამზადება**

### **02.20 ხე-ტყის დამზადება**

#### **02.20.0 ხე-ტყის დამზადება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მრგვალი ხე-ტყის წარმოებას ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობისათვის
- მრგვალი ხე-ტყის წარმოებას, რომელიც გამოიყენება დაუმუშავებელი სახით, როგორცაა ლარტყულები, ღობეები, ლატნები
- საშეშე მერქნის შეგროვებას და დამზადებას სათბობად
- მერქნის ნარჩენების შეგროვებას და გადამამუშავებას სათბობად ხე-ტყის დამზადების შემდეგ
- ხის ნახშირის წარმოებას ტყეში (ტრადიციული მეთოდებით)

აღნიშნული საქმიანობის შედეგად მიიღება მორი ან შეშა.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საახალწლო ნაძვის ხეების გაშენებას, იხ. 01.29.0
- საშენი ტყის გაშენებას: დარგვას, გადარგვას, ტყეების და ტყესაკაფების გამოსწორვასა და დაცვას, იხ. 02.10.0
- ტყის სხვა ველური პროდუქტების შეგროვებას (ხე-ტყის მასალების გარდა), იხ. 02.30.0
- ხის ნაფოტების, ნახერხის და ბურბუშელას წარმოებას, იხ. 16.10.0
- ხის ნახშირის წარმოებას მერქნის დისტილირებით, იხ. 20.14.0

## **02.3 ტყის ველური პროდუქტების შეგროვება (ხე-ტყის გარდა)**

### **02.30 ტყის ველური პროდუქტების შეგროვება (ხე-ტყის გარდა)**

#### **02.30.0 ტყის ველური პროდუქტების შეგროვება (ხე-ტყის გარდა)**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ველური პროდუქტების შეგროვებას, როგორცაა:
  - სოკო და ტრიუფელი (თირკმელა სოკო)
  - კენკრა
  - კაკლისებრები
  - ბალატები და სხვა კაუნუკისებრი ფისები
  - კორპის ხის ქერქი
  - ბუნებრივი ლაქი და ფისები
  - ბალზამები
  - მცენარეული ხაო
  - ზოსტერა (ზღვის ბალახი)
  - რკო, ცხენისწაბლა
  - ხავსი და ლიქენი

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მოცემული პროდუქტებიდან რომელიმეს წარმოებას (კორპის ხის გაშენების გარდა), იხ. განყოფილება 01
- სოკოს და ტრიუფელის (თირკმელა სოკოს) მოყვანას, იხ. 01.13.0
- კენკროვანების ან კაკლისებრების მოყვანას, იხ. 01.25.0
- შეშის შეგროვებას, იხ. 02.20.0
- ნაფოტების წარმოებას, იხ 16.10.0

## **02.4 დამხმარე მომსახურება მეტყევეობაში**

### **02.40 დამხმარე მომსახურება მეტყევეობაში**

#### **02.40.0 დამხმარე მომსახურება მეტყევეობაში**

ეს ქვეკლასი შეიცავს სატყეო სამუშაოების ნაწილის შესრულებას გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მომსახურების გაწევას მეტყევეობაში:
  - ტყის ტაქსაციას (დანიხვრა)
  - ტყის მართვის საკონსულტაციო მომსახურებას
  - საშენი ტყის შეფასებას
  - ტყის ხანძრებთან ბრძოლასა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვას
  - ტყის მავნებლებთან ბრძოლას
- ხე-ტყის დამზადებასთან დაკავშირებულ მომსახურებას:
  - დაუმუშავებელი ხე-ტყის ტრანსპორტირებას ტყის ფარგლებში

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ტყის სანერგეების ფუნქციონირებას, იხ. 02.10.0
- სატყეო მიწების ამოშრობას, იხ. 43.12.0
- სამშენებლო მოედნების მომზადებას, იხ 43.12.0

### **03 თევზჭერა და აკვაკულტურა**

ეს განყოფილება შეიცავს თევზჭერასა და აკვაკულტურას, რომელშიც შედის საზღვაო, მლაშე და მტკნარი წყლის გარემოში არსებული რესურსების გამოყენება თევზის, კიბოსნაირების, მოლუსკების და სხვა ზღვის ორგანიზმებისა და პროდუქტების (მაგალითად, წყალმცენარეების, მარგალიტის, ღრუბლების და ა.შ.) ჭერისა და შეგროვების მიზნით.

აქვე შედის ის სახეობები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ინტეგრირდება საკუთარ გარემოში (მაგალითად, მარგალიტოვანას დამყნობა მარგალიტის მისაღებად). ეს განყოფილება აგრეთვე შეიცავს ზღვის და მტკნარი წყლის თევზჭერასთან და აკვაკულტურასთან დაკავშირებულ მომსახურებას.

ეს განყოფილება არ შეიცავს გემების და ნაგების მშენებლობას და რემონტს (30.1, 33.15) და აგრეთვე საქმიანობებს, რომლებიც დაკავშირებულია სპორტულ-სამოყვარულო თევზჭერასთან (93.19).

ეს განყოფილება აგრეთვე არ შეიცავს თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამამუშავებას, როგორც ქარხნებში, ისე თევზის გადამამუშავებელ გემებზე, იხ. 10.20

#### **03.1 თევზჭერა**

ეს ჯგუფი შეიცავს “თევზჭერას”, ანუ ნადირობის და შეგროვების საქმიანობებს, რომლებიც მიმართულია წყლის ცოცხალი ორგანიზმების (ძირითადად თევზების, მოლუსკების და კიბოსნაირების) ჭერაზე ან შეგროვებაზე, ოკეანის, სანაპირო ან შიდა წყლების მცენარეების ჩათვლით, ადამიანის მიერ საკვებად მოხმარების ან სხვა მიზნებისათვის, ხელით ან თევზსაჭერი საკუთნოების საშუალებით, როგორცაა ბადეები, ანკესები, თევზსაჭერები და მახეები. საქმიანობის მსგავსი სახეობები შეიძლება ხორციელდებოდეს სანაპირო ზოლზე ან ნაპირზე (მაგალითად, მოლუსკების შეგროვება, როგორცაა მიდიები და ხამანწკები) ბადეებით, ნავებით ნაპირთან ახლოს, სანაპირო წყლებში ან ღია ზღვაში. ეს საქმიანობები აგრეთვე შეიცავს თევზჭერას წყალსატევებში.

#### **03.11 საზღვაო თევზჭერა**

##### **03.11.0 საზღვაო თევზჭერა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- თევზჭერას ოკეანეში და სანაპირო წყლებში კომერციულ საფუძველზე
- ზღვის კიბოსნაირების და მოლუსკების ჭერას
- ვეშაპების ჭერას
- ზღვის ცხოველების ჭერას: კუების, მედუზების, ზღვის ზღარბების და ა.შ.

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- თევზსაჭერი გემების საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია როგორც თევზჭერასთან, ისე გადამამუშავებასთან, დამზადებასა და დაკონსერვებასთან
- ზღვის სხვა ორგანიზმების და მასალების შეგროვებას: ზღვის ბუნებრივი მარგალიტის, ღრუბლების, მარჯნის და წყლის მცენარეების

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ზღვის ძუძუმწოვრების ჭერას, გარდა ვეშაპებისა, მაგალითად, ლომვეშაპების, სელაპების, იხ. 01.70.0
- ვეშაპების გადამუშავებას თევზის გადამამუშავებელ გემებზე, იხ. 10.11.0
- თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამამუშავებას თევზის გადამამუშავებელ გემებზე ან ხმელეთზე განლაგებულ ქარხნებში, იხ. 10.20.0
- სასეირნო ნაგებობების გაქირავებას ეკიპაჟით საზღვაო და სანაპირო გადაზიდვებისათვის (მაგალითად, თევზჭერისათვის), იხ. 50.10.0
- თევზჭერის ინსპექტირებას, დაცვას და ზედამხედველობას, იხ. 84.24.0
- სპორტულ ან სარეკრეაციო თევზჭერას და მასთან დაკავშირებულ მომსახურებას, იხ. 93.19.0
- სპორტული თევზჭერის ნაკრძალების საქმიანობას, იხ. 93.19.0

### **03.12 თევზჭერა მტკნარ წყლებში**

#### **03.12.0 თევზჭერა მტკნარ წყლებში**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- თევზჭერას შიდა წყლებში კომერციულ საფუძველზე
- მოლუსკების და კიბოსნაირების ჭერას მტკნარ წყლებში
- მტკნარი წყლის ცხოველების ჭერას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- მტკნარი წყლის პროდუქტების შეგროვებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამამუშავებას, იხ. 10.20.0
- თევზჭერის ინსპექტირებას, დაცვას და ზედამხედველობას, იხ. 84.24.0
- სპორტულ ან სარეკრეაციო თევზჭერას და მასთან დაკავშირებულ მომსახურებას, იხ. 93.19.0
- სპორტული თევზჭერის ნაკრძალების საქმიანობას, იხ. 93.19.0

### **03.2 აკვაკულტურა**

ეს ჯგუფი შეიცავს “აკვაკულტურას” (წყლის ფერმერული საქმიანობა), ანუ საწარმოო პროცესს, რომელიც შეიცავს ზღვის ორგანიზმებისა და კულტურების (თევზების, მოლუსკების, კიბოსნაირების, მცენარეების, ნიანგების, ალიგატორებისა და ამფიბიების) მოშენებას ან ფერმერობას (მოსავლის აღების ჩათვლით), იმ მეთოდების გამოყენებით, რომელიც შემუშავებულია ორგანიზმების გასამრავლებლად ბუნებრივი მატების ამალგების მიზნით (რეგულარული გადაცემა მაგროფებელში, გამოკვება და მტაცებლებისაგან დაცვა).

ფერმერული საქმიანობა მიმართულია ორგანიზმების გამოზრდაზე მოზარდულ და/ან ზრდასრულ დონემდე არაბუნებრივ პირობებში. გარდა ამისა, “აკვაკულტურა” შეიცავს ზოგიერთი ორგანიზმების ინდივიდუალურ,

კორპორაციულ ან სახელმწიფო მფლობელობას გამოზრდის სტადიაზე, შთამომავლობის მიღების ჩათვლით.

### **03.21 საზღვაო აკვაკულტურა**

#### **03.21.0 საზღვაო აკვაკულტურა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- თევზის მოშენებას ზღვის წყალში, დეკორატიული თევზების მოშენების ჩათვლით
- მოლუსკების (ხამანწკების, მიდიებისა და მისთ.), ასთაკების, კრევეტების და თევზების ლიფსიტებისა და ქვირითის წარმოებას
- წითელი წყალმცენარეებისა და სხვა საკვები წყალმცენარეების მოყვანას
- კიბოსნაირების, ორსაგდულიანი მოლუსკების, სხვა მოლუსკებისა და წყლის სხვა ცხოველების მოშენებას ზღვის წყალში

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- აკვაკულტურას მომლაშე წყალში
- აკვაკულტურას მარილიანი წყლის საცავებსა და რეზერვუარებში
- ზღვის თევზების მოსაშენებელი ინკუბატორების საქმიანობას
- ზღვის ჭიების მოსაშენებელი ფერმების საქმიანობას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ბაყაყების მოშენებას, იხ. 03.22.0
- სპორტული თევზჭერის ორგანიზებას, იხ. 93.19.0

### **03.22 მტკნარი წყლების აკვაკულტურა**

#### **03.22.0 მტკნარი წყლების აკვაკულტურა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- თევზების მოშენებას მტკნარ წყალში, დეკორატიული თევზების ჩათვლით
- მტკნარი წყლის კიბოსნაირების, ორსაგდულიანი მოლუსკების, სხვა მოლუსკებისა და წყლის ცხოველების მოშენებას
- მტკნარი წყლის თევზების მოსაშენებელი ინკუბატორების საქმიანობას
- ბაყაყების მოშენებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- აკვაკულტურას მარილიანი წყლის საცავებსა და რეზერვუარებში იხ. 03.21.0
- სპორტული თევზჭერის ნაკრძალების საქმიანობას, იხ. 93.19.0

---

## სექცია B – სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება

---

ეს სექცია შეიცავს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას, რომელიც ბუნებაში გვხვდება მყარი ქანების სახით (ნახშირი და მადანი), თხევად (ნავთობი) ან აირისებრ (ბუნებრივი აირი) მდგომარეობაში. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდით, როგორცაა საბადოების მიწისქვეშა ან ღია დამუშავება, ჭაბურღილების ექსპლუატაცია, ზღვის ფსკერის დამუშავება და ა.შ.

ეს სექცია შეიცავს დამატებით საქმიანობებს ნედლეულის სარეალიზაციოდ მომზადების მიზნით, მაგალითად, მსხვრევას, დაქუცმაცებას, გასუფთავებას, ქანების ამოღებას სანგრევიდან, შრობას, დახარისხებას, მადნის გამდიდრებას, ბუნებრივი აირის გათხევადებას და მყარი სათბობის აგლომერირებას. ამ საქმიანობებს ჩვეულებრივ ახორციელებენ იგივე ერთეულები, რომლებიც მოიპოვებენ სასარგებლო წიაღისეულს და/ან ახლოს მდებარე სხვა საწარმოები.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება კლასიფიცირდება განყოფილებებში, ჯგუფებსა და კლასებში მოსაპოვებელი მინერალური ნედლეულის ძირითადი სახეობის მიხედვით. განყოფილებები 05, 06 შეიცავს სათბობ-ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის (ნახშირი, ლიგნიტი, ნავთობი, აირი) მოპოვებას; განყოფილებები 07, 08 შეიცავს ლითონის მადნების, სხვადასხვა მინერალების და მისთ. მოპოვებას.

ამ სექციაში შესული ზოგიერთი ტექნიკური ოპერაცია, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც დაკავშირებულია თხევადი ნახშირწყალბადების მოპოვებასთან, შეიძლება განხორციელდეს იქნას სპეციალური ქვედანაყოფების მიერ მესამე პირებისათვის სამრეწველო მომსახურების გაწევის სახით და ასახულია განყოფილებაში 09.

*ეს სექცია არ შეიცავს:*

- მოპოვებული მასალების გადამუშავებას, იხ. სექცია C (დამამუშავებელი მრეწველობა)
- მოპოვებული მასალების გამოყენებას შემდგომი დამუშავების გარეშე მშენებლობაში, იხ. სექცია F (მშენებლობა)
- ბუნებრივი და მინერალური წყლების ბოთლებში ჩამოსხმას ბუნებრივი წყაროებიდან და ჭაბურღილებიდან, იხ. 11.07
- გრუნტების, მთის ქანებისა და მინერალების მსხვრევას, დაქუცმაცებას და სხვა სახის დამუშავებას, რომელიც არაა დაკავშირებული სამთომოპოვებით მრეწველობასა და კარიერების დამუშავებასთან, იხ. 23.9

### **05 ნახშირის და ლიგნიტის მოპოვება**

ეს განყოფილება შეიცავს მყარი საწვავი მასალების მიწისქვეშა და ღია წესით მოპოვებას და სამუშაოებს (მაგალითად, დახარისხებას, ქანების ამოღებას სანგრევიდან, წნეხვას და ტრანსპორტირებისათვის აუცილებელ სხვა ღონისძიებებს) სარეალიზაციოდ ვარგისი პროდუქციის მისაღებად.

ეს განყოფილება არ შეიცავს კოქსვას (იხ. 19.10.0), ნახშირის და ლიგნიტის მოპოვების თანმხლებ მომსახურებას (იხ. 09.90.0) და ბრიკეტების წარმოებას (იხ. 19.20.0).

## **05.1 ქვანახშირის მოპოვება**

### **05.10 ქვანახშირის მოპოვება**

#### **05.10.0 ქვანახშირის მოპოვება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ქვანახშირის მოპოვებას: მიწისქვეშა ან ღია წესით მოპოვებას გათხევადების მეთოდებით მოპოვების ჩათვლით
- ქვანახშირის გამორეცხვას, დაკალიბრებას, დახარისხებას, დაქუცმაცებას, წნეხვას და ა.შ., მისი კლასიფიცირების, ხარისხის გაუმჯობესების, ტრანსპორტირების ან შენახვის გაადვილების მიზნით

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ქვანახშირის ამოღებას ნაყარიდან

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ლიგნიტის მოპოვებას, იხ. 05.20.0
- ტორფის მოპოვებას, იხ. 08.92.0
- ქვანახშირის მოპოვების დამხმარე საქმიანობებს, იხ. 09.90.0
- საცდელ ბურღვას ნახშირის მოპოვებისათვის, იხ. 09.90.0
- მყარი საწვავის წარმოებას კოქსის ღუმელებში, იხ. 19.10.0
- ქვანახშირის ბრიკეტების წარმოებას, იხ. 19.20.0
- სამუშაოებს, რომლებიც მიმართულია ნახშირის მოპოვების პირობების შემუშავებაზე ან მომზადებაზე. იხ. 43.12.0

## **05.2 ლიგნიტის მოპოვება**

### **05.20 ლიგნიტის მოპოვება**

#### **05.20.0 ლიგნიტის მოპოვება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ლიგნიტის (მურა ნახშირის) მიწისქვეშა ან ღია წესით მოპოვებას გათხევადების მეთოდებით მოპოვების ჩათვლით
- ლიგნიტის გამორეცხვას, გაუწყლოებას, მსხვრევას, წნეხვას, და ა.შ., ხარისხის გაუმჯობესების, მისი ტრანსპორტირების ან შენახვის გაადვილების მიზნით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ქვანახშირის მოპოვებას, იხ. 05.10.0
- ტორფის მოპოვებას, იხ. 08.92.0
- ლიგნიტის მოპოვების დამხმარე საქმიანობებს, იხ. 09.90.0
- საცდელ ბურღვას ნახშირის მოპოვებისათვის, იხ. 09.90.0
- ლიგნიტის ბრიკეტების წარმოებას, იხ. 19.20.0

- სამუშაოებს, რომლებიც მიმართულია ლიგნიტის მოპოვების პირობების შემუშავებაზე ან მომზადებაზე, იხ. 43.12.0

## **06 ნედლი ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვება**

ეს განყოფილება შეიცავს ნედლი ნავთობის წარმოებას, ნავთობის მოპოვებას ნავთობის (საწვავი) ფიქლისა და ნავთობიანი (ბიტუმიანი) ქვიშისაგან, ბუნებრივი აირისა და თხევადი ნახშირწყალბადების მოპოვებას. მოცემული განყოფილება შეიცავს ნავთობის და აირის საბადოების ექსპლუატაციასთან და/ან ათვისებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს. ამგვარი საქმიანობები შეიძლება შეიცავდეს ჭაბურღილების ბურღვას, დაკომპლექტებას და აღჭურვას; სეპარატორების, დეემულგატორების, მარილგამცლელი და ნედლი ნავთობის შესაგროვებელი მოწყობილობების მუშაობის უზრუნველყოფას; ასევე სხვა საქმიანობის სახეებს, რომლებიც აუცილებელია ნავთობისა და აირის მომზადებისათვის მოპოვების ადგილიდან გადატვირთვის ადგილზე მისაწოდებლად.

*ეს განყოფილება არ შეიცავს:*

- ნავთობის და აირის საბადოებთან დაკავშირებულ მომსახურებას გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე, იხ. 09.10.0
- ნავთობის და აირის საძიებო ჭაბურღილების ბურღვას, იხ. 09.10.0
- საცდელ ბურღვას, იხ. 09.10.0
- ნავთობპროდუქტების რაფინირებას, იხ. 19.20.0
- გეოფიზიკურ, გეოლოგიურ და სეისმურ გამოკვლევებს, იხ. 71.12.0

### **06.1 ნედლი ნავთობის მოპოვება**

#### **06.10 ნედლი ნავთობის მოპოვება**

##### **06.10.0 ნედლი ნავთობის მოპოვება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ნედლი ნავთობის მოპოვებას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ბიტუმიანი ან ნავთობის ფიქლის და ბიტუმიანი ქვიშაქვის მოპოვებას
- ნედლი ნავთობის მიღებას ბიტუმიანი ნავთობის ფიქლის და ქვიშაქვისგან
- ნედლი ნავთობის მიღების პროცესებს: დეკანტაციას, გაუმარილებას, გაუწყლოებას, სტაბილიზაციას და ა.შ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვების დამხმარე საქმიანობებს, იხ. 09.10.0
- ნავთობის და აირის დაზვერვას, იხ. 09.10.0
- რაფინირებული ნავთობპროდუქტების წარმოებას, იხ. 19.20.0
- გათხევადებული ნავთობის აირების გამოთავისუფლებას ნავთობის რაფინირების პროცესში, იხ. 19.20.0
- მილსადენების ექსპლუატაციას, იხ. 49.50.0

## 06.2 ბუნებრივი აირის მოპოვება

### 06.20 ბუნებრივი აირის მოპოვება

#### 06.20.0 ბუნებრივი აირის მოპოვება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ნედლი აირისებრი ნახშირწყალბადების (ბუნებრივი აირის) წარმოებას
- კონდენსატის მოპოვებას
- თხევადი ნახშირწყალბადების ფრაქციების დრენირებას და სეპარაციას
- აირის დესულფირებას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- თხევადი ნახშირწყალბადების მოპოვებას გათხევადების ან პიროლიზის გზით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვების დამხმარე საქმიანობებს, იხ. 09.10.0
- ნავთობის და აირის დაზვერვას, იხ. 09.10.0
- გათხევადებული ნავთობის აირების გამოთავისუფლებას ნავთობის რაფინირების პროცესში, იხ. 19.20.0
- სამრეწველო აირების წარმოებას, იხ. 20.11.0
- მილსადენების ექსპლუატაციას, იხ. 49.50.0

## 07 ლითონის მადნების მოპოვება

ეს განყოფილება შეიცავს ლითონშემცველი მინერალების (მადნების) მოპოვებას მიწისქვეშა ან ღია მეთოდით, ზღვის ფსკერიდან და ა.შ. აქ აგრეთვე შედის მადნების გამდიდრების სამუშაოები, როგორცაა მსხვრევა, დაქუცმაცება, რეცხვა, შრობა, აგლომერაცია, კალცინირება ან გამოტუტვა, გრავიტაციული გამდიდრების ან ფლოტაციის სამუშაოები.

*ეს განყოფილება არ შეიცავს:*

- რკინის ალმადანის გამოწვას, იხ. 20.13.0
- ალუმინის უანგის წარმოებას, იხ. 24.42.0
- ბრძმედების ექსპლუატაციას, იხ. განყოფილება 24

### 07.1 რკინის მადნების მოპოვება

#### 07.10 რკინის მადნების მოპოვება

##### 07.10.0 რკინის მადნების მოპოვება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- რკინის შემცველი მადნების მოპოვებას
- რკინის მადნების გამდიდრებას და აგლომერირებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ალმადანის მოპოვებას და მომზადებას (გამოწვის გარდა), იხ. 08.91.0

## **07.2 ფერადი ლითონების მადნების მოპოვება**

ეს ჯგუფი შეიცავს ლითონის მადნების მოპოვებას, რომლებიც არ შეიცავს რკინას.

### **07.21 ურანის და თორიუმის მადნების მოპოვება**

#### **07.21.0 ურანის და თორიუმის მადნების მოპოვება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მადნების მოპოვებას, მათში უპირატესად ურანის და თორიუმის (ურანიტის და მისთ.) შემცველობით
- მსგავსი მადნების კონცენტრაციას
- ყვითელი კეის (ურანის კონცენტრატის) წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ურანის და თორიუმის მადნების გამდიდრებას, იხ. 20.13.0
- ურანის მადნების წარმოებას ურანიტის ან სხვა მადნებისაგან, იხ. 24.46.0
- ურანის დნობას და რაფინირებას, იხ. 24.46.0

## **07.29 სხვა ფერადი ლითონების მადნების მოპოვება**

### **07.29.0 სხვა ფერადი ლითონების მადნების მოპოვება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მადნების მოპოვებას და მომზადებას, მათში უპირატესად ფერადი ლითონების შემცველობით, როგორცაა:
  - ალუმინი (ბოქსიტი), ტყვია, თუთია, ქრომი, ნიკელი, კობალტი, მოლიბდენი, ტანტალი, ვანადიუმი და მისთ.
  - ძვირფასი ლითონები: ოქრო, ვერცხლი, პლატინა

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ურანისა და თორიუმის მადნების მოპოვებას და მომზადებას, იხ. 07.21.0
- ალუმინის ოქსიდის წარმოებას, იხ. 24.42.0
- სპილენძის და ნიკელის შტეინის წარმოებას, იხ. 24.44.0, 24.45.0

## **08 სამთომოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების სხვა დარგები**

ეს განყოფილება შეიცავს მაღაროდან ან კარიერებიდან მოპოვებას, ასევე ალუვიური ნალექის დრაგირებას, მთის ქანების მსხვრევას და მარილის ბუდობების დამუშავებას. ეს პროდუქტები ძირითადად გამოიყენება მშენებლობაში (მაგალითად, ქვიშა, ქვები და მისთ.), მასალების (მაგალითად, თიხები, თაბაშირი, კალციუმი და მისთ.), ქიმიური პროდუქტების წარმოებისათვის.

ეს განყოფილება არ შეიცავს მოპოვებული მინერალების დამუშავებას (მსხვრევის, დაქუცმაცების, ჭრის, გაწმენდის, შრობის, დახარისხების და ნარეგების შექმნის გარდა).

## **08.1 ქვის, ქვიშის და თიხის კარიერების დამუშავება**

### **08.11 დეკორატიული და სამშენებლო ქვის, კირქვის, თაბაშირის, ცარცის და ფიქლის კარიერების დამუშავება**

#### **08.11.1 დეკორატიული და სამშენებლო ქვის მოპოვება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ძეგლების დასამზადებელი და სამშენებლო ქვის, როგორცაა მარმარილო, გრანიტი, ქვიშაქვა და მისთ., კარიერების დამუშავებას, უხეშ ჭრას და ხერხვას. დეკორატიული და სამშენებლო ქვის ხერხვას, მსხვრევასა და დაქუცმაცებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ქვის ჭრას, დაყალიბებას და დამუშავებას კარიერების გარეთ, იხ. 23.70.0

#### **08.11.2 კირქვის, თაბაშირის, ცარცის და ფიქლის მოპოვება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- კირქვის კარიერების დამუშავებას, დაქუცმაცებას და მსხვრევას
- თაბაშირის და ანჰიდრიდის მოპოვებას
- ცარცისა და არაკალცინირებული დოლომიტის მოპოვებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ქიმიური და სასუქების საწარმოებელი მინერალების მოპოვებას, იხ. 08.91.0
- კალცინირებული დოლომიტის წარმოებას, იხ. 23.52.0

## **08.12 ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება, თიხის და კაოლინის მოპოვება**

### **08.12.1 ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სამრეწველო და სამშენებლო ქვიშის, ღორღის ამოღებას და დრაგირებას
- ღორღის მსხვრევას და დაქუცმაცებას
- ქვიშის კარიერების დამუშავებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ბიტუმოვანი ქვიშის მოპოვებას, იხ. 06.10.0

#### **08.12.2 თიხის და კაოლინის მოპოვება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- თიხის, ცეცხლგამძლე თიხის და კაოლინის მოპოვებას

## **08.9 სამთომოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების დარგები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

### **08.91 ქიმიური და სასუქების საწარმოებელი მინერალების მოპოვება**

## **08.91.0 ქიმიური და სასუქების საწარმოებელი მინერალების მოპოვება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ბუნებრივი ფოსფატებისა და კალიუმის ბუნებრივი მარილების მოპოვებას
- ბუნებრივი გოგირდის მოპოვებას
- ალმადანების ამოღებასა და მომზადებას, გამოწვის გარდა
- ბარიუმის სულფატის და კარბონატის ბუნებრივი მარილის (ბარიტები და ვიტერიტი), ბუნებრივი ბორატის, ბუნებრივი მაგნიუმის სულფატების (კიზერიტის) მოპოვებას
- ბუნებრივიპიგმენტების, ფლუორიტების და უპირატესად ქიმიური ნივთიერებების შემცველი სხვა მინერალების მოპოვებას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- გუანოს მოპოვებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მარილის მოპოვებას, იხ. 08.93.0
- რკინის ალმადანის გამოწვას, იხ. 20.13.0
- ქიმიური სასუქების და აზოტის შენაერთების წარმოებას, იხ. 20.15.0

## **08.92 ტორფის ამოღება**

### **08.92.0 ტორფის ამოღება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ტორფის საბადოების დამუშავებას
- ტორფის მომზადებას ხარისხის გაუმჯობესების, ტრანსპორტირების ან შენახვის გაადვილების მიზნით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ტორფის მოსაპოვებელ თანამდევ საქმიანობებს, იხ. 09.90.0
- ტორფის ბრიკეტების წარმოებას, იხ. 19.20.0
- ტორფის, ბუნებრივი გრუნტის, ქვიშის, თიხის, მინერალურისასუქების და მისთ. ნარევების წარმოებას ქოთნის მცენარეებისათვის, იხ. 20.15.0
- ტორფის ნაკეთობების წარმოებას, იხ. 23.99.0

## **08.93 მარილის ამოღება**

### **08.93.0 მარილის ამოღება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მარილის მიწისქვეშა ამოღებას, წყალში გახსნის და ამოტუმბვის ჩათვლით
- მარილის წარმოებას ზღვის წყლის ან სხვა მარილიანი წყლების აორთქლების გზით
- მარილის დამსხვრევას, გასუფთავებას და რაფინირებას მწარმოებლის მიერ

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მარილის გადამუშავებას საკვები მარილის, მაგალითად, იოდირებული მარილის მისაღებად, იხ. 10.84.0
- სასმელი წყლის წარმოებას მარილიანი წყლის აორთქლებით, იხ. 36.00.0

**08.99 სამთომოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების სხვა დარგები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

**08.99.0 სამთომოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების სხვა დარგები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სხვადასხვა მინერალების და მასალების მოპოვებას და კარიერების დამუშავებას, როგორცაა:
  - აბრაზიული მასალები, აზბესტი, კაჟბადიანი ინფუზორული ქანები, ნატურალური გრაფიტი, სტეატიტი (ტალკი), მინდვრის შპატი და ა.შ.
  - ბუნებრივი ასფალტი, ასფალტოვანი და ბიტუმიანი ქანები; ბუნებრივი მყარი ბიტუმი
  - ძვირფასი ქვები, კვარცი, ქარსი და მისთ.

**09 სამთომოპოვებითი მრეწველობის დამხმარე მომსახურება**

ეს განყოფილება შეიცავს სამთომოპოვებითი მრეწველობის თანამდევ სპეციალიზებულ დამხმარე მომსახურებას, რომელიც სრულდება გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე. ის შეიცავს საძიებო-სადაზვერვო სამუშაოებს დაზვერვის ტრადიციული მეთოდების გამოყენებით, როგორცაა მადნების ნიმუშების აღება და გეოლოგიური გამოკვლევების ჩატარება, აგრეთვე ბურღვა და ჭაბურღილების დამუშავება, სასინჯი ბურღვა ან განმეორებითი ბურღვა ნავთობის ჭაბურღილების, ლითონური და არალითონური მინერალების მოძიების მიზნით. სხვა ტიპური მომსახურებები მოიცავს ნავთობისა და აირის ჭაბურღილების ფუძეების შექმნას, ნავთობისა და აირის ჭაბურღილების დაცემენტებას, გასუფთავებას, ამოკასვრას ჭაბურღილებიდან და მათ სვაბირებას, დრენირებას და ამოტუმბვას და ა.შ.

**09.1 ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვების დამხმარე მომსახურება**

**09.10 ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვების დამხმარე მომსახურება**

**09.10.0 ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვების დამხმარე მომსახურება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მომსახურებას ნავთობის და აირის მოპოვების დარგში, გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე, როგორცაა:
  - ნავთობის და აირის მოპოვებასთან დაკავშირებული საძიებო-სადაზვერვო სამუშაოების ჩატარება, მაგალითად, ძიების ტრადიციული მეთოდები, როგორცაა გრუნტის გეოლოგიური გამოკვლევები ძიების ადგილებში.

- მიმართული ბურღვა და განმეორებითი ბურღვა; “ჭაბურღილის ბურღვის დასაწყისი”; საბურღი კოშკის დაყენება ბუნებრივი განლაგების ადგილებში, მოწყობილობების რემონტი და დემონტაჟი; ნავთობის და აირის ჭაბურღილების დაცემენტება; ჭაბურღილებიდან ამოტუმბვა; გამომუშაებული შახტის მომზადება დასახურად, შახტის დახურვა და ა.შ.
- ბუნებრივი აირის გათხევადება და რეგაზიფიცირება ტრანსპორტირების მიზნით, რომელიც ხორციელდება მოპოვების ადგილზე
- დრენირება და ამოტუმბვა
- ნავთობისა და აირის მოპოვებასთან დაკავშირებული საძიებო ბურღვა

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ნავთობის და აირის საბადოებზე ხანძარსაწინააღმდეგო მომსახურებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საქმიანობას, რომელიც ხორციელდება ნავთობის და აირის საბადოების ოპერატორების მიერ, იხ. 06.10.0, 06.20.0
- სამთომოპოვებითი ტექნიკის სპეციალიზებულ რემონტს, იხ. 33.12.0
- ბუნებრივი აირის გათხევადებას და რეგაზიფიცირებას ტრანსპორტირების მიზნით, რომელიც ხორციელდება მოპოვების ადგილის გარეთ, იხ. 52.21.0
- გეოფიზიკურ, გეოლოგიურ და სეისმურ გამოკვლევებს, იხ. 71.12.0

## **09.9 სამთომოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების სხვა დარგების დამხმარე მომსახურება**

### **09.90 სამთომოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების სხვა დარგების დამხმარე მომსახურება**

#### **09.90.0 სამთომოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების სხვა დარგების დამხმარე მომსახურება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- 05, 07 და 08 განყოფილებებში შემავალი სამთომოპოვებითი საქმიანობებისთვის საჭირო დამხმარე მომსახურებას გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე:
  - საძიებო-სადაზვერვო სამუშაოებს, მაგალითად, დაზვერვის ტრადიციული მეთოდები, როგორცაა ნიმუშების აღება და გეოლოგიური გამოკვლევების ჩატარება ძიების ადგილებში
  - დრენირებას და ამოტუმბვას
  - სასინჯ ბურღვას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მადარობის ან კარიერების ექსპლუატაციას გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე, იხ. განყოფილებები 05, 07 ან 08
- სამთომოპოვებითი ტექნიკის სპეციალიზებულ რემონტს, იხ. 33.12.0
- გეოფიზიკური გამოკვლევის მომსახურებას გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე, იხ. 71.12.0

---

## სექცია C – დამამუშავებელი მრეწველობა

---

ეს სექცია შეიცავს მასალების, ნივთიერებების ან კომპონენტების ფიზიკურ ან ქიმიურ გარდაქმნას ახალ პროდუქტებად, თუმცა ეს განსაზღვრება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ერთადერთი უნივერსალური კრიტერიუმი დამამუშავებელი მრეწველობის განმარტებისათვის (იხ. ქვემოთ მოყვანილი შენიშვნა ნარჩენების გადამამუშავებაზე). გარდაქმნისთვის განკუთვნილი მასალები, ნივთიერებები ან კომპონენტები წარმოადგენს სოფლის მეურნეობის, მეტყვევობის, მეთევზეობისა და თევზჭერის, სამთომომპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამამუშავების პროდუქტებს, ისევე როგორც დამამუშავებელი მრეწველობის სხვა პროდუქტებს. საქონლის არსებითი სახეცვლილება, განახლება ან გარდაქმნა ძირითადად განეკუთვნება დამამუშავებელ მრეწველობას.

დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია შეიძლება იყოს მზა საბოლოო მოხმარებისათვის ან წარმოადგენდეს შუალედურ პროდუქტს შემდგომი დამამუშავებისათვის. მაგალითად, ალუმინის გასუფთავების პროდუქტი გამოიყენება როგორც შუალედური პროდუქტი პირველადი ალუმინის წარმოებისათვის; პირველადი ალუმინი წარმოადგენს შუალედურ პროდუქტს ალუმინის მავთულისათვის, რომელიც თავის მხრივ გამოყენებული იქნება მავთულიანი ნაკეთობების საწარმოებლად.

მანქანების და მოწყობილობების სპეციალიზებული კომპონენტების, ნაწილების, საკუთნოებისა და სხვა შემადგენლების წარმოება, როგორც წესი, კლასიფიცირდება იმავე კლასში, სადაც ტექნიკისა და მოწყობილობების წარმოება, რომელსაც ეს სათადარიგო ნაწილები და აქსესუარები მიეკუთვნება. მანქანების და მოწყობილობების არასპეციალიზებული კომპონენტებისა და დეტალების, მაგალითად, ძრავების, დგუშების, ელექტროძრავების, სარქველების, კბილანების, საკისრების, წარმოება კლასიფიცირდება დამამუშავებელი მრეწველობის შესაბამის კლასში, იმის მიუხედავად, თუ რა მანქანების ან მოწყობილობების შემადგენლობაში შედის ეს საგნები. ამასთან, სპეციალიზებული კომპონენტების და საკუთნოების წარმოება პლასტიკური მასალების ჩამოსხმა-დაყალიბების ან შტამპვის მეშვეობით მიეკუთვნება ჯგუფს 22.2.

წარმოებული პროდუქტების მაკომპლექტებელი ნაწილების აწყობა მიეკუთვნება დამამუშავებელ მრეწველობას. მოცემული სექცია შეიცავს მთლიანი კონსტრუქციების აწყობას, საკუთარი წარმოების ან შექმნილი კომპონენტებისაგან.

ნარჩენების უტილიზაცია, ანუ ნარჩენების გადამამუშავება მეორადი ნედლეულის წარმოებისათვის შედის ჯგუფში 38.3 (მასალების აღდგენა). უტილიზაციის დროს შესაძლო ფიზიკური ან ქიმიური გარდაქმნის მიუხედავად, იგი არ განიხილება დამამუშავებელი მრეწველობის ნაწილად. ამ საქმიანობის პირველად ამოცანას წარმოადგენს ნარჩენების გადამამუშავება და ის შესაბამისად კლასიფიცირებულია E სექციაში (წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები). ამასთან, ახალი საბოლოო პროდუქტების წარმოება (მეორადი ნედლეულისაგან განსხვავებით) კლასიფიცირებულია დამამუშავებელ

მრეწველობაში, მაშინაც კი, თუ მოცემულ პროცესში გამოყენებულია ნარჩენები როგორც შუალედური პროდუქტი. მაგალითად, ვერცხლის წარმოება აფსკის ნარჩენებისაგან მიეკუთვნება დამამუშავებელ მრეწველობას.

სამრეწველო, კომერციული და მსგავსი მანქანებისა და მოწყობილობების სპეციალიზებული ტექნიკური მომსახურება და რემონტი, ძირითადად კლასიფიცირდება განყოფილებაში 33 (მანქანებისა და მოწყობილობების რემონტი, მომსახურება და დაყენება). ამასთან, კომპიუტერების და პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტი კლასიფიცირდება განყოფილებაში 95 (კომპიუტერების, პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტი), ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალებების რემონტი კლასიფიცირდება განყოფილებაში 45 (ავტომობილებით და მოტოციკლებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა და მათი რემონტი).

მანქანების და მოწყობილობების დაყენება, როგორც სპეციალიზებული საქმიანობა, კლასიფიცირდება კლასში 33.20.

შენიშვნა: დამამუშავებელი მრეწველობის საზღვრები წინამდებარე კლასიფიკატორის სხვა განყოფილებებთან შეიძლება იყოს გარკვეულწილად ბუნდოვანი. როგორც წესი, დამამუშავებელი მრეწველობის სექციის საქმიანობები შეიცავს მასალების გარდაქმნას ახალ პროდუქტებად. მათ შედეგად მიიღება ახალი პროდუქტი. ამასთან, იმის განსაზღვრა, თუ რას წარმოადგენს ეს ახალი პროდუქტი, შეიძლება იყოს გარკვეულწილად სუბიექტური. განმარტებისთვის – წინამდებარე კლასიფიკატორში შემდეგი სახის საქმიანობები მიეკუთვნება დამამუშავებელ მრეწველობას:

- ახალი თევზის დამუშავება (ხამანწკების ამოღება ნიჟარებიდან, თევზის ფილტვინება), რომელიც არ ხდება თევზსაჭერი ხომალდების ბორტზე (იხ. 10.20.0)
- რძის პასტერიზაცია და ბოთლებში ჩამოსხმა (იხ. 10.51.0)
- ტყავის გამოქნა (იხ. 15.11.0)
- მერქნის კონსერვაცია (იხ. 16.10.0)
- ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული საქმიანობები (იხ. 18.1)
- სალტის პროტექტორის აღდგენა (იხ. 22.11.0)
- სასაქონლო ბეტონის წარმოება (იხ. 23.63.1)
- გაღვანოდაფარვა, მეტალიზაცია და ლითონის თბური დამუშავება (იხ. 25.61.0)
- მანქანების რეკონსტრუქცია ან გადაკეთება (მაგალითად, მანქანების ძრავების, იხ. 29.10.0)

საპირისპიროდ, არსებობს საქმიანობები რომლებიც თუმცა ზოგჯერ შეიცავს გადამამუშავების პროცესებს, მაგრამ ასახულია კლასიფიკატორის სხვა სექციებში, ანუ არ არის კლასიფიცირებული როგორც დამამუშავებელი მრეწველობა. მათში შედის:

- ხე-ტყის დამზადება, კლასიფიცირებულია A სექციაში (სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა);
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოდიფიცირება, კლასიფიცირებულია A სექციაში (სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა);

- კვების პროდუქტების დამზადება ადგილზე უშუალო მოხმარებისათვის, კლასიფიცირებულია განყოფილებაში 56 (საკვებით და სასმელებით მომსახურება);
- მადნებისა და სხვა მინერალების გამდიდრება, კლასიფიცირებულია B სექციაში (სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება);
- სამშენებლო და საამწვობო სამუშაოები, რომლებიც სრულდება სამშენებლო მოედანზე, კლასიფიცირებულია F სექციაში (მშენებლობა);
- საქონლის მსხვილი პარტიების წვრილ პარტიებად დაყოფა ხელახალი გაყიდვისათვის, ისეთი პროდუქციის შეფუთვის, გადაფუთვის ან ბოთლებში ჩამოსხმის ჩათვლით, როგორცაა ალკოჰოლიანი სასმელები ან ქიმიკატები; მყარი ნარჩენების დახარისხება; საღებავების შერევა კლიენტის დაკვეთით; ლითონის ჭრა კლიენტის დაკვეთით; დამუშავება, რომლის შედეგად არ მიიღება განსხვავებული პროდუქტი მიეკუთვნება G სექციას (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი).

## 10 კვების პროდუქტების წარმოება

ეს განყოფილება შეიცავს სასოფლო-სამეურნეო, სატყეო და თევზის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებას ადამიანისათვის კვების პროდუქტების და ცხოველებისათვის მზა საკვების მისაღებად, აგრეთვე სხვადასხვა ნახევარფაბრიკატების წარმოებას, რომლებიც პირდაპირ არ გამოიყენება საკვებად. აღნიშნული საქმიანობა ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია დიდი ან მცირე მოცულობის თანამდევი პროდუქტების (მაგალითად, ტყავის წარმოება, რომელიც მიიღება საქონლის დაკვლის პროცესში, ან კოპტონის მიღება ზეთის წარმოების დროს) წარმოებასთან.

მოცემული განყოფილება შეიცავს საქმიანობებს სხვადასხვა პროდუქტების მიხედვით, როგორცაა ხორცი, თევზი, ხილი, ბოსტნეული, ცხიმები და ზეთები, რძის პროდუქტები, საფქველ-ბურღულეული მრეწველობის პროდუქტები, ცხოველების საკვები, სასმელები, თამბაქოს ნაწარმი და კვების სხვა პროდუქტები. წარმოება შეიძლება ხორციელდებოდეს როგორც საკუთარი საჭიროებისათვის, ისე მესამე მხარეებისათვის, მაგალითად, სასაკლაოების შემთხვევაში.

მოცემული განყოფილება არ შეიცავს საკვების მომზადებას უშუალო მოხმარებისათვის, მაგალითად, რესტორნებში.

ზოგიერთი საქმიანობა განიხილება როგორც დამამუშავებელი მრეწველობა მაშინაც კი, თუ ეს არის პროდუქციით საცალო ვაჭრობა მწარმოებლის მაღაზიებში (მაგალითად, საკუთარი პროდუქციით მოვაჭრე საცხობები, საკონდიტროები, დამამუშავებელი ხორცის მაღაზიები და ა.შ.). ამასთან, წარმოების ის სახეობები, სადაც გადამამუშავება მინიმალურია და ადგილი არა აქვს პროდუქტის არსებით სახეცვლილებას, კლასიფიცირებულია სექციაში “საბითუმო და საცალო ვაჭრობა” (სექცია G).

კვების პროდუქტების მომზადება ადგილზე უშუალო მოხმარებისათვის შედის განყოფილებაში 56 (საკვებით და სასმელებით მომსახურება).

ცხოველებისათვის მზა საკვების წარმოება, რომელიც მიიღება დაკლული

ცხოველების ნარჩენების ან თანაპროდუქტებისაგან, კლასიფიცირდება ჯგუფში 10.9. კვების პროდუქტებისა და სასმელების ნარჩენების გადამუშავება მეორად ნედლეულად კლასიფიცირდება ჯგუფში 38.3, ხოლო კვების პროდუქტებისა და სასმელების ნარჩენების მოცილება – კლასში 38.21.

## **10.1 ხორცის გადამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოება**

### **10.11 ხორცის გადამუშავება და დაკონსერვება**

#### **10.11.0 ხორცის გადამუშავება და დაკონსერვება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სასაკლაოზე ცხოველების კვლას, საქონლის, ღორის, ბატკნის, ბოცვრის, ცხვრის, აქლემის და მისთ. ხორცის დამუშავებას და დაფასობას
- ახალი, გაცივებული ან გაყინული ხორცის წარმოებას, დაუფეშსოებული ნაკლავის სახით
- ახალი, გაცივებული ან გაყინული ხორცის წარმოებას, დაყოფილს ნაწილებად

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ვეშაპების კვლას და დამუშავებას ხმელეთზე ან სპეციალიზებულ ხომალდებზე
- ტყავის და ბეწვეულის დამუშავებას ცხოველთა სასაკლაოებზე
- ცხოველური წარმოშობის ლარდის (ღორის ქონის) და სხვა საკვებად ვარგისი ცხიმების გამოდნობას
- ცხოველების შიგნეულის და თაფ-ფეხის გადამუშავებას
- დაწეწილი მატყლის წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- შინაური ფრინველის საკვებად ვარგისი ქონის გამოდნობას, იხ. 10.12.0
- ხორცის შეფუთვის იხ. 82.92.0

## **10.12 შინაური ფრინველის ხორცის გადამუშავება და დაკონსერვება**

### **10.12.0 შინაური ფრინველის ხორცის გადამუშავება და დაკონსერვება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სასაკლაოზე შინაური ფრინველის კვლას, ხორცის დამუშავებას ან დაფასობას
- ახალი, გაცივებული ან გაყინული ხორცის წარმოებას დაყოფილს ნაწილებად
- შინაური ფრინველის საკვებად ვარგისი ქონის გამოდნობას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ნაკრტენის და ბუმბულის წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ხორცის შეფუთვის, იხ. 82.92.0

## **10.13 ხორცის პროდუქტების წარმოება**

### **10.13.0 ხორცის პროდუქტების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- გამოყვანილი, დამარილებული ან შებოლილი ხორცის წარმოებას
- ხორცპროდუქტების წარმოებას:
  - ძეხვის, სალიამის, სისხლის ძეხვის, სოსისის, მშრალი ძეხვის, სერველატის, ბოლონიური შებოლილი ძეხვის, პაშტეტების, რულეტების, მოხარშული შაშხის

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ხორცის მზა გაყინული კერძების დამზადებას, იხ. 10.85.0
- ხორცის წვნიანის დამზადებას, იხ.10.89.0
- ხორცილ საბითუმო ვაჭრობას, იხ. 46.32.0
- ხორცის შეფუთვის, იხ. 82.92.0

## **10.2 თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამუშავება და დაკონსერვება**

### **10.20 თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამუშავება და დაკონსერვება**

#### **10.20.0 თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამუშავება და დაკონსერვება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამუშავებას და დაკონსერვებას: გაყინვას, ძლიერ გაყინვას, გახმობას, დამზადებას, შებოლვას, დამარილებას, მარილიან წყალში ჩაწყობას, დაკონსერვებას და ა.შ.
- თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკებისაგან პროდუქტების წარმოებას, როგორცაა: თევზის ფილე, ხიზილალა, ხიზილალის შემცველები და მისთ.
- თევზის ფქვილის წარმოებას ადამიანის მიერ მოხმარებისათვის ან ცხოველების საკვებად
- ადამიანის მიერ მოხმარებისთვის გამოუსადეგარი ფქვილის და ხსნადი ნივთიერებების წარმოებას თევზისა და წყლის სხვა ცხოველებისაგან

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ხომალდების საქმიანობას, რომელიც მიმართულია მხოლოდ თევზის გადამუშავებასა და დაკონსერვებაზე
- წყლის მცენარეების გადამუშავებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- თევზის გადამუშავებას და დაკონსერვებას თევზსაჭერ ხომალდებზე, იხ.

03.11.0

- ვეშაპის ხორცის გადამუშავებას ხმელეთზე ან სპეციალიზებულ ხომალდებზე, იხ. 10.11.0
- ზეთების და ცხიმების წარმოებას ზღვის პროდუქტებისაგან, იხ. 10.41.0
- თევზის მზა გაყინული კერძების დამზადებას, იხ. 10.85.0
- თევზის წვნიანის დამზადებას, იხ. 10.89.0

### 10.3 ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება და დაკონსერვება

#### 10.31 კარტოფილის გადამუშავება და დაკონსერვება

##### 10.31.0 კარტოფილის გადამუშავება და დაკონსერვება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- კარტოფილის გადამუშავებას და დაკონსერვებას:
  - დამუშავებული გაყინული კარტოფილის წარმოება
  - მშრალი კარტოფილის პიურეს წარმოება
  - კარტოფილის საუზმეულის წარმოება
  - კარტოფილის ჩიფსების წარმოება
  - კარტოფილის ფხვნილის და ფქვილის წარმოება

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- კარტოფილის სამრეწველო (მექანიკურ) გაფცქვნას

##### 10.32 ხილის და ბოსტნეულის წვენების წარმოება

##### 10.32.0 ხილის და ბოსტნეულის წვენების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ხილის და ბოსტნეულის წვენების წარმოებას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ახალი ხილის და ბოსტნეულის კონცენტრატების წარმოებას

##### 10.39 ხილის და ბოსტნეულის გადამუშავების და კონსერვირების სხვა სახეები

##### 10.39.0 ხილის და ბოსტნეულის გადამუშავების და კონსერვირების სხვა სახეები

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- კვების პროდუქტების წარმოებას, უპირატესად ხილისა და ბოსტნეულის შემცველობით, გაყინული ან კონსერვირებული მზა კერძების გარდა
- ხილის, კაკლისა და ბოსტნეულის დაკონსერვებას: გაყინვას, გახმობას, ზეთში ან ძმარში ჩადებას, ჰერმეტიკულ ტარაში დაკონსერვებას და ა.შ.
- კვების პროდუქტების წარმოებას ხილისა და ბოსტნეულისაგან
- ჯემების, მარმელადების და საკვები უღლეების წარმოებას
- კაკლის მოხალვას
- პასტების და კვების სხვა პროდუქტების წარმოებას კაკლისაგან
- *ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- მაღფუჭებადი მზა კერძების წარმოებას ხილისა და ბოსტნეულისაგან, როგორცაა:
  - სალათები; შერეული სალათები, შეფუთული
  - გაფცქვნილი ან დაჭრილი ბოსტნეული
  - ტოფუ (სოიას ხაჭო)

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ხილის და ბოსტნეულის წვენების წარმოებას, იხ. 10.32.0
- ფხვნილების და ფქვილის წარმოებას ხმელი პარკოსანი კულტურებისაგან, იხ. 10.61.1
- ხილის და კაკლის დაკონსერვებას შაქარში, იხ. 10.82.0
- ბოსტნეულის მზა კერძების წარმოებას, იხ. 10.85.0
- ხელოვნური კონცენტრატების წარმოებას, იხ. 10.89.0

## 10.4 მცენარეული და ცხოველური ზეთების და ცხიმების წარმოება

ეს ჯგუფი შეიცავს გაუწმენდავი და რაფინირებული მცენარეული ან ცხოველური ზეთების და ცხიმების წარმოებას, ლარდის და სხვა ცხოველური საკვები ცხიმების გამოდნობის და გამოხდის გარდა.

### 10.41 ზეთების და ცხიმების წარმოება

#### 10.41.0 ზეთების და ცხიმების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- გაუწმენდავი მცენარეული ზეთების წარმოებას: ზეთუნის, სოიას, პალმის, მზესუმზირის, ბამბის, რაფის, მდოგვის, სელის და მისთ.
- ცხიმგაუცლელი ფქვილის და ფხვნილის წარმოებას, ზეთოვანი კულტურების თესლის, კაკლის ან ნაყოფისაგან
- რაფინირებული მცენარეული ზეთების წარმოებას: ზეთუნის, სოიას და მისთ.
- მცენარეული ზეთების გადამუშავებას: გამოხდას, დუღებას, დეჰიდრატაციას, ჰიდროგენიზაციას და ა.შ.

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- არასაკვები ცხოველური ზეთების და ცხიმების წარმოებას
- თევზის და ზღვის ძუძუმწოვრების ცხიმების მიღებას
- ბამბის ნარჩენების, კოპტონის და სხვა ნარჩენი პროდუქტების წარმოებას ზეთების წარმოების შედეგად

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ლარდის (ღორის ქონის) და სხვა საკვები ცხოველური ცხიმების გადოდნობას და გაწმენდას, იხ. 10.11.0
- მარგარინის წარმოებას, იხ. 10.42.0
- სიმინდის ნოტიოდ დაფქვას, იხ. 10.62.0
- სიმინდის ზეთის წარმოებას, იხ. 10.62.0
- ეთერზეთების წარმოებას, იხ. 20.53.0
- ზეთების და ცხიმების დამუშავებას ქიმიური მეთოდებით, იხ. 20.59.0

## 10.42 მარგარინის და მსგავსი საკვები ცხიმების წარმოება

### 10.42.0 მარგარინის და მსგავსი საკვები ცხიმების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მარგარინის წარმოებას
- მელანჟების და მისთ. წარმოებას
- შერეული კულინარული ცხიმების წარმოებას

## 10.5 რძის პროდუქტების წარმოება

### 10.51 რძის გადამუშავება და ყველის წარმოება

#### 10.51.0 რძის გადამუშავება და ყველის წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- პასტერიზებული, სტერილიზებული, ჰომოგენიზებული და/ან მაღალტემპერატურული დამუშავების ახალი თხევადი რძის წარმოებას
- რძეზე დამზადებული სასმელების წარმოებას
- ნაღების წარმოებას პასტერიზებული, სტერილიზებული, ჰომოგენიზებული ახალი თხევადი რძისაგან
- რძის ფხვნილის და შესქელებული რძის წარმოებას, დამტკბარი ან დაუმტკბარი
- რძის ან ნაღების წარმოებას მყარი ფორმით
- კარაქის წარმოებას
- იოგურტის წარმოებას
- ყველის და ხაჭოს წარმოებას
- შრატის წარმოებას
- კაზეინის და ლაქტოზის წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ნედლი რძის (მსხვილფეხა პირუტყვის) წარმოებას, იხ. 01.41.0
- ნედლი რძის (ცხვრის, თხის, ფაშატის, ვირის, აქლემის და მისთ.) წარმოებას, იხ. 01.43.0, 01.44.0, 01.45.0
- არაცხოველური წარმოშობის რძის და ყველის შემცველების წარმოებას, იხ. 10.89.0

### 10.52 ნაყინის წარმოება

#### 10.52.0 ნაყინის წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ნაყინის და მისთ., მაგალითად, შარბათის, წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კაფე-სანაყინეების საქმიანობას, იხ. 56.10.0

## **10.6 საფქველ-ბურღულეული პროდუქტების, სახამებლების და სახამებელი პროდუქტების წარმოება**

ეს ჯგუფი შეიცავს ფქვილის ან ფხვნილის მიღებას მარცვლეულის ან ბოსტნეულისაგან, ბრინჯის დაქუცმაცებას, გასუფთავებას და გაპრიალებას, აგრეთვე ფქვილის ნარევების ან ცომის წარმოებას მოცემული პროდუქტებიდან.

ეს ჯგუფი აგრეთვე შეიცავს სიმინდის და ბოსტნეულის ნოტიოდ დაფქვას და სახამებლის და სახამებელი პროდუქტების წარმოებას.

### **10.61 საფქველ-ბურღულეული პროდუქტების წარმოება**

#### **10.61.1 ფქვილის წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მარცვლეულის დაფქვას: ხორბლის, ქერის, ჭვავის, სიმინდის ან სხვა მარცვლეულისგან ფქვილის, ბურღულის ან გრანულების წარმოებას
- ბრინჯის დაფქვას: გასუფთავებული, დამსხვრეული, გაპრიალებული, მოჭიქული და ორთქლში გამოყვანილი ბრინჯის წარმოებას; ბრინჯის ფქვილის წარმოებას
- ბოსტნეულის დაფქვას: ფქვილის და მსხვილად დაფქული ფქვილის წარმოება ხმელი პარკოსნების, ძირხვენების, ბოლქვების ან კაკლოვანი კულტურებისაგან

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კარტოფილის ფქვილის და მსხვილად დაფქული ფქვილის წარმოებას, იხ. 10.31.0
- სიმინდის ნოტიოდ დაფქვას, იხ. 10.62.0

#### **10.61.9 საფქველ-ბურღულეული სხვა პროდუქტების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მარცვლოვანი კულტურებისაგან მშრალი საუზმის წარმოებას (ჰერკულესი და მისთ.)
- მზა ფქვილოვანი ნარევების და ცომის წარმოებას პურის, ტორტების, ტკბილღვეულების, ბისკვიტების, მშრალი ნამცხვრის ან ბლინებისათვის

### **10.62 სახამებლების და სახამებელი პროდუქტების წარმოება**

#### **10.62.0 სახამებლების და სახამებელი პროდუქტების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სახამებლის წარმოებას ბრინჯის, კარტოფილის, სიმინდისაგან და მისთ.
- სიმინდის ნოტიოდ დაფქვას
- გლუკოზის, გლუკოზის სიროფის, მალტოზის, ინულინის და მისთ. წარმოებას
- წებოვანას წარმოებას
- ტაპიოკის და ტაპიოკის შემცვლელების წარმოებას სახამებლისაგან
- სიმინდის ზეთის წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ლაქტოზის (რძის შაქრის) წარმოებას, იხ. 10.51.0
- შაქრის წარმოებას შაქრის ჭარხლის ან ლერწმისაგან, იხ. 10.81.0

## 10.7 პურ-ფუნთუშეულის და ცომეული პროდუქტების წარმოება

ეს ჯგუფი შეიცავს პურ-ფუნთუშეული ნაწარმის, მაკარონის, ატრიის და მსგავსი პროდუქტების წარმოებას.

### 10.71 პურის წარმოება; არახანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის და ნამცხვრების წარმოება

#### 10.71.1 პურის წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- პურ-ფუნთუშეული პროდუქტების წარმოებას:
  - პურის და ფუნთუშების

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- პურ-ფუნთუშეული პროდუქტების მომზადებას ადგილზე უშუალო მოხმარებისთვის, იხ. განყოფილება 56

#### 10.71.2 არახანგრძლივი შენახვის საკონდიტრო ნაწარმის წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ცომეული საკონდიტრო ნაწარმის, ნამცხვრების, ტკბილღვეულების, ტორტების, ბისკვიტების, ხილიანი ღვეულების, ბლინების, ვაფლის, ბლითების და მისთ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მშრალი პურ-ფუნთუშეული პროდუქტების წარმოებას, იხ. 10.72.0
- მაკარონის წარმოებას, იხ. 10.73.0

### 10.72 ორცხობილების და მშრალი ნამცხვრების წარმოება; ხანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის და ნამცხვრების წარმოება

#### 10.72.0 ორცხობილებისა და მშრალი ნამცხვრების წარმოება; ხანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის და ნამცხვრების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ორცხობილების, მშრალი ნამცხვრების და სხვა მშრალი პურ-ფუნთუშეული პროდუქტების წარმოებას
- ხანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის და ნამცხვრების წარმოებას
- ტკბილი და მარილიანი პროდუქტების წარმოებას, როგორცაა კრეკერები, კრენდელები და მისთ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კარტოფილის საუზმეულის წარმოებას, იხ. 10.31.0

### 10.73 მაკარონის, ატრიის, კუსკუსის და მსგავსი ცომეული პროდუქტების წარმოება

#### 10.73.0 მაკარონის, ატრიის, კუსკუსის და მსგავსი ცომეული პროდუქტების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მაკარონის ნაწარმის (მაკარონი, ატრია და მისთ.) წარმოებას, მოუმზადებელი ან გულსართით
- კუსკუსის წარმოებას
- კონსერვირებული ან გაყინული მაკარონის პროდუქტების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კუსკუსის მზა კერძების წარმოებას, იხ. 10.85.0
- მაკარონის შემცველი წვნიანის წარმოებას, იხ. 10.89.0

### 10.8 კვების სხვა პროდუქტების წარმოება

ეს ჯგუფი შეიცავს შაქრის და საკონდიტრო ნაწარმის, მზა საკვებისა და კერძების, ყავის, ჩაის და სანელებლების, აგრეთვე მალფუჭებადი და საფირმო კვების პროდუქტების წარმოებას.

#### 10.81 შაქრის წარმოება

##### 10.81.0 შაქრის წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- შაქრის (საქაროზის) და შაქრის შემცველი ნივთიერებების წარმოებას ან გაწმენდას ლერწმის, შაქრის ჭარხლის, ნეკერჩხლის და პალმის წველებისაგან
- შაქრის სიროფის წარმოებას
- მელასის (შავი ბადავის) წარმოებას
- ნეკერჩხლის სიროფის და შაქრის წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- გლუკოზის, გლუკოზის სიროფის, მალტოზის წარმოებას, იხ. 10.62.0

#### 10.82 კაკაოს, შოკოლადის და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმის წარმოება

##### 10.82.0 კაკაოს, შოკოლადის და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმის წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- კაკაოს, კაკაოს კარაქის, კაკაოს ცხიმების, კაკაოს ზეთების წარმოებას
- შოკოლადის და შოკოლადის საკონდიტრო ნაწარმის წარმოებას
- შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმის წარმოებას, როგორცაა კარამელი, ნუგა, შაქარყინული, თეთრი შოკოლადი და მისთ.
- საღეჭი რეზინის წარმოებას
- ხილის, თხილის, ხილის ქერქის და მცენარეების სხვა ნაწილების დაშაქრას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საქაროზის წარმოებას, იხ. 10.81.0

## **10.83 ჩაის და ყავის გადამუშავება**

### **10.83.1 ჩაის გადამუშავება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ჩაის და მატეს შერევას
- ექსტრაქტების წარმოებას და მომზადებას ჩაის ან მატეს ფუძეზე
- ჩაის შეფუთვის, მათ შორის ჩაის პაკეტებში

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ბალახეული ნაყენების (პიტნის, ვერბენის, გვირილის და მისთ.) წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ინულინის წარმოებას, იხ. 10.62.0
- სპირტიანი სასმელების, ლუდის, ღვინის და უალკოჰოლო სასმელების წარმოებას, იხ. განყოფილება 11
- ბოტანიკური პროდუქტების მომზადებას ფარმაცევტული მიზნებისათვის, იხ. 21.20.0

### **10.83.2 ყავის გადამუშავება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ყავის პროდუქტების წარმოებას:
  - დაფქული ყავის
  - ხსნადი ყავის
  - ყავის ექსტრაქტების და კონცენტრატების
- ყავის შემცველების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სპირტიანი სასმელების, ლუდის, ღვინის და უალკოჰოლო სასმელების წარმოებას, იხ. განყოფილება 11

## **10.84 სუნელ-სანელებლების და საკაზმ-სანელებლების წარმოება**

### **10.84.0 სუნელ-სანელებლების და საკაზმ-სანელებლების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სანელებლების, სოუსების და საკაზმების წარმოებას:
  - მაიონეზის
  - მდოგვის ფხვნილის და ფქვილის
  - მზა მდოგვის და მისთ.
- ძმრის წარმოებას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- მარილის დამუშავებას საკვები მარილის მისაღებად, მაგალითად, იოდირებული მარილის

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კულტურების მოყვანას სანელებლების საწარმოებლად, იხ. 01.28.0

## **10.85 კვების მზა პროდუქტების და კერძების წარმოება**

### **10.85.0 კვების მზა პროდუქტების და კერძების წარმოება**

ეს ქვეკლასი შეიცავს კვების მზა (ე.ი. მომზადებული, შეკაზმული და თერმულად დამუშავებული) პროდუქტების და კერძების წარმოებას. აღნიშნული კერძები მზადდება ხანგრძლივი შენახვისათვის გაყინული ან ჰერმეტიკულ ტარაში კონსერვირებული სახით. ისინი, როგორც წესი, შეფუთულია და განკუთვნილია გადასაყიდად, ანუ ეს ქვეკლასი არ შეიცავს საკვების დამზადებას ადგილზე მოხმარებისათვის, როგორც რესტორნებში. იმისათვის, რომ ჩაითვალოს კერძებად, ეს პროდუქტები უნდა შეიცავდნენ არანაკლებ ორ განსხვავებულ ინგრედიენტს (სანელებლების და მისთ. გარდა)

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ხორცის ან შინაური ფრინველის კერძების წარმოებას
- თევზის კერძების წარმოებას
- ბოსტნეულის კერძების წარმოებას
- გაყინული ან შენახვისათვის სხვა მეთოდებით მომზადებული პიცის წარმოებას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ადგილობრივი და ეროვნული სამზარეულოს კერძების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კვების ახალი პროდუქტების წარმოებას ან კვების პროდუქტების წარმოებას ორზე ნაკლები ინგრედიენტით, იხ. შესაბამისი კლასი მე-10 განყოფილებაში
- მალფუჭებადი მზა კვების პროდუქტების წარმოებას, იხ. 10.89.0
- მზა საკვებით და კერძებით საცალო ვაჭრობას მაღაზიებში, იხ. 47.11.0, 47.29.0
- მზა საკვებით და კერძებით საბითუმო ვაჭრობას, იხ. 46.38.0
- საკვებით მომსახურების კონტრაქტორების საქმიანობას, იხ. 56.29.0

## **10.86 ჰომოგენიზებული საკვები პრეპარატების და დიეტური საკვები პროდუქტების წარმოება**

### **10.86.0 ჰომოგენიზებული საკვები პრეპარატების და დიეტური საკვები პროდუქტების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სპეციალური დანიშნულების კვების პროდუქტების წარმოებას:
  - საბავშვო ნარეგების
  - რძის და სხვა დამატებითი კვების პროდუქტების
  - კვების პროდუქტების ახალშობილებისათვის
  - პროდუქტების დაბალი და შემცირებული კალორიულობით სხეულის წონის კონტროლისათვის
  - სპეციალური სამედიცინო დანიშნულების დიეტური კვების პროდუქტების, დაბალნატრიუმიანი პროდუქტების, ნატრიუმის შემცირებული შემცველობის და უნატრიუმო დიეტური მარილების

- ჩათვლით
- კვების პროდუქტების, გლუტენის გარეშე
- პროდუქტების, მძიმე ფიზიკური სამუშაოებით დაკავებულ პირთათვის, განსაკუთრებით სპორტსმენებისათვის
- პროდუქტების, ნივთიერებათა ცვლით (დიაბეტით) დაავადებულთათვის

## **10.89 სხვა კვების პროდუქტების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

### **10.89.0 სხვა კვების პროდუქტების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- წვნიანების და ბულიონების წარმოებას
- ხელოვნური თაფლის და კარამელის წარმოებას
- მალფუჭებადი მზა კვების პროდუქტების წარმოებას, როგორცაა:
  - სენდვიჩები
  - ახალი პიცა (ნახევარფაბრიკატი)
- აქტიური ბიოლოგიური დანამატების და სხვა კვების პროდუქტების წარმოებას, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- საფუარის წარმოებას
- ექსტრაქტების და წვენების წარმოებას ხორცის, თევზის, კიბოსნაირებისა და მოლუსკებისაგან
- არაცხოველური წარმოშობის რძის და ყველის შემცველების წარმოებას
- კვერცხის პროდუქტების, კვერცხის ალბუმინის წარმოებას
- ხელოვნური კონცენტრატების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მალფუჭებადი მზა კვების პროდუქტების წარმოებას ხილის და ბოსტნეულისაგან, იხ. 10.39.0
- გაყინული პიცის წარმოებას, იხ. 10.85.0
- სპირტიანი სასმელების, ლუდის, ღვინის და უალკოჰოლო სასმელების წარმოებას, იხ. განყოფილება 11

## **10.9 მზა საკვების წარმოება ცხოველებისათვის**

### **10.91 მზა საკვების წარმოება სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისათვის**

#### **10.91.0 მზა საკვების წარმოება სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისათვის**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მზა საკვების წარმოებას სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისათვის, კონცენტრირებული ცხოველური საკვების და საკვები დანამატების ჩათვლით
- შეურეველი (ერთკომპონენტიანი) საკვების წარმოებას სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისათვის

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- სასაკლაოებიდან ნარჩენების დამუშავებას ცხოველებისათვის საკვების მისაღებად

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- თევზის ფქვილის წარმოებას ცხოველების საკვებად, იხ. 10.20.0
- კოპტონის წარმოებას ზეთოვანი თესლებისაგან, იხ. 10.41.0
- ცხოველების საკვებად ვარგისი თანამდევი პროდუქტების მიღებას სპეციალური დამუშავების გარეშე, მაგალითად, ზეთოვანი კულტურების (იხ. 10.41.0), მარცვლეულის დაქუცმაცებული ნარჩენების (იხ. 10.61.1) და მისთ.

## **10.92 მზა საკვების წარმოება შინაური ბინადარი ცხოველებისათვის**

### **10.92.0 მზა საკვების წარმოება შინაური ბინადარი ცხოველებისათვის**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მზა საკვების წარმოებას შინაური ბინადარი ცხოველებისათვის: ძაღლების, კატების, ფრინველების, თევზების და ა.შ. ჩათვლით

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- სასაკლაოებიდან ნარჩენების დამუშავებას ცხოველებისათვის საკვების მისაღებად

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- თევზის ფქვილის წარმოებას ცხოველების საკვებად, იხ. 10.20.0
- კოპტონის წარმოებას ზეთოვანი კულტურების თესლიდან, იხ. 10.41.0
- ცხოველების საკვებად ვარგისი თანამდევი პროდუქციის მიღებას სპეციალური დამუშავების გარეშე, მაგალითად ზეთოვანი კულტურების თესლის (იხ. 10.41.0), მარცვლეულის დაქუცმაცებული ნარჩენების (იხ. 10.61.1) და ა.შ.

## **11 სასმელების წარმოება**

ეს განყოფილება შეიცავს უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების, ძირითადად ფერმენტაციის გზით მიღებული ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდის, ღვინის და დისტილირებული ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებას.

*ეს განყოფილება არ შეიცავს:*

- ხილის და ბოსტნეულის წვენების წარმოებას, იხ. 10.32.0
- სასმელების წარმოებას რძის ფუძეზე იხ. 10.51.0
- ყავის, ჩაის და მატეს პროდუქტების წარმოებას, იხ. 10.83

### **11.0 სასმელების წარმოება**

#### **11.01 სპირტიანი სასმელების დისტილირება, რექტიფიცირება და შერევა**

##### **11.01.0 სპირტიანი სასმელების დისტილირება, რექტიფიცირება და შერევა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- დისტილირებული ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებას, როგორცაა: ვისკი, ბრენდი, ჯინი, ლიქიორი და მისთ.
- დისტილირებულ ალკოჰოლიან სასმელებთან შერეული სასმელების წარმოებას
- დისტილირებული სპირტიანი სასმელების შერევას
- ნეიტრალური სპირტიანი სასმელების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- არადისტილირებული ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებას, იხ. 11.02.0-11.06.0
- სინთეზური ეთილის სპირტის წარმოებას, იხ. 20.14.0
- ეთილის სპირტის წარმოებას ფერმენტული მასალებისაგან, იხ. 20.14.0
- ბოთლებში ჩამოსხმას და ეტიკეტების დატანას, იხ. 46.34.1 (თუ ეს საბითუმო ვაჭრობის ნაწილია) და 82.92.0 (თუ ხორციელდება გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე)

## **11.02 ღვინის წარმოება ყურძნისაგან**

### **11.02.0 ღვინის წარმოება ყურძნისაგან**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ღვინის წარმოებას
- შუშხუნა ღვინის წარმოებას
- ღვინის წარმოებას კონცენტრირებული ყურძნის ტკბილისაგან

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ღვინის შერევას, გასუფთავებას და ბოთლებში ჩამოსხმას
- უალკოჰოლო და დაბალალკოჰოლიანი ღვინის წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ბოთლებში ჩამოსხმას და ეტიკეტების დატანას, იხ. 46.34.1 (თუ ეს საბითუმო ვაჭრობის ნაწილია) და 82.92.0 (თუ ხორციელდება გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე)

## **11.03 სიდრის და სხვა ხილის ღვინოების წარმოება**

### **11.03.0 სიდრის და სხვა ხილის ღვინოების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ფერმენტირებული, მაგრამ არადისტილირებული ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებას, როგორცაა საკე, სიდრი, მსხლის და სხვა ხილის ღვინოები

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- თაფლის და ხილის ღვინოებთან შერეული სასმელების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ბოთლებში ჩამოსხმას და ეტიკეტების დატანას, იხ. 46.34.1 (თუ ეს საბითუმო ვაჭრობის ნაწილია) და 82.92.0 (თუ ხორციელდება

გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე)

#### **11.04 სხვა არადისტილირებული, ფერმენტირებული სასმელების წარმოება**

##### **11.04.0 სხვა არადისტილირებული, ფერმენტირებული სასმელების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ვერმუტის და მისთ. წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ბოთლებში ჩამოსხმას და ეტიკეტების დატანას, იხ. 46.34.1 (თუ ეს საბითუმო ვაჭრობის ნაწილია) და 82.92.0 (თუ ხორციელდება გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე)

#### **11.05 ლუდის წარმოება**

##### **11.05.0 ლუდის წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ალაოს სასმელების წარმოებას, როგორცაა ლუდი, ელი, პორტერი და სტაუტი

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- უალკოჰოლო და დაბალალკოჰოლიანი ლუდის წარმოებას

#### **11.06 ალაოს წარმოება**

##### **11.06.0 ალაოს წარმოება**

#### **11.07 უალკოჰოლო სასმელების წარმოება; მინერალური წყლების და სხვა წყლების წარმოება ბოთლებში**

ეს კლასი შეიცავს უალკოჰოლო სასმელების წარმოებას (უალკოჰოლო ლუდის და ღვინის გარდა)

ეს კლასი არ შეიცავს ბოთლებში ჩამოსხმას და ეტიკეტების დატანას, იხ. 46.34.2 (თუ ეს საბითუმო ვაჭრობის ნაწილია) და 82.92.0 (თუ ხორციელდება გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე)

##### **11.07.1 მინერალური წყლების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ბუნებრივი მინერალური წყლების წარმოებას ბოთლებში

##### **11.07.2 უალკოჰოლო არომატიზებული და/ან დამტკბარი სასმელების წარმოება, როგორცაა ლიმონათი, ხილის სასმელები, კოლა, ორანჟადი, ტონიკები და მისთ.**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- უალკოჰოლო სასმელების წარმოებას:
  - უალკოჰოლო არომატიზებული და/ან დამტკბარი სასმელების

წარმოებას, როგორცაა ლიმონათი, ორანჟადი, კოლა, ხილის სასმელები, ტონიკები და მისთ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ხილის და ბოსტნეულის წვენების წარმოებას, იხ. 10.32.0
- სასმელების წარმოებას რძის ფუძეზე, იხ. 10.51.0
- ყავის, ჩაის და მატეს პროდუქტების წარმოებას, იხ. 10.83.1, 10.83.2 სასმელების წარმოებას სპირტის ფუძეზე, იხ 11.01.0, 11.02.0, 11.03.0, 11.04.0, 11.05.0
- უალკოჰოლო ღვინის წარმოებას, იხ. 11.02.0
- უალკოჰოლო ლუდის წარმოებას, იხ. 11.05.0
- ყინულის წარმოებას, იხ. 35.30.0

### 11.07.3 მტკნარი სასმელი წყლის წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სხვა ბუნებრივი წყლების წარმოებას ბოთლებში

## 12 თამბაქოს ნაწარმის წარმოება

აღნიშნული განყოფილება შეიცავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, თამბაქოს გადამამუშავებას საბოლოო მოხმარების მიზნით.

### 12.0 თამბაქოს ნაწარმის წარმოება

#### 12.00 თამბაქოს ნაწარმის წარმოება

##### 12.00.0 თამბაქოს ნაწარმის წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- თამბაქოს ნაწარმისა და თამბაქოს შემცველი პროდუქტების წარმოებას, როგორცაა სიგარეტები, სიგარები, სასიგარე თამბაქო, საჩიბუსე თამბაქო, საღეჭი თამბაქო, ბურნუთი
- “ჰომოგენიზებული” ან “აღდგენილი” თამბაქოს წარმოებას
- *ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*
- თამბაქოს გასუფთავებას და მეორად გაშრობას
- *ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*
- თამბაქოს მოყვანას ან პირველად დამამუშავებას, იხ. 01.15.0, 01.63.0

## 13 ტექსტილის წარმოება

მოცემული განყოფილება შეიცავს ტექსტილის ბოჭკოს მომზადებას და დართვას, ისევე როგორც ტექსტილის წვნას, ტექსტილის ქსოვილისა და მზა ნაწარმის გაწყობას, ტექსტილის მზა ნაწარმის წარმოებას, ტანსაცმლის გარდა (მაგალითად, თეთრეულის, საბნების, გადასაფარებლების, თოკების და მისთ.). ბუნებრივი ბოჭკოს მოყვანა კლასიფიცირებულია 01 განყოფილებაში, ხოლო სინთეზური ბოჭკოს წარმოება, რომელიც მიიღება ქიმიური წარმოების პროცესში, კლასიფიცირებულია კლასში 20.60. ტანსაცმლის წარმოება

ასახულია მე-14 განყოფილებაში.

### 13.1 ტექსტილის ბოჭკოს მომზადება და დართვა

#### 13.10 ტექსტილის ბოჭკოს მომზადება და დართვა

##### 13.10.0 ტექსტილის ბოჭკოს მომზადება და დართვა

ეს ქვეკლასი შეიცავს ტექსტილის ბოჭკოს მომზადებას და დართვას. მოცემული მასალები შეიძლება წარმოებული იქნას სხვადასხვა ნედლეულისაგან, როგორცაა, აბრეშუმი, შალი, სხვა ცხოველური, მცენარეული ანხელოვნური ბოჭკო, ქაღალდი ან მინაბოჭკო და მისთ.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ტექსტილის ბოჭკოს მომზადებას:
  - აბრეშუმის ბოჭკოს ადიდვას და გამორეცხვას
  - მატყლის გაუცხიმოვნებას და კარბონიზაციას, მატყლის შეღებვას
  - ცხოველური, მცენარეული და ხელოვნური წარმოშობის ყველა სახის ბოჭკოს გაჭიმვას და ჩენვას
- მატყლის დართვას და მატყლის ნართის ან ძაფის წარმოებას ტექსტილისა და სამკერვალო წარმოების, გასაყიდად ან შემდგომი გადამუშავებისათვის:
  - სელის ძენძვას
  - სინთეზური ან ხელოვნური ნართის ტექსტურირებას, გრეხას, დაკეცვას, გადახვევას და დაღბობას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ქაღალდის ნართის წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მოსამზადებელ ოპერაციებს, რომლებიც ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან ერთად, იხ. განყოფილება 01
- მცენარეული ტექსტილის ბოჭკოს შემცველი მცენარეების დაღბობას (ჯუთი, სელი, ქოქოსის ბოჭკო და მისთ.), იხ. 01.16.0
- ბამბის ნედლეულის გაწმენდას თესლისაგან, იხ. 01.63.0
- სინთეზური ან ხელოვნური ბოჭკოს და მათი ნაჩენის წარმოებას, ცალმაგი ნართის წარმოებას (ძლიერგამძლე ნართის და ხალიჩებისათვის ნართის ჩათვლით), სინთეზური ან ხელოვნური ბოჭკოსაგან, იხ. 20.60.0
- მინაბოჭკოს წარმოებას, იხ. 23.14.0

### 13.2 ტექსტილის წარმოება

#### 13.20 ტექსტილის წარმოება

### 13.20.0 ტექსტილის წარმოება

ეს ქვეკლასი შეიცავს ტექსტილის წარმოებას. აღნიშნული მასალები შეიძლება იწარმოებოდეს სხვადასხვა ნედლეულისაგან, როგორცაა აბრეშუმი, მატყლი, სხვა ცხოველური, მცენარეული ან ხელოვნური ბოჭკო, ქაღალდი ან მინაბოჭკო და მისთ.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ბამბის, მატყლის, საკამელო ან აბრეშუმის ქსოვილის წარმოებას, შერეული, ხელოვნური ან სინთეზური ნართის (პოლიპროპილენის და ა.შ.) ჩათვლით
- სხვა ქსოვილების წარმოებას სელის, ჩინური ჯინჭრის, კანაფის, ჯუთის, მაჯადვერის და სპეციალური ნართისაგან

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- დართული ქსოვილების წარმოებას, როგორცაა ხავერდის ყაითანი, ძენძფოჩიანი ქსოვილი, მარლა და მისთ.
- ქსოვილების წარმოებას მინაბოჭკოსაგან
- კარბონიდი და არამიდი დაფების წარმოებას
- ხელოვნური ბეწვის წარმოებას დართვის მეთოდით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ნაქსოვი და ტრიკოტაჟის ქსოვილების წარმოებას, იხ. 13.91.0
- იატაკის ტექსტილის საფენების წარმოებას, იხ. 13.93.0
- მოთეილი ქსოვილების წარმოებას, იხ. 13.96.0
- ქჩის და ფეტრის წარმოებას, იხ. 13.99.0

## 13.3 ტექსტილის გაწეობა

### 13.30 ტექსტილის გაწეობა

#### 13.30.0 ტექსტილის გაწეობა

ეს ქვეკლასი შეიცავს ტექსტილის და ტანსაცმლის გაწეობას, ანუ გათეთრების, გამოხარშვის, შეღებვის, აპრეტირების და მსგავსი სახის საქმიანობებს.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ტექსტილის ბოჭკოს, ნართის, ქსოვილების და ტექსტილის ნაწარმის გათეთრებას, გამოხარშვას და შეღებვას, ტანსაცმლის ჩათვლით
- ტექსტილის და ტექსტილის ნაწარმის, მათ შორის ტანსაცმლის, აპრეტირებას, შრობას, ორთქლით დამუშავებას, შეკუმშვას, გაუმჯობესებას, დეკატირებას, მერსერირებას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ჯინსების გამოხარშვას
- ტექსტილის ნაწარმის დაპლისვას, გოფირირებას და მისთ.
- შეძენილი ტანსაცმლის ჰიდროიზოლაციას, ღებვას, დარეზინიანებას ან გაუღენთვას
- აბრეშუმ-ტრაფარეტულ ბეჭდვას ტექსტილზე და ტანსაცმელზე

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- გაულენთილი, გაწყობილი, რეზინით დაფარული ან ლამინირებული ქსოვილების წარმოებას, რომლებშიც რეზინი წარმოადგენს ძირითად კომპონენტს, იხ. 22.19.0

### **13.9 ტექსტილის სხვა ნაწარმის წარმოება**

ეს ჯგუფი შეიცავს ტექსტილის პროდუქციის წარმოებას, ტანსაცმლის გარდა, როგორცაა ტექსტილის მზა ნაკეთობები, ხალიჩები და ნოხები, ფარდაები, თოკები, ვიწრო დაწნული ნაკეთობები, მოსართავები და მისთ.

#### **13.91 ნაქსოვი და ტრიკოტაჟის ქსოვილების წარმოება**

##### **13.91.0 ნაქსოვი და ტრიკოტაჟის ქსოვილების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ნაქსოვი ან ტრიკოტაჟის ქსოვილების წარმოებას და დამუშავებას:
  - ხაოიანი და პლუმის ქსოვილების
  - რაშელ-მანქანებზე ან მსგავს საქსოვ დაზგებზე გამოშვებული ბადისებრი და საფარდე ქსოვილების
  - სხვა ნაქსოვი ან ტრიკოტაჟის ქსოვილების

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ხელოვნური ბეწვეულის წარმოებას ქსოვის მეთოდით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- რაშელ-მანქანებზე ან მსგავს დაზგებზე დამზადებული მაქმანიანი ბადისებრი და საფარდე ქსოვილების წარმოებას, იხ. 13.99.0 ნაქსოვი და ტრიკოტაჟის ტანსაცმლის წარმოებას, იხ. 14.39.0

#### **13.92 ტექსტილის მზა ნაწარმის წარმოება, ტანსაცმლის გარდა**

##### **13.92.0 ტექსტილის მზა ნაწარმის წარმოება, ტანსაცმლის გარდა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მზა ნაწარმის წარმოებას ნებისმიერი ტექსტილის მასალისაგან, ნაქსოვი და ტრიკოტაჟის ქსოვილების ჩათვლით:
  - საბნების, პლედების ჩათვლით
  - ლოგინის, მაგიდის, ტუალეტის და სამზარეულოს თეთრეულის
  - ბუმბულის და დალიანდაგებული საბნების, ბალიშების, პუფების, საძილე ტომრების და მისთ.
- მზა მოსართავი და გასაწყობი ნაკეთობების წარმოებას:
  - შტორების, ფარდების, საწოლის გადასაფარებლების, ავეჯისა და მოწყობილობების შალითების და მისთ.
  - ბრეჯენტის, ტენტების, კემპინგების საკუთნობის, იალქნების, ფარდულების, ავტომობილების შალითების, ტექნიკის და ავეჯის გადასაფარებლების და მისთ.
  - დროშების, ბაირაღების და ა.შ.

- მტერის ასაღები ტილოების, სამზარეულოს ხელსახოცების და მსგავსი ნაწარმის, სამაშველო ჟილეტების, პარაშუტების და ა.შ.

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ელექტროსაბნების ტექსტილის კომპონენტის წარმოებას
- გობელენების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ტექსტილის ნაწარმის წარმოებას ტექნიკური გამოყენებისათვის, იხ. 13.96.0

### **13.93 ხალიჩების და ფარდაების წარმოება**

#### **13.93.0 ხალიჩების და ფარდაების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- იატაკის ტექსტილის ფენილების წარმოებას:
  - ხალიჩების, ფარდაების და ჭილოფების, საგებების

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- იატაკის ქეჩის საფარების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ჭილოფების და საგებების წარმოებას წნული მასალებისაგან, იხ. 16.29.0
- კორპის იატაკის საფარების წარმოებას, იხ. 16.29.0
- ელასტიკური საფარების წარმოებას, როგორცაა ვინილი, ლინოლეუმი, იხ. 22.23.0

### **13.94 თოკების, ბაგირების და ბადეების წარმოება**

#### **13.94.0 თოკების, ბაგირების და ბადეების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- კანაფის, ბაგირების, თოკებისა, და გვარლების წარმოებას ტექსტილის ბოჭკოსაგან, ლენტებისა და ანალოგიური მასალებისაგან, გაუქვნილი ან გაუქვნიდავი, საფართო ან მის გარეშე, რეზინის ან პლასტმასის გარსით დაცული ან დაუცველი
- ბადეების წარმოებას კანაფის, ბაგირისა და თოკებისაგან
- ნაკეთობების წარმოებას თოკებისა და ბადისებრი ტილოსაგან: თევზსაჭერი ბადეების, უსაფრთხოების ბადეების გემებზე, დამცავი საშუალებების, რომლებიც გამოიყენება გასატვირთავი სამუშაოების დროს, ლითონის რგოლიანი თოკების ან გვარლების და მისთ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- თმის ბადურების წარმოებას, იხ. 14.19.0
- მავთულის ბაგირების წარმოებას, იხ. 25.93.0
- თევზსაჭერი ბადეების წარმოებას სპორტული თევზჭერისათვის, იხ. 32.30.0

### **13.95 უქსოვადი ნაწარმის წარმოება, ტანსაცმლის გარდა**

### 13.95.0 უქსოვადი ნაწარმის წარმოება, ტანსაცმლის გარდა

ეს ქვეკლასი შეიცავს ტექსტილის ან ტექსტილის პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებულ ყველა საქმიანობის სახეს, რომელიც არ მიეკუთვნება 13 ან 14 განყოფილებებს და შეიცავს პროცესების დიდ რაოდენობას და წარმოებული პროდუქციის მრავალფეროვნებას.

### 13.96 სხვა ტექნიკური და სამრეწველო ტექსტილის ნაწარმის წარმოება

#### 13.96.0 სხვა ტექნიკური და სამრეწველო ტექსტილის ნაწარმის წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ვიწრო ნაქსოვი ნაკეთობების წარმოებას, უქსოვადი წებოვანი ფუძით ქსოვილების ჩათვლით
- ეტიკეტების, ემბლემების და მისთ. წარმოებას
- დეკორატიული აქსესუარების წარმოებას: ზონრების, თასმების, ფონების, პომპონების და ა.შ.
- პლასტიკით გაუღენთილი, განშრევებული, დაფარული ან ლამინირებული ქსოვილების წარმოებას
- მოლითონებული ნართის ან მოლითონებული სქელი ძაფების, ტექსტილის მასალით დაფარული რეზინისძაფების და თოკების, რეზინით ან პლასტიკით დაფარული, გაუღენთილი, განშრევებული ან გარსით დაცული ტექსტილის ძაფების და ზონრების წარმოებას
- საბურავებისათვის ქსოვილების წარმოებას მაღალი სიმტკიცის ხელოვნური ძაფისაგან
- სხვა დამუშავებული ან გაუღენთილი ქსოვილების წარმოებას: მუშამბისდა მსგავსი მკვრივი ტექსტილის ქსოვილების, წებოვანი ან ემულსიური ნივთიერებებით დაფარული ქსოვილების
- სხვადასხვა ტიპის ტექსტილის ნაკეთობების წარმოებას: ტექსტილის პატრუქების, აირვარვარული ბადეების და აირის მიღების გარსაცმების
- ლაბადის ქსოვილის, შლანგების, გადამცემი, კონვეიერული ან ამძრავი ღვედების (ლითონით ან სხვა მასალებით გაძლიერებული ან გაუძლიერებელი), ბადისებრი (გასაცრელი) ქსოვილების წარმოებას
- ავტომობილების გასაწყოები ნაკეთობების წარმოებას
- ტილოს წარმოებას ხატვისა და კალკირებისათვის

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ტექსტილის ქსოვილის ტრანსმისიური ან კონვეიერული ღვედების, რეზინით გაუღენთილი, შემოსილი, ზედა შრით ან განშრევებული ნართის ან კორდის წარმოებას, სადაც რეზინი წარმოადგენს ძირითად კომპონენტს, იხ. 22.19.0
- ფირფიტების ან ფურცლების წარმოებას ტექსტილთან შერეული ფოროვანი რეზინის ან პლასტმასისაგან, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ გასამაგრებლად, იხ. 22.19.0, 22.21.0
- ქსოვილების წარმოებას ლითონის მავთულისაგან, იხ. 25.93.0

### 13.99 ტექსტილის სხვა ნაწარმის წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

#### 13.99.0 ტექსტილის სხვა ნაწარმის წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ქეჩის და ფეტრის წარმოებას
- ტიულის და სხვა ბადისებრი ქსოვილების, მაქმანების ან ნაქარგების წარმოებას ნაჭრებად, ზოლებად ან ორნამენტებად
- თვითწებვადი ტილოს ლენტების წარმოებას
- ტექსტილის ზონრების წარმოებას ფეხსაცმლისათვის
- კოსმეტიკური ბალიშების და ხელთათმანების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- იატაკის ქეჩის საფარების წარმოებას იხ. 13.93.0
- ტექსტილის სატენი მასალების და სატენი მასალებისაგან საკუთნოების წარმოებას: ჰიგიენური საფენების, ტამპონების და ა.შ., იხ. 17.22.0

## 14 ტანსაცმლის წარმოება

ეს განყოფილება შეიცავს ყველა სახის ტანსაცმლის (კაცის, ქალის და ბავშვისზედა ტანსაცმლის და საცვლების; სამუშაო, გამოსასვლელი ან ყოველდღიური ტანსაცმლის და მისთ.) და აქსესუარების წარმოებას (მზა ან ინდივიდუალური შეკვეთით) ნებისმიერი მასალისაგან (ტყავის, ტექსტილის, ტრიკოტაჟის და ნაქსოვი ქსოვილისაგან და ა.შ.). არ ხდება გამოიჯენა მოზრდილთა და ბავშვთა ტანსაცმელს ან თანამედროვე და ტრადიციულ ტანსაცმელს შორის.

ეს განყოფილება შეიცავს აგრეთვე ბეწვეულის წარმოებას (ბეწვიანი ტყავების და ტანსაცმლის).

### 14.1 ტანსაცმლის წარმოება, ბეწვეულის ტანსაცმლის გარდა

ეს ჯგუფი შეიცავს ტანსაცმლის წარმოებას. გამოსაყენებელი მასალები შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის, დამუშავებული, გაუღენთილი ან დარეზინიანებული.

#### 14.11 ტყავის ტანსაცმლის წარმოება

##### 14.11.0 ტყავის ტანსაცმლის წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ტანსაცმლის წარმოებას ტყავის ან კომპოზიციური ტყავისაგან, ტყავის სამუშაო ტანსაცმლის, აქსესუარების ჩათვლით, როგორცაა შემდუღებლის ტყავის წინსაფრები

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ბეწვეულის ტანსაცმლის წარმოებას, იხ. 14.20.0
- ტყავის სპორტული ხელთათმანების და სპორტული თავსაბურავების წარმოებას, იხ. 32.30.0
- ცეცხლგამძლე და დამცავი ტანსაცმლის წარმოებას, იხ. 32.99.0

## 14.12 სპეცტანსაცმლის წარმოება

### 14.12.0 სპეცტანსაცმლის წარმოება

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ფეხსაცმლის წარმოებას, იხ. 15.20.0
- ცეცხლგამძლე და დამცავი ტანსაცმლის წარმოებას, იხ. 32.99.0
- ტანსაცმლის შეკეთებას, იხ. 95.29.0

## 14.13 სხვა ზედა ტანსაცმლის წარმოება

### 14.13.0 სხვა ზედა ტანსაცმლის წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სხვა სახის ზედა ტანსაცმლის წარმოებას, რომელიც დამზადებულიანაქსოვი ან ტრიკოტაჟის ქსოვილებისაგან, უქსოვადი და სხვა ქსოვილებისაგან, კაცის, ქალისა და ბავშვისათვის:
  - პალტოების, კოსტუმების, ჟაკეტების, შარვლების, ქვედაბოლოების და ა.შ.

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ინდივიდუალურ კერვას
- ზემოთ მოყვანილი პროდუქტების ცალკეული ნაწილების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ტანსაცმლის წარმოებას ბეწვეულისაგან (თავსაბურავების გარდა), იხ. 14.20.0
- ტანსაცმლის წარმოებას რეზინის ან პლასტმასისაგან, აწყობილს არა შეეკრვით, არამედ დამაგრებით იხ. 22.19.0 22.29.0
- ცეცხლგამძლე და დამცავი ტანსაცმლის წარმოებას, იხ. 32.99.0
- ტანსაცმლის შეკეთებას, იხ. 95.29.0

## 14.14 საცვლების წარმოება

### 14.14.0 საცვლების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ქვედა და ღამის საცვლების წარმოებას ნაქსოვი ან ტრიკოტაჟის ქსოვილებისაგან, მაქმანებისაგან და მისთ. კაცის, ქალისა და ბავშვისათვის:
  - პერანგების, მაისურების, ნიფხეების, ტრუსების, პიჟამების, ღამის პერანგების, პენუარების, ბლუზების, ქვედატანების, კომბინაციების, ბიუსტჰალტერების, კორსეტების და მისთ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ტანსაცმლის შეკეთებას, იხ. 95.29.0

## 14.19 სხვა ტანსაცმლის და აქსესუარების წარმოება

### 14.19.0 სხვა ტანსაცმლის და აქსესუარების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ჩვილი ბავშვისათვის ტანსაცმლის წარმოებას, სპორტული, სათხილამურო, საცურაო კოსტუმების და მისთ. წარმოებას
- თავსაბურავების წარმოებას
- ტანსაცმლის სხვა აქსესუარების წარმოებას: ხელთათმანების, ქამრების, სარტყელების, ყელსახვევების, ჰალსტუხების, შარფების, თმის ბადურების და მისთ.

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- თავსაბურავების წარმოებას ბეწვეულისაგან
- ფეხსაცმლის წარმოებას ტექსტილის მასალებისაგან, მიკრული ძირის გარეშე
- ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების ცალკეული ნაწილების კერვას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სპორტული თავსაბურავების წარმოებას, იხ. 32.30.0
- დამცავი თავსაბურავების წარმოებას (სპორტული თავსაბურავების გარდა), იხ. 32.99.0
- ცეცხლგამძლე და დამცავი ტანსაცმლის წარმოებას, იხ. 32.99.0
- ტანსაცმლის შეკეთებას, იხ. 95.29.0

## 14.2 ბეწვეულის ნაწარმის წარმოება

### 14.20 ბეწვეულის ნაწარმის წარმოება

#### 14.20.0 ბეწვეულის ნაწარმის წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ბეწვეულის ნაწარმის წარმოებას:
  - ბეწვის ტანსაცმლის და ტანსაცმლის აქსესუარების
  - ბეწვის ნაკრებების, მაგალითად, ბეწვეულის ცალკე ნაჭრების, ზოლების, ფირფიტების და მისთ.
  - ბეწვის სხვადასხვა ნაკეთობების: ნოხების, დაუტენავი პუფების, სამრეწველო გასაპრიალებელი ნაჭრების

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ნედლი ბეწვიანი ტყავების წარმოებას, იხ. 01.4, 01.70.0
- ნედლი ტყავების წარმოებას, იხ. 10.11.0
- ხელოვნური ბეწვის წარმოებას (გრძელხაოიანი ნაქსოვი ან ტრიკოტაჟის მასალებისაგან), იხ. 13.20.0, 13.91.0
- ბეწვის ქუდების წარმოებას, იხ. 14.19.0
- ბეწვით გაწყობილი ტანსაცმლის წარმოებას, იხ. 14.19.0
- ბეწვის გამოყვანას და შეღებვას, იხ. 15.11.0
- ფეხსაცმლის წარმოებას ბეწვის ჩანართებით, იხ. 15.20.0

### 14.3 ნაქსოვი და ტრიკოტაჟის ტანსაცმლის წარმოება

#### 14.31 ტრიკოტაჟის და ნაქსოვი წინდების წარმოება

##### 14.31.0 ტრიკოტაჟის და ნაქსოვი წინდების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- წინდის ნაწარმის წარმოებას, წინდების, მოკლეველიანი წინდების, კოლგოტების ჩათვლით

#### 14.39 ნაქსოვი და ტრიკოტაჟის სხვა ტანსაცმლის წარმოება

##### 14.39.0 ნაქსოვი და ტრიკოტაჟის სხვა ტანსაცმლის წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ნაქსოვი ან ტრიკოტაჟის ტანსაცმლის და სხვა მზა ნაწარმის წარმოებას, როგორცაა პულოვერები, ჯემპრები, კარდიგანები, კოფტები, ჟილეტები და მსგავსი ნაკეთობები

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ნაქსოვი ან ტრიკოტაჟის ქსოვილების წარმოებას, იხ. 13.91.0
- წინდის ნაწარმის წარმოებას, იხ. 14.31.0

### 15 ტყავის და მასთან დაკავშირებული ნაწარმის წარმოება

ეს განყოფილება შეიცავს ბეწვის გამოყვანას, ღებვას და ტყავების დამუშავებას თრიმვლითა და გამოქნით, აგრეთვე ტყავის გამოქნას საბოლოო მოხმარებისათვის. ეს განყოფილება აგრეთვე შეიცავს მსგავსი პროდუქციის წარმოებას სხვა მასალებისაგან (ხელოვნური ტყავისა ან ტყავის შემცვლელებისაგან), როგორცაა რეზინის ფეხსაცმელი, ტექსტილის საბარგო ჩანთები და ა.შ. ტყავის შემცვლელებისაგან დამზადებული პროდუქცია აგრეთვე შედის ამ განყოფილებაში, რადგანაც მზადდება იგივე ხერხებით, რაც ტყავის ნაკეთობები (მაგალითად, საბარგო ჩანთები) და ხშირ შემთხვევაში იწარმოება იმავე საწარმოში.

#### 15.1 ტყავის თრიმვლა და გამოქნა; საბარგო ჩანთების, ხელჩანთების, სასარაჯო-საუნაგირე ადკაზმულობის წარმოება; ბეწვეულის გამოყვანა და ღებვა

ეს ჯგუფი შეიცავს ტყავისა და ბეწვეულის და მათი ნაწარმის წარმოებას.

##### 15.11 ტყავის თრიმვლა და გამოქნა; ბეწვეულის გამოქნა და ღებვა

###### 15.11.0 ტყავის თრიმვლა და გამოქნა; ბეწვეულის გამოქნა და ღებვა

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ტყავის თრიმვლას, ღებვას და გამოქნას
- გამოქნილი ზამშის, ნუბუკის, ლაქის ან მეტალიზებული ტყავების წარმოებას
- კომპოზიტური ტყავების წარმოებას

- ბეწვიანი და ბალნიანი ტყავების გაფხეკას, გაპარსვას, კრეჭას, გლემურძის აცლას, გამოქნას, თრიმვლას, დაღობას და ღებვას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ტყავების წარმოებას, როგორც ფერმერული საქმიანობის ნაწილს, იხ. 01.4
- ტყავების წარმოებას, როგორც სასაკლაოების საქმიანობის ნაწილს, იხ. 10.11.0
- ტყავის ტანსაცმლის წარმოებას, იხ. 14.11.0
- ხელოვნური ტყავის წარმოებას, რომელიც არ არის დაფუძნებული ნატურალურ ტყავზე, იხ. 22.19.0, 22.29.0

## **15.12 საბარგო ჩანთების, ხელჩანთების და მისთ., სასარაჯო-საუნაგირო ნაკეთობების წარმოება**

### **15.12.0 საბარგო ჩანთების, ხელჩანთების და მისთ., სასარაჯო-საუნაგირო ნაკეთობების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საბარგო ჩანთების, ხელჩანთების და მისთ. ჭარმობას ტყავის, კომპოზიტური ტყავის ან ნებისმიერი სხვა მასალისაგან, როგორცაა პლასტმასები, ტექსტილის მასალები, ვულკანიზებული ბოჭკო ან მუყაო, იგივე ტექნოლოგიური მეთოდებით, რომლებიც გამოიყენება ტყავის წარმოებისათვის
- სასარაჯო-საუნაგირო ნაკეთობების წარმოებას
- არალითონური სამაჯურების წარმოებას საათებისათვის (მაგალითად, ქსოვილის, ტყავის, პლასტმასის)
- სხვადასხვა ნაკეთობების წარმოებას ტყავის ან კომპოზიტური ტყავისაგან: ამძრავი ღვედების, ზურგჩანთების და ა.შ.
- ფეხსაცმლის ზონრების წარმოებას ტყავისაგან
- მათრახების და მსგავსი ნაკეთობების წარმოებას ცხენოსნობისათვის

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ტყავის ტანსაცმლის წარმოებას, იხ. 14.11.0
- ტყავის ხელთათმენების და თავსაბურავების წარმოებას, იხ. 14.19.0
- ფეხსაცმლის წარმოებას, იხ. 15.20.0
- ველოსიპედების დასაჯდომების წარმოებას, იხ. 30.92.0
- ძვირფასი ლითონის სამაჯურების წარმოებას საათებისათვის, იხ. 32.12.0
- არაძვირფასი ლითონის სამაჯურების წარმოებას საათებისათვის, იხ. 32.13.0
- უსაფრთხოების ღვედების წარმოებას ხაზის მონტორებისათვის და სხვა ღვედების წარმოებას პროფესიული გამოყენებისათვის, იხ. 32.99.0

## **15.2 ფეხსაცმლის წარმოება**

### **15.20 ფეხსაცმლის წარმოება**

#### **15.20.0 ფეხსაცმლის წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ნებისმიერი დანიშნულების ფეხსაცმლის წარმოებას ნებისმიერი მასალისაგან, ნებისმიერი მეთოდით, დაყალიბების ჩათვლით (იხ. გამონაკლისები ქვემოთ)
- ფეხსაცმლის ტყავის ნაწილების წარმოებას: ზედაპირისა და შიდა ნაწილების, ძირების, ქუსლების და ა.შ.
- გამაშების, ლეგინსების და მსგავსი ნაწარმის წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ფეხსაცმლის წარმოებას ტექსტილის მასალებისაგან, მიკრული ძირის გარეშე იხ. 14.19.0
- ფეხსაცმლის ხის ნაწილების წარმოებას (მაგალითად, ქუსლების და კალაპოტების), იხ. 16.29.0
- რეზინის ფეხსაცმლის, ქუსლების, ძირების და რეზინის სხვა ნაწილების წარმოებას ფეხსაცმლისათვის, იხ. 22.19.0
- პლასტმასის ნაწილების წარმოებას ფეხსაცმლისათვის, იხ. 22.29.0
- სათხილამურო ფეხსაცმლის წარმოებას, იხ. 32.30.0
- ორთოპედიული ფეხსაცმლის წარმოებას, იხ. 32.50.0

## **16 ხის და კორპის ნაწარმის წარმოება, ავეჯის გარდა; ნაკეთობების წარმოება ჩალის და წნული მასალებისაგან**

ეს განყოფილება შეიცავს ხის ნაწარმის წარმოებას, როგორცაა საშენი ხე-ტყე, პანელები, ფანერი, ტარა, პარკეტი, ხის საყრდენები და ასაწყობი კონსტრუქციები. საწარმოო პროცესები შეიცავს ხერხვას, რანდვას, პროფილირებას, განშრევებას, ხის ნაკეთობების აწყობას, დაწყებული მორებიდან, რომლებიც იხერხება ნაჭრებად, ან საშენი ხე-ტყიდან, რომელიც შეიძლება კიდევ დაიხერხოს, ან დაფორმირდეს სახარატო ჩარხებზე ან მსგავსი ინსტრუმენტების საშუალებით. შესაძლოა საშენი ხე-ტყის ან სხვა ტრანსფორმირებული ხის მასალების შემდგომი რანდვა ან ხეხვა მზა პროდუქციის, მაგალითად, ხის ტარის ასაწყობად.

ხე-ტყის ხერხვის გარდა, მოცემული განყოფილება დაყოფილია ნაწილებად პროდუქციის ცალკეული სახეების მიხედვით.

მოცემული განყოფილება არ შეიცავს ავეჯის წარმოებას (31.0), სადურგლო ოპერაციებს და მისთ. (43.32.0, 43.33.0, 43.39.0).

### **16.1 ხის ხერხვა და რანდვა**

#### **16.10 ხის ხერხვა და რანდვა**

##### **16.10.0 ხის ხერხვა და რანდვა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ხე-ტყის ხერხვას, რანდვას და დამუშავებას
- მორების გაპობას, გასუფთავებას და გათლას
- ხის სარკინიგზო შპალების წარმოებას
- იატაკის აუწყობელი ხის საფარის წარმოებას
- ხის მატყლის, ხის ფქვილის, ნაფოტის, ნახერხის და მისთ. წარმოებას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- მერქნის შრობას
- მერქნის გაუღნოვას ან ქიმიურ დამუშავებას დამცავი ან სხვა მასალებით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ხე-ტყის დამზადებას და ნედლი მერქნის წარმოებას, იხ. 02.20.0
- საკმარისად თხელი შპონის ფურცლების წარმოებას, ფანერის, ფიცრებისა და პანელების დასამზადებლად, იხ. 16.21.0
- სახურავი სოლყავარის, ყავარის, მოსართავების და ორნამენტების წარმოებას, იხ. 16.23.0
- შეშის ან დაწნეხილი მერქნის წარმოებას, იხ. 16.29.0

## **16.2 პროდუქციის წარმოება ხის, კორპის, ჩაღის და წნული მასალებისაგან**

მოცემული ჯგუფი შეიცავს პროდუქციის წარმოებას ხის, კორპის, ჩაღის და წნული მასალებისაგან, აწყობილი ნაკეთობების და მათი ნაწილების ჩათვლით.

### **16.21 შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოება**

#### **16.21.0 შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საკმარისად თხელი შპონის ფურცლების წარმოებას, ფურცლოვანი და შეწებებული ფანერის დასამზადებლად ან სხვა მიზნებისათვის:
  - გაპრიალებული, შეღებილი, დაფარული, გაუღნოვილი, გამაგრებული (ქაღალდის ან ქსოვილის მეშვეობით)
  - ორნამენტის სახით დამზადებული
- შეწებებული ფანერის, შპონის პანელების და მსგავსი ლამინირებული ხის ფიცრების და ფურცლების წარმოებას
- ორიენტირებული ბურბუშელის ფილების (OSB) და სხვა მერქან-ბურბუშელოვანი ფილების წარმოებას
- საშუალო სიმკვრივის ბოჭკოვანი ფიცრების (MDF) და სხვა ბოჭკოვანი ფიცრების წარმოებას
- გამკვრივებული მერქნის წარმოებას
- წებოვანი ლამინირებული მერქნის და შპონის წარმოებას

### **16.22 ასაწყობი იატაკის საფარების წარმოება**

#### **16.22.0 ასაწყობი იატაკის საფარების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- პანელებად აწყობილი იატაკის ხის საფარების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- იატაკის აუწყობელი ხის საფარების წარმოებას, იხ. 16.10.0

**16.23 მშენებლობაში გამოსაყენებელი სხვა სახუროო და სადურგლო ნაკეთობების წარმოება**

**16.23.0 მშენებლობაში გამოსაყენებელი სხვა სახუროო და სადურგლო ნაკეთობების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ხის ნაკეთობების წარმოებას უპირატესად მშენებლობაში გამოსაყენებლად:
  - კოჭების, ნივნივების, სახურავის საყრდენების
  - შეწებებული და ლითონით შეერთებული, ქარხნული წესით დამზადებული ხის სახურავი კონსტრუქციების
  - კარების, ფანჯრების, დარაბების და მათი ჩარჩოების, ლითონის მაერთებელი დეტალებით, როგორცაა მარყუჟები, საკეტები და ა.შ. ან მათ გარეშე
  - კიბეების, მოაჯირების
  - ხის მოსართავების და ორნამენტების, სახურავის ყავარის
- ქარხნული წესით დამზადებული კონსტრუქციების ან მათი შემადგენელი ნაწილების წარმოებას, უპირატესად ხისაგან, მაგალითად, საუნების
- მობილური სახლების წარმოებას
- ხის ტიხრების წარმოებას (თავისუფლად მდგომის გარდა)

*ეს ქვეკლასი არ ს:*

- სამზარეულოს გარნიტურების, წიგნების და ტანსაცმლის კარადების და ა.შ. წარმოებას, იხ. 31.01.0, 31.02.0, 31.09.0
- თავისუფლად მდგომი ხის ტიხრების წარმოებას, იხ. 31.01.0, 31.02.0, 31.09.0

**16.24 ხის ტარის წარმოება**

**16.24.0 ხის ტარის წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ჩასაწობი საფუთავი ყუთების, კოლოფების და ხის მსგავსი საფუთავი ნაკეთობების წარმოებას
- ხის ქვეშების, და სხვა სატვირთო სამარჯვების წარმოებას
- ხის კასრების, კოდების, როფების და სხვა საკასრე სამარჯვების წარმოებას
- ხის საკაბელო და საბაგირო დოლების წარმოებას კაბელის დასახვევად

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საბარგო ჩანთების წარმოებას, იხ. 15.12.0
- ყუთების წარმოებას წნული მასალისაგან, იხ. 16.29.0

**16.29 ხის სხვა პროდუქტების წარმოება; ნაკეთობების წარმოება კორპის, ჩაღის და წნული მასალებისაგან**

**16.29.0 ხის სხვა პროდუქტების წარმოება; ნაკეთობების წარმოება კორპის, ჩაღის და წნული მასალებისაგან**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ხის სხვადასხვა პროდუქტების წარმოებას:
  - ხის სახელურების და კორპუსების წარმოებას ინსტრუმენტების, ჯაგრისების და ფუნჯებისათვის
  - ფეხსაცმლის ხის კალაპოტების და გამბრჯენების, ტანსაცმლის საკიდრების
  - ხის საყოფაცხოვრებო ნივთების და სამზარეულო საკუთნობის
  - ხის სტატუეტების და ორნამენტების, ხის ინკრუსტაციების, ხის ფერადი მოზაიკის
  - ხის ყუთების წარმოებას საიუველირო ნაკეთობების, სასადილო საკუთნობის და მსგავსი ნაკეთობებისათვის
  - ხის მაქობის, ბობინების, საკერავი ძაფების კოჭების და მსგავსი ნაკეთობების
  - ხის სხვა ნაკეთობების
- ბუნებრივი კორპის მასალის გადამუშავებას, აგლომერირებული კორპის წარმოებას
- ნაკეთობების წარმოებას ბუნებრივი ან აგლომერირებული კორპისაგან, იატაკის საფარების ჩათვლით
- წნულის და წნული მასალებისაგან ნაკეთობების წარმოებას: საფენების, ჭილოფების, შირმების, კოლოფების და ა.შ.
- კალათების და წნული ნაკეთობების წარმოებას
- შეშის და ბრიკეტების წარმოებას წნეხილი მერქნის ან მისი შემცველებებისაგან, როგორცაა დაფქული ყავის ან სოიას მარცვლები
- ხის ჩარჩოების წარმოებას სარკეებისა და სურათებისათვის
- ჩარჩოების წარმოებას მხატვრული ტილოებისათვის
- ფეხსაცმლის ხის ნაწილების წარმოებას (მაგალითად, ქუსლების და კალაპოტების)
- სახელურების წარმოებას ქოლგების, ხელჯოხების და მისთ.
- ბლოკების წარმოებას ყალიონების (ჩიბუხების) საწარმოებლად

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საფენების და ჭილოფების წარმოებას ტექსტილის მასალებისაგან, იხ. 13.92.0
- საბარგო ჩანთების წარმოებას, იხ. 15.12.0
- ხის ფეხსაცმლის წარმოებას, იხ. 15.20.0
- ასანთის წარმოებას, იხ. 20.51.0
- საათის კორპუსების წარმოებას, იხ. 26.52.0
- ხის მაქობისა და ბობინების წარმოებას ტექსტილის დაზგებისათვის, იხ. 28.94.0
- ავეჯის წარმოებას, იხ. 31.0
- ხის სათამაშოების წარმოებას, იხ. 32.40.0
- ცოცხებისა და ჯაგრისების წარმოებას, იხ. 32.91.0
- კუბოების წარმოებას, იხ. 32.99.0
- კორპის მაშველი ჟილეტების წარმოებას, იხ. 32.99.0

## 17 ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება

ეს განყოფილება შეიცავს ქაღალდის მასის, ქაღალდის ან გადამუშავებული ქაღალდისაგან ნაწარმის წარმოებას. ამ პროდუქტების წარმოება ერთად არის დაჯგუფებული, რადგანაც ისინი შეადგენენ ვერტიკალურად დაკავშირებული პროცესების ჯაჭვს. ხშირად ადგილი აქვს ერთზე მეტი საქმიანობის განხორციელებას ერთსა და იმავე ერთეულის ფარგლებში.

გამოიყოფა საქმიანობის სამი ძირითადი სახე: ქაღალდის მასის წარმოება შეიცავს ცელულოზის ბოჭკოს გამოყოფას მერქანში შემავალი მინარევებისაგან, ან გამოყენებული ქაღალდის გახსნას და საღებავებისაგან გასუფთავებას და მცირე რაოდენობის რეაგენტების შერევას ბოჭკოს შეკვრის გასაძლიერებლად. ქაღალდის წარმოება გულისხმობს ქაღალდის მასის გადასხმას მავთულის მოძრავ ბადეზე, რის შედეგადაც ფორმირდება მთლიანი ფურცელი. გადამუშავებული ქაღალდის პროდუქტები იწარმოება ქაღალდის ან სხვა მასალებისაგან სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენებით.

ქაღალდის ნაკეთობები შეიძლება იბეჭდებოდეს (მაგალითად, შპალერი, სასაჩუქრე ქაღალდი და მისთ.) იმ პირობით, რომ ინფორმაციის ბეჭდვა არ წარმოადგენს ძირითად მიზანს.

ქაღალდის მასის, ქაღალდის და მუყაოს წარმოება შეფუთვის გარეშე შესულია ჯგუფში 17.1, ხოლო დანარჩენი კლასები შეიცავენ ქაღალდის შემდგომ დამუშავებას და ქაღალდის ნაწარმის წარმოებას.

### 17.1 ქაღალდის მასის, ქაღალდის და მუყაოს წარმოება

#### 17.11 ქაღალდის მასის წარმოება

##### 17.11.0 ქაღალდის მასის წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- გათეთრებული, ნაწილობრივ გათეთრებული და გაუთეთრებელი ქაღალდის მასის წარმოებას მექანიკური, ქიმიური (გათხევადებით ან გათხევადების გარეშე), ან ნახევრადქიმიური პროცესების საშუალებით
- ბამბის ქაღალდის მასის წარმოებას
- საღებავების მოშორებას და ქაღალდის მასის წარმოებას ქაღალდის ნარჩენებისაგან

#### 17.12 ქაღალდის და მუყაოს წარმოება

##### 17.12.0 ქაღალდის და მუყაოს წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ქაღალდის და მუყაოს წარმოებას შემდგომი სამრეწველო დამუშავებისათვის

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ქაღალდის და მუყაოს შემდგომ გადამუშავებას
  - ქაღალდის და მუყაოს დაფარვას, მოპირკეთებას და გაუღენტას
  - კრეპირებული და რელიეფური ქაღალდის წარმოებას
  - განშრეკებული ქაღალდის, მუყაოს და კილიტის (ფოლგის) წარმოებას
- ხელნაკეთი ქაღალდის წარმოებას
- გაზეთის ქაღალდის და სხვა საბეჭდი და საწერი ქაღალდის წარმოებას
- ცელულოზის სატენი მასალის წარმოებას და ბამბის წარმოებას ცელულოზის ბოჭკოსაგან
- პირგადასაღები ან ტრაფარეტული ქაღალდის წარმოებას რულონებად ან დიდ ფურცლებად

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- გოფირებული ქაღალდის და მუყაოს წარმოებას, იხ. 17.21.0
- ქაღალდის, მუყაოს ან ცელულოზის შემდგომი გადამუშავების შედეგად მიღებული ნაკეთობების წარმოებას, იხ. 17.22.0, 17.23.0, 17.24.0, 17.29.0
- ქაღალდის წარმოებას დაფარვით ან გაუღენთით, სადაც დაფარვა ან გაუღენტა წარმოადგენს მთავარ შემადგენელ კომპონენტს (იხ. ქვეკლასი, რომელშიც კლასიფიცირებულია საფარების ან საუღენტების წარმოება)
- ზუმფარის ქაღალდის წარმოებას, იხ. 23.91.0

**17.2 ქაღალდის და მუყაოს ნაკეთობების წარმოება**

**17.21 გოფირებული ქაღალდის და მუყაოს, ქაღალდის და მუყაოს ტარის წარმოება**

**17.21.0 გოფირებული ქაღალდის და მუყაოს, ქაღალდის და მუყაოს ტარის წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- გოფირებული ქაღალდის და მუყაოს წარმოებას
- გოფირებული ქაღალდის და მუყაოს ტარის წარმოებას
- საკეცი ტარის წარმოებას გოფირებული მუყაოსაგან
- ტარის წარმოებას მყარი მუყაოსაგან
- სხვა ტარის წარმოებას ქაღალდისა და მუყაოსაგან
- ქაღალდის ტომრების და პაკეტების წარმოებას
- საოფისე საქაღალდეების და მსგავსი ნაწარმის წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კონვერტების წარმოებას, იხ. 17.23.0
- რელიეფური ან დაწნეხილი ნაკეთობების წარმოებას ქაღალდის მასისაგან (მაგალითად, კვერცხის შესაფუთი ყუთების, ქაღალდის ერთჯერადი თევშების), იხ. 17.29.0

**17.22 საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების ქაღალდის ნაწარმის წარმოება**

## 17.22.0 საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების ქაღალდის ნაწარმის წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საყოფაცხოვრებო და პირადი ჰიგიენის ქაღალდისა და ცელულოზის ბამბისაგან პროდუქტების წარმოებას:
  - საწმენდი ტილოების
  - ცხვირსახოცების, პირსახოცების, ხელსახოცების
  - ტუალეტის ქაღალდის
  - ჰიგიენური საფენების და ტამპონების, საფენების ჩვილი ბავშვებისათვის
  - ქაღალდის ჭიქების, თეფშების და ლანგრების
- ტექსტილის ბამბის და ბამბის ნაკეთობების წარმოებას: ჰიგიენური საფენების, ტამპონების და მისთ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ცელულოზის სატენი მასალების წარმოებას იხ. 17.12.0

## 17.23 ქაღალდის საკანცელარიო საკუთნობების წარმოება

### 17.23.0 ქაღალდის საკანცელარიო საკუთნობების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- გამოსაყენებლად მზა საბეჭდი და საწერი ქაღალდის წარმოებას
- გამოსაყენებლად მზა კომპიუტერის პრინტერის ქაღალდის წარმოებას
- გამოსაყენებლად მზა თვითპირგადასაღები ქაღალდის წარმოებას
- გამოსაყენებლად მზა ტრაფარეტული და პირგადასაღები ქაღალდის წარმოებას
- გამოსაყენებლად მზა წებოვანი ან საწები ქაღალდის წარმოებას
- კონვერტების და ღია ბარათების წარმოებას
- სასწავლო და საოფისე საკანცელარიო ნივთების (რეგულების, საქაღალდეების, რეგისტრების, საბუღალტრო ჟურნალების, ბლანკების და ა.შ.) წარმოებას, როდესაც ინფორმაციის დატანა არ წარმოადგენს ძირითად მახასიათებელს
- ქაღალდის საკანცელარიო საკუთნობების ნაკრებების შემცველი ყუთების, ჩანთების, ფუტლარების და ბლოკნოტების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ქაღალდის ნაწარმზე ბეჭდვას, იხ. 18.1

## 17.24 შპალერის წარმოება

### 17.24.0 შპალერის წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- შპალერის და კედლის მსგავსი გადასაკრავების წარმოებას, ვინილსაფარიანი და ტექსტილის შპალერის ჩათვლით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ქაღალდის და მუყაოს წარმოებას შეფუთვის გარეშე, იხ. 17.12.0
- პლასტიკური შპალერის წარმოებას, იხ. 22.29.0

## **17.29 სხვა ნაწარმის წარმოება ქაღალდისა და მუყაოსაგან**

### **17.29.0 სხვა ნაწარმის წარმოება ქაღალდისა და მუყაოსაგან**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ეტიკეტების წარმოებას
- საფილტრაჟი ქაღალდის და მუყაოს წარმოებას
- ქაღალდის და მუყაოს ბობინების, კოჭების, მასრების და ა.შ. წარმოებას
- კვერცხის ჩასაღებელი ლანგრების და სხვა ქაღალდის რელიეფური საფუთავი ნაკეთობების და მისთ. წარმოებას
- ქაღალდის წვრილმანი საგნების წარმოებას
- ქაღალდის ან მუყაოს პერფორაციების წარმოებას უკარდის მანქანებზე გამოსაყენებლად

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სათამაშო ბანქოს წარმოებას, იხ. 32.40.0
- თამაშების და სათამაშოების წარმოებას ქაღალდის ან მუყაოსაგან, იხ. 32.40.0

## **18 ბეჭდვა და მედია-ჩანაწერების აღწარმოება**

ეს განყოფილება შეიცავს პროდუქციის ბეჭდვას, როგორცაა გაზეთები, წიგნები, პერიოდული გამოცემები, ბლანკები, მისაღოცი ბარათები და მისთ. და მასთან დაკავშირებულ დამხმარე საქმიანობებს, როგორცაა საამკინძაო საქმე, საბეჭდი ფორმების დამზადება და გამოსახულებების დამუშავება. აქ მოცემული დამხმარე საქმიანობები წარმოადგენენ ბეჭდვითი მრეწველობის განუყოფელ ნაწილს და პროდუქტები (საბეჭდი ფორმა, აკინძული წიგნი ან კომპიუტერული დისკი ან ფაილი), რომლებიც თან სდევს ბეჭდვით სამუშაოებს, თითქმის ყოველთვის იწარმოება ასეთი ოპერაციების საშუალებით.

ბეჭდვაში გამოყენებული პროცესები შეიცავენ სხვადასხვა მეთოდს გამოსახულების გადასატანად საბეჭდი ფორმიდან, ეკრანიდან ან კომპიუტერული ფაილიდან ზედაპირზე, როგორცაა ქაღალდი, პლასტმასა, ლითონი, ტექსტილის ნაკეთობები ან მერქანი. მოცემული მეთოდებიდან ძირითადად საბეჭდი ფორმიდან ან ეკრანიდან ზედაპირზე გამოსახულების გადატანა ლითოგრაფიული, გრაფიურიდან, ეკრანული ან ფლექსოგრაფიული ბეჭდვის გზით. ხშირ შემთხვევაში კომპიუტერული ფაილი გამოიყენება გამოსახულების მისაღებად საბეჭდი მექანიზმის და ელექტროსტატიკური და სხვა ტიპის მოწყობილობების (ციფრული ან უკონტაქტო ბეჭდვა) უშუალო მართვისათვის.

მიუხედავად იმისა რომ ბეჭდვა და საგამომცემლო საქმიანობა შეიძლება ხორციელდებოდეს ერთი და იგივე ერთეულის მიერ (მაგალითად, საგაზეთო საქმიანობა), სულ უფრო იშვიათია ის შემთხვევები, რომ ეს ცალკეული საქმიანობები სრულდებოდეს ერთსა და იმავე ადგილზე.

ეს განყოფილება აგრეთვე შეიცავს მედია-ჩანაწერების აღწარმოებას, როგორცაა კომპაქტ-დისკები, ვიდეოჩანაწერები, პროგრამული უზრუნველყოფა დისკებზე, ჩანაწერები და ა.შ.

მოცემული განყოფილება არ შეიცავს საგამომცემლო საქმიანობას (იხ. სექცია J).

## **18.1 ბეჭდვითი საქმიანობა და მასთან დაკავშირებული მომსახურება**

მოცემული ჯგუფი შეიცავს ბეჭდვითი პროდუქციის გამოცემას, როგორცაა გაზეთები, წიგნები, პერიოდული გამოცემები, ბლანკები, მისალოცი ბარათები და სხვა მასალები და მასთან დაკავშირებულ დამხმარე საქმიანობებს, როგორცაა საამკინძაო საქმე, საბეჭდი ფორმების დამზადება და გამოსახულებების დამუშავება. ბეჭდვა ხორციელდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით და სხვადასხვა მასალაზე.

### **18.11 გაზეთების ბეჭდვა**

#### **18.11.0 გაზეთების ბეჭდვა**

*ეს ქვეკლასი ასევე შეიცავს:*

- სხვა პერიოდული გამოცემების ბეჭდვას, რომლებიც გამოიცემა კვირაში სულ ცოტა ოთხჯერ

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ბეჭდვითი მასალების გამოცემას, იხ. 58.1
- დოკუმენტების ასლის გადაღებას, იხ. 82.19.0

### **18.12 სხვა ბეჭდვითი საქმიანობა**

#### **18.12.0 სხვა ბეჭდვითი საქმიანობა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ჟურნალების და სხვა პერიოდული გამოცემების ბეჭდვას, რომლებიც გამოიცემა კვირაში ოთხჯერზე ნაკლებად
- წიგნების და ბროშურების, მუსიკალური ნოტების და ნოტების რვეულების, რუკების, ატლასების, პლაკატების, სარეკლამო კატალოგების, პროსპექტების და სხვა ნაბეჭდი სარეკლამო პროდუქციის, საფოსტო მარკების, საგადასახადო ფორმების, სატიტულო დოკუმენტების, ჩეკების და დამცავი ნიშნების მქონე სხვა ქაღალდების, სმარტ-ბარათების, ალბომების, დღიურების, კალენდრების და სხვა კომერციული ნაბეჭდი პროდუქციის, პერსონალური საკანცელარიო ბლანკების და მსგავსი პროდუქციის ბეჭდვას რელიეფური, ოფსეტური, ფოტოგრაფირების, ფლექსოგრაფიის, ტრაფარეტული ბეჭდვის და ბეჭდვის

სხვა მეთოდებით პირგადასადებ მანქანებზე, კომპიუტერულ პრინტერებზე და ა.შ., მომენტალური ბეჭდვის ჩათვლით

- ბეჭდვას უშუალოდ ტექსტილზე, პლასტმასზე, მინაზე, ლითონზე, ხეზე და კერამიკაზე

როგორც წესი, იბეჭდება ძირითადად საავტორო უფლებებით დაცული მასალები.

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ეტიკეტების ან იარღიყების ბეჭდვას (ლითოგრაფია, გრაფიურული ბეჭდვა, ფლექსოგრაფიული ბეჭდვა და ა.შ.)

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- აბრეშუმტრაფარეტულ ბეჭდვას ტექსტილზე და ტანსაცმელზე, იხ. 13.30.0
- საკანცელარიო ნივთების (რვეულების, ბაინდერების, რეგისტრების, საბუღალტრო ჟურნალების, ბლანკების და ა.შ.) წარმოებას, როცა ინფორმაციის დატანა არ წარმოადგენს ძირითად მახასიათებელს, იხ. 17.23.0
- ნაბეჭდი მასალების გამოცემას, იხ. 58.1

## 18.13 ბეჭდვის და ინფორმაციის გაერცელების მოსამზადებელი მომსახურება

### 18.13.0 ბეჭდვის და ინფორმაციის გაერცელების მოსამზადებელი მომსახურება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ტექსტის შედგენას, აკრეფას, ფოტოაკრეფას, მონაცემთა ბეჭდვამდე მომზადებას, სკანირების და სიმბოლოების ოპტიკური გამოცნობის, ელექტრონული აკრეფის ჩათვლით
- მონაცემთა ფაილების მომზადებას მულტი-მედიის (ქაღალდზე ბეჭდვა, CD-ROM, ინტერნეტი) გამოყენებითი პროგრამებისათვის
- საბეჭდი ფორმების მომზადებას (რელიეფური და ოფსეტური ბეჭდვის მანქანებისათვის)
- ცილინდრების მომზადებას: ცილინდრების გრავირებას ან ამოჭმას გრაფიურიდან ბეჭდვისათვის
- ფირფიტების დამუშავება: “კომპიუტერიდან ფირფიტაზე” (აგრეთვე ფოტოპოლიმერულ ფირფიტებზე)
- ფირფიტების და კლიშეების მომზადებას რელიეფური შტამპვის ან ბეჭდვისათვის
- მომზადებას:
  - ტექნიკური ხასიათის შემოქმედებითი სამუშაოების, როგორცაა ლითოგრაფიული ქვების და ხის ბლოკების მომზადება
  - საპრეზენტაციო მედიასაშუალებების, როგორცაა გამჭვირვალე სლაიდების და პრეზენტაციის სხვა ფორმების
  - მონახაზების, ესკიზების, მაკეტების და მისთ.
  - კორექტურების

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- დიზაინის სპეციალიზებულ საქმიანობებს, იხ. 74.10.0

## **18.14 საამკინძაო და მასთან დაკავშირებული მომსახურება**

### **18.14.0 საამკინძაო და მასთან დაკავშირებული მომსახურება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საბოლოო აკინძვას, ნიმუშების დაყენებას და ბეჭდვის შემდგომ მომსახურებას ბეჭდვითი საქმიანობის ხელშეწყობისათვის, მაგალითად, წიგნების, ბროშურების, ჟურნალების, კატალოგების და მისთ. აკინძვას და დასრულებას, დანარიმანდების, შემოჭრის და გასწორების, აწეობის, შეკერვის, ძაფით გაკერვის, შეწებების, შემოჭრის და ყდის დადების, დაწებების, ფურცლების მონიშვნის, დამაგრების, ოქროთი ტვიფრის, სპირალით და პლასტიკური მავთულით აკინძვის გზით
- საბეჭდი ქაღალდის ან საბეჭდი მუყაოს აკინძვას და დასრულებას, დაკეცვის, ტვიფრის, ხვრეტის, გრავირების, დაწებების, ლამინირების გზით
- დამამთავრებელ მომსახურებას CD-ROM-ისათვის
- საფოსტო საქმიანობასთან დაკავშირებულ დამამთავრებელ მომსახურებას, როგორცაა დაკონფიგურირება, კონვერტების მომზადება
- სხვა დამამთავრებელ საქმიანობებს, როგორცაა შტამპვა, წნეხვა, ტვიფრვა, ბრაილის შრიფტით ბეჭდვა

## **18.2 მედია-ჩანაწერების აღწარმოება**

### **18.20 მედია-ჩანაწერების აღწარმოება**

#### **18.20.0 მედია-ჩანაწერების აღწარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- გრამფირფიტების, კომპაქტური დისკების და მუსიკალური ჩანაწერების ან სხვა ხმოვანი ჩანაწერების აღწარმოებას ორიგინალიდან
- ჩანაწერების, კომპაქტური დისკების, კინოფილმების და დანარჩენი ვიდეოჩანაწერების აღწარმოებას ორიგინალიდან
- პროგრამული უზრუნველყოფის და მონაცემების აღწარმოებას ორიგინალიდან დისკებზე და ფირებზე

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ნაბეჭდი მასალების აღწარმოებას, იხ. 18.11.0, 18.12.0
- პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემას, იხ. 58.2
- კინოფილმების, ვიდეოჩანაწერებისა და ფილმების წარმოებას და გავრცელებას DVD-ზე და მსგავს მატარებლებზე, იხ. 59.11.0, 59.12.0, 59.13.0
- ფილმების აღწარმოებას კინოგაქირავებისათვის, იხ. 59.12.0
- ჩანაწერების ან ხმოვანი მასალების ორიგინალების წარმოებას, იხ. 59.20.0

## 19 კოქსის და ნავთობპროდუქტების წარმოება

მოცემული განყოფილება შეიცავს ნედლი ნავთობისა და ნახშირის გადამამუშავებას მოხმარებისათვის მზა პროდუქტებად. ძირითადი პროცესია ნავთობის გაწმენდა, რომელიც მდგომარეობს ნედლი ნავთობის სეპარაციაში შემადგენელ პროდუქტებად ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორცაა კრეკინგი და დისტილაცია.

ეს განყოფილება შეიცავს ისეთი აირების წარმოებას, როგორცაა ეთანი, პროპანი და ბუტანი, როგორც ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების პროდუქცია.

ეს განყოფილება აგრეთვე შეიცავს ტიპური პროდუქტების (მაგალითად, კოქსის, ბუტანის, პროპანის, ბენზინის, ნავთის, მაზუთის და ა.შ.) წარმოებას საკუთარი სახსრებით, ისევე როგორც გადამამუშავებასთან დაკავშირებულ მომსახურებას (მაგალითად, გადამამუშავებას ტრადიციული მეთოდებით).

ეს განყოფილება არ შეიცავს აირების წარმოებას სხვა ერთეულებში (20.14.0), სამრეწველო აირების წარმოებას (20.11.0), ბუნებრივი აირის (მეთანის, ეთანის, ბუტანის, პროპანის) მოპოვებას (06.20.0), და სათბობი აირის წარმოებას, გარდა ნავთობის აირისა (მაგალითად, ქვანახშირის აირის, წყალაირის, გენერატორული აირის, აირის ქარხნების მიერ წარმოებული აირის) (35.21.0). ნავთობქიმიკატების წარმოება გაწმენდილი ნავთობიდან კლასიფიცირებულია მე-20 განყოფილებაში.

### 19.1 საკოქსავი ღუმელების პროდუქტების წარმოება

#### 19.10 საკოქსავი ღუმელების პროდუქტების წარმოება

##### 19.10.0 საკოქსავი ღუმელების პროდუქტების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საკოქსავი ღუმელების ფუნქციონირებას
- კოქსის და ნახევარკოქსის წარმოებას
- ფისის და ფისის კოქსის წარმოებას
- საკოქსავი ღუმელების აირის წარმოებას
- ნედლი ნახშირის და ლიგნიტის ფისების წარმოებას
- კოქსის აგლომერაციას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ქვანახშირის საწვავი ბრიკეტების წარმოებას, იხ. 19.20.0

### 19.2 ნავთობპროდუქტების წარმოება

#### 19.20 ნავთობპროდუქტების წარმოება

##### 19.20.0 ნავთობპროდუქტების წარმოება

მოცემული ქვეკლასი შეიცავს თხევადი ან აირისებრი საწვავის ან სხვა პროდუქტების წარმოებას ნედლი ნავთობის, ბიტუმოვანი მინერალების ან მათი ფრაქციული პროდუქტებისაგან. ნავთობის გასუფთავება შეიცავს ერთ ან რამდენიმე საქმიანობას: ფრაქციონირებას; ნედლი ნავთობის პირდაპირ დისტილირებას და კრეკინგს.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ძრავის საწვავის წარმოებას: ბენზინის, ნავთის და მისთ.
- საწვავის წარმოებას: მსუბუქი, საშუალო და მძიმე საწვავის, გაწმენდილი აირების, როგორცაა ეთანი, პროპანი, ბუტანი და მისთ.
- საპოხი ზეთების და საპოხი მასალების წარმოებას, ნავთობის ნარჩენებისაგან წარმოებულის ჩათვლით
- პროდუქტების წარმოებას ნავთობქიმიური მრეწველობისა და გზის საფარისათვის
- სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოებას: უაიტ-სპირიტის, ვაზელინის, მყარი პარაფინის, პეტროლატუმის და მისთ.
- ნავთობპროდუქტების ბრიკეტების წარმოებას
- ბიოსაწვავის წარმოებას სპირტების ბენზინთან შერევით (მაგალითად, გაზოჰოლი)

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ტორფის ბრიკეტების წარმოებას
- ქვანახშირის და ლიგნიტის ბრიკეტების წარმოებას

## **20 ქიმიკატების და ქიმიური პროდუქტების წარმოება**

მოცემული განყოფილება შეიცავს ორგანული და არაორგანული ნედლეულის გადამუშავებას ქიმიური პროცესების მეშვეობით და მზა პროდუქციის მიღებას. იგი განასხვავებს ძირითადი ქიმიკატების წარმოებას, რომლებიც მიეკუთვნება პირველ სამრეწველო ჯგუფს, შუალედური და საბოლოო პროდუქტების წარმოებისაგან, რომლებიც მიიღება ძირითადი ქიმიკატების შემდგომი გადამუშავებით და მიეკუთვნება დანარჩენ სამრეწველო კლასებს.

### **20.1 ძირითადი ქიმიკატების, სასუქების და აზოტის ნაერთების, პლასტმასების და სინთეზური კაუჩუკის წარმოება პირველად ფორმებში**

ეს ჯგუფი შეიცავს ძირითადი ქიმიური პროდუქტების, სასუქების და აზოტის ნაერთების, აგრეთვე პლასტმასების და სინთეზური კაუჩუკის წარმოებას პირველად ფორმებში.

#### **20.11 სამრეწველო აირების წარმოება**

##### **20.11.0 სამრეწველო აირების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- გათხევადებული ან შეკუმშული არაორგანული სამრეწველო ან სამედიცინო აირების წარმოებას:
  - ძირითადი აირების
  - თხევადი ან შეკუმშული ჰაერის
  - სამაცივრო აირების
  - შერეული სამრეწველო აირების
  - ინერტული აირების, როგორცაა ნახშირორჟანი
  - საიზოლაციო აირების

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მეთანის, ეთანის, ბუტანის ან პროპანის მოპოვებას, იხ. 06.20.0
- საწვავი აირების წარმოებას, როგორცაა ეთანი, ბუტანი ან პროპანი ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, იხ. 19.20.0
- აირისებრი საწვავის წარმოებას ნახშირისაგან, ნარჩენებისაგან და მისთ., იხ. 35.21.0

## **20.12 საღებარების და პიგმენტების წარმოება**

### **20.12.0 საღებარების და პიგმენტების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საღებარების და პიგმენტების წარმოებას ნებისმიერი ნედლეულისაგან ძირითადი ფორმით ან კონცენტრატების სახით

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ფლუორესცენციური ან ლუმინესცენციური განათებისათვის გამოსაყენებელი პროდუქტების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მზა საღებარების და პიგმენტების წარმოებას, იხ. 20.30.0

## **20.13 სხვა არაორგანული ძირითადი ქიმიკატების წარმოება**

### **20.13.0 სხვა არაორგანული ძირითადი ქიმიკატების წარმოება**

ეს ქვეკლასი შეიცავს ქიმიკატების წარმოებას ძირითადი პროცესების საშუალებით. აღნიშნული პროცესების შედეგს ჩვეულებრივ წარმოადგენს ცალკეული ქიმიური ელემენტების ან განსაზღვრული ქიმიური შემადგენლობის ცალკეული ნაერთების მიღება.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ქიმიური ელემენტების წარმოებას (სამრეწველო აირების და ძირითადი ლითონების გარდა)
- არაორგანული მჟავების წარმოებას, აზოტმჟავის გარდა
- ტუტეების, თუთქების და სხვა არაორგანული ნივთიერებების წარმოებას, ამიაკის გარდა
- სხვა არაორგანული ნარეგების წარმოებას
- გამომწვარი რკინის ალმადანის წარმოებას

- დისტილირებული წყლის წარმოებას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ურანის და თორიუმის მადნების გამდიდრებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სამრეწველო აირების წარმოებას, იხ. 20.11.0
- აზოტის სასუქების და აზოტის ნაერთების წარმოებას, იხ. 20.15.1, 20.15.2
- ამიაკის წარმოებას, იხ. 20.15.2
- ამონიუმის ქლორიდის წარმოებას, იხ. 20.15.2
- კალიუმის ნიტრიტების და ნიტრატების წარმოებას, იხ. 20.15.2 ამონიუმის კარბონატების წარმოებას, იხ. 20.15.2
- არომატიზებული დისტილირებული წყლის წარმოებას, 20.53.0
- ძირითადი ლითონების წარმოებას, იხ. განყოფილება 24

## **20.14 სხვა ორგანული ძირითადი ქიმიკატების წარმოება**

### **20.14.0 სხვა ორგანული ძირითადი ქიმიკატების წარმოება**

ეს ქვეკლასი შეიცავს ქიმიკატების წარმოებას ძირითადი პროცესების გამოყენებით, როგორცაა თბური კრეკინგი და დისტილირება. ამ პროცესების შედეგს, როგორც წესი, წარმოადგენს ცალკეული ქიმიური ელემენტების ან განსაზღვრული ქიმიური შემადგენლობის ცალკეული ნაერთების მიღება.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ძირითადი ორგანული ქიმიკატების წარმოებას:
  - ნაჯერი და უჯერი აციკლური ნახშირწყალბადების
  - ნაჯერი და უჯერი ციკლური ნახშირწყალბადების
  - აციკლური და ციკლური სპირტების
  - მონო- და პოლიკარბოქსიდული მჟავების, ძმარმჟავის ჩათვლით
  - სხვა ჟანგბადის ნაერთების, ალდეჰიდების, კეტონების, ქინონების და ორ- ან პოლივალენტური ჟანგბადის ნაერთების ჩათვლით
  - სინთეზური გლიცერინის
  - აზოტ-ფუნქციური ორგანული ნაერთების, ამინების ჩათვლით
  - შაქრის ლერწმის, სიმინდის ან მისთ. ფერმენტაციას სპირტის და ეთერების წარმოებისათვის
  - სხვა ორგანული ნაერთების, მერქნის დისტილირების პროდუქტების ჩათვლით (მაგალითად, ხის ნახშირი) და ა.შ.
- სინთეზური არომატული პროდუქტების წარმოებას
- ქვანახშირის ფისის დისტილირებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- პლასტმასის წარმოებას პირველად ფორმებში, იხ. 20.16.0
- სინთეზური კაუჩუკის წარმოებას პირველად ფორმებში, იხ. 20.17.0
- გაუწმენდავი გლიცერინის წარმოებას, იხ. 20.41.0
- ნატურალური ეთერზეთების წარმოებას, იხ. 20.53.0
- სალიცილმჟავებისა და O-აცეტილსალიცილმჟავების წარმოებას, იხ. 21.10.

## **20.15 სასუქების და აზოტის ნაერთების წარმოება**

### 20.15.1 მინერალური სასუქების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სასუქების წარმოებას:
  - მარტივი ან შერეული აზოტის, ფოსფატის ან კალიუმის სასუქების
  - შარდოვანას, ნედლი ბუნებრივი ფოსფატების და ნედლი ბუნებრივი კალიუმის მარილების

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- გრუნტის წარმოებას ტორფის ძირითადი შემადგენლობით
- გრუნტის ნარეკების წარმოებას ნიადაგის, ქვიშის, თიხის და მინერალების შერევით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- გუანოს მოპოვებას, იხ. 08.91.0
- აგროქიმიური პროდუქტების წარმოებას, როგორცაა პესტიციდები, იხ. 20.20.0

### 20.15.2 აზოტის ნაერთების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- აზოტის პროდუქტების წარმოებას:
  - აზოტის და აზოტის სულფატის მჟავების, ამიაკის, ამონიუმის ქლორიდის, ამონიუმის კარბონატის, კალიუმის ნიტრიტების და ნიტრატების

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- აგროქიმიური პროდუქტების წარმოებას, როგორცაა პესტიციდები, იხ. 20.20.0

### 20.16 პლასტმასის წარმოება პირველად ფორმებში

#### 20.16.0 პლასტმასის წარმოება პირველად ფორმებში

ეს ქვეკლასი შეიცავს ფისების, პლასტიკური მასალების და არაფულკანიზებული თერმოპლასტიკური ელასტომერების წარმოებას, ფისების შერევას მოთხოვნის შესაბამისად და სტანდარტიზებული სინთეზური ფისების წარმოებას.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- პლასტმასის წარმოებას პირველად ფორმებში:
  - პოლიმერების, ეთილენის, პროპილენის, სტინინის, ვინილქლორიდის, ვინილაცეტატის და აკრილის ჩათვლით
  - პოლიამიდების
  - ფენოლის და ეპოქსიდური ფისების და პოლიეთილენების
  - ალკიდური და პოლიესტერული ფისების და პოლიეთერების
  - სილიკონების
  - იონიტების პოლიმერების ფუძეზე

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ცელულოზის და მისი ქიმიური წარმოებულების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოს, ძაფის და ნართის წარმოებას, იხ. 20.60.0
- პლასტიკური პროდუქტების დაქუცმაცებას, იხ. 38.32.0

## **20.17 სინთეზური კაუჩუკის წარმოება პირველად ფორმებში**

### **20.17.0 სინთეზური კაუჩუკის წარმოება პირველად ფორმებში**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სინთეზური კაუჩუკის წარმოებას პირველად ფორმებში:
  - სინთეზური კაუჩუკის
  - ფაქტისის
- სინთეზური და ბუნებრივი კაუჩუკის და კაუჩუკისებრი რეზინების (მაგალითად, ბალატის) ნარეგების წარმოებას

## **20.2 პესტიციდების და სხვა აგროქიმიური პროდუქტების წარმოება**

### **20.20 პესტიციდების და სხვა აგროქიმიური პროდუქტების წარმოება**

#### **20.20.0 პესტიციდების და სხვა აგროქიმიური პროდუქტების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ინსექტიციდების, როდენტიციდების, ფუნგიციდების, ჰერბიციდების, აკარიციდების, მოლუსკიციდების, ბიოციდების წარმოებას
- მცენარეების გაღივების საწინააღმდეგო საშუალებების, მცენარეების ზრდის რეგულატორების წარმოებას
- სადებინფექციო საშუალებების წარმოებას (სასოფლო-სამეურნეო და სხვა მიზნებისათვის)
- სხვა აგროქიმიური პროდუქტების წარმოებას, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ქიმიური სასუქების და აზოტის ნაერთების წარმოებას, იხ. 20.15

## **20.3 საღებავების, ლაქების და ანალოგიური საღებავი ნივთიერებების, ტიპოგრაფიული საღებავების და მასტიკების წარმოება**

### **20.30 საღებავების, ლაქების და ანალოგიური საღებავი ნივთიერებების, ტიპოგრაფიული საღებავების და მასტიკების წარმოება**

#### **20.30.0 საღებავების, ლაქების და ანალოგიური საღებავი ნივთიერებების, ტიპოგრაფიული საღებავების და მასტიკების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საღებავების და ლაქების, ემალების ან ჭიქურების წარმოებას
- მზა პიგმენტების და საღებარების, მინის ჩამსშობების და კოლერების წარმოებას
- მინაბოჭკოვანი ემალების, ჭიქურების, წარნაქების (ანგობის) და მსგავსი მასალების წარმოებას
- მასტიკის წარმოებას
- საგოზავი ნაერთების და მსგავსი არაცეცხლგამძლე მასალების წარმოებას ზედაპირის გასასწორებლად
- ორგანული კომპოზიტური გამსხნელების და განმზავებლების წარმოებას
- საღებავის ან ლაქის მოსაცილებელი მზა საშუალებების წარმოებას
- ტიპოგრაფიული საღებავების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საღებარების და პიგმენტების წარმოებას, იხ. 20.12.0
- მეღვინის და ტუშის წარმოებას, იხ. 20.59.0

## **20.4 საპნის და სარეცხი საშუალებების, საწმენდი და საპრიალებელი საშუალებების, პარფიუმერული და ტუალეტის საშუალებების წარმოება**

### **20.41 საპნის და სარეცხი საშუალებების, საწმენდი და საპრიალებელი საშუალებების წარმოება**

#### **20.41.0 საპნის და სარეცხი საშუალებების, საწმენდი და საპრიალებელი საშუალებების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ორგანული ზედაპირულ-აქტიური ნივთიერებების წარმოებას
- საპნით ან სარეცხი საშუალებებით დაფარული ან გაუღვინილი ქაღალდის, ხელსაწმენდების და ა.შ. წარმოებას
- გლიცერინის წარმოებას
- საპნის წარმოებას, კოსმეტიკური საპნის გარდა
- ზედაპირულ-აქტიური ნივთიერებების წარმოებას:
  - მყარი ან თხევადი სარეცხი ფხვნილების და სხვა სარეცხი საშუალებების
  - ჭურჭლის სარეცხი საშუალებების
  - ტექსტილის დამარბილებლების
- საწმენდი და საპრიალებელი საშუალებების წარმოებას:
  - ოთახის მარომატიზებელი და მადეზოდორიზებელი საშუალებების
  - ხელოვნური ცვილების და მზა ცვილების
  - პოლიროლების და კრემების ტყავებისათვის
  - პოლიროლების და კრემების ხისათვის
  - პოლიროლების სატრანსპორტო საშუალებების, მინის და ლითონისათვის
  - საწმენდი პასტების და ფხვნილების, მსგავსი საშუალებებით გაუღვინილი ან დაფარული ქაღალდის, ხელსაწმენდების და მისთ. ჩათვლით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- განსაზღვრული ქიმიური შემადგენლობის ცალკეული ნაერთების წარმოებას, იხ. 20.13.0, 20.14.0
- გლიცერინის წარმოებას ნავთობპროდუქტების სინთეზის შედეგად, იხ. 20.14.0
- კოსმეტიკური საპნის წარმოებას, იხ. 20.42.0

## 20.42 პარფიუმერული და ტუალეტის საშუალებების წარმოება

### 20.42.0 პარფიუმერული და ტუალეტის საშუალებების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- პარფიუმერული და ტუალეტის საშუალებების წარმოებას:
  - სუნამოების და ტუალეტის წყლის
  - კოსმეტიკური და სამაკიაუო საშუალებების
  - გასარუჯი და გარუჯვის საწინააღმდეგო საშუალებების
  - მანიკურის და პედიკურის საშუალებების
  - შამპუნების, თმის ლაქების, თმის დასახვევი და გასასწორებელი საშუალებების
  - კბილის პასტების და ფხვნილების და პირის ღრუს მოსავლელი პრეპარატების, კბილის პროტეზების მოსავლელი პრეპარატების ჩათვლით
  - საპარსი საშუალებების, პარსვამდე და პარსვის შემდგომი საშუალებების ჩათვლით
  - დეზოდორანტების და სააბაზანო მარილების
  - დეპილატორების
- კოსმეტიკური საპნის წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ნატურალური ეთერზეთების წარმოებას და გაწმენდას, იხ. 20.53.0

## 20.5 სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოება

ეს ჯგუფი შეიცავს ფეთქებადი და პიროტექნიკური პროდუქტების, წებოების, ეთერზეთებისა და სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი ქიმიური პროდუქტების წარმოებას, მაგალითად, ფოტოგრაფიული ქიმიური მასალების (ფოტოფირების და ფოტოქადალდის ჩათვლით), კომპოზიტური დიაგნოსტიკური პრეპარატების და მისთ.

### 20.51 ფეთქებადი ნივთიერებების წარმოება

#### 20.51.0 ფეთქებადი ნივთიერებების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ფეთქებადი ფხვნილების წარმოებას
- ფეთქებადი და პიროტექნიკური პროდუქტების წარმოებას, საფეთქებლების, დეტონატორების, სასიგნალო რაკეტების და მისთ. ჩათვლით

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ასანთის წარმოებას

## 20.52 წებოს წარმოება

### 20.52.0 წებოს წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- წებოების და მზა მწებავი ნივთიერებების წარმოებას, რეზინის ფუძეზე წებოების და მწებავი ნივთიერებების ჩათვლით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- უელატინის და მისი წარმოებულების წარმოებას, იხ. 20.59.0

## 20.53 ეთერზეთების წარმოება

### 20.53.0 ეთერზეთების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ექსტრაქტების წარმოებას ბუნებრივი არომატული პროდუქტებისაგან
- რეზინოიდების წარმოებას
- სურნელოვანი პროდუქტების ნარევების წარმოებას სუნამოების ან კვების პროდუქტების საწარმოებლად

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სინთეზური არომატული პროდუქტების წარმოებას, იხ. 20.14.0
- პარფიუმერული და ტუალეტის საშუალებების წარმოებას, იხ. 20.42.0

## 20.59 სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის

### 20.59.0 სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ფოტოფირფიტების, ფოტოფირების, ფოტოქადალდის და სხვა შუქმგრძობიარე არაექსპონირებული მასალების წარმოებას
- ფოტოგრაფიაში გამოსაყენებელი ქიმიური პრეპარატების წარმოებას
- უელატინის და მისი წარმოებულების წარმოებას
- სხვადასხვა ქიმიური პროდუქტების წარმოებას:
  - პეპტონების, პეპტონების წარმოებულების, სხვა პროტეინის ნივთიერებების და მათი წარმოებულების, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის
  - ქიმიურად მოდიფიცირებული ზეთების და ცხიმების
  - მასალების ტექსტილის და ტყავის საბოლოო დამუშავებისათვის
  - ფხვნილების და პასტების, რჩილვის და შედუღებისათვის
  - ნივთიერებების ლითონის ზედაპირის ამოჭმისათვის
  - ცემენტის მზა დანამატების

- გააქტიურებული ნახშირის, საპოხი ზეთების მისართების, რეზინის მზა აქსელერატორების, კატალიზატორების და სხვა ქიმიური პროდუქტების, მრეწველობაში გამოსაყენებლად
- ანტიდეტონატორების, ანტიფრიზების
- სითხეების ჰიდრაულიკური ტრანსმისიისათვის
- კომპოზიტური დიაგნოსტიკური ან ლაბორატორიული რეაგენტების

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- მელნის და ტუშის წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- განსაზღვრული ქიმიური შემადგენლობის მქონე პროდუქტების მასობრივ წარმოებას, იხ. 20.13.0, 20.14.0
- დისტილირებული წყლის წარმოებას, იხ. 20.13.0
- სხვა ძირითადი ორგანული ქიმიკატების წარმოებას, იხ. 20.14.0
- ტიპოგრაფიული საღებავების წარმოებას, იხ. 20.30.0
- მწებავი ნივთიერებების წარმოებას ასფალტის ფუძეზე, იხ. 23.99.0

## **20.6 ხელოვნური ბოჭკოს წარმოება**

### **20.60 ხელოვნური ბოჭკოს წარმოება**

#### **20.60.0 ხელოვნური ბოჭკოს წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სინთეზური ან ხელოვნური საბუქსირო თოკების წარმოებას
- სინთეზური ან ხელოვნური ნედლი ბოჭკოს წარმოებას, ვარცხნა-გაუჩქნავი ან დასართავად სხვა ხერხით დაუმუშავებელი
- სინთეზური ან ხელოვნური ბოჭკოვანი ნართის წარმოებას, მაღალი სიმტკიცის ნართის ჩათვლით
- სინთეზური და ხელოვნური მონოდაფების ან ლენტების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სინთეზური ან ხელოვნური ბოჭკოს დართვას, იხ. 13.10.0
- ხელოვნური ბოჭკოს ნართის წარმოებას, იხ. 13.10.0

## **21 ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტების და ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება**

ეს განყოფილება შეიცავს ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტების და ფარმაცევტული პრეპარატების წარმოებას.

მოცემული განყოფილება აგრეთვე შეიცავს სამედიცინო ქიმიური და ბოტანიკური პროდუქტების წარმოებას.

### **21.1 ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტების წარმოება**

#### **21.10 ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტების წარმოება**

*ეს კლასი შეიცავს:*

- სამედიცინო აქტიური ნივთიერებების წარმოებას, რომლებიც გამოიყენება, მათი ფარმაკოლოგიური თვისებების გამო, მედიკამენტების წარმოებაში: ანტიბიოტიკების, ძირითადი ვიტამინების, სალიცილმჟავის და O-აცეტილსალიცილმჟავის და მისთ.
- სისხლის გადამუშავებას

*ეს კლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ქიმიურად სუფთა შაქრების წარმოებას
- ჯირკვლების გადამუშავებას, ჯირკვლების ექსტრაქტების წარმოებას და მისთ.

## 21.10.1 ძირითადი ვეტერინარული ფარმაცევტული პროდუქტების წარმოება

## 21.10.9 სხვა ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტების წარმოება

## 21.2 ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება

## 21.20 ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება

*ეს კლასი შეიცავს:*

- მედიკამენტების წარმოებას:
  - იმუნური შრატების და სხვა სისხლის ფრაქციების
  - ვაქცინების
  - სხვადასხვა მედიკამენტების, ჰომეოპათიური პრეპარატების ჩათვლით
- გარეგანი გამოყენებისათვის ქიმიური კონტრაცეფციული პრეპარატების და ჰორმონალური კონტრაცეფციული მედიკამენტების წარმოებას
- სამედიცინო დიაგნოსტიკური პრეპარატების წარმოებას, ფეხმძიმობის ტესტების ჩათვლით
- ინ-ვივო რადიოაქტიური დიაგნოსტიკური ნივთიერებების წარმოებას
- ბიოტექნიკური ფარმაცევტული პრეპარატების წარმოებას

*ეს კლასი აგრეთვე შეიცავს:*

- სამედიცინო გაჟღენთილი ბამბის, მარლის, ბინტების, გადასახვევი მასალების და მისთ. წარმოებას
- მცენარეული პროდუქტების მომზადებას (დაქუცმაცებას, დახარისხებას, ნაყვას) ფარმაცევტული დანიშნულებისათვის

*ეს კლასი არ შეიცავს:*

- ბალახეული ნაყენების წარმოებას (პიტნის, ვერბენის, გვირილის და მისთ.), იხ. 10.83.1
- სტომატოლოგიური შემაკვებლების და სტომატოლოგიური ცემენტების წარმოებას, იხ. 32.50.0
- ძვლების აღსადგენი ცემენტის წარმოებას, იხ. 32.50.0
- ქირურგიული ქსოვილის წარმოებას, იხ. 32.50.0
- საბითუმო ვაჭრობას ფარმაცევტული პრეპარატებით, იხ. 46.46
- საცალო ვაჭრობას ფარმაცევტული პრეპარატებით, იხ. 47.73
- ფარმაცევტულ და ბიოტექნიკურ პრეპარატებთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, იხ. 72.11.0

– ფარმაცევტული პრეპარატების შეფუთვას, იხ. 82.92.0

## **21.20.1 ვეტერინარული ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება**

### **21.20.9 სხვა ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება**

## **22 რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება**

ეს განყოფილება შეიცავს რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოებას.

მოცემული განყოფილება შეიცავს ნედლ მასალებს, რომელიც გამოიყენება წარმოების პროცესში. ამასთან, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ მასალებისაგან წარმოებული ყველა პროდუქტი კლასიფიცირებულია ამ განყოფილებაში.

### **22.1 რეზინის ნაწარმის წარმოება**

მოცემული ჯგუფი შეიცავს რეზინის ნაწარმის წარმოებას.

#### **22.11 რეზინის საბურავების და კამერების წარმოება; რეზინის საბურავების აღდგენა და კაპიტალური რემონტი**

##### **22.11.0 რეზინის საბურავების და კამერების წარმოება; რეზინის საბურავების აღდგენა და კაპიტალური რემონტი**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- რეზინის საბურავების წარმოებას სატრანსპორტო საშუალებებისათვის, მოწყობილობებისათვის, მობილური ტექნიკისათვის, საჰაერო ხომალდებისათვის, სათამაშოებისათვის, ავეჯისათვის და სხვა დანიშნულებისათვის:
  - პნევმატური საბურავების
  - მთლიანი საბურავების ან საბურავებისდარეზინიანებული ფერსოთი
- შიდა კამერების წარმოებას საბურავებისათვის
- ურთიერთშემცვლელი საბურავის ფერსოების, საბურავის ფერსოს ლენტების, პროტექტორული ნამზადების სალტების აღსადგენად და ა.შ.
- საბურავების აღდგენას და კაპიტალურ რემონტს

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მასალების წარმოებას საბურავების კამერების შესაკეთებლად, იხ. 22.19.0
- საბურავების და კამერების რემონტს, მათ დაყენებას ან შეცვლას, იხ. 45.20.0

## **22.19 რეზინის სხვა ნაწარმის წარმოება**

### **22.19.0 რეზინის სხვა ნაწარმის წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სხვა ნაწარმის წარმოებას ბუნებრივი ან სინთეზური რეზინისაგან, ვულკანიზებული, არავულკანიზებული ან მაღალი სიმტკიცის:
  - რეზინის ფილების, ფურცლების, ზოლების, ძელების და პროფილების

- რეზინის მიღების და შლანგების
- რეზინის კონვეიერების ან ამძრავი ღვედების
- რეზინის ჰიგიენური ნაწარმის: კონტრაცეპტივების, საწოვარების, სათბურების და მისთ.
- ტანსაცმლის დეტალების რეზინისაგან (მხოლოდ ერთად დამაგრებელი, უნაკერო)
- ფეხსაცმლის რეზინის ძირების და სხვა რეზინის ნაწილების
- რეზინის ძაფების და კანაფების
- დარეზინიანებული ნართის და ქსოვილის
- რეზინის რგოლების, ფიტინგების და ბეჭდების
- რეზინის საფარების
- რეზინის გასაბერი ლეიბების
- გასაბერი ბუშტების

- რეზინის ჯაგრისების და ფუნჯების წარმოებას
- სალი რეზინისაგან ჩიბუხის ტარის წარმოებას
- სალი რეზინის სავარცხლების, თმის სამაგრების, სახვევების და მისთ. წარმოებას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- შესაკეთებელი მასალების წარმოებას რეზინისაგან
- რეზინით გაუღენთილი, მოპირკეთებული, დაფარული ან განშრევებული ტექსტილის ქსოვილების წარმოებას, სადაც რეზინი წარმოადგენს ძირითად ნაწილს
- რეზინის ლეიბების წარმოებას წყლის საწოლებისათვის
- რეზინის საცურაო ქუდების და წინსაფრების წარმოებას
- რეზინის საცურაო-საყვინთავი კოსტუმების წარმოებას
- რეზინის სექსუალური ნაკეთობების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კორდის მასალების წარმოებას საღტეებისათვის, იხ. 13.96.0
- ტანსაცმლის წარმოებას ელასტიკური მასალისაგან, იხ. 14.14.0, 14.19.0
- რეზინის ფეხსაცმლის წარმოებას, იხ. 15.20.0
- წებოს და მწებავი ნივთიერებების წარმოებას რეზინის ფუძეზე, იხ. 20.52.0
- პროტექტორული ნამზადების წარმოებას, იხ. 22.11.0
- გასაბერი ნაგების და ტივების წარმოებას, იხ. 30.11.0, 30.12.0
- ლეიბების წარმოებას ფოროვანი რეზინისაგან, იხ. 31.03.0
- რეზინის სპორტული ინვენტარის წარმოებას, ტანსაცმლის გარდა, იხ. 31.30.0
- რეზინის თამაშების და სათამაშოების წარმოებას (საბავშვო აუზების, საბავშვო გასაბერი რეზინის ნაგების, გასაბერი რეზინის ცხოველების, ბურთების და მისთ. ჩათვლით), იხ. 32.40.0
- რეზინის რეგენერაციას, იხ. 38.32.0

## 22.2 პლასტმასის ნაწარმის წარმოება

ეს ჯგუფი შეიცავს ახალი ან გამოყენებული (ანუ გადამუშავებული) პლასტიკური ფისების გადამუშავებას შუალედურ ან მზა პროდუქტებად, ისეთი პროცესების გამოყენებით, როგორცაა დაყალიბება შეკუმშვით, შტამპვით, შესხურებით, გამოქრევით და ჩამოსხმით. მათი უმეტესობისათვის ამგვარი საწარმოო პროცესის გავლით მიიღება ნაწარმის ფართო ასორტიმენტი.

### 22.21 პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოება

#### 22.21.0 პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ნახევარფაბრიკატების წარმოებას პლასტმასისაგან:
  - პლასტმასის ფილების, ფურცლების, ბლოკების, ფირების, ზოლების და მისთ. (თვითწებვადი ან არათვითწებვადი)
- პლასტმასის საბოლოო პროდუქტების წარმოებას:
  - პლასტმასის მილების, მილაკების და შლანგების, შლანგის და მილის ფიტინგების
  - ცელოფანის ფირის ან ფურცლის

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- პლასტმასის წარმოებას პირველად ფორმებში, იხ. 20.16.0
- ნაკეთობების წარმოებას სინთეზური ან ნატურალური რეზინისაგან, იხ. 22.1

### 22.22 პლასტმასის საფუთავების წარმოება

#### 22.22.0 პლასტმასის საფუთავების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- პლასტმასის ნაკეთობების წარმოებას საქონლის შესაფუთად:
  - პლასტმასის პაკეტების, ტომრების, კონტეინერების, ყუთების, კოლოფების, ბოცების, ბოთლების და მისთ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საბარგო ჩანთების და ხელჩანთების წარმოებას პლასტმასისაგან, იხ. 15.12.0

### 22.23 პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოება

#### 22.23.0 პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოებას:
  - პლასტმასის კარების, ფანჯრების, ჩარჩოების, დარაბების, ჟალუზების, პლინტუსების

- ცისტერნების, რეზერვუარების
  - იატაკის, კედლის ან ჭერის პლასტმასის საფარების რულონებად ან კრამიტის ფორმით და მისთ.
  - სანიტარული პლასტმასის საგნების, როგორცაა: აბაზანები, საშხაპე კაბინები, ნიჟარები, უნიტაზები, ჩამოსარეცხი ავზები და მისთ.
- ელასტიკური იატაკის საფარების წარმოებას, როგორცაა ვინილი, ლინოლეუმი და მისთ.
  - ხელოვნური ქვის წარმოებას (მაგალითად, კულტივირებული მარმარილო)

## 22.29 პლასტმასის სხვა ნაწარმის წარმოება

### 22.29.0 პლასტმასის სხვა ნაწარმის წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სასადილოს, სამზარეულოს და ტუალეტის პლასტმასის საკუთნოების წარმოებას
- სხვადასხვა ნაწარმის წარმოებას პლასტმასისაგან:
  - პლასტმასის თავსაბურავების, საიზოლაციო ფიტინგების, სანათი ხელსაწყოების ნაწილების, საოფისე და სასკოლო საკუთნოების, ტან-საცმლის ნაკეთობების (მხოლოდ ერთად დამაგრებული, უნაკერო), ავეჯის ფიტინგების, სტატუეტების, ამძრავი და კონვეიერული ღვედების, თვითწებვადი აფსკის, ფეხსაცმლის პლასტმასის კალაპოტების, პლასტმასის საჭერების სიგარების და სიგარეტებისათვის, სავარცხლების და ბიგუდების, პლასტმასის წერილმანი ნაკეთობების და მისთ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- პლასტმასის საბარგო ჩანთების წარმოებას, იხ. 15.12.0
- პლასტმასის ფეხსაცმლის წარმოებას, იხ. 15.20.0
- პლასტმასის ავეჯის წარმოებას, იხ. 31.01.0, 31.02.0, 31.09.0
- ლეიბების წარმოებას ფოროპლასტისაგან, იხ. 31.03.0
- პლასტმასის სპორტული საკუთნოების წარმოებას, იხ. 32.30.0
- პლასტმასის სათამაშოების და თამაშების წარმოებას, იხ. 32.40.0
- პლასტმასის სამედიცინო და სტომატოლოგიური სამარჯვების წარმოებას, იხ. 32.50.0
- პლასტმასის ოფტალმოლოგიური საკუთნოების წარმოებას, იხ. 32.50.0
- პლასტმასის ჩაფხუტების და პირადი უსაფრთხოების სხვა საკუთნოების წარმოებას, იხ. 32.99.0

## 23 სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება

ეს განყოფილება შეიცავს საწარმოო საქმიანობის სახეებს, რომლებიც დაკავშირებულია მინერალური წარმოშობის ცალკეულ ნივთიერებებთან. ეს განყოფილება შეიცავს მინის და მინის პროდუქტების (მაგალითად, ბრტყელი მინის, ღრუ მინის, მინაბოჭკოს, ტექნიკური აღჭურვილობის და ა.შ.), კერამიკული პროდუქტების, ფილების და გამომწვარი თიხის პროდუქტების, ცემენტის და ფითხის წარმოებას ნედლეულიდან მზა პროდუქციის მიღებამდე.

დამუშავებული და მოპირკეთებული ქვის და სხვა მინერალური პროდუქტების წარმოება აგრეთვე შედის ამ განყოფილებაში.

## **23.1 მინის და მინის ნაწარმის წარმოება**

ეს ჯგუფი შეიცავს ნებისმიერი გზით დამზადებული ყველა ფორმის მინის და მინის ნაკეთობების წარმოებას.

### **23.11 ფურცლოვანი მინის წარმოება**

#### **23.11.0 ფურცლოვანი მინის წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ფურცლოვანი მინის წარმოებას, მავთულით არმირებული, ფერადი ან ტონირებული მინის ჩათვლით

### **23.12 ფურცლოვანი მინის დაყალიბება და დამუშავება**

#### **23.12.0 ფურცლოვანი მინის დაყალიბება და დამუშავება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- განმტკიცებული ან მრავალშრიანი ფურცლოვანი მინის წარმოებას
- მინის სარკეების წარმოებას
- მრავალშრიანი საიზოლაციო მინის ნაწარმის წარმოებას

### **23.13 ღრუ მინის წარმოება**

#### **23.13.0 ღრუ მინის წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ბოთლების და მინის ან ბროლის სხვა ტევადობების წარმოებას
- მინის სასმისების და მინის ან ბროლის სხვა საყოფაცხოვრებო ნაკეთობების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მინის სათამაშოების წარმოებას, იხ. 32.40.0

### **23.14 ბოჭკოვანი მინის წარმოება**

#### **23.14.0 ბოჭკოვანი მინის წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ბოჭკოვანი მინის წარმოებას, მინის ბამბის და ბოჭკოვანი მინის ნაწარმის ჩათვლით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ნაქსოვი ქსოვილების წარმოებას მინის ნართისაგან, იხ. 13.20.0
- ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების წარმოებას მონაცემთა გადაცემის ან გამოსახულების პირდაპირი გადაცემისათვის, იხ. 27.31.0

## **23.19 მინის სხვა ნაწარმის წარმოება და დამუშავება, ტექნიკური მინის ნაწარმის ჩათვლით**

### **23.19.0 მინის სხვა ნაწარმის წარმოება და დამუშავება, ტექნიკური მინის ნაწარმის ჩათვლით**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ლაბორატორიული, ჰიგიენური ან ფარმაცევტული მინის ნაწარმის წარმოებას
- მაჯის ან სხვა საათებისათვის მინის, ოპტიკური მინის და ოპტიკურად დაუმუშავებელი ოპტიკური ელემენტების წარმოებას
- ბიუტერიაში გამოსაყენებელი მინის ნაწარმის წარმოებას, მინის იზოლატორების და მინის საიზოლაციო ფიტინგების წარმოებას
- მინის გარსის წარმოებას ლამპებისათვის
- მინის სტატუეტების წარმოებას
- გზის საფარი ბლოკების წარმოებას მინისაგან
- მინის ძეღურების ან მილაკების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ოპტიკურად დამუშავებული ოპტიკური ელემენტების წარმოებას, იხ. 26.70.0
- შპრიცების და სხვა სამედიცინო ლაბორატორიული სამარჯვების წარმოებას, იხ. 32.50.0

## **23.2 ცეცხლგამძლე ნაწარმის წარმოება**

### **23.20 ცეცხლგამძლე ნაწარმის წარმოება**

#### **23.20.0 ცეცხლგამძლე ნაწარმის წარმოება**

ეს ქვეკლასი შეიცავს შუალედური პროდუქტების წარმოებას წიაღისეული არაალითონური მინერალებისაგან, როგორცაა ქვიშა, ხრეში, ქვა ან თიხა.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ცეცხლგამძლე დუღაბის, ბეტონის და მისთ. წარმოებას
- ცეცხლგამძლე კერამიკული ნივთების წარმოებას:
  - თბოსაიზოლაციო კერამიკული საქონლის სილიკატური ფხენილისაგან
  - ცეცხლგამძლე აგურის, ბლოკების, ფილების და მისთ.
  - რეტორტების, ტიგელების, მუფელების, ფრქვევანების, მილების, მილაკების და მისთ.

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- მაგნეზიტის, დოლომიტის ან ქრომიტის შემცველი ცეცხლგამძლე ნაკეთობების წარმოებას

### **23.3 სამშენებლო მასალების წარმოება თიხისაგან**

#### **23.31 კერამიკული საფარების და ფილების წარმოება**

##### **23.31.0 კერამიკული საფარების და ფილების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ბუხრის ან კედლის არაცეცხლგამძლე კერამიკული ფილების, მოზაიკური კუბების და მისთ. წარმოებას
- არაცეცხლგამძლე კერამიკული გზის ფენილების და ძელურების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ხელოვნური ქვის წარმოებას (მაგალითად, კულტივირებული მარმარილო), იხ. 22.23.0
- ცეცხლგამძლე კერამიკული პროდუქტების წარმოებას, იხ. 23.20.0
- კერამიკული აგურის და კრამიტის წარმოებას, იხ. 23.32.0

#### **23.32 აგურის, კრამიტის და სხვა სამშენებლო პროდუქციის წარმოება გამომწვარი თიხისაგან**

##### **23.32.0 აგურის, კრამიტის და სხვა სამშენებლო პროდუქციის წარმოება გამომწვარი თიხისაგან**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- არაცეცხლგამძლე სამშენებლო მასალების წარმოებას თიხისაგან:
  - კერამიკული ფილების, კრამიტის, საკვამურის ხუფების, მილების, საიზოლაციო მილების და მისთ.
- იატაკის ბლოკების წარმოებას გამომწვარი თიხისაგან

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ცეცხლგამძლე კერამიკული პროდუქციის წარმოებას, იხ. 23.20.0
- არასამშენებლო არაცეცხლგამძლე კერამიკული პროდუქციის წარმოებას, იხ. 23.4

### **23.4 ფაიფურის და კერამიკის სხვა ნაკეთობების წარმოება**

ეს ჯგუფი შეიცავს საბოლოო პროდუქტების წარმოებას წიაღისეული არალითონური მინერალებისაგან, როგორცაა ქვიშა, ღორღი, ქვა და თიხა.

#### **23.41 კერამიკული საყოფაცხოვრებო და დეკორატიული ნაკეთობების წარმოება**

### 23.41.0 კერამიკული საყოფაცხოვრებო და დეკორატიული ნაკეთობების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- კერამიკული სასადილო ჭურჭლის და სხვა საყოფაცხოვრებო ან ტუალეტის ნაკეთობების წარმოებას
- სტატუეტების და სხვა დეკორატიული კერამიკული ნაკეთობების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ხელოვნური საიუველირო ნაწარმის წარმოებას, იხ. 32.13.0
- კერამიკული სათამაშოების წარმოებას, იხ. 32.40.0

### 23.42 კერამიკული სანტექნიკური ნაკეთობების წარმოება

#### 23.42.0 კერამიკული სანტექნიკური ნაკეთობების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- კერამიკული სანტექნიკური საკუთნობის წარმოებას, როგორცაა ნიჟარები, აბაზანები, ბიდეები, უნიტაზები და მისთ.
- სხვა კერამიკული ნაკეთობების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ცეცხლგამძლე კერამიკული პროდუქტების წარმოებას, იხ. 23.20.0
- კერამიკული სამშენებლო მასალების წარმოებას, იხ. 23.3

### 23.43 კერამიკული იზოლატორების და საიზოლაციო ფიტინგების წარმოება

#### 23.43.0 კერამიკული იზოლატორების და საიზოლაციო ფიტინგების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ელექტრული იზოლატორების და საიზოლაციო ფიტინგების წარმოებას კერამიკისაგან

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ცეცხლგამძლე კერამიკული პროდუქტების წარმოებას, იხ. 23.20.0

### 23.44 სხვა ტექნიკური კერამიკული პროდუქტების წარმოება

#### 23.44.0 სხვა ტექნიკური კერამიკული პროდუქტების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- კერამიკული და ფერიტული მაგნიტების წარმოებას
- ლაბორატორიული, ქიმიური და სამრეწველო კერამიკული პროდუქტების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ხელოვნური ქვის წარმოებას (მაგალითად, კულტივირებული მარმარილო), იხ. 22.23.0
- ცეცხლგამძლე კერამიკული პროდუქტების წარმოებას, იხ. 23.20.0
- კერამიკული სამშენებლო მასალების წარმოებას, იხ. 23.3

## 23.49 სხვა კერამიკული ნაკეთობების წარმოება

### 23.49.0 სხვა კერამიკული ნაკეთობების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- კერამიკული ქოთნების, დოქების და მსგავსი ნაკეთობების წარმოებას, რომლებიც გამოიყენება საქონლის ტრანსპორტირების ან შეფუთვისათვის
- კერამიკული პროდუქციის წარმოებას, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კერამიკული სანტექნიკური საკუთნობების წარმოებას, იხ. 23.42.0
- ხელოვნური კბილების წარმოებას, იხ. 32.50.0

## 23.5 ცემენტის, კირის და ბათქაშის წარმოება

### 23.51 ცემენტის წარმოება

#### 23.51.0 ცემენტის წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- კლინკერის და ჰიდრაულიკური ცემენტის წარმოებას, პორტლანდცემენტის, თიხამიწოვანი ცემენტის, წიდა ცემენტის და სუპერფოსფატური ცემენტის ჩათვლით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ცეცხლგამძლე დუღაბის, ბეტონის და მისთ. წარმოებას, იხ. 23.20.0
- მზა და მშრალი სამშენებლო ხსნარების და ბეტონის წარმოებას, იხ. 23.63.1, 23.64.0
- ცემენტის ნაკეთობების წარმოებას, იხ. 23.69.0
- სტომატოლოგიაში გამოსაყენებელი ცემენტის წარმოებას, იხ. 32.50.0

### 23.52 კირის და ბათქაშის წარმოება

#### 23.52.0 კირის და ბათქაშის წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ჩაუმქრალი, ჩამქრალი და ჰიდრაულიკური კირის წარმოებას
- ბათქაშის წარმოებას გამომწვარი თაბაშირის ან კალციინირებული სულფატისაგან

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- კალციინირებული დოლომიტის წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ბათქაშის ნაკეთობების წარმოებას, იხ. 23.62.0, 23.69.0

## 23.6 ნაკეთობების წარმოება ბეტონის, ცემენტის და ბათქაშისაგან

### 23.61 ბეტონის პროდუქციის წარმოება სამშენებლო მიზნებისათვის

#### 23.61.0 ბეტონის პროდუქციის წარმოება სამშენებლო მიზნებისათვის

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სასაქონლო ბეტონის, ცემენტის ან ხელოვნური ქვის ნაკეთობების წარმოებას სამშენებლო დანიშნულებისათვის:
  - კაფელის, კრამიტის, მოსაკირწყელი ფილების, ფილების, პანელების, მილების, ბოძების და მისთ.
- მზა სტრუქტურული კომპონენტების წარმოებას, ბეტონის ან ხელოვნური ქვისაგან მშენებლობის ან სამოქალაქო მშენებლობისათვის

### 23.62 ბათქაშის ნაკეთობების წარმოება სამშენებლო მიზნებისათვის

#### 23.62.0 ბათქაშის პროდუქტების წარმოება სამშენებლო მიზნებისათვის

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ბათქაშის ნაკეთობების წარმოებას სამშენებლო დანიშნულებისათვის:
  - ფიცრების, ფურცლების, პანელების და მისთ.

### 23.63 მზა ბეტონის წარმოება

#### 23.63.1 ბეტონის წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მზა და მშრალი ბეტონის და სამშენებლო ნარეგების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ცეცხლგამძლე ცემენტის წარმოებას, იხ. 23.20.0

#### 23.63.2 ასფალტბეტონის წარმოება

### 23.64 ნარეგების წარმოება

#### 23.64.0 ნარეგების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ფხვნილისებრი ნარეგების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ცეცხლგამძლე ნარეგების წარმოებას, იხ. 23.20.0
- მშრალი ბეტონის და სამშენებლო ნარეგების წარმოებას, იხ. 23.63.1

### 23.65. ბოჭკოვანი ცემენტის წარმოება

#### 23.65.0 ბოჭკოვანი ცემენტის წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ცემენტთან, თაბაშირთან ან სხვა შემკვერელ მინერალურ მასალებთან შერეული სამშენებლო მასალების წარმოებას მცენარეული ნედლეულისაგან (ხის მატყლის, ჩალის, ლერწმის, ლელქაშისაგან)
- ნაკეთობების წარმოებას აზბესტ-ცემენტის, ცელულოზის ბოჭკოვანი ცემენტის ან მსგავსი მასალებისაგან:
  - გოფირებული ფურცლების (შიფერის), სხვა ფურცლების, პანელების, კრამიტის, მილების, მილაკების, რეზერვუარების, როფების, სარეცხელების, ბაკნების, ტევალობების, ავეჯის, ფანჯრის ჩარჩოების და მისთ.

### **23.69 სხვა ნაკეთობების წარმოება ბეტონის, ბათქაშის და ცემენტისაგან**

#### **23.69.0 სხვა ნაკეთობების წარმოება ბეტონის, ბათქაშის და ცემენტისაგან**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სხვა ნაკეთობების წარმოებას ბეტონის, ბათქაშის, ცემენტის ან ხელოვნური ქვისაგან:
  - ქანდაკებების, ავეჯის, ბარელიეფების, ლარნაკების, საყვავილე ქოთნების და მისთ.

### **23.7 ქვის ჭრა, დამუშავება და მოპირკეთება**

#### **23.70 ქვის ჭრა, დამუშავება და მოპირკეთება**

##### **23.70.0 ქვის ჭრა, დამუშავება და მოპირკეთება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ქვის ჭრას, დამუშავებას და მოპირკეთებას სამშენებლო მიზნებისათვის, სასაფლაოებისათვის, გზებისათვის, გადახურვითი სამუშაოებისათვის და ა.შ.
- ქვის ავეჯის წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კარიერების ოპერატორების მიერ განხორციელებულ სამუშაოებს, მაგალითად, დაუმუშავებელი მსხვილად დაჭრილი ქვის წარმოებას, იხ. 08.11.1
- დოლაბების, აბრაზიული ქვის და მსგავსი პროდუქტების წარმოებას, იხ. 23.9

### **23.9 აბრაზიული პროდუქტების და არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

ეს ჯგუფი შეიცავს სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოებას.

#### **23.91 აბრაზიული პროდუქტების წარმოება**

### 23.91.0 აბრაზიული პროდუქტების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- დოლაბების, სალესი ან გასაპრიალებელი ქვების და ბუნებრივი ან ხელოვნური აბრაზიული პროდუქტების წარმოებას, რბილ ფუძეზე აბრაზიული პროდუქტების ჩათვლით (მაგალითად, ზუმფარის ქაღალდი)

### 23.99 სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

#### 23.99.0 სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ფრიქციული მასალების და მათგან წარმოებული დაუმუშავებელი ნაკეთობების წარმოებას მინერალური ნივთიერებების ან ცელულოზის ფუძეზე
- მინერალური საიზოლაციო მასალების წარმოებას:
  - წიდაბამბის, ქვის ბამბის და მსგავსი მინერალური ბამბის; შრეული ვერმიკულიტის, აფუებული თიხის და სხვა მსგავსი თბოსაიზოლაციო, ბგერათსაიზოლაციო ან ბგერათჩამსშობი მასალების
- ნაკეთობების წარმოებას სხვადასხვა მინერალური ნივთიერებებისაგან:
  - დამუშავებული ქარსის, ქარსის, ტორფის, გრაფიტის ნაკეთობების (ელექტრული ნაკეთობების გარდა) და მისთ.
- ასფალტის ან მსგავსი მასალებისაგან ნაკეთობების წარმოებას, მაგალითად, საწები ნივთიერებების ასფალტის ფუძეზე, ნახშირის ასფალტის სქელფისის და მისთ.
- ნახშირის და გრაფიტის ბოჭკოს და პროდუქტების წარმოებას (ელექტროდების და ელექტრული კომპონენტების გარდა)
- ხელოვნური კორუნდის წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მინაბოჭკოს და მინაბამბისაგან უქსოვადი პროდუქტების წარმოებას, იხ. 23.14.0
- გრაფიტული ელექტროდების წარმოებას, იხ. 27.90.0
- ნახშირის და გრაფიტის შუასადებების წარმოებას, იხ. 28.29.0

### 24 ძირითადი ლითონების წარმოება

ეს განყოფილება შეიცავს შავი და ფერადი ლითონების გამოდნობას და/ან გასუფთავებას მადნის, შოთისებრი თუჯის ან ჯართისაგან, ელექტრომეტალურგიული და სხვა მეტალურგიული პროცესების გამოყენებით.

ეს განყოფილება აგრეთვე შეიცავს ლითონების შენადნობების და სუპერშენადნობების წარმოებას სუფთა ლითონებში ქიმიური ელემენტების დამატებით. გამოდნობილი და გასუფთავებული პროდუქტი, ჩვეულებრივ,

ზოდების ფორმით, ექვემდებარება გლინვის, აღიდვის და ექსტრუზიის ოპერაციებს ისეთი პროდუქტების მისაღებად, როგორცაა ფირფიტები, ფურცლები, ძელები, ზოდები, წნელები, მავთული, მილები ან მილაკები, ღრუ პროფილები და თხევადი სახით – სხმულების და სხვა საბაზო ლითონის პროდუქტების მისაღებად.

## **24.1 თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოება**

მოცემული ჯგუფი შეიცავს ისეთ საქმიანობებს, როგორცაა რკინის მადნის პირდაპირი აღდგენა, თუჯის შოთების წარმოება ჩამოსხმული ან მყარი ფორმით, თუჯის შოთების კონვერსაციას ფოლადში, ფეროშენადნობების და ფოლადის პროდუქტების წარმოებას.

### **24.10 თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოება**

#### **24.10.0 თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ბრძმელების, ფოლადის კონვერტერების, საგლინავი დგანების მუშაობას
- თუჯის შოთების და სარკისებრი თუჯის ლუგების და შოთების, ბლოკების ან სხვა პირველადი ფორმების წარმოებას
- ფეროშენადნობების წარმოებას
- რკინაშემცველი პროდუქტების წარმოებას, რკინის და სხვა ფოროვანი რკინაშემცველი პროდუქტების პირდაპირი აღდგენით
- განსაკუთრებული სიწმინდის რკინის წარმოებას ელექტროლიზის ან სხვა ქიმიური პროცესების შედეგად
- რკინის ან ფოლადის ჯართის გადადნობას
- გრანულირებული რკინის და რკინის ფხვნილის წარმოებას
- ფოლადის წარმოებას სხმულების ან სხვა პირველადი ფორმების სახით
- ნახევარფაბრიკატების წარმოებას ფოლადისაგან
- ცხლადგლინული და ცივადგლინული თხლადგლინული პროდუქტების წარმოებას ფოლადისაგან
- ცხლადგლინული წნელების და ზოდების წარმოებას ფოლადისაგან
- ცხლადგლინული ღია სექციების წარმოებას ფოლადისაგან
- ფოლადის პაკეტირებული ფურცლების და შედუღებული ღია სექციების წარმოებას
- რკინიგზის მასალების (ასაწყობი რელსების) წარმოებას ფოლადისაგან

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ზოდების ცივ აღიდვას, იხ. 24.31.0

## **24.2 ფოლადის მილების, მილსადენების, ღრუ პროფილების და მსგავსი ფიტინგების წარმოება**

### **24.20 ფოლადის მილების, მილსადენების, ღრუ პროფილების და მსგავსი ფიტინგების წარმოება**

## 24.20.0 ფოლადის მიღების, მილსადენების, ღრუ პროფილების და მსგავსი ფიტინგების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- უნაკერო მიღების და მილაკების, განივი და არაგანივი კვეთის მიღების და განივი კვეთის ნამზადების წარმოებას შემდგომი დამუშავებისათვის, ცხელი გლინვის, ცხელი წნეხის ან სხვა ცხელი პროცესების გამოყენებით ისეთი შუალედური პროდუქტების დამუშავებით, როგორცაა ცხლად ნაგლინი ან უწყვეტად ჩამოსხმული წნელები და შოთები
- მაღალი სიზუსტის და ჩვეულებრივი უნაკერო მიღების და მილაკების წარმოებას ცხლად ნაგლინი ან ცხლად წნეხილი ნამზადებისაგან შემდგომი დამუშავებისათვის, განივი კვეთის მიღების და მილაკების ცივად გლინვის ან ცივად წვევის და არაგანივი კვეთის მიღების და ღრუ პროფილების ცივად წვევის გზით.
- 406,4 მმ-ზე მეტი გარე დიამეტრის შედუღებული მიღების და მილაკების წარმოებას, წარმოებული ცივი მეთოდით ბრტყელი ცხლად ნაგლინი პროდუქტებისაგან, გრძივად ან სპირალისებურად შედუღებული
- 406,4 მმ ან ნაკლები გარე დიამეტრის შედუღებული მიღების და მილაკების წარმოებას განივი კვეთით, ცხლად ან ცივად ნაგლინი ბრტყელი პროდუქტების უწყვეტი ცივი ან ცხელი დაყალიბებით და გრძივად ან სპირალისებურად შედუღებული; ან არაგანივი კვეთით, ცხლად ნაგლინი ან ცივად ნაგლინი წნელების ცხელი ან ცივი დაყალიბებით, გრძივად შედუღებული
- 406,4 მმ ან ნაკლები გარე დიამეტრის შედუღებული მიღების და მილაკების წარმოებას, ცივად ან ცხლად ნაგლინი ძელების ცხელი ან ცივი დაყალიბებით და გრძივი შედუღებით, როგორც შედუღებული, ისე შემდგომ გადამუშავებული სახით მიღებული; აგრეთვე ცივად ადიდვის, ცივად გლინვის ან ცივი დაყალიბების მეთოდით არაგანივი კვეთის მიღების და მილაკების მისაღებად
- ფოლადის ბრტყელი მილტუჩების და ცალკუდიანი მილტუჩების წარმოებას ბრტყელი ცხლად ნაგლინი ფოლადის ნაკეთების დამუშავების გზით
- პირპირი შედუღების ფიტინგების წარმოებას, როგორცაა მუხლები და გადამყვანები, ცხლად ნაგლინი უნაკერო ფოლადის მიღების ჭედვით
- კუთხვილიანი და სხვა მიღების ან მილაკების ფიტინგების წარმოებას ფოლადისაგან

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- უნაკერო ფოლადის მიღების და მილაკების წარმოებას, ჩამოსხმული ცენტრიდანული ძალის მეშვეობით, იხ. 24.52.0

## 24.3 სხვა პროდუქტების წარმოება ფოლადის პირველადი დამუშავების გზით

ეს ჯგუფი შეიცავს სხვა პროდუქტების წარმოებას ფოლადის ცივად დამუშავების გზით.

### 24.31 წნელების ცივად ადიდვა

#### 24.31.0 წნელების ცივად ადიდვა

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ფოლადის წნელების და განივი კვეთის ნამზადების წარმოებას ცივად მოჭიმვის, ხეხვის ან ბრუნვის გზით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მავთულის დამზადებას, იხ. 24.34.0

## **24.32 ვიწრო ზოლების ცივად გლინვა**

### **24.32.0 ვიწრო ზოლების ცივად გლინვა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- დაფარული და დაუფარავი ბრტყლადნაგლინი ფოლადის პროდუქტების წარმოებას ხვეული ან სწორი ლენტების სახით, სიგანით 600 მმ-ზე ნაკლები, ცხლად ნაგლინი ბრტყელი პროდუქტების ან ფოლადის წნელების მეორადი ცივი გლინვის გზით

## **24.33 ცივად დაყალიბება ან დანარიმანდება**

### **24.33.0 ცივად დაყალიბება ან დანარიმანდება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ღია ნამზადების წარმოებას ვალცებზე ცივად დაყალიბებით ან ბრტყლად ნაგლინი ფოლადის პროდუქტების წნეხზე დანარიმანდებით
- ცივად დაყალიბებული ან ცივად დანარიმანდებული, დაღარული ფურცლების და სენდვიჩ-პანელების წარმოებას

## **24.34 მავთულის ცივად ადიდვა**

### **24.34.0 მავთულის ცივად ადიდვა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ადიდული ფოლადის მავთულის წარმოებას, ფოლადის წნელების ცივად გაჭიმვის გზით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ფოლადის წნელების და მთლიანი ნამზადების ადიდვას, იხ. 24.31.0
- მავთულის ნაკეთობების წარმოებას, იხ. 25.93.0

## **24.4 ძირითადი ძვირფასი და სხვა ფერადი ლითონების წარმოება**

### **24.41 ძვირფასი ლითონების წარმოება**

#### **24.41.0 ძვირფასი ლითონების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ძირითადი ძვირფასი ლითონების წარმოებას:
  - დამუშავებული ან დაუმუშავებელი ძვირფასი ლითონების: ოქროს, ვერცხლის, პლატინის და მისთ. წარმოებას და გასუფთავებას მადნისა და ნარჩენებისაგან
- ძვირფასი ლითონების შენადნობების წარმოებას
- ძვირფასი ლითონების ნახევარფაბრიკატების წარმოებას
- არაკეთილშობილი ლითონების მოვერცხვლას
- არაკეთილშობილი ლითონების ან ვერცხლის მოოქვრას
- ოქროს, ვერცხლის ან არაკეთილშობილი ლითონების დაფარვას პლატინით ან პლატინის ჯგუფის ლითონებით

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- მავთულის წარმოებას მოცემული ლითონებისაგან ადიდვით
- კილიტის წარმოებას ძვირფასი ლითონებისაგან

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ფერადი ლითონების ჩამოსხმას, იხ. 24.53.0, 24.54.0
- ძვირფასეულობის წარმოებას ძვირფასი ლითონებისაგან, იხ. 32.12.0

**24.42 ალუმინის წარმოება**

**24.42.0 ალუმინის წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ალუმინის წარმოებას ალუმინის ოქსიდისაგან
- ალუმინის წარმოებას ალუმინის ნარჩენების და ჯართის ელექტროლიტური რაფინირებით
- ალუმინის შენადნობების წარმოებას
- ალუმინის ნახევარფაბრიკატების წარმოებას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- მავთულის წარმოებას მოცემული ლითონებისაგან ადიდვით
- ალუმინის ოქსიდის წარმოებას
- ალუმინის შესახვევი კილიტის წარმოებას
- ალუმინის კილიტის წარმოებას ალუმინის ფუძით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ფერადი ლითონების ჩამოსხმას, იხ. 24.53.0, 24.54.0

**24.43 ტყვიის, თუთიის და კალის წარმოება**

**24.43.0 ტყვიის, თუთიის და კალის წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ტყვიის, თუთიის და კალის წარმოებას მადნისაგან
- ტყვიის, თუთიის და კალის წარმოებას ტყვიის, თუთიის და კალის ნარჩენების და ჯართის ელექტროლიტური რაფინირებით
- ტყვიის, თუთიის და კალის შენადნობების წარმოებას

- ტყეის, თუთიის და კალის ნახევარფაბრიკატების წარმოებას
- *ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*
- მავთულის წარმოებას მოცემული ლითონების ადიდვით
- კალის კილიტის წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ფერადი ლითონების ჩამოსხმას, იხ. 24.53.0, 24.54.0

## **24.44 სპილენძის წარმოება**

### **24.44.0 სპილენძის წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სპილენძის წარმოებას მადნისაგან
- სპილენძის წარმოებას სპილენძის ნარჩენების და ჯართის ელექტროლიტური რაფინირებით
- სპილენძის შენადნობების წარმოებას
- დნობადი მავთულის ან ზოლების წარმოებას
- სპილენძის ნახევარფაბრიკატების წარმოებას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- მავთულის წარმოებას მოცემული ლითონების ადიდვით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ფერადი ლითონების ჩამოსხმას, იხ. 24.53.0, 24.54.0

## **24.45 სხვა ფერადი ლითონების წარმოება**

### **24.45.0 სხვა ფერადი ლითონების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ქრომის, მანგანუმის, ნიკელის და მისთ. წარმოებას მადნების ან ოქსიდებისაგან
- ქრომის, მანგანუმის, ნიკელის და მისთ. წარმოებას ქრომის, მაგნიუმის, ნიკელისაგან და მისთ., ნარჩენების და ჯართის ელექტროლიტური ან ალუმინოთერმული რაფინირებით
- ქრომის, მანგანუმის, ნიკელის და მისთ. შენადნობების წარმოებას
- ქრომის, მანგანუმის, ნიკელის და მისთ. ნახევარფაბრიკატების წარმოებას
- ნიკელის შტეინის წარმოებას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- მავთულის წარმოებას მოცემული ლითონების ადიდვით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ფერადი ლითონების ჩამოსხმას, იხ. 24.53.0, 24.54.0

## **24.46 ბირთვული სათბობის გადამუშავება**

### **24.46.0 ბირთვული სათბობის გადამუშავება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ურანის წარმოებას ურანიტის ან სხვა მადნებისაგან
- ურანის დნობას და გაწმენდას

## **24.5 ლითონების ჩამოსხმა**

ეს ჯგუფი შეიცავს ნახევრად დამუშავებული პროდუქტების და სხვადასხვა სხმულების წარმოებას ჩამოსხმით.

*ეს ჯგუფი არ შეიცავს:*

- მზა სხმული პროდუქტების წარმოებას, როგორცაა:
  - ბოილერები (ქვაბები) და რადიატორები, იხ. 25.21.0
  - საყოფაცხოვრებო სხმული ნაკეთობები, იხ. 25.99.0

## **24.51 თუჯის ჩამოსხმა**

### **24.51.0 თუჯის ჩამოსხმა**

ეს ქვეკლასი შეიცავს თუჯის ჩამოსხმის საქმიანობებს.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ნახევრადდამუშავებული თუჯის ნამზადების ჩამოსხმას
- რუხი თუჯის სხმულების ჩამოსხმას
- სფეროსებრი გრაფიტის თუჯის სხმულების ჩამოსხმას
- ჭედადი სხმული თუჯის პროდუქტების ჩამოსხმას
- მიღების და მილაკების, ღრუ პროფილების და მიღების და მილაკების ფიტინგების წარმოებას სხმული თუჯისაგან

## **24.52 ფოლადის ჩამოსხმა**

### **24.52.0 ფოლადის ჩამოსხმა**

ეს ქვეკლასი შეიცავს ფოლადის ჩამოსასხმელ საქმიანობებს.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ნახევრადდამუშავებული ფოლადის ნამზადების ჩამოსხმას
- ფოლადის სხმულების ჩამოსხმას
- უნაკერო ფოლადის მიღების და მილაკების წარმოებას ცენტრიდანული ჩამოსხმით
- მიღების ან მილაკების ფიტინგების წარმოებას სხმული ფოლადისაგან

## **24.53 მსუბუქი ლითონების ჩამოსხმა**

### **24.53.0 მსუბუქი ლითონების ჩამოსხმა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ნახევრადდამუშავებული ნამზადების ჩამოსხმას ალუმინის, მაგნიუმის, ტიტანის, თუთიისაგან და მისთ.
- მსუბუქი ლითონების სხმულების ჩამოსხმას

## **24.54 სხვა ფერადი ლითონების ჩამოსხმა**

### **24.54.0 სხვა ფერადი ლითონების ჩამოსხმა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მძიმე ლითონების სხმულების ჩამოსხმას
- ძვირფასი ლითონების სხმულების ჩამოსხმას
- ფერადი ლითონების სხმულების ჩამოსხმას წნევის ქვეშ

## **25 ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა**

მოცემული განყოფილება შეიცავს სუფთა ლითონების ნაწარმის წარმოებას (როგორცაა ნაწილები, კონტეინერები და კონსტრუქციები), ჩვეულებრივ სტატიკური, უძრავი ფუნქციით, საპირისპიროდ 26-30 განყოფილებებში აღწერილის, რომელიც მოიცავს მოცემული ლითონების ნაერთების წარმოებას (ზოგჯერ სხვა მასალებთან ერთად) მოძრავი ნაწილებით მომუშავე უფრო რთულ ერთეულებში, თუ ისინი არ არის წმინდა ელექტრული, ელექტრონული ან ოპტიკური სახის.

იარაღის და საბრძოლო მასალების წარმოება აგრეთვე შედის ამ განყოფილებაში.

*ეს განყოფილება არ შეიცავს:*

- სპეციალიზებულ რემონტს და ტექნიკურ მოვლას, იხ. 33.1
- აღნიშნულ განყოფილებაში შესული ნაწარმის სპეციალიზებულ დაყენებას შენობებში, როგორცაა ცენტრალური გათბობის ქვაბები (ბოილერები), იხ. 43.22.0

## **25.1 ლითონის სამშენებლო კონსტრუქციების წარმოება**

ეს ჯგუფი შეიცავს ლითონის სამშენებლო კონსტრუქციების წარმოებას (როგორცაა ლითონის სამშენებლო კარკასები ან ნაწილები).

### **25.11 ლითონის სამშენებლო კონსტრუქციების და ნაწილების წარმოება**

#### **25.11.0 ლითონის სამშენებლო კონსტრუქციების და ნაწილების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ლითონის სამშენებლო ჩარჩოვანი კონსტრუქციების ან კარკასების და მათი ნაწილების წარმოებას (კოშკების, ანძების, ბრჯენების, ხიდების და ა.შ.)
- ლითონის სამრეწველო ჩარჩოვანი კონსტრუქციების წარმოებას (ბრძმედების, ამწევი და სამონტაჟო მოწყობილობების ჩარჩოვანი კონსტრუქციების და ა.შ.)
- მზა ნაგებობების წარმოებას ძირითადად ლითონისაგან:
  - დროებითი საცხოვრებელი შენობების, მოდულირებული საგამოფენო ელემენტების და ა.შ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ზღვის ან ენერგეტიკული ქვაბების ნაწილების წარმოებას, იხ. 25.30.0
- რკინიგზის ლიანდაგის სამაგრების წარმოებას, იხ. 25.99.0
- ხომალდების ნაწილების წარმოებას, იხ. 30.11.0

**25.12 ლითონის კარების და ფანჯრების წარმოება**

**25.12.0 ლითონის კარების და ფანჯრების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ლითონის კარების, ფანჯრების და მათი ჩარჩოების, დარაბების და ჭიშკრების წარმოებას
- იატაკზე დასამაგრებელი ლითონის ტიხრების წარმოებას

**25.2 ლითონის ცისტერნების, რეზერვუარების და ტევადობების წარმოება**

ეს ჯგუფი შეიცავს ცისტერნების, ცენტრალური გათბობის რადიატორების და ბოილერების წარმოებას.

**25.21 ცენტრალური გათბობის რადიატორების და ბოილერების წარმოება**

**25.21.0 ცენტრალური გათბობის რადიატორების და ბოილერების წარმოება**

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ელექტრული ღუმელების და წყლის გამათბობლების წარმოებას, იხ. 27.51.0

**25.29 ლითონის სხვა ცისტერნების, რეზერვუარების და ტევადობების წარმოება**

**25.29.0 ლითონის სხვა ცისტერნების, რეზერვუარების და ტევადობების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ლითონის რეზერვუარების, ცისტერნების, მსგავსი ლითონის ტევადობების წარმოებას, ჩვეულებრივ სტაციონარულად დაყენებული, შენახვისათვის ან წარმოებაში გამოსაყენებლად
- ლითონის ტევადობების წარმოებას შეკუმშული ან გათხევადებული აირისათვის

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ლითონის კასრების, კანისტრების, ვედროების, ყუთების და მისთ. წარმოებას, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება საქონლის შეფუთვის ან გადაზიდვისათვის, არა უმეტეს 300 ლიტრის ტევადობით, იხ. 25.91.0, 25.92.0
- სატრანსპორტო კონტეინერების წარმოებას, იხ. 29.20.0

### **25.3 ორთქლის გენერატორების წარმოება, ცენტრალური გათბობის ცხელი წყლის ბოილერების გარდა**

ეს ჯგუფი შეიცავს ორთქლის გენერატორების წარმოებას.

### **25.30 ორთქლის გენერატორების წარმოება, ცენტრალური გათბობის ცხელი წყლის ბოილერების გარდა**

#### **25.30.0 ორთქლის გენერატორების წარმოება, ცენტრალური გათბობის ცხელი წყლის ბოილერების გარდა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- წყლის ორთქლის ან სხვა ორთქლის გენერატორების წარმოებას
- დამხმარე მოწყობილობების წარმოებას მათი გამოყენებისათვის ორთქლის გენერატორებთან ერთად:
  - კონდენსატორების, გამაცხელებლების, ორთქლგადამხურებლების, ორთქლის კოლექტორების და აკუმულატორების
- ბირთვული რეაქტორების წარმოებას, იზოტოპების სეპარატორების გარდა
- საზღვაო ან ენერგეტიკული ბოილერების ნაწილების წარმოებას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- მილსადენი სისტემების მშენებლობას, რაც შეიცავს მილების შემდგომ დამუშავებას, ძირითადად სადაწნეო მილების ან მილსადენი სისტემების მისადებად, მასთან დაკავშირებული საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების ჩათვლით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ცენტრალური გათბობის ცხელი წყლის ბოილერების და რადიატორების წარმოებას, იხ. 25.21.0
- ბოილერ-ტურბინული დანადგარების წარმოებას, იხ. 28.11.0
- იზოტოპების სეპარატორების წარმოებას, იხ. 28.99.0

## 25.4 იარაღის და საბრძოლო მასალების წარმოება

### 25.40 იარაღის და საბრძოლო მასალების წარმოება

#### 25.40.0 იარაღის და საბრძოლო მასალების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მძიმე იარაღის წარმოებას (არტილერიის, გადასაადგილებელი ზარბაზნების, რაკეტების სატყორცნი დანადგარების, ტორპედული აპარატების, მძიმე ტყვიამფრქვევების)
- სასროლი იარაღის წარმოებას (რევოლვერების, საფანტის თოფების, მსუბუქი ტყვიამფრქვევების)
- ჰაერის ან აირის თოფების და პისტოლეტების წარმოებას
- სამხედრო საბრძოლო მასალების წარმოებას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- სანადირო, სპორტული ან დამცავი ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების წარმოებას
- ფეთქებადი მოწყობილობების წარმოებას, როგორცაა ყუმბარები, ნაღმები და ტორპედოები

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ფეთქებადი კაფსულების, დეტონატორების ან სასიგნალო რაკეტების წარმოებას, იხ. 20.51.0
- ხმლების, მახვილების, დაშნების, ხიშტების და მისთ. წარმოებას, იხ. 25.71.0
- ჯავშნიანი მანქანების წარმოებას ბანკნოტების ან ძვირფასეულობის ტრანსპორტირებისათვის, იხ. 29.10.0
- კოსმოსური ხომალდების წარმოებას, იხ. 30.30.0
- ტანკების და სხვა საბრძოლო ავტოსატრანსპორტო საშუალებების წარმოებას, იხ. 30.40.0

## 25.5 ლითონის ჭედვა, წნეხა, შტამპვა და გლინვა; ფხვნილოვანი მეტალურგია

ეს ჯგუფი შეიცავს ლითონის დამუშავების ძირითად საქმიანობებს, როგორცაა ჭედვა ან წნეხა, რომლებიც ჩვეულებრივ ხორციელდება გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე.

### 25.50 ლითონის ჭედვა, წნეხა, შტამპვა და გლინვა; ფხვნილოვანი მეტალურგია

#### 25.50.0 ლითონის ჭედვა, წნეხა, შტამპვა და გლინვა; ფხვნილოვანი მეტალურგია

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ლითონის ჭედვას, წნეხას, შტამპვას და გლინვას
- ფხვნილოვან მეტალურგიას: ლითონის საგნების წარმოებას უშუალოდ ლითონის ფხვნილისაგან ცხელი დამუშავებით (აგლომერაციით) ან წნევის ქვეშ

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ლითონის ფხვნილის წარმოებას, იხ. 24.1, 24.4

## **25.6 ლითონების დამუშავება და დაფარვა; მანქანათმშენებლობის ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები**

ეს ჯგუფი შეიცავს ლითონების დამუშავების ძირითად საქმიანობებს, როგორცაა მეტალიზაცია, ლითონის დატანა, გრავირება, ბურღვა, გაპრიალება, შედუღება და მისთ., რომლებიც ძირითადად სრულდება გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე.

### **25.61 ლითონების დამუშავება და დაფარვა**

#### **25.61.0 ლითონის დამუშავება და დაფარვა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ლითონების მეტალიზაციას, ანოდირებას და ა.შ.
- ლითონების თერმულ დამუშავებას
- ლითონების ქლიბვას, სილაჭავლურ დამუშავებას, დამუშავებას მბრუნავ დოლურაში, ლითონის ზედაპირის გაწმენდას
- ლითონების ღებვას, გრავირებას
- არალითონური საფარების დატანას:
  - პლასტიკით დაფარვას, ემალირებას, გალაქვას და ა.შ.
- ლითონების წრთობას, ხეხვას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სამჭედლო საქმიანობებს, იხ. 01.62.0
- ლითონებზე ნაჭედების დატანას, იხ. 18.12.0
- პლასტიკური ზედაპირების ლითონებით დაფარვას, იხ. 22.29.0
- ძვირფასი ლითონების საფარის დატანას ძირითად ან სხვა ლითონებზე, იხ. 24.41.0, 24.42.0, 24.43.0, 24.44.0
- მომენტალური გრავირების მომსახურებას, იხ. 95.29.0

### **25.62 მანქანათმშენებლობის ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები**

#### **25.62.0 მანქანათმშენებლობის ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ლითონის დამუშავებული ნაწილების ბურღვას, ჩარხვას, დაფქვას, ეროდირებას, რანდვას, ხეხვას, ხვრეტას, გასწორებას, ხერხვას, დაქუცმაცებას, ლესვას, გაპრიალებას, შედუღებას, შეპირაპირებას და ა.შ.
- ლითონის ჭრას და ლითონის ზედაპირზე გამოსახულების დატანას ლაზერული სხივით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სამჭედლო საქმიანობებს, იხ. 01.62.0

## **25.7 დანისებრი ნაკეთობების, ინსტრუმენტების და ზოგადი დანიშნულების კავეულის წარმოება**

ეს ჯგუფი შეიცავს დანისებრი საგნების, ლითონის ხელის ინსტრუმენტების და ზოგადი დანიშნულების კავეული ნაკეთობების წარმოებას.

### **25.71 დანისებრი ნაკეთობების წარმოება**

#### **25.71.0 დანისებრი ნაკეთობების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საოჯახო დანისებრი ნაკეთობების წარმოებას, როგორცაა დანები, ჩანგლები, კოვზები და მისთ.
- სხვა დანისებრი საგნების წარმოებას:
  - ცულების და ნაჯახების
  - სამართებლების და სამართებლის პირების
  - მაკრატლების და თმის საკრეჭი მანქანების
- დაშნების, რაპირების, ხიშტების და მისთ. წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ღრმა ჭურჭლის (ჩაიდნების, ქვაბების და მისთ.), სასადილო ჭურჭლის (ლანგრების, ფინჯნების და მისთ.) ან თხელი ჭურჭლის (თეფშების, ლამბაქების და მისთ.) წარმოებას, იხ. 25.99.0
- დანისებრი ნაკეთობების წარმოებას ძვირფასი ლითონებისაგან, იხ. 32.12.0

### **25.72 საკეტების, ანჯამების და სახსრების წარმოება**

#### **25.72.0 საკეტების, ანჯამების და სახსრების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საკიდი ბოქლომების, ჩასაყენებელი საკეტების, გასადებების, ანჯამების და სახსრების, ლითონის ნაკეთობების წარმოებას შენობებისათვის, ავეჯისათვის, სატრანსპორტო საშუალებებისათვის და მისთ.

### **25.73 ინსტრუმენტების წარმოება**

### 25.73.0 ინსტრუმენტების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- დანების და მჭრელი პირების წარმოებას მანქანების ან მექანიკური ხელსაწყოებისათვის
- ხელის ინსტრუმენტების წარმოებას, როგორცაა ბრტყელტუჩები, სახრახნისები და მისთ.
- ამძრავი მექანიზმის არმქონე ხელის სასოფლო-სამეურნეო ინსტრუმენტების წარმოებას
- ხერხების და ხერხის პირების წარმოებას, დისკური და ჯაჭვური ხერხების პირების ჩათვლით
- საცვლელი მუშა ნაწილების წარმოებას ხელის ინსტრუმენტებისათვის, ამძრავი მექანიზმით ან მის გარეშე, ან დაზგებისათვის: ბურღების, პერფორატორების (სახვრეტების), ფრეზების და ა.შ.
- საწნეხი ინსტრუმენტების წარმოებას
- სამჭედლო ინსტრუმენტების წარმოებას: უროების, გრდემლების და ა.შ.
- სამსხმელო ყუთების და ფორმების წარმოებას (სხმულების გარდა)
- გირაგების, ჩამჭერების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ამძრავი მექანიზმის მქონე ხელის ინსტრუმენტების წარმოებას, იხ. 28.24.0
- სხმულების წარმოებას, იხ. 28.91.0

### 25.9 ლითონის სხვა მზა პროდუქტების წარმოება

ეს ჯგუფი შეიცავს ლითონის სხვადასხვა პროდუქტების წარმოებას, როგორცაა კანისტრები და ვედროები; ლურსმნები, ჭანჭიკები და ქანჩები; ლითონის საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამარჯვები; ლითონის ფიტინგები; გემების ხრახნები და ღუზები; რკინიგზის ლიანდაგის სამაგრები და ა.შ. სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და სამრეწველო დანიშნულებისათვის.

#### 25.91 ლითონის კასრების და მსგავსი ტევადობების წარმოება

##### 25.91.0 ლითონის კასრების და მსგავსი ტევადობების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ვედროების, კანისტრების, კასრების, ყუთების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ცისტერნების და რეზერვუარების წარმოებას, იხ. 25.2

#### 25.92 მსუბუქი ლითონის საფუთავების წარმოება

## 25.92.0 მსუბუქი ლითონის საფუთავების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საკვები პროდუქტების საკონსერვო ქილების, ტუბების და ყუთების წარმოებას
- ლითონის ხუფების წარმოებას

## 25.93 მავთულის ნაწარმის, ჯაჭვების და ზამბარების წარმოება

### 25.93.0 მავთულის ნაწარმის, ჯაჭვების და ზამბარების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ლითონის კაბელების, წნული ბაგირების და მსგავსი ნაკეთობების წარმოებას
- ლითონის არაიზოლირებული კაბელის ან იზოლირებული ელექტროგაუმტარი კაბელის წარმოებას
- იზოლირებული ან გულარიანი სადენების წარმოებას
- მავთულის ნაკეთობების წარმოებას: ეკლიანი მავთულის, მავთულის დობების, გრილების, ბადების, ქსოვილის და მისთ.
- იზოლირებული ელექტროდების წარმოებას ელექტრორკალური შედუღებისათვის
- ლურსმნების, ქინძისთავეების წარმოებას
- ზამბარების წარმოებას (მაჯის საათების ზამბარების გარდა):
  - ფურცლოვანი, სპირალური, ბრუნვის დეროვანი ზამბარების
  - ფურცლები ზამბარებისათვის
- ჯაჭვების წარმოებას, ამძრავი ჯაჭვების გარდა

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საათის ზამბარების წარმოებას, იხ. 26.52.0
- სადენების და ელექტრული კაბელების წარმოებას, იხ. 27.32.0
- ამძრავი ჯაჭვების წარმოებას, იხ. 28.15.0

## 25.94 სამაგრების და ხრახნსაჭრელი ჩარხების ნაკეთობების წარმოება

### 25.94.0 სამაგრების და ხრახნსაჭრელი ჩარხების ნაკეთობების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მოქლონების, საყელურების და მსგავსი ნაკეთობების წარმოებას კუთხვილის გარეშე
- ნაკეთობების წარმოებას ხრახნსაჭრელ ჩარხებზე:
  - ტანჭიკების, ხრახნების, ქანჩების და მსგავსი კუთხვილიანი ნაკეთობების

## 25.99 ლითონის სხვა მზა ნაკეთობების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის

## 25.99.0 ლითონის სხვა მზა ნაკეთობების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საყოფაცხოვრებო დანიშნულების ლითონის ნაკეთობების წარმოებას:
  - ბრტყელი ჭურჭლის: თეფშების, ლამბაქების და მისთ.
  - ღრმა ჭურჭლის: ჩაიდნების, ქვაბების და მისთ.
  - სასადილო ჭურჭლის: ჯამების, ლანგრების და მისთ.
  - ქვაბების, ტაფების და სხვა არაელექტრული სასადილო ან სამზარეულო ჭურჭლის
  - წერილმანი ხელით მართული სამზარეულო საკუთნობების და აქსესუარების
  - ლითონის სახეხების (ბალიშების და მისთ.)
- სამშენებლო კომპონენტების წარმოებას თუთიისაგან: წყალსადინარი ღარების, სახურავების საფარების, აბაზანების, ნიჟარების, პირსაბანების და მსგავსი ნაკეთობების
- საოფისე დანიშნულების ლითონის ნაწარმის წარმოებას, ავეჯის გარდა
- სეიფების, ჯავშნიანი კარების და მისთ. წარმოებას
- ლითონის სხვადასხვა ნაკეთობების წარმოებას:
  - გემების ხრახნების და მათი ფრთების
  - დუზების
  - ზარხუფების
  - რკინიგზის ლიანდაგის სამაგრების
  - შესაკრავების, ბალთების, კაუჭების
  - ლითონის მისადგამი კიბეების
  - ლითონის ნიშნების, საგზაო ნიშნების ჩათვლით
- კილიტის ტომრების წარმოებას
- ლითონის მუდმივი მაგნიტების წარმოებას
- ლითონის ვაკუუმური დოქების და ბოთლების წარმოებას
- ლითონის სამკერდე და სამხედრო განმასხვავებელი ნიშნების წარმოებას
- ლითონის ბიგუდების, ქოლგების სახელურების და კარკასების, სავარცხლების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ხმლების და ხიშტების წარმოებას, იხ. 25.71.0
- მაღაზიების ურიკების წარმოებას საყიდლებისათვის, იხ. 30.99.0
- ლითონის ავეჯის წარმოებას, იხ. 31.01.0, 31.02.0, 31.09.0
- სპორტული საქონლის წარმოებას, იხ. 32.30.0
- თამაშების და სათამაშოების წარმოებას, იხ. 32.40.0

## 26 კომპიუტერების, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქციის წარმოება

ეს განყოფილება შეიცავს კომპიუტერების, კომპიუტერების პერიფერიული მოწყობილობების, საკომუნიკაციო მოწყობილობების და მსგავსი ელექტრონული პროდუქციის წარმოებას, ისევე როგორც მოცემული პროდუქციის კომპონენტების წარმოებას. მოცემული განყოფილების საწარმოო პროცესებს ახასიათებს ინტეგრალური სქემების დაპროექტება და

გამოყენება ვიწროსპეციალიზებული მინიატურიზებული ტექნოლოგიების მეშვეობით.

ეს განყოფილება აგრეთვე შეიცავს სამომხმარებლო ელექტრონიკის, საზომი, ტესტირების და სანავიგაციო მოწყობილობების, ირადიაციული, ელექტროსამედიცინო და ელექტროთერაპიული მოწყობილობების, ოპტიკური ინსტრუმენტების და მოწყობილობების, მაგნიტური და ოპტიკური მედია მოწყობილობების წარმოებას.

## 26.1 ელექტრონული კომპონენტების და პლატების წარმოება

### 26.11 ელექტრონული კომპონენტების წარმოება

#### 26.11.0 ელექტრონული კომპონენტების წარმოება

ეს ქვეკლასი შეიცავს ნახევარგამტარების და სხვა კომპონენტების წარმოებას ელექტრონული მოწყობილობებისათვის.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ელექტრონული კონდენსატორების წარმოებას
- ელექტრონული რეზისტორების წარმოებას
- მიკროპროცესორების წარმოებას
- ელექტრონული მილაკების წარმოებას
- ელექტრონული მაერთებლების წარმოებას
- ცარიელი ნაბეჭდი სქემური პლატების წარმოებას
- ინტეგრალური მიკროსქემების (ანალოგური, ციფრული ან შერეული), წარმოებას
- დიოდების, ტრანზისტორების და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების წარმოებას
- ინდუქტორების (მათ შორის დროსელების, კოჭების, ტრანსფორმატორების), ელექტრონული კომპონენტების წარმოებას
- ელექტრონული კრისტალების და კრისტალური შემადგენლების წარმოებას
- სოლენოიდების, გადამრთველების და გარდამქმნელების წარმოებას ელექტრული ხელსაწყოებისათვის
- მზა ან ნახევრად მზა ნახევრადგამტარი ფირფიტების და ნახევრად გამტარების წარმოებას
- დისკების კომპონენტების (პლაზმური, პოლიმერული, თხევადკრისტალური) წარმოებას
- შუქდიოდების (LED) წარმოებას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- პრინტერის კაბელების, მონიტორის კაბელების, USB-კაბელების, მაერთებლების და მისთ. წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სმარტ-ბარათების ბეჭდვას, იხ. 18.12.0
- კომპიუტერული და ტელევიზორების დისპლეების წარმოებას, იხ. 26.20.0, 26.40.0
- მოდემების წარმოებას, იხ. 26.30.0
- რენტგენის მილაკების და მსგავსი ირადიაციული ხელსაწყოების წარმოებას, იხ. 26.60.0
- ოპტიკური მოწყობილობების და ინსტრუმენტების წარმოებას, იხ. 26.70.0
- მსგავსი სამარჯვების წარმოებას ელექტრული მოწყობილობებისათვის, იხ. განყოფილება 27
- ფლუორესცენტული რეზისტორების წარმოებას, იხ. 27.11.0
- ელექტრული რელეების წარმოებას, იხ. 27.12.0
- ელექტროგამტარი მოწყობილობების წარმოებას, იხ. 27.33.0
- სრული მოწყობილობების წარმოება კლასიფიცირდება სხვა დაჯგუფებებში, სრული მოწყობილობების კლასიფიკაციის მიხედვით

## **26.12 ჩასატვირთი ელექტრონული პლატების წარმოება**

### **26.12.0 ჩასატვირთი ელექტრონული პლატების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ჩასატვირთი ნაბეჭდი სქემური პლატების წარმოებას
- კომპონენტების ჩატვირთვას ნაბეჭდი სქემური პლატებისათვის
- ინტერფეისული (მაგალითად, ხმის, ვიდეო, კონტროლერის, ქსელის, მოდემის) ბარათების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სმარტ-ბარათების ბეჭდვას, იხ. 18.12.0
- ცარიელი ნაბეჭდი სქემური პლატების წარმოებას, იხ. 26.11.0

## **26.2 კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების წარმოება**

### **26.20 კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების წარმოება**

#### **26.20.0 კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების წარმოება**

ეს ქვეკლასი შეიცავს ელექტრონული კომპიუტერების წარმოებას და/ან აწყობას, როგორცაა მონაცემთა დამუშავების ცენტრალური ბლოკები, მაგიდის კომპიუტერები, პორტატული კომპიუტერები და კომპიუტერების სერვერები; და კომპიუტერული პერიფერიული მოწყობილობების, როგორცაა დამხსომებელი მოწყობილობები და შემავალი/გამომავალი მოწყობილობები (პრინტერები, მონიტორები, კლავიატურები), წარმოებას და/ან აწყობას. კომპიუტერები შეიძლება იყოს ანალოგური, ციფრული ან ჰიბრიდული. ციფრული კომპიუტერები, როგორც ყველაზე მიღებული ვერსია, წარმოადგენენ მოწყობილობებს, რომლებიც ასრულებენ შემდეგ ოპერაციებს: (1) ინფორმაციის დამუშავების პროგრამების ან პროგრამის გასაშვებად საჭირო პროგრამების და მონაცემების შენახვას; (2) შეიძლება იყოს თავისუფლად

დაპროგრამებული მომხმარებლის მოთხოვნების შესაბამისად; (3) ასრულებდეს მომხმარებლის მიერ განსაზღვრულ არითმეტიკულ გამოთვლებს; და (4) პროგრამების შესრულებას ადამიანის ჩარევის გარეშე, რომლებიც მოითხოვს კომპიუტერის მიერ ლოგიკური გადაწყვეტილების გზით მოქმედებების მოდიფიცირებას მთელი პროცესის განმავლობაში. ანალოგურ კომპიუტერებს შეუძლიათ მათემატიკური მოდელების სიმულირება და ისინი მოიცავენ სულ მცირე ანალოგური კონტროლის და პროგრამირების ელემენტებს.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მაგიდის კომპიუტერების წარმოებას
- პორტატული კომპიუტერების წარმოებას
- კომპიუტერების ცენტრალური ბლოკების წარმოებას
- მცირე ზომის პორტატული კომპიუტერების წარმოებას (მაგალითად, PDA)
- მაგნიტური დისკმდებების, ფლეშ-მოწყობილობების და სხვა დამხსომებელი მოწყობილობების წარმოებას
- ოპტიკური დისკმდებების წარმოებას (მაგალითად, CD-RW, CD-ROM, DVD-ROM, DVD-RW)
- პრინტერების წარმოებას
- მონიტორების წარმოებას
- კლავიატურების წარმოებას
- ყველა ტიპის მაუსების, ჯოისტიკების (მართვის ბერკეტების) და ტრეკბოლ-მაუსების წარმოებას
- სპეციალიზებული კომპიუტერული ტერმინალების წარმოებას
- კომპიუტერული სერვერების წარმოებას
- სკანერების წარმოებას, შტრიხ-კოდების სკანერების ჩათვლით
- სმარტ-ბარათების წამკითხავების წარმოებას
- ჩაფხუტების წარმოებას ვირტუალური თამაშებისათვის
- კომპიუტერული პროექტორების (ვიდეო გამსხივებლების) წარმოებას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- კომპიუტერული ტერმინალების წარმოებას, როგორცაა ბანკომატები (ავტომატური საბანკო მანქანები, ATM), სალაროს ტერმინალების (POS), არამექანიკური მართვით
- მრავალფუნქციური საოფისე მოწყობილობების წარმოებას, რომლებიც ასრულებენ ორ ან მეტ ფუნქციას: ბეჭდვას, სკანირებას, პირის გადაღებას, ფაქსიმილურ კავშირს

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მედია-ჩანაწერების აღწარმოებას (კომპიუტერული, ხმოვანი, ვიდეო- და სხვა), იხ. 18.20.0
- ელექტრონული კომპონენტების და ელექტრონული მაკომპლექტებლების წარმოებას, რომლებიც გამოიყენება კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობებისათვის, იხ. 26.1
- შიდა და გარე კომპიუტერული მოდელების წარმოებას, იხ. 26.12.0

- ინტერფეისული ბარათების, მოდულების და მაერთებლების წარმოებას, იხ. 26.12.0
- ჩასატვირთი ელექტრონული სქემური პლატების წარმოებას, იხ. 26.12.0
- მოდემების, გადამცემი მოწყობილობების წარმოებას, იხ. 26.30.0
- ციფრული კავშირის კომუტატორების, მონაცემთა კავშირის მოწყობილობების (მაგალითად, ხიდების, როუტერების, ქსელთაშორისი რაბების) წარმოებას, იხ. 26.30.0
- ელექტრონული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების წარმოებას, როგორცაა CD პლეერები, DVD პლეერები, იხ. 26.40.0
- სატელევიზიო მონიტორების და დისპლეების წარმოებას, იხ. 26.40.0
- მართვის პულტების წარმოებას ელექტრონული თამაშებისათვის, იხ. 26.40.0
- ცარიელი ოპტიკური და მაგნიტური მატარებლების წარმოებას კომპიუტერების ან სხვა მოწყობილობებისათვის, იხ. 26.80.0

## 26.3 საკომუნიკაციო მოწყობილობების წარმოება

### 26.30 საკომუნიკაციო მოწყობილობების წარმოება

#### 26.30.0 საკომუნიკაციო მოწყობილობების წარმოება

ეს ქვეკლასი შეიცავს სატელეფონო და მონაცემთა გადაცემის მოწყობილობების წარმოებას, რომლებიც გამოიყენება სიგნალების გადასაცემად ელექტრონული გზით, სადენებით ან უსადენო კავშირით, როგორცაა რადიო- და სატელევიზიო მაუწყებლობა და უსადენო საკომუნიკაციო მოწყობილობები.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ცენტრალური საკომუნიკაციო მოწყობილობების წარმოებას
- უსადენო ტელეფონების წარმოებას
- კერძო სატელეფონო სადგურის (PBX) მოწყობილობების წარმოებას
- სატელეფონო და ფაქსიმილური მოწყობილობების წარმოებას, სატელეფონო ავტომოპასუხის ჩათვლით
- მონაცემთა გადაცემის მოწყობილობების წარმოებას, როგორცაა ხიდები, როუტერები, ქსელთაშორისი რაბები
- გადამცემი და მიმღები ანტენების წარმოებას
- საკაბელო ტელევიზიის მოწყობილობების წარმოებას
- პეიჯერების წარმოებას
- ფიჭური ტელეფონების წარმოებას
- მობილური საკომუნიკაციო მოწყობილობების წარმოებას
- რადიო- და სატელევიზიო მოწყობილობების წარმოებას სტუდიების და მაუწყებლობისათვის, ტელეკამერების ჩათვლით
- მოდემების, გადამცემი მოწყობილობების წარმოებას
- საკონტროლო სადგურებში სიგნალების გადამგზავნი ძარცვის- და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების წარმოებას
- რადიო- და ტელეგადამცემების წარმოებას

- ინფრაწითელი სიგნალის მიმღები საკომუნიკაციო ხელსაწყოების წარმოებას (მაგალითად, დისტანციური მართვის კონტროლის)

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ელექტრონული ნაწილების და მაკომპლექტებლების წარმოებას, საკომუნიკაციო მოწყობილობებში გამოსაყენებლად, შიდა და გარე კომპიუტერული მოდემების ჩათვლით იხ. 26.1
- ჩასატვირთი ელექტრონული სქემური პლატების წარმოებას, იხ. 26.12.0
- კომპიუტერების და კომპიუტერული პერიფერიული მოწყობილობების წარმოებას, იხ. 26.20.0
- სამომხმარებლო აუდიო- და ვიდეოტექნიკის წარმოებას, იხ. 26.40.0
- GPS ხელსაწყოების წარმოებას, 26.51.0
- ელექტრონული ტაბლოების წარმოებას, იხ. 27.90.0
- შუქნიშნების წარმოებას, იხ. 27.90.0

## **26.4 სამომხმარებლო ელექტრონიკის წარმოება**

### **26.40 სამომხმარებლო ელექტრონიკის წარმოება**

#### **26.40.0 სამომხმარებლო ელექტრონიკის წარმოება**

ეს ქვეკლასი შეიცავს საშინაო მოხმარებისათვის ელექტრონული აუდიო და ვიდეო მოწყობილობების, ავტომობილების, საჯარო გამოსვლების სისტემების და მუსიკალური ინსტრუმენტებისათვის მაძლიერებლების წარმოებას.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- კასეტური ვიდეოჩამწერი და გასამრავლებელი მოწყობილობების წარმოებას
- ტელევიზორების წარმოებას
- სატელევიზიო მონიტორების და დისპლეების წარმოებას
- აუდიოჩამწერი და გასამრავლებელი სისტემების წარმოებას
- სტერეო მოწყობილობების წარმოებას
- რადიომიმღებების წარმოებას
- აკუსტიკური სისტემების წარმოებას
- სამომხმარებლო ვიდეოკამერების წარმოებას
- მუსიკალური ავტომატების წარმოებას
- მაძლიერებლების წარმოებას მუსიკალური ინსტრუმენტების და საჯარო მიმართვის სისტემებისათვის
- მიკროფონების წარმოებას
- CD და DVD პლეერების წარმოებას
- კარაოკეს სისტემების წარმოებას
- საყურისების წარმოებას (მაგალითად, რადიო, სტერეო, კომპიუტერული)
- ვიდეოთამაშების პულტების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ჩაწერილი მასალების აღწარმოებას (კომპიუტერული, ვიდეო, ბგერითი და მისთ.), იხ. 18.2
- კომპიუტერული პერიფერიული მოწყობილობების და მონიტორების წარმოებას, იხ. 26.20.0
- სატელეფონო ავტომატისუხეების წარმოებას, იხ. 26.30.0
- საპეიჯინგო მოწყობილობების წარმოებას, იხ. 26.30.0
- დისტანციური კონტროლის მოწყობილობების წარმოებას (რადიო და ინფრაწითელი), იხ. 26.30.0
- სატრანსლაციო სტუდიური მოწყობილობების წარმოებას, როგორცაა აღწარმოების მოწყობილობები, სიგნალის მიმღები და გადამცემა ანტენები, კომერციული ვიდეოკამერები, იხ. 26.30.0
- ანტენების წარმოებას, იხ. 26.30.0
- ციფრული კამერების წარმოებას, იხ. 26.70.0
- ელექტრონული თამაშების წარმოებას მუდმივი (ჩაუნაცვლებელი) პროგრამული უზრუნველყოფით, იხ. 32.40.0

## **26.5 ინსტრუმენტების და ხელსაწყოების წარმოება გაზომვის, ტესტირების და ნავიგაციისათვის; მაჯის და სხვა საათების წარმოება**

ეს ჯგუფი შეიცავს საზომი, ტესტირების და სანავიგაციო მოწყობილობების წარმოებას სხვადასხვა სამრეწველო და არასამრეწველო მიზნებისათვის, დროის მარეგისტრირებელი საზომი მოწყობილობების ჩათვლით, როგორცაა მაჯის და სხვა საათები და მსგავსი მოწყობილობები.

### **26.51 ინსტრუმენტების და ხელსაწყოების წარმოება გაზომვის, ტესტირების და ნავიგაციისათვის**

#### **26.51.0 ინსტრუმენტების და ხელსაწყოების წარმოება გაზომვის, ტესტირების და ნავიგაციისათვის**

ეს ქვეკლასი შეიცავს საძიებო, დეტექციური, სანავიგაციო, დისტანციური, ჰაერსანაოსნო და საზღვაოსნო სისტემების და ინსტრუმენტების; ავტომატური კონტროლი და მართვა ისეთი გამოყენებისთვის, როგორცაა გათბობა, ჰაერის კონდიციონირება, სამაცივრო და საყოფაცხოვრებო ტექნიკა; ტემპერატურის, ტენიანობის, წნევის, ვაკუუმის, წვის, დინების, დონის, სიბლანტის, სიმკვრივის, მუავიანობის, კონცენტრაციის და როტაციის საზომი, ამსახველი, საჩვენებელი, ჩამწერი, გადამცემა და მაკონტროლებელი ინსტრუმენტების და მოწყობილობების; სითხის მრიცხველების და საზომი მოწყობილობების (რეგისტრატორების); ელექტრობის და ელექტრონული სიგნალების მახასიათებლების გამზომი და მატესტირებელი ინსტრუმენტების; მყარ, თხევად, აირისებრ ან შერეულ მდგომარეობაში მყოფი სინჯების ქიმიური ან ფიზიკური შედგენილობის ან კონცენტრაციის ლაბორატორიული ანალიზის ჩასატარებელი ინსტრუმენტების და აპარატურის; გაზომვის და ტესტირების სხვა ინსტრუმენტების და მათი ნაწილების წარმოებას.

ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს არაელექტრული საზომი, მატესტირებელი და სანავიგაციო მოწყობილობების წარმოებას (მარტივი მექანიკური ინსტრუმენტების გარდა)

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ინსტრუმენტების წარმოებას საავიაციო ძრავებისათვის
- ავტომობილების გამონაბოლქვის ტესტირების ხელსაწყოების წარმოებას
- მეტეოროლოგიური ინსტრუმენტების წარმოებას
- ფიზიკური თვისებების ტესტირების და შემოწმების მოწყობილობების წარმოებას
- პოლიგრაფიული ტექნიკის წარმოებას
- რადიაციული გამოსხივების გამოვლენის და მონიტორინგის ინსტრუმენტების წარმოებას
- ტოპოგრაფიული ინსტრუმენტების წარმოებას
- მინის სითხიანი და ბიმეტალური ტიპის თერმომეტრების წარმოებას (სამედიცინოს გარდა)
- ტენიანობის საზომი ხელსაწყოების წარმოებას
- ჰიდრონული ზღვრების კონტროლიორების წარმოებას
- ალის მაკონტროლებელი ხელსაწყოების წარმოებას
- სპექტრომეტრების წარმოებას
- პნევმატური საზომების წარმოებას
- სამომხმარებლო მრიცხველების წარმოებას (მაგალითად წყლის, აირის, ელექტრობის)
- წყლის დინების მრიცხველების და სათვლელი მოწყობილობების წარმოებას
- სათვლელი მოწყობილობების წარმოებას
- ნადმის დეტექტორების, პულსური (სიგნალური) გენერატორების; ლითონის დეტექტორების წარმოებას
- საძიებო, დეტექტური, სანავიგაციო, ჰაერსანაოსნო და საზღვაოსნო მოწყობილობების წარმოებას, აკუსტიკური ქერქეჭელების ჩათვლით
- სარადარო მოწყობილობების წარმოებას
- გეოგრაფიული პოზიციონირების სისტემების (GPS) ხელსაწყოების წარმოებას
- გარემოს მდგომარეობის მაკონტროლებელი და ავტომაკონტროლებელი ხელსაწყოების წარმოებას
- საზომი და ჩამწერი მოწყობილობების წარმოებას (მაგალითად, საბორტე რეგისტრატორების)
- მოძრაობის დეტექტორების წარმოებას
- რადარების წარმოებას
- ლაბორატორიული ანალიზური ინსტრუმენტების წარმოებას (მაგალითად, სისხლის ანალიზის მოწყობილობის)
- ლაბორატორიული სასწორების, ინკუბატორების და სხვა სახის ლაბორატორიული მოწყობილობების წარმოებას გაზომვის, ტესტირებისათვის და ა.შ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სატელეფონო ავტომოპასუხეების წარმოებას, იხ. 26.30.0
- ირადიაციული მოწყობილობების წარმოებას, იხ. 26.60.0
- ოპტიკური პოზიციონირების მოწყობილობების წარმოებას, იხ. 26.70.0
- დიქტოფონების წარმოებას, იხ. 28.23.0
- ასაწონი ხელსაწყოების (ლაბორატორიული სასწორების გარდა), ნიველირების, სანტიმეტრების და მისთ. წარმოებას, იხ. 28.29.0
- სამედიცინო თერმომეტრების წარმოებას, იხ. 32.50.0
- სამრეწველო პროცესების კონტროლის მოწყობილობების დაყენებას, იხ. 33.20.0
- მარტივი მექანიკური საზომი ინსტრუმენტების წარმოებას (მაგალითად, რულეტების, შტანგენფარგლების), იხ. დამამუშავებელი მრეწველობის ქვეკლასი, წარმოებაში გამოყენებული ძირითადი მასალის შესაბამისად

## 26.52 საათების წარმოება

### 26.52.0 საათების წარმოება

ეს ქვეკლასი შეიცავს საათების და დროის საზომი მექანიზმების და მათი ნაწილების წარმოებას.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მაჯის და ყველა ტიპის საათების წარმოებას, მათ შორის ხელსაწყოთა პანელებისათვის
- საათების კორპუსების წარმოებას, მათ შორის ძვირფასი ლითონისაგან
- დროის სარეგისტრაციო ხელსაწყოების და დროის ინტერვალების საზომი, მარეგისტრირებელი და დროის ამსახველი სხვა მოწყობილობების წარმოებას საათის მექანიზმით ან სინქრონიზატორით, როგორცაა:
  - ავტოსადგომებზე დროის მრიცხველები
  - სატაბელო საათები
  - დროის/თარიღის ნიშნულები
  - პროცესების ტაიმერები
- დროის გადამრთველების და სხვა რეგულაციების წარმოებას საათის მექანიზმით ან სინქრონიზატორით:
  - საკეტები საათის მექანიზმით
- საათების კომპონენტების წარმოებას:
  - ყველა სახის საათის მექანიზმების
  - ზამბარების, ძვირფასი ქვების, ციფერბლატების, სახელურების, ფირფიტების, ხიდების და სხვა ნაწილების
  - საათების კორპუსების და ფუტლარების, ნებისმიერი მასალისაგან

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საათის არალითონური სამაჯურების წარმოებას (ტექსტილის, ტყავის, პლასტმასის), იხ. 15.12.0
- საათის სამაჯურების წარმოებას ძვირფასი ლითონებისაგან, იხ. 32.12.0

- საათის სამაჯურების წარმოებას არაძვირფასი ლითონებისაგან, იხ. 32.13.0

**26.6 ირადიაციული, ელექტროსამედიცინო და ელექტროთერაპიული მოწყობილობების წარმოება**

**26.60 ირადიაციული, ელექტროსამედიცინო და ელექტროთერაპიული მოწყობილობების წარმოება**

**26.60.0 ირადიაციული, ელექტროსამედიცინო და ელექტროთერაპიული მოწყობილობების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ირადიაციული მოწყობილობების და სამარჯვების წარმოებას (მაგალითად, სამრეწველო, სამედიცინო დიაგნოსტიკური, სამედიცინო თერაპიული, კვლევითი, სამეცნიერო):
  - ბეტა-, გამა-, რენტგენული ან სხვა რადიაციული მოწყობილობის
- კომპიუტერული ტომოგრაფიის (CT) სკანერების წარმოებას
- პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET) სკანერების წარმოებას
- მაგნიტურ-რეზონანსული გამოსახულების (MRI) მისაღები მოწყობილობების წარმოებას
- სამედიცინო ულტრაბგერითი მოწყობილობების წარმოებას
- ელექტროკარდიოგრაფების წარმოებას
- ელექტროსამედიცინო ენდოსკოპური მოწყობილობების წარმოებას
- სამედიცინო ლაზერული მოწყობილობების წარმოებას
- გულის ელექტრონული სტიმულატორების წარმოებას
- სმენის აპარატების წარმოებას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ირადიაციული მოწყობილობების წარმოებას კვების და რძის პროდუქტებისათვის

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სოლარიუმების წარმოებას, იხ. 28.99.0

**26.7 ოპტიკური ინსტრუმენტების და ფოტოგრაფიული მოწყობილობების წარმოება**

**26.70 ოპტიკური ინსტრუმენტების და ფოტოგრაფიული მოწყობილობების წარმოება**

**26.70.0 ოპტიკური ინსტრუმენტების და ფოტოგრაფიული მოწყობილობების წარმოება**

ეს ქვეკლასი შეიცავს ოპტიკური ინსტრუმენტების და ლინზების წარმოებას, როგორცაა ბინოკლები, მიკროსკოპები (ელექტრონული და პროტონული გარდა), ტელესკოპები, პრიზმები და ლინზები (ოფთალმოლოგიურის გარდა);

ლინზების დაფარვას ან პოლირებას (ოფთალმოლოგიურის გარდა), ლინზების ჩასმას (ოფთალმოლოგიურის გარდა) და ფოტოგრაფიული მოწყობილობების წარმოებას, როგორცაა ფოტოაპარატები და სინათლის საზომი ხელსაწყოები.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ოპტიკური სარკეების წარმოებას
- იარაღის სამიზნე ოპტიკური მოწყობილობების წარმოებას
- ოპტიკური პოზიციონირების მოწყობილობების წარმოებას
- ოპტიკური გამადიდებელი ინსტრუმენტების წარმოებას
- ზუსტი ოპტიკური ინსტრუმენტების წარმოებას
- ოპტიკური კომპარატორების წარმოებას
- ფირის და ციფრული ფოტოაპარატების წარმოებას
- კინო- და ფოტოპროექტორების წარმოებას
- სლაიდების საჩვენებელი პროექტორების წარმოებას
- ოპტიკური საზომი და მარეგისტრირებელი ხელსაწყოების და ინსტრუმენტების წარმოებას (მაგალითად, ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების, ფოტომეტრების, მანძილსაზომების)
- ლინზების, ოპტიკური მიკროსკოპების, ბინოკლების და ტელესკოპების წარმოებას
- ლაზერული მოწყობილობების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კომპიუტერული პროექტორების წარმოებას, იხ. 26.20.0
- კომერციული ტელე- და ვიდეოკამერების წარმოებას, იხ. 26.30.0
- ვიდეოკამერების წარმოებას საყოფაცხოვრებო მოხმარებისათვის, იხ. 26.40.0
- დაკომპლექტებული მოწყობილობების წარმოებას ლაზერული კომპონენტების გამოყენებით, იხ. დამამუშავებელი მრეწველობის ქვეკლასი მოწყობილობის ტიპის შესაბამისად (მაგალითად, სამედიცინო ლაზერული მოწყობილობები, იხ. 26.60.0)
- ფოტოპირდაგასადები მოწყობილობების წარმოებას, იხ. 28.23.0
- ოფთალმოლოგიური საქონლის წარმოებას, იხ. 32.50.0

## **26.8 მაგნიტური და ოპტიკური მედია საშუალებების წარმოება**

### **26.80 მაგნიტური და ოპტიკური მედია საშუალებების წარმოება**

#### **26.80.0 მაგნიტური და ოპტიკური მედია საშუალებების წარმოება**

მოცემული ქვეკლასი შეიცავს მაგნიტური და ოპტიკური მედია საშუალებების წარმოებას.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ცარიელი მაგნიტური აუდიო და ვიდეო ფირების წარმოებას
- ცარიელი მაგნიტური აუდიო და ვიდეო კასეტების წარმოებას
- ცარიელი დისკეტების წარმოებას

- ცარიელი ოპტიკური დისკების წარმოებას
- ხისტი მედია მატარებლების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მედია ჩანაწერების (კომპიუტერული, ვიდეო, ბგერითი და მისთ.) აღწარმოებას, იხ. 18.2

## **27 ელექტრული მოწყობილობების წარმოება**

ეს განყოფილება შეიცავს პროდუქციის წარმოებას, რომელიც ახდენს ელექტროენერჯის წარმოებას, განაწილებას და მოხმარებას. ეს განყოფილება აგრეთვე შეიცავს ელექტრული სანათი, სასიგნალო მოწყობილობების და საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების წარმოებას.

ეს განყოფილება არ შეიცავს ელექტრონული პროდუქციის წარმოებას (იხ. განყოფილება 26).

### **27.1 ელექტროძრავების, გენერატორების, ტრანსფორმატორების და ელექტრო-გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურის წარმოება**

ეს ჯგუფი შეიცავს ძალური, გამანაწილებელი და სპეციალური ტრანსფორმატორების, ელექტროძრავების, გენერატორების და მოტორ-გენერატორების წარმოებას.

#### **27.11 ელექტროძრავების, გენერატორების და ტრანსფორმატორების წარმოება**

##### **27.11.0 ელექტროძრავების, გენერატორების და ტრანსფორმატორების წარმოება**

ეს ქვეკლასი შეიცავს ყველა სახის ელექტროძრავების და ტრანსფორმატორების წარმოებას ცვლადი, მუდმივი და ცვლადი/მუდმივი დენის წყაროთი.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ელექტროძრავების წარმოებას (შიგაწვის ძრავების გარდა)
- გამანაწილებელი ელექტროტრანსფორმატორების წარმოებას
- რკალური შედუღების ტრანსფორმატორების წარმოებას
- ფლუორესცენტული ბარეტერების (ტრანსფორმატორების) წარმოებას
- ქვესადგურების ტრანსფორმატორების წარმოებას ელექტროენერჯის გასანაწილებლად
- ელექტრული ძაბვის გადამცემი და გამანაწილებელი რეგულატორების წარმოებას
- ძალური გენერატორების წარმოებას (შიგაწვის ძრავებისათვის აკუმულატორული ბატარეების დამტენი ალტერნატორების გარდა)
- ძრავიანი გენერატორული აგრეგატების წარმოებას (ტურბინული გენერატორული აგრეგატების გარდა)
- ქარხნული წესით ძრავის ღუზების დახვევას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ელექტრონული კომპონენტის მქონე ტრანსფორმატორების და გადამრთველების წარმოებას, იხ. 26.11.0
- ელექტროსამშენობლო და ელექტროსარჩილავი მოწყობილობების წარმოებას, იხ. 27.90.0
- მყარი გარდამქმნელების, რექტიფიკატორების და კონვერტერების წარმოებას, იხ. 27.90.0
- ტურბოგენერატორული დანადგარების წარმოებას, იხ. 28.11.0
- ამუშავების ძრავების და გენერატორების წარმოებას შიგაწვის ძრავებისათვის, იხ. 29.31.0

## **27.12 ელექტროგამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურის წარმოება**

### **27.12.0 ელექტროგამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურის წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ელექტროკვების გამომრთველების წარმოებას
- ძაბვის შემზღვევების წარმოებას (ძაბვის დონის დასარეგულირებლად)
- საკონტროლო პანელების წარმოებას ელექტროდენის გასანაწილებლად
- ელექტრული რელების წარმოებას
- კაბელების წარმოებას ელექტრული გამანაწილებელი აპარატურისათვის
- ელექტრული დამცველების წარმოებას
- სიმძლავრის გადასართველი მოწყობილობების წარმოებას
- ელექტროდენის გადასართველების წარმოებას (ასამუშავებელი ღილაკების, სწრაფი გამომრთველების, სოლენოიდების, ტუმბლერების გარდა)
- ასამუშავებელი გენერატორული აგრეგატების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- გარემოს და საწარმოო პროცესების მაკონტროლებელი ინსტრუმენტების წარმოებას, იხ. 26.51.0
- ელექტრული წრედის გადასართველების წარმოებას, როგორცაა ასამუშავებელი ღილაკები და სწრაფი გამომრთველები, იხ. 27.33.0

## **27.2 ბატარეების და აკუმულატორების წარმოება**

### **27.20 ბატარეების და აკუმულატორების წარმოება**

#### **27.20.0 ბატარეების და აკუმულატორების წარმოება**

ეს ქვეკლასი შეიცავს კვლავმუხტვადი და არაკვლავმუხტვადი ბატარეების წარმოებას.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- პირველადი ელემენტების და ბატარეების წარმოებას:

- მანგანუმის დიოქსიდების, ვერცხლისწყლის დიოქსიდების, ვერცხლის ოქსიდების და მისთ. შემცველი ელემენტების
- ელექტრული აკუმულატორების წარმოებას, მათი ნაწილების ჩათვლით
  - სეპარატორების, კონტეინერების, ხუფების
- ტყვია-მუავას ბატარეების წარმოებას
- ნიკელ-კადმიუმის ბატარეების წარმოებას
- ნიკელ-მეტალ-ჰიდრიდული ბატარეების წარმოებას
- ლითიუმის ბატარეების წარმოებას
- მშრალი ბატარეების წარმოებას
- თხევადი ელექტროლიტით მომუშავე ბატარეების წარმოებას

### **27.3 ელექტროსადენების და ელექტროსადენი მოწყობილობების წარმოება**

ეს ჯგუფი შეიცავს ნებისმიერი მასალის დენგამტარი და დენგაუმტარი სადენიანი მოწყობილობების წარმოებას ელექტრომომარაგების სისტემებისათვის. მოცემული ჯგუფი აგრეთვე შეიცავს სადენების იზოლაციას და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების წარმოებას.

#### **27.31 ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების წარმოება**

##### **27.31.0 ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების წარმოებას მონაცემთა გადაცემის ან გამოსახულების პირდაპირი გადაცემისათვის

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მინაბოჭკოს ან კაბელის ძარღვის წარმოებას, იხ. 23.14.0
- ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის შემცველი ხელსაწყოების და კონექტორების ან სხვა სამარჯვების შემცველი შემადგენლების წარმოებას, იხ. ჯგუფი დანიშნულების მიხედვით, მაგალითად 26.11.0

#### **27.32 სხვა ელექტრონული და ელექტრული გამტარების და კაბელების წარმოება**

##### **27.32.0 სხვა ელექტრონული და ელექტრული გამტარების და კაბელების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- იზოლირებული გამტარების და კაბელების წარმოებას, ფოლადის, სპილენძის და ალუმინისაგან

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მავთულის წარმოებას (გამოჭიმვას), იხ. 24.34.0, 24.41.0, 24.42.0, 24.43.0, 24.44.0, 24.45.0
- კაბელების წარმოებას კომპიუტერების, პრინტერების, USB-პორტების და სხვა მაკომპლექტებლებისათვის, იხ. 26.11.0
- ელექტრული ბაგირების ნაკრებების წარმოებას იზოლირებული მავთულით და კონექტორებით, იხ. 27.90.0
- კაბელების ნაკრებების, ელექტროგამტარების და მსგავსი საკაბელო ნაკრებების ან მაკომპლექტებლების წარმოებას საავტომობილო გამოყენებისათვის, იხ. 29.31.0

## **27.33 სადენიანი ხელსაწყოების წარმოება**

### **27.33.0 სადენიანი ხელსაწყოების წარმოება**

ეს ქვეკლასი შეიცავს ნებისმიერი მასალის დენგამტარი და დენგაუმტარი სადენიანი მოწყობილობების წარმოებას ელექტრომომარაგების სისტემებისათვის.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- დენმიმცვანი სალტეების, ელექტროგამტარების წარმოებას (საკომუტაციო აპარატურის გარდა)
- ჩამიწების წრედის გამომრთველების (GFCI) წარმოებას
- ნათურის ვაზნების წარმოებას
- გადამეტაბვისგან დასაცავად განმმუხტველების და ინდუქციური კოჭების წარმოებას
- გადამრთველების წარმოებას ელექტროგაყვანილობისათვის (მაგალითად, წნევის, ასამუშავებელი დილაკების, სწრაფი გადამრთველების, გადამრთველი ტუმბლერების)
- ელექტრული შტეფსელების და როზეტების წარმოებას
- კოლოფების წარმოებას ელექტროგაყვანილობისათვის (მაგალითად, გამანაწილებლების, შტეფსელების, გადამრთველი კოლოფების)
- ელექტრული საიზოლაციო მილსადენების და ფიტინგების წარმოებას
- გადამცემი ბოძების და ხაზების მოწყობილობების წარმოებას
- პლასტიკური დენგაუმტარი სადენიანი ხელსაწყოების წარმოებას, პლასტიკური გამანაწილებელი კოლოფების, გარე პლატების და მისთ., პლასტიკური ბოძების ხაზების ფიტინგების და გადამრთველი ხუფების ჩათვლით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კერამიკული იზოლატორების წარმოებას, იხ. 23.43.0
- ელექტრონული კომპონენტური ტიპის კონექტორების, როზეტების და გამომრთველების წარმოებას, იხ. 26.11.0

## **27.4 ელექტროსანათი მოწყობილობების წარმოება**

## 27.40 ელექტროსანათი მოწყობილობების წარმოება

### 27.40.0 ელექტროსანათი მოწყობილობების წარმოება

ეს ქვეკლასი შეიცავს ელექტრული ნათურების და მილაკების და მათი ნაწილების და კომპონენტების (ელექტრონათურების მინის კორპუსების გარდა), ელექტროსანათი ხელსაწყოების და სანათი ხელსაწყოების კომპონენტების წარმოებას (დენგამტარი საკაბელო მოწყობილობების გარდა).

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- განმუხტვადი, ვარვარის, ფლუორესცენტული, ულტრაიისფერი, ინფრაწითელი და მისთ. ლამპების, ხელსაწყოების და ნათურების წარმოებას
- ჭერის სანათი საკუთნოების წარმოებას
- ჭაღების წარმოებას
- სამაგიდო ლამპების (სანათი საკუთნოების) წარმოებას
- სანათი კომპლექტების წარმოებას საახალწლო ნაძვის ხეებისათვის
- ელექტრული ბუხრების “მორების” წარმოებას
- ხელის ელექტრული ფარნების წარმოებას
- მწერების გასანადგურებელი ელექტროლამპების წარმოებას
- ფარნების წარმოებას (მაგალითად, კარბიდული, ელექტრული, აირის, გაზოლინის, ნავთის)
- პროექტორების წარმოებას
- ქუჩის სანათი მოწყობილობების წარმოებას (შუქნიშნების გარდა)
- სანათი მოწყობილობების წარმოებას სატრანსპორტო საშუალებებისათვის (მაგალითად, ავტომობილებისათვის, საჰაერო ხომალდებისათვის, ნავეებისათვის)

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- არაელექტრული სანათი მოწყობილობების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მინის ნაკეთობების და მინის ნაწილების წარმოებას სანათი მოწყობილობებისათვის, იხ. 23.19.0
- დენგამტარი სადენი ხელსაწყოების წარმოებას სანათი მოწყობილობებისათვის, იხ. 27.33.0
- ჭერის ან სააბაზანო ვენტილატორების წარმოებას სანათი მოწყობილობების შემცველ კომპონენტებთან ერთად, იხ. 27.51.0
- სასიგნალო ელექტრომოწყობილობების წარმოებას, როგორცაა შუქნიშნები, საგზაო სასიგნალო მოწყობილობები ფეხით მოსიარულეთათვის, იხ. 27.90.0
- ელექტრული ნიშნულების წარმოებას, იხ. 27.90.0

## 27.5 საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების წარმოება

ეს ჯგუფი შეიცავს მცირე ზომის ელექტრული ხელსაწყოების და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტროხელსაწყოების, საყოფაცხოვრებო

ტიპის ვენტილატორების, მტვერსასრუტების, იატაკის მოვლის მანქანების, საჭმლის მოსამზადებელი ხელსაწყოების, სარეცხი მოწყობილობების, მაცივრების, საყინავი კამერების და სხვა ელექტრული და არაელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების, როგორცაა ჭურჭლის სარეცხი მანქანები, წყალგამაცხელებლები და ნაგვის განადგურების ხელსაწყოები, წარმოებას. ეს ჯგუფი აგრეთვე შეიცავს ელექტრული, აირის ან სხვა საწვავზე მომუშავე ხელსაწყოების წარმოებას.

## 27.51 ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების წარმოება

### 27.51.0 ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების წარმოებას:
  - მაცივრების
  - საყინავი კამერების
  - ჭურჭლის სარეცხი მანქანების
  - სარეცხი და საშრობი მანქანების
  - მტვერსასრუტების
  - იატაკის საპრიალებლების
  - ნარჩენების გასანადგურებელი ხელსაწყოების
  - დამაქუცმაცებლების, ბლენდერების, წვეწვანების
  - ქილების გასახსნელების/საკონსერვო დანების
  - ელექტროსაპარსების, კბილის ელექტროჯაგრისების და პირადი მოხმარების სხვა ელექტრული საკუთნობების
  - დანების სალესების
  - სავენტილაციო გამწოვი ხელსაწყოების
- საყოფაცხოვრებო ელექტროთერმული ხელსაწყოების წარმოებას:
  - ელექტრული წყალგამაცხელებლების
  - ელექტრული საბნების
  - თმის ელექტრული საშრობების, სავარცხლების, ჯაგრისების, სახვევების
  - ელექტრული უთოების
  - პორტატული ჰაერის ელექტროგამათბობლების და საყოფაცხოვრებო ვენტილატორების
  - ელექტროღუმელების
  - მიკროტალღური ღუმელების
  - ელექტროქურების, საცხობი კარადების
  - ტოსტერების
  - ელექტროყავადნების ან ელექტროჩაიდნების
  - ელექტროტაფების, მაყალის, გრილების, სწრაფსახარშების
  - ელექტროსახურებელი რეზისტორების და მისთ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კომერციული და სამრეწველო მაცივრების და საყინავი კამერების, ოთახის კონდიციონერების, ჭერის ვენტილატორების, სტაციონარული გამათბობლების და კომერციული და გამწოვი ვენტილატორების, კომერციული სამზარეულო მოწყობილობების, კომერციული ტიპის სამრეცხაოების, მშრალი წმენდის და გასაუთოებელი მოწყობილობების;

კომერციული, სამრეწველო და ინსტიტუციური მტვერსასრუტების წარმოებას, იხ. განყოფილება 28

- საყოფაცხოვრებო საკერავი მანქანების წარმოებას, იხ. 28.94.0
- ცენტრალური გამწოვი სისტემების დაყენებას, იხ. 43.29.0

## **27.52 არაელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების წარმოება**

### **27.52.0 არაელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საყოფაცხოვრებო არაელექტრული სამზარეულო მოწყობილობების და გამათბობლების წარმოებას:
  - არაელექტრული გამათბობლების, საკვების მოსამზადებელი ქურების, მაყალის, ღუმელების, წყლის გამაცხელებლების, სამზარეულო ხელსაწყოების, თევშების შემათბობლების

## **27.9 სხვა ელექტრული მოწყობილობების წარმოება**

### **27.90 სხვა ელექტრული მოწყობილობების წარმოება**

#### **27.90.0 სხვა ელექტრული მოწყობილობების წარმოება**

ეს ქვეკლასი შეიცავს სხვადასხვა ელექტრული მოწყობილობების წარმოებას, ძრავების, გენერატორების და ტრანსფორმატორების, ბატარეების და აკუმულატორების, სადენების და სადენი მოწყობილობების, სანათი ან საყოფაცხოვრებო მოწყობილობების გარდა.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მყარი ბატარეების სამუხტავი მოწყობილობების წარმოებას
- კარის გამღები და დამკეტი ელექტრომოწყობილობების წარმოებას
- ელექტრული ზარების წარმოებას
- საგრძელებელი კაბელების წარმოებას შეძენილი იზოლირებული მავთულისაგან
- ულტრაბერითი საწმენდი მანქანების წარმოებას (ლაბორატორიული და სტომატოლოგიურის გარდა)
- ინვერტერების, სარექტიფიკაციო აპარატების, სათბობი ბატარეების, მარეგულირებელი და არამარეგულირებელი კვების წყაროების წარმოებას
- შეუფერხებელი კვების წყაროების (UPS) წარმოებას
- ძაბვის შემზღვევლების წარმოებას (ძაბვის დონის რეგულირების გარდა)
- მოწყობილობის კაბელების, საგრძელებელი კაბელების და სხვა სახის ელექტრული კაბელების წარმოებას იზოლირებული სადენით და კონექტორებით
- ნახშირის და გრაფიტის ელექტროდების, კონტაქტების და ნახშირის და გრაფიტის სხვა ელექტრული პროდუქტების წარმოებას
- ნაწილაკების ამაჩქარებლების წარმოებას

- ელექტრული კონდენსატორების, რეზისტორების და მსგავსი კომპონენტების წარმოებას
- ელექტრომაგნიტების წარმოებას
- სირენების წარმოებას
- ელექტროტაბლოების წარმოებას
- ელექტრული ნიშნულების წარმოებას
- ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების წარმოებას, როგორცაა შუქნიშნები და საგზაო სასიგნალო მოწყობილობები ფეხით მოსიარულეთათვის
- ელექტრული იზოლატორების (მინის ან ფაიფურის გარდა)
- ელექტროშემდუღებელი და სარჩილავი მოწყობილობების წარმოებას, ხელის სარჩილავი უთოების ჩათვლით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ფაიფურის ელექტრული იზოლატორების წარმოებას, იხ. 23.43.0
- ნახშირის და გრაფიტის ბოჭკოს და პროდუქტების წარმოებას (ელექტროდების და ელექტრული კომპონენტების გარდა), იხ. 23.99.0
- ელექტრული კომპონენტური ტიპის რექტიფიკატორების, ძაბვის მარეგულირებელი ინტეგრალური სქემების, ძაბვის გარდამქმნელი ინტეგრალური სქემების, ელექტრონული კონდენსატორების, რეზისტორების და მსგავსი ხელსაწყოების წარმოებას, იხ. 26.11.0
- ტრანსფორმატორების, ძრავების, გენერატორების, საკომუტაციო აპარატურის, რელეების და კონტროლის სამრეწველო ხელსაწყოების წარმოებას, იხ. 27.1
- ბატარეების წარმოებას, იხ. 27.20.0
- საკომუნიკაციო და ენერგოსადენების, დენგამტარი და დენგაუმტარი სადენი მოწყობილობების წარმოებას, იხ. 27.3
- სანათი მოწყობილობების წარმოებას, იხ. 27.40.0
- საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების წარმოებას, იხ. 27.5
- არაელექტრული საშემდუღებლო და სარჩილავი მოწყობილობების წარმოებას, იხ. 28.29.0
- სატრანსპორტო საშუალებებისათვის ელექტრული მოწყობილობების წარმოებას, როგორცაა გენერატორები, ალტერნატორები, ამნთები სანთლები, ანთების სისტემის ელექტროგაყვანილობები, ფანჯრების/კარების ავტომატური სისტემები, ძაბვის რეგულატორები, იხ. 29.31.0

**28 მანქანების და მოწყობილობების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის**

ეს განყოფილება შეიცავს მანქანების და მოწყობილობების წარმოებას, რომლებიც დამოუკიდებლად ახდენენ მასალებზე მექანიკურ ან თერმულ ზემოქმედებას ან აწარმოებენ აღნიშნულ მასალებზე სხვადასხვა ოპერაციებს (როგორცაა სატვირთავ-გასატვირთავი საშუალებები, დაფრქვევა, აწონა ან შეფუთვა), მათი მექანიკური კომპონენტების და სპეციალურად წარმოებული ძირითადი ნაწილების ჩათვლით. ეს განყოფილება შეიცავს უძრავი და მობილური ან პორტატული მოწყობილობების წარმოებას, მიუხედავად იმისა,

არიან თუ არა ისინი წარმოებული სამრეწველო, სამშენებლო და სამოქალაქო ობიექტებისათვის, სასოფლო-სამეურნეო ან საყოფაცხოვრებო გამოყენებისათვის. ეს განყოფილება აგრეთვე შეიცავს სპეციალიზებული მოწყობილობების წარმოებას სამგზავრო ან სატვირთო ტრანსპორტისათვის.

ეს განყოფილება განასხვავებს სპეციალიზებული მანქანების წარმოებას, ე.ი. მანქანების, რომლებიც გამოიყენება NACE-ის კონკრეტულ დარგში ან დარგების მცირე ჯგუფში და საერთო დანიშნულების მანქანების წარმოებას, რომლებიც გამოიყენება NACE-ის დარგების ფართო წრეში.

ეს განყოფილება აგრეთვე შეიცავს სხვა სპეციალიზებული მანქანების წარმოებას, რომელიც არ არის ჩართული კლასიფიკატორის სხვა ნაწილებში, საწარმოო პროცესში ჩართულობის მიუხედავად, როგორცაა დასვენების პარკების მოწყობილობები, ავტომატური კეგელბანის მოწყობილობები და ა.შ.

ეს განყოფილება არ შეიცავს საერთო დანიშნულების ლითონის პროდუქციის (განყოფილება 25), მასთან დაკავშირებული საკონტროლო მოწყობილობების, კომპიუტერული მოწყობილობების, საზომი და ტესტირების მოწყობილობების, ელექტროენერჯის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურის (განყოფილება 26 და 27) და საერთო დანიშნულების ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებების (განყოფილება 29 და 30) წარმოებას.

## 28.1 საერთო დანიშნულების მანქანების წარმოება

28.11 ძრავების და ტურბინების წარმოება, საფრენი აპარატების, ავტოტრანსპორტის და მოტოციკლების ძრავების გარდა

28.11.0 ძრავების და ტურბინების წარმოება, საფრენი აპარატების, ავტოტრანსპორტის და მოტოციკლების ძრავების გარდა

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- დგუშიანი შიგაწვის ძრავების წარმოებას, ავტომოტრანსპორტის, საჰაერო ხომალდების და მოტოციკლების წვევის ძრავების გარდა:
  - გემების ძრავების
  - რკინიგზის ძრავების
- დგუშების, დგუშის რგოლების, კარბურატორების და მისთ. წარმოებას შიგაწვის ყველა ტიპის ძრავებისათვის, დიზელის ძრავებისათვის და მისთ.
- შემშვები და გამოსაბოლქვი ვენტილების წარმოებას შიგაწვის ძრავებისათვის
- ტურბინების და მათი ნაწილების წარმოებას:
  - წყლის ორთქლის და სხვა ორთქლის ტურბინების
  - ჰიდრავლიკური ტურბინების, წყლის თვლების და მათი რეგულატორების
  - ქარის ტურბინების
  - აირტურბინების, საჰაერო ხომალდების ტურბორეაქტიული ან ტურბოხრახნული ძრავების გარდა
- ბოილერ-ტურბინული დანადგარების წარმოებას

- ტურბოგენერატორული დანადგარების წარმოებას
- სამრეწველო დანიშნულების ძრავების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ელექტრული გენერატორების წარმოებას (ტურბოგენერატორული დანადგარების გარდა), იხ. 27.11.0
- გამწვები გენერატორული დანადგარების წარმოებას (ტურბოგენერატორული დანადგარების გარდა), იხ. 27.11.0
- ელექტრული მოწყობილობების და კომპონენტების წარმოებას შიგაწვის ძრავებისათვის, იხ. 29.31.0
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების, საჰაერო ხომალდების და მოტოციკლების წვეის ძრავების წარმოებას, იხ. 29.10.0, 30.30.0, 30.91.0
- ტურბორეაქტიული და ტურბოხრაახნულიძრავებისწარმოებას, იხ. 30.30.0

## 28.12 ჰიდრაულიკური და პნევმატური მოწყობილობების წარმოება

### 28.12.0 ჰიდრაულიკური და პნევმატური მოწყობილობების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ჰიდრაულიკური და პნევმატური კომპონენტების წარმოებას (ჰიდრაულიკური ტუმბოების, ჰიდრაულიკური ძრავების, ჰიდრაულიკური და პნევმატური ცილინდრების, ჰიდრაულიკური და პნევმატური სარქველების, ჰიდრაულიკური და პნევმატური შლანგების და ფიტინგების ჩათვლით)
- შეკუმშული ჰაერის გამწმენდი მოწყობილობების წარმოებას პნევმატურ სისტემებში გამოსაყენებლად
- ჰიდრაულიკური და პნევმატური სისტემების წარმოებას
- ჰიდრაულიკური გადამცემი მოწყობილობების წარმოებას
- ჰიდროსტატიკური გადამცემების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კომპრესორების წარმოებას, იხ. 28.13.0
- ტუმბოების წარმოებას არაჰიდრაულიკური გამოყენებისათვის, იხ. 28.13.0
- სარქველების წარმოებას ჰიდრაულიკური და პნევმატური გამოყენებისათვის, იხ. 28.14.0
- მექანიკური გადამცემი მოწყობილობების წარმოებას, იხ. 28.15.0

## 28.13 სხვა ტუმბოების და კომპრესორების წარმოება

### 28.13.0 სხვა ტუმბოების და კომპრესორების წარმოება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ჰაერის ან ვაკუუმური ტუმბოების, ჰაერის ან აირის სხვა კომპრესორების წარმოებას
- ტუმბოების წარმოებას სითხეებისათვის საზომი ხელსაწყოებით ან მათ გარეშე
- ტუმბოების წარმოებას შიგაწვის ძრავებისათვის განკუთვნილი: ზეთის, წყლის და საწვავის ტუმბოების, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის და მისთ.

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ხელის ტუმბოების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ჰიდრაულიკური და პნევმატური მოწყობილობების წარმოებას, იხ. 28.12.0

## **28.14 სხვა ონკანების და სარქველების წარმოება**

### **28.14.0 სხვა ონკანების და სარქველების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სამრეწველო ონკანების და სარქველების წარმოებას, მარეგულირებელი სარქველების და შემშვები ონკანების ჩათვლით
- სანიტარული ონკანების და სარქველების წარმოებას
- გათბობის ონკანების და სარქველების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სარქველების წარმოებას გაუმტკიცავი ვულკანიზებული რეზინის, მინის ან კერამიკული მასალებისაგან, იხ. 22.19.0, 23.19.0 ან 23.44.0
- შიგაწვის ძრავების შემშვები და გამომშვები სარქველების წარმოებას, იხ. 28.11.0
- ჰიდრაულიკური და პნევმატური სარქველების და ჰაერის გამწმენდი მოწყობილობების წარმოებას პნევმატურ სისტემებში გამოსაყენებლად, იხ. 28.12.0

## **28.15 საკისრების, კბილანების, კბილანა გადაცემების და ამძრავების ელემენტების წარმოება**

### **28.15.0 საკისრების, კბილანების, კბილანა გადაცემების და ამძრავების ელემენტების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ბურთულსაკისრების და გორგოლაჭოვანი საკისრების და მაკომპლექტებლების წარმოებას
- მექანიკური ძალური ტრანსმისიური მოწყობილობების წარმოებას:

- ტრანსმისიური ლილვების და მრუდმხარების: მუშტა ლილვების, მუხლა ლილვების, ლილვების და მისთ.
- საკისრების კორპუსების და ჩვეულებრივი ლილვის საკისრების
- კბილანების, კბილანა გადაცემების და გადაცემის კოლოფების და სიჩქარის სხვა შემცველებების წარმოებას
- მომჭერების და ლილვების ქუროების წარმოებას
- მქნევარების და ბორბლების წარმოებას
- სახსრიანი მაერთებელი ჯაჭვების წარმოებას
- ამძრავი ჯაჭვების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სხვა ჯაჭვების წარმოებას, იხ. 25.93.0
- ჰიდრავლიკური გადაცემის მოწყობილობების წარმოებას, იხ. 28.12.0
- ჰიდროსტატიკური გადაცემის კოლოფების წარმოებას, იხ. 28.12.0
- ელექტრომაგნიტური გადაბმულობების წარმოებას, იხ. 29.31.0
- სათადარიგო ნაკრებების წარმოებას ძალური ტრანსმისიური მოწყობილობებისათვის, როგორცაა ავტოსატრანსპორტო საშუალებები ან საჰაერო ხომალდები, იხ. განყოფილებები 29 და 30

## **28.2 ზოგადი დანიშნულების სხვა ტექნიკის წარმოება**

### **28.21 ღუმელების და ღუმელების სანთურების წარმოება**

#### **28.21.0 ღუმელების და ღუმელების სანთურების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ელექტრული და სხვა სამრეწველო და ლაბორატორიული ღუმელების წარმოებას, კრემაციური და ნარჩენების საწვავი ღუმელების (ინსინერატორების) ჩათვლით
- სანთურების წარმოებას
- სტაციონარული ელექტროსახურებლების, საცურაო აუზების ელექტროსახურებლების წარმოებას
- საყოფაცხოვრებო დანიშნულების სტაციონარული არაელექტრული სახურებელი მოწყობილობების წარმოებას, როგორცაა მზის გამათბობლები, ორთქლის გამათბობლები, ზეთის გამათბობლები და მსგავსი ღუმელები და გამათბობელი მოწყობილობები
- საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტრული ღუმელების წარმოებას (დაჭირხნული ჰაერის ელექტროღუმელების, თბური ტუმბოების და მისთ.), დაჭირხნული ჰაერის არაელექტრული ღუმელების

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- მექანიკური საცეცხლეების (სტოკერების), ცეცხლრიკების, ნაცრის მოსაცილებლების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საყოფაცხოვრებო ღუმელების წარმოებას, იხ. 27.51.0

- სასოფლო-სამეურნეო საშრობების წარმოებას, იხ. 28.93.0
- საცხოობი ღუმელების წარმოებას, 28.93.0
- მერქნის, ქაღალდის მასის, ქაღალდის ან მუყაოს საშრობების წარმოებას, იხ. 28.99.0
- სამედიცინო, ქირურგიული ან ლაბორატორიული სტერილიზატორების წარმოებას, იხ. 32.50.0
- (სტომატოლოგიური) ლაბორატორიული ღუმელების წარმოებას, იხ. 32.50.0

**28.22 ამწე-სატრანსპორტო, სატვირთავ-გასატვირთავი და სასაწყობო მოწყობილობების წარმოება**

**28.22.0 ამწე-სატრანსპორტო, სატვირთავ-გასატვირთავი და სასაწყობო მოწყობილობების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ხელით მართული ან ძრავიანი ამწე-სატრანსპორტო, სატვირთავ-გასატვირთავი მანქანების წარმოებას:
  - ამწევი ტალღების და საწვეველების, ჯალამბრების, კაბესტანების და დომკრატების
  - დერიკ-ამწეების, მოძრავი ამწევი ჩარჩოების, პორტალური სატვირთველების და მისთ.
  - სატვირთო საწვევარების, ამწე-სატრანსპორტო ან სატვირთავ-გასატვირთავი მოწყობილობებით ან მათ გარეშე, თვითმავალი ან არათვითმავალი, საწარმოში გამოსაყენებელი ტიპის (ხელის და საბარგო ურიკების ჩათვლით)
  - აწევის, ტრანსპორტირების, დატვირთვის ან განტვირთვისათვის სპეციალურად შემუშავებული მექანიკური მანიპულატორების და სამრეწველო რობოტების
- კონვეიერების, საბაგირო გზების და მისთ. წარმოებას
- ლიფტების, ესკალატორების და მოძრავი ბილიკების წარმოებას
- ნაწილების წარმოებას ამწე-სატრანსპორტო ან სატვირთავ-გასატვირთავი მოწყობილობებისათვის

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სამრეწველო რობოტების წარმოებას სხვადასხვა მიზნებისათვის, იხ. 28.99.0
- უწყვეტი მოქმედების ელევატორების და კონვეიერების წარმოებას მიწისქვეშა სამუშაოებისათვის, იხ. 28.92.0
- მექანიკური ექსკავატორების, ციცხვიანი სატვირთველების წარმოებას, იხ. 28.92.0
- მცურავი, სალიანდაგო ამწეების და ამწე-სატვირთავების წარმოებას, იხ. 30.11.0, 30.20.0
- ლიფტების და ელევატორების დაყენებას (მონტაჟს), იხ. 43.29.0

**28.23 საოფისე ტექნიკის და მოწყობილობების წარმოება (კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების გარდა)**

**28.23.0 საოფისე ტექნიკის და მოწყობილობების წარმოება (კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების გარდა)**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მექანიკური გამომთვლელი მანქანების წარმოებას
- საანგარიშო მანქანების, სალარო აპარატების წარმოებას
- ელექტრონული და არაელექტრონული კალკულატორების წარმოებას
- საფოსტო მარკირების მანქანების, ფოსტის დასამუშავებელი მანქანების (კონვერტების შესავსები, დასალუქი და დასამისამართებელი; გახსნის, დახარისხების, სკანირების), დამკომპლექტებელი მანქანების წარმოებას
- საბეჭდი მანქანების წარმოებას
- სტენოგრაფიული მანქანების წარმოებას
- საოფისე საამკინძაო მოწყობილობების წარმოებას (მაგალითად, პლასტიკური ან ლენტური)
- ჩეკების ამოსაბეჭდი მანქანების წარმოებას
- მონეტების დასათვლელი და შესაფუთი ტექნიკის წარმოებას
- ფანქრის სათლელების წარმოებას
- სტეპლერების და ანტისტეპლერების წარმოებას
- ხმების დამთვლელი მანქანების წარმოებას
- წებოვანი ლენტების საჭერების წარმოებას
- სახვრეტების წარმოებას
- მექანიკური სალარო აპარატების წარმოებას
- ფოტოპირდაგასაღები აპარატების წარმოებას
- ტონერიანი კარტრიჯების წარმოებას
- ცარციით და მარკერით საწერი დაფების წარმოებას
- დიქტოფონების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების წარმოებას, იხ. 26.20.0

**28.24 ხელის მექანიზებული ინსტრუმენტების წარმოება**

**28.24.0 ხელის მექანიზებული ინსტრუმენტების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ხელის ინსტრუმენტების წარმოებას, ელექტრული ან არაელექტრული ძრავით ან მის გარეშე პნევმატური, როგორცაა:
  - დისკური ან ხერხუნის ტიპის ხერხები
  - ჯაჭვური ხერხები
  - ბურღები და სარტყამი ბურღები
  - ხელის ელექტრული სილასახეხი ჩარხები
  - პნევმატური ლურსმანჩამჭედები
  - ბუფერები

- სარანდავ-სანარიმანდე ჩარხები
- სახეხი ჩარხები
- სტეპლერები
- პნევმატური მოქლონების დასაჭედები
- სარანდი ჩარხები
- ლითონის საჭრელი მაკრატლები
- ქანჩის მოსაჭერები
- ლურსმანჩასაჭედი დაზგები

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- შენაცვლებადი მუშა ნაწილების წარმოებას ხელის ინსტრუმენტებისათვის, იხ. 25.73.0
- ხელის ელექტრული სარჩილავი და შესადულებელი მოწყობილობების წარმოებას, იხ. 27.90.0

**28.25 არასაყოფაცხოვრებო მაცივებელი და სავენტილაციო მოწყობილობების წარმოება**

**28.25.0 არასაყოფაცხოვრებო მაცივებელი და სავენტილაციო მოწყობილობების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საცივარი ან საყინავი სამრეწველო მოწყობილობების წარმოებას, მაკომპლექტებელი კომპონენტების ჩათვლით
- კონდიციონერების წარმოებას, ავტოსატრანსპორტო საშუალებების კონდიციონერების ჩათვლით
- არასაყოფაცხოვრებო ვენტილატორების წარმოებას
- თბოგადამცემების წარმოებას
- ტექნიკის წარმოებას ჰაერის ან აირის გათხევადებისათვის
- ჭერის (სხვენის) ვენტილატორების წარმოებას (ფრონტალური ვენტილატორების, სახურავის ვენტილატორების და მისთ.)

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საყოფაცხოვრებო საცივარი და საყინავი მოწყობილობების წარმოებას, იხ. 27.51.0
- საყოფაცხოვრებო ვენტილატორების წარმოებას, იხ. 27.51.0

**28.29 საერთო დანიშნულების სხვა მანქანების წარმოებას, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის**

**28.29.0 საერთო დანიშნულების სხვა მანქანების წარმოებას სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ასაწონი მოწყობილობების წარმოებას (ზუსტი ლაბორატორიული სასწორების გარდა):
  - საყოფაცხოვრებო და მაღაზიის სასწორების, პლატფორმული სასწორების, საქონლის უწყვეტი ნაკადის ასაწონი სასწორების, ხიდური სასწორების და მისთ.

- სითხეების საფილტრავი ან საწმენდი მანქანების და აპარატურის წარმოებას
- სითხეების ან ფხვნილების გამფრქვევი და გამშხეფი მოწყობილობების წარმოებას:
  - პულვერიზატორების, ცეცხლჩამქრობების, სილაჭავლური მანქანების, ორთქლჭავლური სარეცხი მანქანების და მისთ.
- შესაფუთი და შესახვევი მანქანების წარმოებას:
  - ამესები, საკეტი, სახუფი, დასაკაფსულებელი ან ეტიკეტების დამტანი მანქანების და მისთ.
- ბოთლების სარეცხი და საშრობი და სასმელების დასაგაზიანებელი მოწყობილობების წარმოებას
- სადისტილაციო ან საწმენდი დანადგარების წარმოებას ნავთობგადამამუშავებელი, ქიმიური ქარხნების, სასმელების მწარმოებელი ერთეულებისათვის და მისთ.
- აირის გენერატორების წარმოებას
- კალანდრების და სხვა საგლინავი მანქანების და მათი ცილინდრების წარმოებას (ლითონის და მინის გარდა)
- ცენტრიფუგების წარმოებას (ნაღების სეპარატორების და ტანსაცმლის საშრობების გარდა)
- ჩობალების და მსგავსი მაერთებლების წარმოებას კომბინირებული მასალებისაგან ან იმავე მასალების შუასადებებისაგან
- სავაჭრო ავტომატების წარმოებას
- ნიველირების, რულეტების და ხელის მსგავსი ინსტრუმენტების, საზეინკლო ზუსტი ინსტრუმენტების (ოპტიკურის გარდა) წარმოებას
- არაელექტრული შესადუღებელი და სარჩილავი მოწყობილობების წარმოებას
- შხეფსაცივრების და მისთ. წარმოებას პირდაპირი გაცივებისათვის წყლის რეცირკულაციის მეშვეობით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მგრძნობიარე (ლაბორატორიული ტიპის) სასწორების წარმოებას, იხ. 26.51.0
- საყოფაცხოვრებო საცივარი ან საყინავი მოწყობილობების წარმოებას, იხ. 27.51.0
- საყოფაცხოვრებო ვენტილატორების წარმოებას, იხ. 27.51.0
- ელექტრული საშემდუღებლო და სარჩილავი მოწყობილობების წარმოებას, იხ. 27.90.0
- სასოფლო-სამეურნეო გამფრქვევ-გამშხეფი ტექნიკის წარმოებას, იხ. 28.30.0
- ლითონების ან მინის საგლინავი მოწყობილობების და მათი ცილინდრების წარმოებას, იხ. 28.91.0, 28.99.0
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საშრობების წარმოებას, იხ. 28.93.0
- მანქანების წარმოებას კეების პროდუქტების გაფილტვრისა და გაწმენდისათვის, იხ. 28.93.0
- ნაღების სეპარატორების წარმოებას, იხ. 28.93.0
- ტანსაცმლის კომერციული საშრობების წარმოებას, იხ. 28.94.0
- ტექსტილის მოსაჩითი მანქანების წარმოებას, იხ. 28.94.0

## 28.3 სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო ტექნიკის წარმოება

### 28.30 სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო ტექნიკის წარმოება

#### 28.30.0 სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო ტექნიკის წარმოება

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- სასოფლო-სამეურნეო და სატყეო დანიშნულების ტრაქტორების წარმოებას
- ქვეითად მოსიარულე მძღოლის მიერ მართვადი ტრაქტორების წარმოებას
- სათიბელების წარმოებას, გაზონსათიბელების ჩათვლით
- სასოფლო-სამეურნეო თვითსატვირთავი ან თვითგასატვირთავი მისაბმელების ან ნახევარმისაბმელების წარმოებას
- ნიადაგის მოსამზადებელი, სათესი ან სასუქის შესატანი სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოებას:
  - გუთნების, ნაკელის საფანტავების, სათესელების, ფარცხების და მისთ.
- მოსავლის ასაღები და სალეწი მანქანების წარმოებას:
  - ასაღები მანქანების, სალეწების, დამხარისხებლების და მისთ.
- საწველი მანქანების წარმოებას
- სასხურებელი ტექნიკის წარმოებას სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის
- სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმოებას:
  - მეფრინველეობის, მეფუტკრეობის, საკვების მოსამზადებელი მოწყობილობების და მისთ.
  - მანქანების წარმოებას კვერცხის, ხილის და მისთ. გასუფთავების დახარისხების და დაკალიბრებისათვის

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

- ამძრავი მექანიზმის არმქონე სასოფლო-სამეურნეო ხელის ინსტრუმენტების წარმოებას, იხ. 25.73.0
- ფერმერებისათვის კონვეიერების წარმოებას, იხ. 28.22.0
- ხელის ძრავიანი ინსტრუმენტების წარმოებას, იხ. 28.24.0
- ნაღების სეპარატორების წარმოებას, იხ. 28.93.0
- თესლის, მარცვლეულის ან ხმელი პარკოსანი ბოსტნეულის გამწმენდი, დამხარისხებელი ან დამკალიბრებელი მანქანების წარმოებას, იხ. 28.93.0
- საგზაო საწვევარების წარმოებას ნახევარმისაბმელებისათვის, იხ. 29.10.0
ეს ჯგუფი შეიცავს საცალო ვაჭრობას სპეციალიზებულ მაღაზიებში კულტურული და სარეკრეაციო საქონლით, როგორცაა წიგნები, გაზეთები, მუსიკალური და ვიდეო ჩანაწერები, სპორტული მოწყობილობები, თამაშები და სათამაშოები.

47.61 საცალო ვაჭრობა წიგნებით სპეციალიზებულ მაღაზიებში

47.61.0 საცალო ვაჭრობა წიგნებით სპეციალიზებულ მაღაზიებში

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

– საცალო ვაჭრობას ყველა სახის წიგნებით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

– საცალო ვაჭრობას ნახმარი ან ანტიკვარული წიგნებით, იხ. 47.79.0

47.62 საცალო ვაჭრობა გაზეთებით და საკანცელარიო ნივთებით სპეციალიზებულ მაღაზიებში

47.62.0 საცალო ვაჭრობა გაზეთებით, ჟურნალებით და საკანცელარიო ნივთებით სპეციალიზებულ მაღაზიებში

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

– საცალო ვაჭრობას საოფისე საკუთნოებით, როგორცაა კალმისტრები, ფანქრები, ქაღალდი და მისთ.

47.63 საცალო ვაჭრობა მუსიკალური და ვიდეოჩანაწერებით სპეციალიზებულ მაღაზიებში

**47.63.0 საცალო ვაჭრობა მუსიკალური და ვიდეოჩანაწერებით სპეციალიზებულ მაღაზიებში**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საცალო ვაჭრობას მუსიკალური ჩანაწერებით, აუდიოფირებით, კომპაქტ-დისკებით და კასეტებით
- საცალო ვაჭრობას ვიდეოფირებით და DVD დისკებით

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- საცალო ვაჭრობას ცარიელი ფირებით და დისკებით

**47.64 საცალო ვაჭრობა სპორტული მოწყობილობებით სპეციალიზებულ მაღაზიებში**

**47.64.0 საცალო ვაჭრობა სპორტული მოწყობილობებით სპეციალიზებულ მაღაზიებში**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საცალო ვაჭრობას სპორტული საქონლით, სათევზაო საკუთნოებით, კემპინგის აღჭურვილობით, ნაგებობით და ველოსიპედებით

**47.65 საცალო ვაჭრობა თამაშებით და სათამაშოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში**

**47.65.0 საცალო ვაჭრობა თამაშებით და სათამაშოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საცალო ვაჭრობას სხვადასხვა მასალებისგან დამზადებული თამაშებით და სათამაშოებით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საცალო ვაჭრობას ვიდეოთამაშების პულტებით, იხ. 47.41.0
- საცალო ვაჭრობას სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფით, ვიდეოთამაშების ჩათვლით, იხ. 47.41.0

**47.7 საცალო ვაჭრობა სხვა საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში**

ეს ჯგუფი შეიცავს ვაჭრობას სპეციალიზებულ მაღაზიებში კლასიფიკაციის სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი განსაკუთრებული სახის პროდუქტებით, როგორცაა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავის ნაწარმი, ფარმაცევტული და სამედიცინო საქონელი, მაჯის საათები, სუვენირები, საწმენდი მასალები, იარაღი, ყვავილები, შინაური ბინადარი ცხოველები და მისთ. ამავე ჯგუფში შედის საცალო ვაჭრობა ნახმარი საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

**47.71 საცალო ვაჭრობა ტანსაცმლით სპეციალიზებულ მაღაზიებში**

**47.71.0 საცალო ვაჭრობა ტანსაცმლით სპეციალიზებულ მაღაზიებში**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საცალო ვაჭრობას ტანსაცმლით საცალო ვაჭრობას ბეწვეულის ნაწარმით
- საცალო ვაჭრობას ტანსაცმლის აქსესუარებით, როგორცაა ხელთათმანები, ჰალსტუხები, აჭიმები და მისთ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საცალო ვაჭრობას ტექსტილით, იხ. 47.51.0

**47.72 საცალო ვაჭრობა ფეხსაცმლით და ტყავის ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში**

**47.72.1 საცალო ვაჭრობა ფეხსაცმლით**

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საცალო ვაჭრობას სპეციალური სპორტული მოწყობილობების ფეხსაცმლით, როგორცაა სათხილამურო ფეხსაცმელი, იხ. 47.64.0

**47.72.2 საცალო ვაჭრობა ტყავის ნაწარმით**

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- საცალო ვაჭრობას სამგზავრო აქსესუარებით ტყავის და ტყავის შემცველებებისაგან

**47.73 საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში**

*ეს კლასი შეიცავს:*

- საცალო ვაჭრობას ფარმაცევტული ნაწარმით

**47.73.1 საცალო ვაჭრობა ვეტერინარული ფარმაცევტული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში**

**47.73.9 საცალო ვაჭრობა სხვა ფარმაცევტული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში**

**47.74 საცალო ვაჭრობა სამედიცინო და ორთოპედიული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში**

**47.74.0 საცალო ვაჭრობა სამედიცინო და ორთოპედიული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში**

**47.75 საცალო ვაჭრობა კოსმეტიკური და ტუალეტის ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში**

**47.75.0 საცალო ვაჭრობა კოსმეტიკური და ტუალეტის ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საცალო ვაჭრობას პარფიუმერული, კოსმეტიკური და ტუალეტის ნაწარმით

**47.76** საცალო ვაჭრობა ყვავილებით, მცენარეებით, თესლით, სასუქებით, შინაური ბინადარი ცხოველებით და შინაური ბინადარი ცხოველების საკვებით სპეციალიზებულ მაღაზიებში

**47.76.1** საცალო ვაჭრობა ყვავილებით, მცენარეებით, თესლით და სასუქებით სპეციალიზებულ მაღაზიებში

**47.76.2** საცალო ვაჭრობა შინაური ბინადარი ცხოველებით და შინაური ბინადარი ცხოველების საკვებით სპეციალიზებულ მაღაზიებში

**47.77** საცალო ვაჭრობა საათებით და საიუველირო ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში

**47.77.0** საცალო ვაჭრობა საათებით და საიუველირო ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში

**47.78** საცალო ვაჭრობა სხვა ახალი საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში

**47.78.0** საცალო ვაჭრობა სხვა ახალი საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში *ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საცალო ვაჭრობას ფოტოგრაფიული, ოპტიკური და ზუსტი ხელსაწყოებით
- ოპტიკოსების საქმიანობას
- საცალო ვაჭრობას სუვენირებით, ხელნაკეთებით და რელიგიური ნაკეთობებით
- კომერციული სამხატვრო გალერეების საქმიანობას
- საცალო ვაჭრობას საყოფაცხოვრებო სათბობით, აირით ბალონებში, ნახშირით და შეშით
- საცალო ვაჭრობას იარაღით და საბრძოლო მასალით
- საცალო ვაჭრობას მარკებით და მონეტებით
- კომერციული სამხატვრო გალერეების საცალო სავაჭრო მომსახურებას
- საცალო ვაჭრობას არასასურსათო პროდუქტებით, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

**47.79** საცალო ვაჭრობა ნახმარი საქონლით მაღაზიებში

**47.79.1** საცალო ვაჭრობა ანტიკვარიატით

**47.79.2** საცალო ვაჭრობა ნახმარი წიგნებით

**47.79.3** საცალო ვაჭრობის აუქციონების საქმიანობა

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ინტერნეტ-აუქციონების და მაღაზიებს გარეთ სხვა აუქციონების საცალო ვაჭრობას, იხ. 47.91.0

#### **47.79.4 საცალო ვაჭრობა სხვა ნახმარი საქონლით**

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საცალო ვაჭრობას ნახმარი ავტომობილებით, იხ. 45.1
- ლომბარდების საქმიანობას, იხ. 64.92.0

#### **47.8 საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე**

ეს ჯგუფი შეიცავს საცალო ვაჭრობას ნებისმიერი სახის ახალი და ნახმარი საქონლით ჩვეულებრივ გადასაადგილებელ დახლებზე, რომლებიც განლაგებულია გზებთან ან ფიქსირებულ სავაჭრო ადგილებში.

#### **47.81 საცალო ვაჭრობა საკვებით, სასმელებით და თამბაქოს ნაწარმით სავაჭრო ფარდულებში და ბაზრობებზე**

#### **47.81.0 საცალო ვაჭრობა საკვებით, სასმელებით და თამბაქოს ნაწარმით სავაჭრო ფარდულებში და ბაზრობებზე**

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საცალო ვაჭრობას მზა კვების პროდუქტებით ადგილზე უშუალო მოხმარებისათვის (საკვებით მოძრავი მოვაჭრეები), იხ. 56.10.0

#### **47.82 საცალო ვაჭრობა ტექსტილით, ტანსაცმლით და ფეხსაცმლით სავაჭრო ფარდულებში და ბაზრობებზე**

#### **47.82.0 საცალო ვაჭრობა ტექსტილით, ტანსაცმლით და ფეხსაცმლით სავაჭრო ფარდულებში და ბაზრობებზე**

#### **47.89 საცალო ვაჭრობა სხვა საქონლით ფარდულებში და ბაზრობებზე**

#### **47.89.0 საცალო ვაჭრობა სხვა საქონლით ფარდულებში და ბაზრობებზე**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საცალო ვაჭრობას სხვა საქონლით ფარდულებში ან ბაზრობებზე, როგორცაა:
  - ხალიჩები და ფარდაგები
  - წიგნები
  - თამაშები და სათამაშოები
  - საყოფაცხოვრებო საქონელი და სამომხმარებლო ელექტროტექნიკა
  - მუსიკალური და ვიდეოჩანაწერები

#### **47.9 საცალო ვაჭრობა მაღაზიებს, ფარდულებს და ბაზრობებს გარეთ**

ეს ჯგუფი შეიცავს საცალო ვაჭრობას ფოსტით შეკვეთების შემსრულებელი ფირმების მიერ, ინტერნეტის საშუალებით, კარდაკარ მოვაჭრეების მიერ, სავაჭრო ავტომატებით და მისთ.

#### **47.91 საცალო ვაჭრობა ფოსტით შეკვეთების შემსრულებელი ფირმების ან ინტერნეტის საშუალებით**

ეს კლასი შეიცავს საცალო ვაჭრობას ფოსტის ან ინტერნეტის საშუალებით შეკვეთების მიმღები ფირმების საქმიანობას, ანუ საცალო ვაჭრობის საქმიანობას, სადაც მყიდველი თავის არჩევანს ახორციელებს სარეკლამო განცხადებების, კატალოგების, ვებ-საიტზე განთავსებული ინფორმაციის, მოდელის ან სხვა სარეკლამო საშუალებების საფუძველზე და განახორციელებს თავის შეკვეთას ფოსტით, ტელეფონით ან ინტერნეტით (ძირითადად ვებ-საიტზე განთავსებული სპეციალური საშუალებების მეშვეობით). შეძენილი პროდუქტი შესაძლოა პირდაპირ ჩამოიტვირთოს ინტერნეტ-საიტიდან ან ფიზიკურად მიეწოდოს მყიდველს.

##### **47.91.1 საცალო ვაჭრობა საფოსტო შეკვეთით ან ინტერნეტის საშუალებით**

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საცალო ვაჭრობას ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, მათი ნაწილებით და აქსესუარებით ინტერნეტის საშუალებით, იხ. ჯგუფები 45.1, 45.3
- საცალო ვაჭრობას მოტოციკლებით, მათი ნაწილებით და აქსესუარებით ინტერნეტის საშუალებით, იხ. 45.40.0

##### **47.91.2 ინტერნეტ-აუქციონების საცალო ვაჭრობა**

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- პირდაპირ გაყიდვებს ტელევიზიის, რადიოს ან ტელეფონის საშუალებით

#### **47.99 სხვა საცალო ვაჭრობა მაღაზიებს, სავაჭრო ფარდულებს და ბაზრობებს გარეთ**

##### **47.99.0 სხვა საცალო ვაჭრობა მაღაზიებს, სავაჭრო ფარდულებს და ბაზრობებს გარეთ**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საცალო ვაჭრობას ნებისმიერი სახის საქონლით ნებისმიერი ხერხით, რომელიც არ არის ჩართული ზემოთ მოტანილ კლასებში:
  - პირდაპირი ვაჭრობა კარდაკარ მოვაჭრე პირების მიერ
  - სავაჭრო აპარატების საშუალებით და მისთ.
- პირდაპირ ვაჭრობას სათბობით (სადუმელე სათბობით, შეშით და მისთ), რომელიც მიეწოდება უშუალოდ მომხმარებელს
- მაღაზიებს გარეთ აუქციონების საქმიანობას (საცალო, ინტერნეტ-აუქციონების გარდა)
- საცალო ვაჭრობას საკომისიო აგენტების მეშვეობით მაღაზიებს გარეთ

---

## სექცია H – ტრანსპორტი და დასაწყობება

---

ეს სექცია შეიცავს სამგზავრო ან სატვირთო ტრანსპორტით მომსახურებას, განრიგით ან განრიგის გარეშე, რკინიგზით, მილსადენებით, საავტომობილო, წყლის ან საჰაერო ტრანსპორტით და სხვა მათთან დაკავშირებულ საქმიანობებს, როგორცაა ტერმინალების და პარკირების საშუალებები, ტვირთის დატვირთვა-განტვირთვა, შენახვა და ა.შ. ეს სექცია აგრეთვე შეიცავს სატრანსპორტო საშუალებების იჯარას მძღოლთან ან ოპერატორთან ერთად. ამ სექციას მიეკუთვნება აგრეთვე საფოსტო და საკურიერო საქმიანობები.

*ეს სექცია არ შეიცავს:*

- სატრანსპორტო საშუალებების კაპიტალურ რემონტს ან გადაკეთებას (ავტომობილების გარდა), იხ. 33.1 ჯგუფი
- გზების, რკინიგზის, პორტების, აეროდრომების მშენებლობას, ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს, იხ. განყოფილება 42
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს, იხ. 45.20
- სატრანსპორტო საშუალებების იჯარას მძღოლის ან ოპერატორის გარეშე, იხ. 77.1, 77.3

### 49 სახმელეთო ტრანსპორტი და ტრანსპორტირება მილსადენებით

ეს განყოფილება შეიცავს მგზავრების და ტვირთის ტრანსპორტირებას საავტომობილო გზების და რკინიგზის საშუალებით, აგრეთვე ტვირთის ტრანსპორტირებას მილსადენებით.

#### 49.1 რკინიგზის სამგზავრო ტრანსპორტი, საქალაქთაშორისო

#### 49.10 რკინიგზის სამგზავრო ტრანსპორტი, საქალაქთაშორისო

#### 49.10.0 რკინიგზის სამგზავრო ტრანსპორტი, საქალაქთაშორისო

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მგზავრების ტრანსპორტირებას ვრცელ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე გაშლილ ძირითადი მიმოსვლის გზებზე, სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობით
- მგზავრთა ტრანსპორტირებას საქალაქთაშორისო რკინიგზით
- საძინებელი ვაგონების ან ვაგონ-რესტორნების საქმიანობას, როგორც სარკინიგზო კომპანიების საქმიანობის განუყოფელ ნაწილს

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მგზავრების გადაყვანას საქალაქო ან საგარეუბნო სატრანზიტო სისტემებით, იხ. 49.31.0
- სამგზავრო ტერმინალების საქმიანობას, იხ. 52.21.0
- სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მართვას; მასთან დაკავშირებულ საქმიანობებს, როგორცაა სამანევრო ოპერაციები და მატარებლების შედგენა, იხ. 52.21.0
- საძინებელი ვაგონების ან ვაგონ-რესტორნების მართვას ცალკეული ერთეულის მიერ, იხ. 55.90.0, 56.10.0

## 49.2 რკინიგზის სატვირთო ტრანსპორტი

### 49.20 რკინიგზის სატვირთო ტრანსპორტი

#### 49.20.0 რკინიგზის სატვირთო ტრანსპორტი

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სატვირთო გადაზიდვებს მაგისტრალური სარკინიგზო ქსელებით, აგრეთვე ტვირთის გადაზიდვას მოკლე სარკინიგზო გზებით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- დასაწყობებას და შენახვას, იხ. 52.10.0
- სატვირთო ტერმინალების საქმიანობას, იხ. 52.10.0
- სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მართვას; მასთან დაკავშირებულ საქმიანობებს, როგორცაა სამანევრო ოპერაციები და მატარებლების შედგენა, იხ. 52.21.0
- ტვირთის დატვირთვა-განტვირთვას, იხ. 52.24.0

## 49.3 სხვა სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი

ეს ჯგუფი შეიცავს ყველა სახის სახმელეთო სამგზავრო სატრანსპორტო საქმიანობებს, სარკინიგზო ტრანსპორტის გარდა. ამასთან, სარკინიგზო ტრანსპორტი, როგორც შიდა საქალაქო ან საგარეუბნო სისტემების ნაწილი, შედის ამ ჯგუფში.

### 49.31 საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი

#### 49.31.0 საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მგზავრების სახმელეთო ტრანსპორტირებას საქალაქო ან საგარეუბნო სატრანსპორტო სისტემების მეშვეობით. აქ შეიძლება შედიოდეს სხვადასხვა სახის სახმელეთო ტრანსპორტი, როგორცაა ავტობუსი, ტრამვაი, ტროლეიბუსი, მეტრო და მიწისზედა სარკინიგზო გზები და მისთ. მგზავრთა გადაყვანა ხორციელდება დადგენილი მარშრუტით წინასწარ შედგენილი განრიგის შესაბამისად, მგზავრთა ჩასხდომით და გადმოსხდომით მითითებულ გაჩერებებზე.

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ხაზებს ქალაქიდან აეროპორტამდე ან ქალაქიდან სადგურებამდე
- ფუნქიკულორების, საბავირო გზების და მისთ. ექსპლუატაციას, თუ ის წარმოადგენს შიდა საქალაქო ან საგარეუბნო სატრანსპორტო სისტემის ნაწილს.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მგზავრების გადაყვანას საქალაქთაშორისო სარკინიგზო ხაზებით, იხ. 49.10.0

## 49.32 ტაქსების საქმიანობა

### 49.32.0 ტაქსების საქმიანობა

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- კერძო ავტომობილების სხვა სახის იჯარას მძღოლთან ერთად

## 49.39 სხვა სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

### 49.39.0 სხვა სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სხვა სამგზავრო საგზაო ტრანსპორტს:
  - შორ მანძილზე მგზავრობის სარეისო ავტობუსების მომსახურებას
  - ჩარტერულ რეისებს, საექსკურსიო და სხვა შემთხვევითი (არარეგულარული) ეკიპაჟების საქმიანობას
  - აეროპორტის საგარეუბნო ავტობუსების საქმიანობას
- საბაგირო გზების, ფუნქიკულორების, სამთო-სათხილამურო და საკაბელო ამწეების ექსპლუატაციას, თუ ისინი არ წარმოადგენენ საქალაქო ან საგარეუბნო სატრანსპორტო სისტემების ნაწილს

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- სასკოლო ავტობუსების და მოსამსახურეების გადასაყვანი ავტობუსების ექსპლუატაციას
- მგზავრების გადაყვანას ადამიანის ან ცხოველების ცოცხალი გამწევი ძალის მიერ მართული სატრანსპორტო საშუალებებით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სასწრაფო დახმარების ტრანსპორტს, იხ. 86.90.0

## 49.4 სატვირთო საგზაო ტრანსპორტი და გადაზიდვის მომსახურება

ეს ჯგუფი შეიცავს ყველა სახის სახმელეთო სატვირთო ტრანსპორტის საქმიანობას, სარკინიგზო ტრანსპორტის გარდა.

### 49.41 სატვირთო საგზაო ტრანსპორტი

#### 49.41.0 სატვირთო საგზაო ტრანსპორტი

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ყველა სახის სატვირთო საგზაო ტრანსპორტის საქმიანობას:
  - ხე-ტყის გადაზიდვას
  - ცხოველების გადაზიდვას
  - სარეფრიჟერატორო გადაზიდვებს
  - მძიმე ტვირთების გადაზიდვას

- ტვირთების გადაზიდვას დაყრით ან დასხმით, მათ შორის ავტომობილ-ცისტერნებით, ფერმებში რძის შეგროვების ჩათვლით
- ავტომობილების გადაზიდვას
- ნარჩენების და ნარჩენი მასალების ტრანსპორტირებას შეგროვების და მოცილების გარეშე

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- სატვირთო ავტომობილების იჯარას მძღოლთან ერთად
- სატვირთო გადაზიდვებს ადამიანის ან ცოცხალი ძაღლის მიერ მართული სატრანსპორტო საშუალებებით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ხე-ტყის გადაზიდვას ტყის ფარგლებში, როგორც ტყის დამზადების ოპერაციების ნაწილს, იხ. 02.40.0
- წყლის განაწილებას სატვირთო მანქანებით, იხ. 36.00.0
- ტვირთის დატვირთვისა და განტვირთვის სატერმინალო მომსახურებას, იხ. 52.21.0
- შეფუთვის საქმიანობას ტრანსპორტირებისათვის, იხ. 52.29.0
- საფოსტო და საკურიერო საქმიანობებს, იხ. 53.10.0, 53.20.0
- ნარჩენების ტრანსპორტირებას, როგორც ნარჩენების შეგროვების საქმიანობის განუყოფელ ნაწილს, იხ. 38.11.0, 38.12.0

#### **49.42 გადაზიდვის მომსახურება**

##### **49.42.0 გადაზიდვის მომსახურება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- გადაზიდვის (გადაადგილების) მომსახურებას იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის საგზაო ტრანსპორტით.

#### **49.5 ტრანსპორტირება მილსადენებით**

##### **49.50 ტრანსპორტირება მილსადენებით**

##### **49.50.0 ტრანსპორტირება მილსადენებით**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- აირების, სითხეების, წყლის, დუღაბის და სხვა პროდუქტების ტრანსპორტირებას მილსადენებით

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- სატუმბო სადგურების ექსპლუატაციას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ბუნებრივი ან წარმოებული აირის, ორთქლის ან წყლის განაწილებას, იხ. 35.22.0, 35.30.0, 36.00.0
- სითხეების ტრანსპორტირებას სატვირთო ავტომობილებით, იხ. 49.41.0

## 50 წყლის ტრანსპორტი

ეს განყოფილება შეიცავს მგზავრების და ტვირთის ტრანსპორტირებას წყლით, განრიგით ან განრიგის გარეშე. ამავე განყოფილებაში შედის ნავეების, სასეირნო, საკრუიზო ან ტურისტული გემების, ბორნების, წყლის ტაქსების და მისთ. ბუქსირება. მიუხედავად იმისა, რომ ადგილმდებარეობა არის განმსაზღვრელი მაჩვენებელი საზღვაო და შიდა წყლების ტრანსპორტის გარჩევისათვის, გადამწყვეტ ფაქტორს გამოსაყენებელი სატრანსპორტო საშუალების ტიპი წარმოადგენს. ტრანსპორტირება ზღვაზე მცურავი ხომალდებით კლასიფიცირდება ჯგუფებში 50.1 და 50.2, ხოლო ტრანსპორტირება სხვა დანარჩენ გემებზე – ჯგუფებში 50.3 და 50.4.

ეს განყოფილება არ შეიცავს გემებზე რესტორნების და ბარების საქმიანობას (იხ. 56.10 და 56.30), თუ მას დამოუკიდებელი ერთეულები ახორციელებენ.

### 50.1 საზღვაო და საკაბოტაჟო სამგზავრო ტრანსპორტი

ეს ჯგუფი შეიცავს მგზავრების ტრანსპორტირებას საზღვაო ან სანაპირო წყლებში მცურავ გემებზე. აქ აგრეთვე შედის მგზავრების ტრანსპორტირება დიდ ტბებზე და მისთ., ამავე ტიპის გემების გამოყენებით.

#### 50.10 საზღვაო და საკაბოტაჟო სამგზავრო ტრანსპორტი

##### 50.10.0 საზღვაო და საკაბოტაჟო სამგზავრო ტრანსპორტი

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მგზავრების ტრანსპორტირებას საზღვაო ან სანაპირო წყლებით, განრიგით ან მის გარეშე:
  - სასეირნო, საკრუიზო ან ტურისტული გემების ექსპლუატაციას
  - ბორნების, წყლის ტაქსების და მისთ. ექსპლუატაციას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- სასეირნო ნავეების იჯარას ეკიპაჟით, საზღვაო ან სანაპირო წყლებით ტრანსპორტირებისათვის (მაგალითად, სათევზაოდ)

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- გემებზე რესტორნების და ბარების საქმიანობას, თუ მას დამოუკიდებელი ერთეულები ახორციელებენ იხ. 55.10.0, 55.30.0
- სასეირნო ნავეების და იახტების იჯარას ეკიპაჟის გარეშე, იხ. 77.21.0
- კომერციული გემების და ნავეების იჯარას ეკიპაჟის გარეშე, იხ. 77.34.0
- “მცურავი კაზინოების“ ექსპლუატაციას, იხ. 92.00.0

### 50.2 საზღვაო და საკაბოტაჟო სატვირთო ტრანსპორტი

ეს ჯგუფი შეიცავს ტვირთების ტრანსპორტირებას საზღვაო ან სანაპირო წყლებში მოცურავ გემებით. აქ აგრეთვე შედის ტვირთის გადაზიდვა დიდ ტბებზე და მისთ., ამავე სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით.

## 50.20 საზღვაო და საკაბოტაჟო სატვირთო ტრანსპორტი

### 50.20.0 საზღვაო და საკაბოტაჟო სატვირთო ტრანსპორტი

#### *ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ტვირთის ტრანსპორტირებას საზღვაო ან სანაპირო წყლებით, განრიგით ან მის გარეშე
- ბარჟების, ნავთობის კოშკების და მისთ. ბუქსირებას

#### *ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ხომალდების იჯარას ეკიპაჟით, საზღვაო და სანაპირო წყლებით ტვირთის ტრანსპორტირებისათვის

#### *ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ტვირთის შენახვას, იხ. 52.10.0
- საპორტო ოპერაციებს და სხვა დამხმარე საქმიანობებს, როგორცაა: დოკირება, სალოცმანო საქმიანობა, გემების დატვირთვა-განტვირთვა ლისტერით, გემების გადარჩენა, იხ. 52.22.0
- ტვირთის დატვირთვა-განტვირთვას, იხ. 52.24.0
- კომერციული გემების ან ნაგების იჯარას ეკიპაჟის გარეშე, იხ. 77.34.0

## 50.3 შიდა წყლების სამგზავრო ტრანსპორტი

ეს ჯგუფი შეიცავს მგზავრების გადაყვანას შიდა წყლებით, მათ შორის საზღვაო ტრანსპორტირებისათვის შეუსაბამო გემებით.

### 50.30 შიდა წყლების სამგზავრო ტრანსპორტი

#### 50.30.0 შიდა წყლების სამგზავრო ტრანსპორტი

#### *ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მგზავრების გადაყვანას მდინარეებით, არხებით, ტბებით და სხვა შიდა წყალთსავალი გზებით, მათ შორის ნავსადგურების და პორტების საზღვრებში

#### *ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- სასაქონლო ნაგების იჯარას ეკიპაჟით, შიდა წყლებში ტრანსპორტირებისათვის

#### *ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სასაქონლო ნაგების და იახტების იჯარას ეკიპაჟის გარეშე, იხ. 77.21.0

## 50.4 შიდა წყლების სატვირთო ტრანსპორტი

ეს ჯგუფი შეიცავს ტვირთის ტრანსპორტირებას შიდა წყლებით, საზღვაო ტრანსპორტირებისათვის შეუსაბამო გემების მონაწილეობით.

## 50.40 შიდა წყლების სატვირთო ტრანსპორტი

### 50.40.0 შიდა წყლების სატვირთო ტრანსპორტი

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ტვირთის გადაზიდვას მდინარეებით, არხებით, ტბებით და სხვა შიდა წყალთსავალი გზებით, მათ შორის ნავსადგურების და პორტების საზღვრებში

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- გემების იჯარას ეკიპაჟთან ერთად შიდა წყლებით სატვირთო გადაზიდვებისათვის

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ტვირთის დატვირთვა-განტვირთვას, იხ. 52.24.0
- კომერციული გემების ან ნაგების იჯარას ეკიპაჟის გარეშე, იხ. 77.34.0

## 51 საჰაერო ტრანსპორტი

ეს განყოფილება შეიცავს მგზავრების ან ტვირთის ტრანსპორტირებას საჰაერო ან კოსმოსურ სივრცეში.

*ეს განყოფილება არ შეიცავს:*

- სასოფლო-სამეურნეო კულტურების შესხურებას, იხ. 01.61.0
- საჰაერო ხომალდების ან მათი ძრავების კაპიტალურ რემონტს, იხ. 33.16.0
- აეროპორტების ექსპლუატაციას, იხ. 52.23.0
- საჰაერო რეკლამას (თვითმფრინავის მიერ ჰაერში წარწერების გამოსახვას), იხ. 73.11.0
- აეროფოტოგადაღებებს, იხ. 74.20.0

### 51.1 საჰაერო სამგზავრო ტრანსპორტი

#### 51.10 საჰაერო სამგზავრო ტრანსპორტი

##### 51.10.0 საჰაერო სამგზავრო ტრანსპორტი

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მგზავრების გადაყვანას საჰაერო ტრანსპორტით რეგულარული მარშრუტით და განრიგით
- ჩარტერულ სამგზავრო რეისებს
- პეიზაჟის და ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებელ რეისებს

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების იჯარას ოპერატორთან ერთად მგზავრების ტრანსპორტირებისათვის
- ზოგადსაავიაციო საქმიანობებს, როგორცაა:

- მგზავრების ტრანსპორტირება აეროკლუბების მიერ სწავლების ან გართობის მიზნით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საჰაერო-სატრანსპორტო საშუალებების იჯარას ოპერატორის გარეშე, იხ. 77.35.0

## **51.2 საჰაერო სატვირთო და კოსმოსური ტრანსპორტი**

### **51.21 საჰაერო სატვირთო ტრანსპორტი**

#### **51.21.0 საჰაერო სატვირთო ტრანსპორტი**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ტვირთის გადაზიდვას საჰაერო ტრანსპორტით რეგულარული მარშრუტებით და განრიგით
- ტვირთის არარეგულარულ გადაზიდვას საჰაერო ტრანსპორტით

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების იჯარას ოპერატორთან ერთად, ტვირთის ტრანსპორტირებისათვის

## **51.22 კოსმოსური ტრანსპორტი**

### **51.22.0 კოსმოსური ტრანსპორტი**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- თანამგზავრების და კოსმოსური ხომალდების გაშვებას
- სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვებს კოსმოსში

## **52 დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობები**

ეს განყოფილება შეიცავს დასაწყობებას და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობებს, როგორცაა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაცია (მაგალითად, აეროპორტების, ნავსადგურების, საზღვაო პორტების, გვირაბების, ხიდებისა და მისთ.), სატრანსპორტო სააგენტოების საქმიანობას და ტვირთის დატვირთვა-განტვირთვას.

### **52.1 დასაწყობება და შენახვა**

#### **52.10 დასაწყობება და შენახვა**

##### **52.10.0 დასაწყობება და შენახვა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ყველა სახის საქონლის შენახვის და დასაწყობების საშუალებების ექსპლუატაციას:
  - სამარცვლეულების, ზოგადი დანიშნულების სასაქონლო საწყობების, საწყობ-მაცივრების, შესანახი ბუნკერების და მისთ. ექსპლუატაციას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- საქონლის შენახვას საგარეო სავაჭრო ზონებში
- ძლიერ გაყინვას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ავტომობილების პარკირების სადგომებს, იხ. 52.21.0
- თვითმომსახურების სასაწყობო საშუალებების ექსპლუატაციას, იხ. 68.20.0
- თავისუფალი ფართობის იჯარით გაცემას, იხ. 68.20.0

## **52.2 ტრანსპორტირების დამხმარე საქმიანობები**

ეს ჯგუფი შეიცავს სამგზავრო და სატვირთო ტრანსპორტის დამხმარე საქმიანობებს, როგორცაა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაწილის ექსპლუატაცია და ტრანსპორტირებამდე, ტრანსპორტირების შემდეგ ან ტრანსპორტირების ეტაპებს შორის ტვირთის დატვირთვა-განტვირთვასთან დაკავშირებული საქმიანობები. აქვე შედის ყველა სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება.

### **52.21 სახმელეთო ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურება**

#### **52.21.0 სახმელეთო ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მგზავრების, ტვირთის და ცხოველების სახმელეთო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს:
  - ტერმინალების საშუალებების ექსპლუატაციას, როგორცაა სარკინიგზო სადგურების, ავტოსადგურების, საქონლის დასტვირთ-განსატვირთავი სადგურების ექსპლუატაცია
  - სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციას
  - გზების, ხიდების, გვირაბების, ავტოსადგომების ან ავტოფარეხების, ველოსიპედების სადგომების ექსპლუატაციას და ავტოფურგონების მოვლა-შენახვას ზამთარში
- მანევრირებას და შუნტირებას
- ბუქსირზე აყვანას და გზებზე დახმარების გაწევას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- აირის გათხევადებას ტრანსპორტირების მიზნით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ტვირთის დატვირთვა-განტვირთვას, იხ. 52.24.0

## **52.22 წყლის ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურება**

### **52.22.0 წყლის ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მგზავრების, ტვირთის და ცხოველების წყლით ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს:
  - ტერმინალების საშუალებების ფუნქციონირებას, როგორცაა პორტები და პირსები
  - გემთსავალი რაბების და მისთ. ექსპლუატაციას
  - სანავიგაციო, სალოცმანო და ნავსადგურების საქმიანობას
  - ლისტერების და სამაშველო საქმიანობებს
  - შუქურების საქმიანობას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ტვირთის დატვირთვა-განტვირთვას, იხ. 52.24.0
- ნავმისადგომების ექსპლუატაციას, იხ. 93.29.0

## **52.23 საჰაერო ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურება**

### **52.23.0 საჰაერო ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მგზავრების, ცხოველების ან ტვირთის საჰაერო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს:
  - ტერმინალების ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებას, როგორცაა საჰაერო ხაზების ტერმინალები და მისთ.
  - აეროპორტების და საჰაერო მიმოსვლის კონტროლის საქმიანობებს
  - სახმელეთო მომსახურების საქმიანობებს აეროდრომებზე და ა.შ.

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ხანძრის ჩამქრობ და ხანძარსაწინააღმდეგო მომსახურებას აეროპორტებში

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ტვირთის დატვირთვა-განტვირთვას, იხ. 52.24.0
- საფრენი სკოლების ფუნქციონირებას, იხ. 85.32.0, 85.53.0

## **52.24 ტვირთის დატვირთვა-განტვირთვა**

### **52.24.0 ტვირთის დატვირთვა-განტვირთვა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ტვირთის ან მგზავრების ბარგის დატვირთვა-განტვირთვას ტრანსპორტირებისათვის, ტრანსპორტის ტიპის მიუხედავად

- სტივიდორულ სამუშაოებს
- რკინიგზის სატვირთო ვაგონების დატვირთვას და განტვირთვას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ტერმინალების ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებას, იხ. 52.21.0, 52.22.0 და 52.23.0

## **52.29 ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები**

### **52.29.0 ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ტვირთის ექსპედიციას
- სატრანსპორტო ოპერაციების ხელშეწყობას ან ორგანიზებას რკინიგზით, საავტომობილო გზებით, ზღვით ან ჰაერით
- ტვირთების ჯგუფური ან ინდივიდუალური გადაგზავნის ორგანიზებას (საქონლის შეგროვებისა და მიწოდების და გასაგზავნი ტვირთების დაჯგუფების ჩათვლით)
- სატრანსპორტო დოკუმენტაციის და საგზაო ფურცლების გაცემას და მიღებას
- საბაჟო აგენტების საქმიანობას
- საზღვაო ტვირთის ექსპედიტორების და საჰაერო ტვირთის აგენტების საქმიანობას
- გემებზე და თვითმფრინავებზე ტვირთის ადგილის საფრახტო მაკლერობას
- საქონლის დატვირთვა-განტვირთვის ოპერაციებს, მაგალითად საქონლის დროებით შეფუთვას ყუთებში მხოლოდ ტრანსპორტირების დროს დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ტვირთის გახსნას, სინჯის აღებას, ტვირთის აწონას და მისთ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საკურიერო საქმიანობას, იხ. 53.20.0
- საავტომობილო, საზღვაო, საავიაციო და სატრანსპორტო დაზღვევის უზრუნველყოფას, იხ. 65.12.0
- ტურისტული სააგენტოების საქმიანობას, იხ. 79.11.0
- ტუროპერატორების საქმიანობას, იხ. 79.12.0
- ტურიზმის ხელშემწყობ საქმიანობებს, იხ. 79.90.0

## **53 საფოსტო და საკურიერო საქმიანობები**

ეს განყოფილება შეიცავს საფოსტო და საკურიერო საქმიანობებს, როგორცაა წერილების და ამანათების შეგროვება, ტრანსპორტირება და მიწოდება წესრიგში მოყვანის შემდეგ.

ეს განყოფილება აგრეთვე შეიცავს ადგილობრივი მიწოდების და კურიერის მომსახურებას.

### 53.1 საფოსტო საქმიანობები საყოველთაო მომსახურების ვალდებულებით

#### 53.10 საფოსტო საქმიანობები საყოველთაო მომსახურების ვალდებულებით

##### 53.10.0 საფოსტო საქმიანობები საყოველთაო მომსახურების ვალდებულებით

ეს ქვეკლასი შეიცავს საფოსტო სამსახურების საქმიანობებს, რომლებიც ფუნქციონირებენ საყოველთაო მომსახურების ვალდებულებით ერთი ან რამდენიმე სპეციალურად დანიშნული მომსახურების მიმწოდებლის მიერ. აღნიშნული საქმიანობა შეიცავს საყოველთაო მომსახურების ინფრასტრუქტურას, საცალო გაყიდვის ადგილების, ფოსტის დამხარისხებელი და დამამუშავებელი საშუალებების და ფოსტის შეგროვების და მიწოდების მარშრუტების ჩათვლით. მიწოდება შეიძლება შეიცავდეს საფოსტო გზავნილებს, ე.ი. წერილებს, საფოსტო ბარათებს, ბეჭდვით გამოცემებს (გაზეთებს, პერიოდულ გამოცემებს, სარეკლამო პროსპექტებს და მისთ.), მცირე ზომის ამანათებს, საქონელს ან დოკუმენტებს. აქვე შესულია სხვა დამხმარე მომსახურება, რომელიც აუცილებელია საყოველთაო მომსახურების ვალდებულების შესასრულებლად.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საფოსტო გზავნილების, ამანათების და ბანდეროლების შეგროვებას, დახარისხებას, ტრანსპორტირებას და მიწოდებას (შიდა ან საერთაშორისო) საფოსტო სამსახურის მიერ საყოველთაო მომსახურების ვალდებულებების შესაბამისად. ამასთან, შესაძლოა ტრანსპორტის ერთი ან რამდენიმე სახის გამოყენება და მოცემული საქმიანობის განხორციელება როგორც საკუთარი (კერძო) ტრანსპორტით, ისე საზოგადოებრივი ტრანსპორტის საშუალებით.
- წერილების და ბანდეროლების შეგროვებას კერძო საფოსტო ყუთებიდან ან საფოსტო ოფისებიდან.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საფოსტო უნაღდო ანგარიშსწორებასთან, საფოსტო საშემნახველო ანაბრებზე დანაზოგებთან და ფულად გზავნილებთან დაკავშირებულ საქმიანობებს. იხ. 64.19.0

### 53.2 სხვა საფოსტო და საკურიერო მომსახურება

#### 53.20 სხვა საფოსტო და საკურიერო მომსახურება

##### 53.20.0 სხვა საფოსტო და საკურიერო მომსახურება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საფოსტო გზავნილების, ამანათების და ბანდეროლების შეგროვებას, დახარისხებას, ტრანსპორტირებას და მიწოდებას (შიდა და საერთაშორისო) ფირმების მიერ საყოველთაო მომსახურების ვალდებულების გარეშე. ამასთან შესაძლოა ტრანსპორტის ერთი ან რამდენიმე სახის გამოყენება და მოცემული საქმიანობის განხორციელება როგორც საკუთარი (კერძო) ტრანსპორტით, ისე საზოგადოებრივი ტრანსპორტის საშუალებით.

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ბინაზე მიწოდების მომსახურებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სატვირთო გადაზიდვებს, იხ. (ტრანსპორტის სახეობის მიხედვით)  
49.20.0, 49.41.0, 50.20.0, 50.40.0, 51.21.0, 51.22.0

---

## სექცია I – განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები

---

ეს სექცია შეიცავს ვიზიტორების და სხვა მოგზაურების მოკლევადიან განთავსებას და აგრეთვე მზა საკვების და სასმელების მიწოდებას უშუალო მოხმარებისათვის. ამ სექციის ფარგლებში გაწეული დამატებითი მომსახურების მოცულობა და ტიპი შეიძლება მრავალფეროვნებით ხასიათდებოდეს.

ეს სექცია არ შეიცავს გრძელვადიანი განთავსების საშუალებებით, როგორც ძირითადი საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფას, რომელიც კლასიფიცირდება უძრავი ქონების საქმიანობის სექციაში (სექცია L). მოცემულ სექციაში აგრეთვე არ შედის საკვების და სასმელების მომზადება, რომელიც არ არის გათვალისწინებული უშუალო მოხმარებისათვის ან იყიდება დამოუკიდებელი საბითუმო ან საცალო ვაჭრობის ქსელის მეშვეობით. აღნიშნული კვების პროდუქტების მომზადება კლასიფიცირდება C სექციაში (დამამუშავებელი მრეწველობა).

### 55 განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა

ეს განყოფილება შეიცავს ვიზიტორების და სხვა მოგზაურების მოკლევადიანი განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფას. ამ განყოფილებაში აგრეთვე შედის სტუდენტების, მუშების და მსგავსი პირების გრძელვადიანი განთავსების ადგილებით უზრუნველყოფა. ზოგი ერთეული სთავაზობს მხოლოდ განთავსების საშუალებებს, მაშინ როცა სხვა ერთეულები აგრეთვე სთავაზობენ კვებით და/ან სარეკრეაციო საშუალებებით მომსახურებას. ეს განყოფილება არ შეიცავს საქმიანობებს, რომლებიც დაკავშირებულია გრძელვადიანი ძირითადი საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფასთან ისეთ საცხოვრისებში, როგორცაა საცხოვრებელი ბინები, რომლებიც ჩვეულებრივ გაიცემა იჯარით თვეობით ან წლებით და კლასიფიცირდება სექციაში L (ოპერაციები უძრავი ქონებით).

#### 55.1 სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები

##### 55.10 სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები

ეს კლასი შეიცავს განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფას, ჩვეულებრივ დღეებით ან კვირაობით, უპირატესად მოკლევადიანი პერიოდით ჩამოსული ვიზიტორებისათვის. აქ შედის კეთილმოწყობილი განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა სასტუმრო ოთახებში ან ლუქსის ტიპის ნომრებში. მომსახურება შეიცავს ყოველდღიურ დალაგებას და ლოგინის გაწეობას. შესაძლებელია დამატებითი მომსახურებით უზრუნველყოფა, როგორცაა საკვების და სასმელების მიწოდება, პარკირება, სამრეცხაოს მომსახურება, აუზები და სატრენაჟორო დარბაზები, სარეკრეაციო საშუალებები, საკონფერენციო და სათათბირო დარბაზები.

*ეს კლასი შეიცავს განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფას:*

- სასტუმროებში
- საკურორტო სასტუმროებში

- ლუქსის ტიპის სასტუმროებში და აპარტამენტებში
- მოტელებში

*ეს კლასი არ შეიცავს:*

- სახლებით, კეთილმოწყობილი ან კეთილმოუწყობელი ბინებით ან აპარტამენტებით უზრუნველყოფას უფრო ხანგრძლივი გამოყენებისათვის, ჩვეულებრივ თვეობით ან წლობით, იხ. განყოფილება 68.

**55.10.1 სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით**

**55.10.2 სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნების გარეშე**

**55.2 დასასვენებელი და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებები**

**55.20 დასასვენებელი და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებები**

**55.20.0 დასასვენებელი და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებები**

ეს ქვეკლასი შეიცავს იზოლირებული განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფას კეთილმოწყობილი ოთახების ან ფართობის სახით, რომლებიც განკუთვნილია საცხოვრებლად, სასადილოდ და დასაძინებლად, სამზარეულო საკუთნოების ან სრულად აღჭურვილი სამზარეულოს ჩათვლით, ჩვეულებრივ დღეებით ან კვირებით, ძირითადად მოკლევადიანი პერიოდით ჩამოსული ვიზიტორებისათვის. ეს შეიძლება იყოს აპარტამენტები მრავალსართულიან შენობებში ან ბლოკებში განლაგებული ბინები, ან ერთსართულიანი ბუნგალოები, შალეები, კოტეჯები ან ქოხები. შესაძლებელია მხოლოდ მინიმალური დამატებითი მომსახურების გაწევა.

*ეს ქვეკლასი შეიცავს განთავსების საშუალებებს:*

- ბავშვთა და სხვა დასასვენებელ სახლებში
- ბინებში და ბუნგალოებში ვიზიტორებისათვის
- კოტეჯებში და ქოხებში მომსახურების გარეშე
- ახალგაზრდულ ჰოსტელებში და სამთო ბანაკებში

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კეთილმოწყობილი მოკლევადიანი განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფას, დალაგების, ლოჯინის გაწევის, საკვების და სასმელების მიწოდებით, იხ. 55.10.0
- სახლებით და კეთილმოწყობილი და კეთილმოუწყობელი ბინებით ან აპარტამენტებით უზრუნველყოფას უფრო ხანგრძლივი სარგებლობისათვის, ჩვეულებრივ თვეობით ან წლობით, იხ. განყოფილება 68.

**55.3 კემპინგის მოედნები, ავტოფურგონების მოედნები და ტრეილერ-პარკები**

**55.30 კემპინგის მოედნები, ავტოფურგონების მოედნები და ტრეილერ-პარკები**

## 55.30.0 კემპინგის მოედნები, ავტოფურგონების მოედნები და ტრეილერ-პარკები

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ვიზიტორების მოკლევადიანი საცხოვრებელი ადგილებით უზრუნველყოფას კემპინგის მოედნებზე, ტრეილერ-პარკებში, სარეკრეაციო და დასასვენებელ კემპინგებში და სამონადირეო და სათევზაო ადგილებში
- ადგილებით და მომსახურებით უზრუნველყოფას ავტოფურგონებისათვის ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს განთავსების შემდეგი საშუალებებით უზრუნველყოფას:
- თავშესაფრებით ან თავისუფალი ადგილებით კარების და/ან საძილე ტომრების განსათავსებლად

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სამთო ბანაკებს, ქოხებს და ჰოსტელებს, იხ. 55.20.0

## 55.9 სხვა განთავსების საშუალებები

### 55.90 სხვა განთავსების საშუალებები

#### 55.90.0 სხვა განთავსების საშუალებები

ეს ქვეკლასი შეიცავს დროებითი ან გრძელვადიანი განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფას ერთადგილიან ან საერთო ოთახებში, ან საერთო საცხოვრებლებში სტუდენტების, სეზონური მუშების ან სხვა პირებისათვის.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებს
- მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლებს
- მუშათა დასახლებებს
- პანსიონებს
- სარკინიგზო საძილე ვაგონებს

## 56 საკვებით და სასმელებით მომსახურება

ეს განყოფილება შეიცავს საკვებით და სასმელებით მომსახურების საქმიანობებს, მზა საკვების და სასმელების მიწოდებით უშუალო მოხმარებისათვის, როგორც ტრადიციულ რესტორნებში, ისე თვითმომსახურების ან სწრაფი კვების ობიექტებში, მუდმივი ან დროებითი ადგილებით, დასაჯდომი ადგილების უზრუნველყოფით ან მათ გარეშე. გადამწვევტ ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ ხდება მზა კერძების მიწოდება უშუალო მოხმარებისათვის და არა ის, თუ რა ტიპის ობიექტი სთავაზობს მომსახურებას.

მოცემული განყოფილება არ შეიცავს კერძებს, რომლებიც არ არის ვარგისი უშუალო მოხმარებისათვის, არ არის განკუთვნილი უშუალო მოხმარებისათვის და მზა კვების პროდუქტების წარმოებას, რომლებიც არ ითვლება კერძებად (იხ. განყოფილება 10 – “კვების პროდუქტების წარმოება” და 11 – “სასმელების წარმოება”). აქ აგრეთვე არ შედის არასაკუთარი წარმოების კვების პროდუქტების გაყიდვა, რომლებიც არ ითვლება კერძებად ან ისეთი პროდუქტების, რომლებიც უვარგისია უშუალო მოხმარებისათვის (იხ. სექცია G: საბითუმო და საცალო ვაჭრობა)..

## **56.1 რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები**

### **56.10 რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები**

#### **56.10.0 რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები**

ეს ქვეკლასი შეიცავს მომხმარებლების საკვებით უზრუნველყოფას, მიუხედავად იმისა, ხდება მათი მომსახურება, თუ სარგებლობენ თვითმომსახურებით, მიერთმევენ საკვებს ადგილზე, თან მიაქვთ ან უკვეთავენ მომსახურებას სახლში მიწოდებით. აქვე შედის საკვების მომზადება და მიწოდება უშუალო მოხმარებისათვის ავტომობილებით ან არამოტორიზებული ურიკებით.

*ეს ქვეკლასი შეიცავს საქმიანობებს:*

- რესტორნების
- კაფეტერიების
- სწრაფი კვების რესტორნების
- საკვების გატანის მომსახურე ობიექტების
- ნაყინით მოვაჭრე სატრანსპორტო საშუალებების
- საკვების მისაწოდებელი ურიკების
- საკვების მომზადებას სავაჭრო ფარდულებში

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- საკვების გარე მიწოდებასთან დაკავშირებული რესტორნების და ბარების საქმიანობას, რომელიც ხორციელდება დამოუკიდებელი ერთეულების მიერ

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საკვებით საცალო ვაჭრობას სავაჭრო აპარატებით, იხ. 47.99.0
- კვების ობიექტების საქმიანობას საკონცესიო საფუძველზე, იხ. 56.29.0

## **56.2 საკვების მიწოდება ღონისძიებებისათვის და საკვებით მომსახურების სხვა საქმიანობები**

ეს ჯგუფი შეიცავს საკვების მიწოდების საქმიანობებს ინდივიდუალური ღონისძიებებისათვის ან დროის განსაზღვრული პერიოდისათვის და საკვების მიწოდებას საკონცესიო საფუძველზე, სპორტულ ან მსგავს დაწესებულებებში.

## 56.21 საკვების მიწოდება ღონისძიებებისათვის

### 56.21.0 საკვების მიწოდება ღონისძიებებისათვის

ეს ქვეკლასი შეიცავს საკვების მიწოდების მომსახურებას მომხმარებელთან ხელშეკრულების საფუძველზე, მომხმარებლის მიერ მითითებულ ადგილებში, კონკრეტული ღონისძიებისათვის.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მალფუჭებადი კვების პროდუქტების წარმოებას გადაყიდვისათვის, იხ. 10.89.0
- საცალო ვაჭრობას მალფუჭებადი პროდუქტებით, იხ. განყოფილება 47

## 56.29 საკვებით მომსახურების სხვა საქმიანობები

### 56.29.0 საკვებით მომსახურების სხვა საქმიანობები

ეს ქვეკლასი შეიცავს საკვების დარგობრივ მიწოდებას, ანუ კვებით უზრუნველყოფის მომსახურებას მომხმარებელთან ხელშეკრულების საფუძველზე დროის განსაზღვრული პერიოდისათვის. აქ აგრეთვე შედის საკვების მიწოდება საკონცესიო საფუძველზე სპორტულ ან მსგავს დაწესებულებებში. საკვები ჩვეულებრივ მზადდება ცენტრალურ ერთეულში.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საკვებით მომსახურების კონტრაქტორების საქმიანობას (მაგალითად, სატრანსპორტო კომპანიებისათვის)
- საკვების მიწოდებას საკონცესიო საფუძველზე სპორტულ ან მსგავს დაწესებულებებში
- სასადილოების და კაფეტერიების ფუნქციონირებას (მაგალითად, ქარხნებში, ოფისებში, საავადმყოფოებში ან სკოლებში) საკონცესიო საფუძველზე

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მალფუჭებადი საკვების წარმოებას გადაყიდვისათვის, იხ. 10.89.0
- მალფუჭებადი კვების პროდუქტებით საცალო ვაჭრობას, იხ. განყოფილება 47

## 56.3 სასმელებით მომსახურების საქმიანობები

### 56.30 სასმელებით მომსახურების საქმიანობები

#### 56.30.0 სასმელებით მომსახურების საქმიანობები

ეს ქვეკლასი შეიცავს სასმელების მომზადებას და მიწოდებას უშუალო მოხმარებისათვის ადგილზე.

*ეს ქვეკლასი შეიცავს საქმიანობებს:*

- ბარების
- ტავერნების
- კოქტეილ-ბარების
- დისკოთეკების (უპირატესად სასმელების მიწოდებით)
- ლუდის ბარების
- ყავის სახლების
- ხილის წვენების ბარების
- სასმელებით მოვაჭრე მოძრავი საშუალებების

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- შეფუთული/მზა სასმელების გადაყიდვას, იხ. 47
- სასმელებით საცალო ვაჭრობას საგაჭრო ავტომატებით, იხ. 47.99.0
- დისკოთეკების და საცეკვაო მოედნების ფუნქციონირებას სასმელების მიწოდების გარეშე, იხ. 93.29.0

---

## სექცია J – ინფორმაცია და კომუნიკაცია

---

ეს სექცია შეიცავს საინფორმაციო და კულტურის სფეროს პროდუქციის წარმოებას და გავრცელებას, ამ პროდუქციის გადაცემის და გავრცელების საშუალებების უზრუნველყოფას; ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან, მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს და საინფორმაციო სამსახურების სხვა საქმიანობებს.

აღნიშნული სექციის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენენ საგამომცემლო საქმიანობები პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემის ჩათვლით (განყოფილება 58), კინოფილმების და ხმის ჩაწერის საქმიანობები (განყოფილება 59), რადიო და ტელემაუწყებლობის და პროგრამების მომზადების საქმიანობები (განყოფილება 60), ტელესაკომუნიკაციო საქმიანობები (განყოფილება 61), ინფორმაციული ტექნოლოგიების საქმიანობები (განყოფილება 62) და საინფორმაციო მომსახურების სხვა საქმიანობები (განყოფილება 63).

საგამომცემლო საქმიანობა შეიცავს საავტორო უფლებების მოპოვებას პროდუქციის (ინფორმაციული პროდუქციის) შინაარსზე და ამ შინაარსის მიწოდებას სხვადასხვა ფორმებით აღწარმოების და გავრცელების გზით. მოცემული სექცია აგრეთვე შეიცავს საგამომცემლო საქმიანობის ყველა შესაძლებელ ფორმას (ბეჭდვითი, ელექტრონული ან აუდიო ფორმატით, ინტერნეტით, მულტიმედია პროდუქციის სახით, როგორცაა ცნობარები კომპაქტ-დისკებზე და მისთ.).

სატელევიზიო პროგრამების წარმოებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს შეიცავენ განყოფილებები 59, 60, 61, რომლებიც ასახავენ აღნიშნული პროცესის სხვადასხვა სტადიებს. ინდივიდუალური კომპონენტების, როგორცაა კინოფილმების, ტელესერიალების და მისთ., წარმოება მიეკუთვნება 59 განყოფილებაში აღწერილ საქმიანობებს, მაშინ როცა სატელევიზიო არხის სრული პროგრამის შექმნა 59 განყოფილების კომპონენტების ან სხვა კომპონენტებისაგან (როგორცაა ახალი ამბების პირდაპირ ეთერში ტრანსლირება) შედის 60 განყოფილებაში. 60 განყოფილება აგრეთვე შეიცავს აღნიშნული პროგრამების მაუწყებლობას მწარმოებლის მიერ. სრული სატელევიზიო პროგრამების გავრცელება მესამე მხარეების მიერ, ე.ი. შინაარსის ცვლილების გარეშე (რეტრანსლირება), შედის 61 განყოფილებაში. 61 განყოფილებაში აღწერილი გავრცელება შეიძლება ხორციელდებოდეს პირდაპირი ტრანსლირებით, თანამგზავრული ან საკაბელო სისტემებით.

### 58 საგამომცემლო საქმიანობა

ეს განყოფილება შეიცავს წიგნების, ბროშურების, ბუკლეტების, ლექსიკონების, ენციკლოპედიების, ატლასების, რუკების და დიაგრამების გამოცემას; გაზეთების, ჟურნალების და პერიოდული გამოცემების, სატელეფონო და სამისამართო წიგნების და სხვა ნაბეჭდი გამოცემების, აგრეთვე პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემას.

საგამომცემლო საქმიანობა შეიცავს საავტორო უფლებების მოპოვებას პროდუქციის (ინფორმაციული პროდუქციის) შინაარსზე და ამ შინაარსის

მიწოდებას სხვადასხვა ფორმებით აღწარმოების და გავრცელების გზით. მოცემული სექცია აგრეთვე შეიცავს საგამომცემლო საქმიანობის ყველა შესაძლებელ ფორმას (ბეჭდვით, ელექტრონული ან აუდიო ფორმატით, ინტერნეტით, მულტიმედიაური პროდუქციის სახით, როგორცაც ცნობარები კომპაქტ-დისკებზე და მისთ.).

ეს განყოფილება არ შეიცავს კინოფილმების, ვიდეოფირების და DVD დისკებზე ან სხვა მატარებლებზე ჩაწერილი ფილმების გამოცემას (განყოფილება 59) და ჩანაწერების ან აუდიომასალების ორიგინალების წარმოებას (განყოფილება 59). აქ აგრეთვე არ შედის ბეჭდვა (იხ. 18.11, 18.12) და მედია-ჩანაწერების მასობრივი აღწარმოება. (იხ. 18.20)

## **58.1 წიგნების, პერიოდული პუბლიკაციების გამოცემა და სხვა საგამომცემლო საქმიანობები**

ეს ჯგუფი შეიცავს წიგნების, გაზეთების, ჟურნალების და სხვა პერიოდული გამოცემების, ლექსიკონების და სატელეფონო წიგნების და სხვა ნამუშევრების, როგორცაა ფოტოები, გრაფიურები, ღია ბარათები, განრიგები, ბლანკები, პლაკატები და ხელოვნების ნაწარმოებების რეპროდუქციები, გამოცემის საქმიანობებს. ამ ნამუშევრების შექმნა მოითხოვს ინტელექტუალურ შემოქმედებას და ჩვეულებრივ დაცულია საავტორო უფლებებით.

### **58.11 წიგნების გამოცემა**

#### **58.11.0 წიგნების გამოცემა**

ეს ქვეკლასი შეიცავს წიგნების გამოცემის საქმიანობებს, ნაბეჭდი, ელექტრონული (CD, ელექტრონული მატარებლები და მისთ.) სახით, აუდიო ფორმატში ან ინტერნეტით.

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- წიგნების, ბროშურების, პროსპექტების და მსგავსი პუბლიკაციების გამოცემას, ლექსიკონების და ენციკლოპედიების გამოცემის ჩათვლით
- ატლასების, რუკების და დიაგრამების გამოცემას
- აუდიოწიგნების გამოცემას
- ენციკლოპედიების და მისთ. გამოცემას CD-ROM-ზე

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- გლობუსების წარმოებას, იხ. 32.99.0
- სარეკლამო მასალების გამოცემას, იხ. 58.19.0
- სანოტო ჩანაწერების გამოცემას, იხ. 59.20.0
- დამოუკიდებელი ავტორების საქმიანობას, იხ. 90.03.0

### **58.12 ცნობარების და სამისამართო სიების გამოცემა**

## 58.12.0 ცნობარების და სამისამართო სიების გამოცემა

ეს ქვეკლასი შეიცავს ფაქტების/ინფორმაციის ჩამონათვალის (მონაცემთა ბაზების) გამოცემას, რომელიც დაცულია ფორმით და არა შინაარსით. ჩამონათვალი შეიძლება გამოიცემოდეს ნაბეჭდი ან ელექტრონული ფორმით.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სამისამართო სიების გამოცემას
- სატელეფონო ცნობარების გამოცემას
- სხვა ცნობარების და კრებულების გამოცემას, როგორცაა საპრეცედენტო სამართლის კრებული, ფარმაცევტული ცნობარი და მისთ.

## 58.13 გაზეთების გამოცემა

### 58.13.0 გაზეთების გამოცემა

ეს ქვეკლასი შეიცავს გაზეთების გამოცემას, სარეკლამო გაზეთების ჩათვლით, რომლებიც გამოდის კვირაში სულ ცოტა ოთხჯერ. გამოცემები შეიძლება ხდებოდეს ნაბეჭდი ან ელექტრონული ფორმით, ინტერნეტში გამოცემის ჩათვლით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ახალი ამბების სააგენტოების საქმიანობას, იხ. 63.91.0

## 58.14 ჟურნალების და პერიოდიკის გამოცემა

### 58.14.0 ჟურნალების და პერიოდიკის გამოცემა

ეს ქვეკლასი შეიცავს პერიოდიკის და სხვა ჟურნალების გამოცემას, რომლებიც გამოიცემა კვირაში ოთხ ჯერზე ნაკლები პერიოდულობით. გამოცემები შეიძლება ხდებოდეს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ფორმით, ინტერნეტში გამოცემის ჩათვლით. ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს რადიო- და ტელეპროგრამების გამოცემას.

## 58.19 საგამომცემლო საქმიანობის სხვა სახეები

### 58.19.0 საგამომცემლო საქმიანობის სხვა სახეები

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- გამოცემას (ინტერნეტ-გამოცემის ჩათვლით):
  - კატალოგების
  - ფოტოების, გრაფიურების და საფოსტო ბარათების
  - მისალოცი ბარათების
  - ბლანკების (ფორმების)
  - პლაკატების, მხატვრული რეპროდუქციების
  - სარეკლამო მასალების

- სხვა ნაბეჭდი პროდუქციის
- სტატისტიკური და სხვა ინფორმაციის ინტერნეტ-გამოცემას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სარეკლამო გაზეთების გამოცემას, იხ. 58.13.0
- პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდებას ინტერნეტით (პროგრამების ვებ-განთავსება და მომსახურების უზრუნველყოფა), იხ. 63.11.0

## **58.2 პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემა**

### **58.21 კომპიუტერული თამაშების გამოცემა**

#### **58.21.0 კომპიუტერული თამაშების გამოცემა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- კომპიუტერული თამაშების გამოცემას ყველა პლატფორმისათვის

## **58.29 სხვა პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემა**

### **58.29.0 სხვა პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მზა (სტანდარტული) პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემას, საკუთარ ხარჯზე ცალკეული ბაზრისათვის სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის თარგმნის ან მორგების ჩათვლით:
  - ოპერაციული სისტემების
  - ბიზნესის და სხვა გამოყენებითი პროგრამების

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- პროგრამული უზრუნველყოფის აღწარმოებას, იხ. 18.20.0
- საცალო ვაჭრობას სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფით, იხ. 47.41.0
- პროგრამული უზრუნველყოფის წარმოებას, რომელიც არ არის დაკავშირებული გამოცემასთან, გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე ცალკეული ბაზრისათვის სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის თარგმნის ან მორგების ჩათვლით, იხ. 62.01.0
- პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდებას ინტერნეტის საშუალებით (პროგრამების ვებ-განთავსება და მომსახურების უზრუნველყოფა), იხ. 63.11.0

## **59 კინოფილმების, ვიდეო- და სატელევიზიო პროგრამების წარმოება, ხმის ჩაწერის და მუსიკალური გამოცემის საქმიანობები**

ეს განყოფილება შეიცავს კინო-, ვიდეოფირზე ან დისკზე ჩაწერილი მხატვრული და არამხატვრული კინოფილმების წარმოებას კინოთეატრებში ან სატელევიზიო ჩვენებისათვის; დამხმარე საქმიანობებს, როგორცაა ფილმის რედაქტირება, მონტაჟი, ღუბლირება და მისთ.; კინოფილმების და სხვა სახის კინოპროდუქციის გავრცელებას სხვა დარგებისათვის; კინოფილმების და სხვა კინოპროდუქციის ჩვენებას. კინოფილმების ან სხვა კინოპროდუქციის გავრცელებაზე უფლებების ყიდვა და გაყიდვა აგრეთვე შედის ამ განყოფილებაში.

ეს განყოფილება აგრეთვე შეიცავს ხმის ჩაწერის საქმიანობებს, ანუ ხმის ჩანაწერების ორიგინალების წარმოებას, მათი გამოშვებით, ბაზარზე წარმოჩენით და გავრცელებით, მუსიკალური და სხვა აუდიოჩანაწერების გამოცემის საქმიანობებს სტუდიებში ან სხვა ადგილებში.

### **59.1 კინოფილმების, ვიდეო- და სატელევიზიო პროგრამების წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობები**

ეს ჯგუფი შეიცავს კინო-, ვიდეოფირზე ან დისკზე ჩაწერილი მხატვრული და არამხატვრული კინოფილმების წარმოებას, ციფრული გავრცელების ჩათვლით, კინოთეატრებში ან სატელევიზიო ჩვენებისათვის; დამხმარე საქმიანობებს, როგორცაა ფილმის რედაქტირება, მონტაჟი, ღუბლირება და მისთ.; კინოფილმების და სხვა სახის კინოპროდუქციის (ვიდეოფირები, DVD და მისთ.) გავრცელებას სხვა დარგებისათვის; აგრეთვე კინოფილმების და სხვა კინოპროდუქციის ჩვენებას.

ეს ჯგუფი აგრეთვე შეიცავს კინოფილმების ან ნებისმიერი სხვა კინოპროდუქციის გავრცელებაზე უფლებების ყიდვა-გაყიდვას.

#### **59.11 კინოფილმების, ვიდეო- და სატელევიზიო პროგრამების წარმოება**

##### **59.11.0 კინოფილმების, ვიდეო- და სატელევიზიო პროგრამების წარმოება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- კინოფილმების, ვიდეო- და სატელევიზიო პროგრამების (ტელესერიאלების, დოკუმენტური ფილმების და მისთ.) ან ტელერეკლამების წარმოებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ფილმების ღუბლირებას (კინოფილმების აღწარმოების გარდა კინოთეატრებში ჩვენებისათვის), ისევე როგორც აუდიო- და ვიდეოფირების, CD და DVD დისკებზე აღწარმოებას ორიგინალებიდან, იხ. 18.20.0
- საბითუმო ვაჭრობას ჩაწერილი ვიდეოფირებით, CD და DVD დისკებით, იხ. 46.43.0
- საბითუმო ვაჭრობას ცარიელი ვიდეოფირებით და CD დისკებით, იხ. 46.52.0

- საცალო ვაჭრობას ვიდეოფირებით, CD და DVD დისკებით, იხ. 47.63.0
- წარმოების შემდგომ საქმიანობებს, იხ. 59.12.0
- ხმის ჩაწერას და წიგნების ჩაწერას ფირზე, იხ. 59.20.0
- ტელემუშაულებლობას, იხ. 60.2
- სატელევიზიო არხის სრული პროგრამის შექმნას, იხ. 60.2
- ფირების დამუშავებას კინონდუსტრიისაგან განსხვავებული მიზნებისათვის, იხ. 74.20.0
- პერსონალური თეატრალური ან სამხატვრო აგენტების და სააგენტოების საქმიანობას, იხ. 74.90.0
- ვიდეოფირების, DVD დისკების გაქირავებას მოსახლეობისათვის, იხ. 77.22.0
- რეალურ დროში (ანუ ერთდროულად) სუბტიტრებით უზრუნველყოფას სატელევიზიო წარმოდგენების, შეხვედრების, თათბირების, კონფერენციების და მისთ. ტრანსლირების დროს, იხ. 82.99.0
- დამოუკიდებელი მსახიობების, მულტიპლიკატორების, რეჟისორების, დეკორატორების, ტექნიკური სპეციალისტების და მისთ. საქმიანობას, იხ. 90.0

**59.12 კინოფილმების, ვიდეო- და სატელევიზიო პროგრამების წარმოების შემდგომი საქმიანობები**

**59.12.0 კინოფილმების, ვიდეო- და სატელევიზიო პროგრამების წარმოების შემდგომი საქმიანობები**

ეს ქვეკლასი შეიცავს წარმოების შემდგომ საქმიანობებს, როგორცაა მონტაჟი, ფირის/ლენტის ფორმატის ცვლილება, ტიტრების, სუბტიტრების და მონაწილეთა სიის შექმნა, კომპიუტერული გრაფიკა, ანიმაცია და სპეცეფექტები, კინოფირის გამუდავება და დამუშავება, ისევე როგორც ვიდეო და ანიმაციური ფილმების ლაბორატორიების საქმიანობებს.

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- კინომასალების საცავების საქმიანობებს

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ფილმების გამრავლებას (კინოფილმების აღწარმოების გარდა კინოჩვენებისათვის), აგრეთვე აუდიო- და ვიდეოფირების, CD და DVD დისკების აღწარმოებას ორიგინალებიდან, იხ. 18.20.0
- საბითუმო ვაჭრობას ჩაწერილი ვიდეოფირებით, CD და DVD დისკებით, იხ. 46.43.0
- საბითუმო ვაჭრობას ცარიელი ვიდეოფირებით, CD დისკებით, იხ. 46.52.0
- საცალო ვაჭრობას ვიდეოფირებით, CD და DVD დისკებით, იხ. 47.63.0
- ფირის დამუშავებას კინონდუსტრიისაგან განსხვავებული მიზნებისათვის, იხ. 74.20.0
- ვიდეოფირების, DVD დისკების გაქირავებას მოსახლეობისათვის, იხ. 77.22.0
- დამოუკიდებელი მსახიობების, მულტიპლიკატორების, რეჟისორების, დეკორატორების, ტექნიკური სპეციალისტების და მისთ. საქმიანობას, იხ. 90.0

**59.13 კინოფილმების, ვიდეო- და სატელევიზიო პროგრამების გავრცელებასთან დაკავშირებული საქმიანობები**

**59.13.0 კინოფილმების, ვიდეო- და სატელევიზიო პროგრამების გავრცელებასთან დაკავშირებული საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ფილმების, ვიდეოფირების, DVD დისკების და მსგავსი პროდუქციის გავრცელებას კინოთეატრებში, სატელევიზიო ქსელებში, სადგურებში და გამოფენებზე.

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ფილმების, ვიდეოფირების და DVD დისკების გავრცელებაზე უფლებების მოპოვებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ფილმების გამრავლებას, აგრეთვე აუდიო- და ვიდეოფირების, CD ან DVD დისკების აღწარმოებას ორიგინალებიდან, იხ.18.20.0
- საბითუმო ვაჭრობას ჩაწერილი ვიდეოფირებით და DVD დისკებით, იხ. 46.43.0
- საცალო ვაჭრობას ჩაწერილი ვიდეოფირებით და DVD დისკებით, იხ. 47.63.0

**59.14 კინოფილმების ჩვენება**

**59.14.0 კინოფილმების ჩვენება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- კინოფილმების ან ვიდეოფირების დემონსტრირებას კინოთეატრებში, ღია ცის ქვეშ და სხვა სადემონსტრაციო ადგილებში
- კინოკლუბების საქმიანობას

**59.2 ხმის ჩაწერის და მუსიკალური ჩანაწერების საგამომცემლო საქმიანობები**

**59.20 ხმის ჩაწერის და მუსიკალური ჩანაწერების საგამომცემლო საქმიანობები**

## **59.20.0 ხმის ჩაწერის და მუსიკალური ჩანაწერების საგამომცემლო საქმიანობები**

ეს ქვეკლასი შეიცავს ხმოვანი ჩანაწერების ორიგინალების წარმოების საქმიანობებს, როგორცაა ფირები, კომპაქტ-დისკები; ხმოვანი ჩანაწერების გამოშვებას, რეკლამირებას, ბაზარზე წარმოჩენას და გავრცელებას საბითუმო და საცალო მოვაჭრეებზე ან უშუალოდ მომხმარებლებზე. ეს საქმიანობები შეიძლება ხორციელდებოდეს ორიგინალების წარმოებასთან ერთად იმავე ერთეულში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთეულმა, რომელიც ახორციელებს მსგავს საქმიანობას, უნდა მოიპოვოს შესაბამისი უფლებები ჩანაწერების ორიგინალების აღწარმოებასა და გავრცელებაზე.

ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს ხმის ჩაწერის მომსახურებას სტუდიებში ან სხვა ადგილებში, ფირზე ჩაწერილი რადიოპროგრამების წარმოების ჩათვლით (არა პირდაპირ ეთერში ტრანსლირებისათვის).

ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს მუსიკალური ჩანაწერების გამოცემის საქმიანობებს, ანუ საქმიანობებს, რომლებიც დაკავშირებულია მუსიკალურ ნაწარმოებებზე საავტორო უფლების მოპოვებასთან და რეგისტრირებასთან, მოცემული მუსიკალური კომპოზიციების ბაზარზე წარმოჩენასთან, ავტორიზაციასთან და გამოყენებასთან ჩანაწერებში, რადიოში, ტელევიზიით, კინოფილმებში, ცოცხალი შესრულების დროს, ბეჭდვით და სხვა მედია საშუალებებში. ამ საქმიანობით დაკავებული ერთეულები შეიძლება ფლობდნენ საავტორო უფლებებს ან მოქმედებდნენ ადმინისტრატორის როლში საავტორო უფლების მფლობელის სახელით. სანოტო ჩანაწერების გამოცემა აგრეთვე შედის აღნიშნულ კლასში.

## **60 პროგრამების შექმნის და ტელერადიომაუწყებლობის საქმიანობები**

ეს განყოფილება შეიცავს საქმიანობებს, რომლებიც დაკავშირებულია შინაარსის შექმნასთან ან ამ შინაარსზე საავტორო უფლებების შექმნასთან და მის შემდგომ ტრანსლირებასთან, რადიო, სატელევიზიო და ინფორმაციული პროგრამების სახით, როგორცაა გასართობი პროგრამები, ახალი ამბები, თოქ-შოუები და მისთ. ეს განყოფილება აგრეთვე შეიცავს ინფორმაციის გადაცემას, რომელიც ჩვეულებრივ ჩართულია ტელერადიომაუწყებლობაში. ტელერადიომაუწყებლობა შეიძლება ხორციელდებოდეს სხვადასხვა ტექნოლოგიების მეშვეობით, საჰაერო, თანამგზავრული ან საკაბელო ქსელებით ან ინტერნეტის საშუალებით.

ეს განყოფილება აგრეთვე შეიცავს პროგრამების წარმოებას, ჩვეულებრივ შეზღუდული ფორმატით (მაგალითად, ახალი ამბები, სპორტული, საგანმანათლებლო და ახალგაზრდული პროგრამები) მესამე მხარისათვის, სააბონენტო ან საკომისიო გადასახადის საფუძველზე, შემდგომში საზოგადოებისათვის მაუწყებლობის მიზნით.

მოცემული განყოფილება არ შეიცავს საკაბელო და სხვა სააბონენტო პროგრამების გავრცელებას (იხ. განყოფილება 61).

## 60.1 რადიომაუწყებლობა

### 60.10 რადიომაუწყებლობა

#### 60.10.0 რადიომაუწყებლობა

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- აუდიოსიგნალების ტრანსლირებას, რადიომაუწყებლობის სტუდიების და ხმოვანი პროგრამების გადამცემი საშუალებების მეშვეობით, მოსახლეობისათვის, შუამავლებზე ან აბონენტებისათვის.

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- რადიოქსელების საქმიანობას, ანუ ხმოვანი პროგრამების შედგენას და გადაცემას შუამავლებზე ან აბონენტებისათვის, საჰაერო მაუწყებლობის, საკაბელო ან თანამგზავრული სისტემების საშუალებით
- რადიომაუწყებლობის საქმიანობას ინტერნეტით (ინტერნეტ-რადიოსადგურები)
- მონაცემთა გადაცემას რადიომაუწყებლობის მეშვეობით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ჩაწერილი რადიოპროგრამების წარმოებას, იხ. 59.20.0

## 60.2 სატელევიზიო პროგრამების შექმნის და ტელემაუწყებლობის საქმიანობები

### 60.20 სატელევიზიო პროგრამების შექმნის და ტელემაუწყებლობის საქმიანობები

#### 60.20.0 სატელევიზიო პროგრამების შექმნის და ტელემაუწყებლობის საქმიანობები

ეს ქვეკლასი შეიცავს სატელევიზიო არხის სრული პროგრამის შექმნას შექმნილი პროგრამული კომპონენტებისაგან (მაგალითად, მხატვრული, დოკუმენტური ფილმები და მისთ.), საკუთარი წარმოების პროგრამული კომპონენტებისაგან (მაგალითად, ახალი ამბები, პირდაპირი რეპორტაჟები) ან მათი კომბინირებით.

აღნიშნული სრული სატელევიზიო პროგრამები შეიძლება გადაიცემოდეს მწარმოებელი ერთეულის მიერ ან იწარმოებოდეს შემდგომი გავრცელებისათვის მესამე მხარის მიერ, როგორცაა საკაბელო კომპანიები ან თანამგზავრული სატელევიზიო პროვაიდერები.

პროგრამები შეიძლება იყოს ზოგადი ან სპეციალიზებული ხასიათის (მაგალითად, შეზღუდული ფორმატის, როგორცაა ახალი ამბები, სპორტული, საგანმანათლებლო, ან ახალგაზრდული პროგრამები). ეს ქვეკლასი შეიცავს მომხმარებლისათვის უფასოდ ან ხელმოწერის საფუძველზე ხელმისაწვდომი პროგრამების შექმნას. აქ აგრეთვე შედის პროგრამების შექმნა არხებისათვის, რომლებიც გადასცემენ ვიდეომასალებს მოთხოვნით.

ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს მონაცემთა გადაცემას ტელემაუწყებლობის მეშვეობით.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სატელევიზიო პროგრამის ელემენტების წარმოებას (მხატვრული და დოკუმენტური ფილმების, თოქ-შოუების, რეკლამების და მისთ.), რომლებიც არ არის დაკავშირებული ტელემაუწყებლობასთან, იხ. 59.11.0
- არხების პაკეტის აწვობას და ასეთი პაკეტების გავრცელებას პროგრამების შექმნის გარეშე, იხ. განყოფილება 61

## **61 ტელეკომუნიკაციები**

ეს განყოფილება შეიცავს ტელესაკომუნიკაციო და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხელშემწეობ საქმიანობას, როგორცაა ხმის, მონაცემების, ტექსტის, ბგერის ან ვიდეოგამოსახულების გადაცემა. გადამცემი საშუალებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ საქმიანობებს, შეიძლება ემყარებოდეს ერთ ტექნოლოგიას ან ტექნოლოგიების კომბინაციას. აღნიშნულ განყოფილებაში კლასიფიცირებული საქმიანობების მსგავსება მდგომარეობს შინაარსის გადაცემაში, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის გარეშე. კლასიფიცირება ამ განყოფილებაში დაფუძნებულია მოქმედი ინფრასტრუქტურის ტიპზე.

სატელევიზიო სიგნალების გადაცემის შემთხვევაში ის შეიძლება მოიცავდეს პროგრამული არხების სრული კომპლექტის გაერთიანებას გავრცელებისათვის განკუთვნილ პროგრამულ პაკეტში (როგორც მითითებულია განყოფილებაში 60).

### **61.1 სადენიანი ტელესაკომუნიკაციო საქმიანობები**

#### **61.10 სადენიანი ტელესაკომუნიკაციო საქმიანობები**

##### **61.10.0 სადენიანი ტელესაკომუნიკაციო საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ხმის, მონაცემების, ტექსტის, ბგერის და ვიდეოგადამცემი საშუალებების ექსპლუატაციას, ტექნიკურ მომსახურებას ან მათზე წვდომის უზრუნველყოფას სადენიანი ტელეკომუნიკაციების ინფრასტრუქტურის გამოყენებით, რომელიც შეიცავს:
  - საკომუტაციო და გადამცემი საშუალებების ექსპლუატაციას და ტექნიკურ მომსახურებას პირდაპირი კავშირის უზრუნველსაყოფად, მიწისზედა კავშირის ხაზების, მიკროტალღების ან მიწისზედა და სატელიტური კავშირების კომბინაციით
  - გამანაწილებელი საკაბელო სისტემების ექსპლუატაციას (როგორცაა მონაცემთა და სატელევიზიო სიგნალების გადაცემა)
  - სატელეგრაფო და სხვა არახმოვანი კავშირების უზრუნველყოფას საკუთარი საშუალებების გამოყენებით

გადამცემი საშუალებები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება აღნიშნული საქმიანობები, შეიძლება ემყარებოდეს ერთ ტექნოლოგიას ან რამდენიმე ტექნოლოგიის კომბინაციას.

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- კავშირის და ქსელის მოცულობის შექმნას ქსელების მფლობელების და ოპერატორებისაგან და სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას ამ სიმძლავრეების გამოყენებით იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის
- ინტერნეტზე წვდომის უზრუნველყოფას სადენიანი ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სატელესაკომუნიკაციო მომსახურების გადაყიდვას, იხ. 61.90.0

## **61.2 უსადენო ტელესაკომუნიკაციო საქმიანობები**

### **61.20 უსადენო ტელესაკომუნიკაციო საქმიანობები**

#### **61.20.0 უსადენო ტელესაკომუნიკაციო საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ხმის, მონაცემების, ტექსტის, ბგერის და ვიდეოგადამცემი საშუალებების ექსპლუატაციას, ტექნიკურ მომსახურებას ან მათზე წვდომის უზრუნველყოფას უსადენო ტელეკომუნიკაციების ინფრასტრუქტურის გამოყენებით
- პეიჯინგური, ფიჭური და სხვა უსადენო სატელეკომუნიკაციო ქსელების ტექნიკურ მომსახურებას და ექსპლუატაციას

გადაცემის მოცემული საშუალებები უზრუნველყოფენ გადაცემას ყველა მიმართულებით მოქმედი საჰაერო ტალღებით და შეიძლება ემყარებოდეს ერთ ტექნოლოგიას ან რამდენიმე ტექნოლოგიის კომბინაციას.

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- კავშირის და ქსელის მოცულობის შექმნას ქსელების მფლობელების და ოპერატორებისაგან და უსადენო ტელესაკომუნიკაციო (თანამგზავრულის გარდა) მომსახურების მიწოდებას ამ სიმძლავრეების გამოყენებით იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის
- ინტერნეტზე წვდომის უზრუნველყოფას უსადენო ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სატელეკომუნიკაციო მომსახურების გადაყიდვას, იხ. 61.90.0

## **61.3 თანამგზავრული ტელესაკომუნიკაციო საქმიანობები**

### **61.30 თანამგზავრული ტელესაკომუნიკაციო საქმიანობები**

#### **61.30.0 თანამგზავრული ტელესაკომუნიკაციო საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ხმის, მონაცემების, ტექსტის, ბგერის და ვიდეოგადამცემი საშუალებების ექსპლუატაციას, ტექნიკურ მომსახურებას ან მათთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას თანამგზავრული სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გამოყენებით
- კაბელური ქსელებიდან, ადგილობრივი სატელევიზიო სადგურებიდან ან რადიოქსელებიდან მიღებული ვიზუალური, ხმოვანი ან ტექსტური პროგრამების მიწოდებას მომხმარებლებისათვის უშუალო მაუწყებლობის თანამგზავრული სისტემების საშუალებით (აქ კლასიფიცირებული ერთეულები, ჩვეულებრივ, არ ქმნიან პროგრამულ პროდუქტებს)

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ინტერნეტზე წვდომის უზრუნველყოფას თანამგზავრული ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სატელეკომუნიკაციო მომსახურების გადაყიდვას, იხ. 61.90.0

**61.9 სხვა ტელესაკომუნიკაციო საქმიანობები**

**61.90 სხვა ტელესაკომუნიკაციო საქმიანობები**

**61.90.0 სხვა ტელესაკომუნიკაციო საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სპეციალიზებული სატელეკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველყოფას, როგორცაა თანამგზავრული ძიება, საკომუნიკაციო ტელემეტრია, და რადარული სადგურების ექსპლუატაციას
- თანამგზავრული ტერმინალური სადგურების და დამხმარე საშუალებების ექსპლუატაციას, რომლებიც ფუნქციურად დაკავშირებულია ერთ ან რამდენიმე მიწისზედა სატელეკომუნიკაციო სისტემებთან და რომლებსაც აქვთ თანამგზავრული სისტემებიდან ტელეკომუნიკაციების გადაცემის და მიღების უნარი
- ინტერნეტზე წვდომის უზრუნველყოფას კლიენტებს და ინტერნეტ-პროვაიდერებს შორის არსებული ქსელის მეშვეობით, რომელიც არ ეკუთვნის ან არ კონტროლდება ინტერნეტ-პროვაიდერის მიერ, მაგალითად, dial-up ინტერნეტ კავშირი და მისთ.
- სატელეფონო და ინტერნეტის მიმსახურებაზე წვდომის უზრუნველყოფას საზოგადოებრივ ადგილებში
- სატელეკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველყოფას არსებული სატელეკომუნიკაციო კავშირის საშუალებით:
  - ხმოვანი კავშირის უზრუნველყოფა VOIP (Voice Over Internet Protocol) ტექნოლოგიის საშუალებით
- სატელეკომუნიკაციო მომსახურების გადაყიდვას (მაგალითად, ქსელის მოცულობის ყიდვას და გადაყიდვას დამატებითი მომსახურების გარეშე)

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ინტერნეტზე წვდომის უზრუნველყოფას თანამგზავრული ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ, იხ. 61.10.0, 61.20.0, 61.30.0

## **62 კომპიუტერული დაპროგრამება, კონსულტირება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები**

ეს განყოფილება შეიცავს შემდეგ საქმიანობებს საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში: პროგრამული უზრუნველყოფის დაწერას, მოდიფიცირებას, ტესტირებას და ტექნიკურ მხარდაჭერას; კომპიუტერული სისტემების დაგეგმვას და შემუშავებას, რომლებიც აერთიანებს კომპიუტერულ მოწყობილობებს, პროგრამულ უზრუნველყოფას და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; კლიენტების კომპიუტერული სისტემების და/ან მონაცემთა დამუშავების საშუალებების ადგილზე მართვას და ექსპლუატაციას; და კომპიუტერებთან დაკავშირებულ სხვა პროფესიულ და ტექნიკურ საქმიანობებს.

### **62.0 კომპიუტერული დაპროგრამება, კონსულტირება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები**

#### **62.01 კომპიუტერული დაპროგრამების საქმიანობები**

##### **62.01.0 კომპიუტერული დაპროგრამების საქმიანობები**

ეს ქვეკლასი შეიცავს პროგრამული უზრუნველყოფის დაწერის, მოდიფიცირების, ტესტირების და ტექნიკური მხარდაჭერის საქმიანობებს.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- კომპიუტერული პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის შემუშავებას და/ან დაწერას, რომელიც აუცილებელია ქვემოთ მოყვანილი პროგრამული პროდუქტების შექმნის და გამოყენებისათვის:
  - სისტემური პროგრამული უზრუნველყოფის (განახლების პროგრამების ჩათვლით)
  - გამოყენებითი პროგრამების (განახლების პროგრამების ჩათვლით)
  - მონაცემთა ბაზების
  - ვებ-საიტების
- პროგრამული უზრუნველყოფის პარამეტრების აწყობას, მაგალითად, არსებული დანართების მოდიფიცირებას და კონფიგურაციის შეცვლას ისეთნაირად, რომ ის ფუნქციონირებდეს მომხმარებლების საინფორმაციო სისტემის სივრცეში

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტების გამოცემას, იხ. 58.29.0
- მზა (სტანდარტული) პროგრამული უზრუნველყოფის თარგმნას ან მორგებას ცალკეული ბაზრისათვის საკუთარი ხარჯით, იხ. 58.29.0
- კომპიუტერული სისტემების დაგეგმვას და შემუშავებას, რომლებიც აერთიანებს კომპიუტერულ მოწყობილობებს, პროგრამულ უზრუნველყოფას და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს მაშინაც კი,

როდესაც პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდება შეიძლება წარმოადგენდეს მოცემული პროცესის შემადგენელ ნაწილს, იხ. 62.02.0

## **62.02 საკონსულტაციო საქმიანობები კომპიუტერული ტექნოლოგიების დარგში**

### **62.02.0 საკონსულტაციო საქმიანობები კომპიუტერული ტექნოლოგიების დარგში**

ეს ქვეკლასი შეიცავს კომპიუტერული სისტემების დაგეგმვას და შემუშავებას, რომლებიც აერთიანებს კომპიუტერულ მოწყობილობებს, პროგრამულ უზრუნველყოფას და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. მომსახურება შეიძლება შეიცავდეს შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ვაჭრობას კომპიუტერული მოწყობილობებით ან პროგრამული უზრუნველყოფით, იხ. 46.51.0, 47.41.0
- მრავალფუნქციური და მსგავსი კომპიუტერების დაყენებას, იხ. 33.20.0
- პერსონალური კომპიუტერების დაყენებას, იხ. 62.09.0
- პროგრამული უზრუნველყოფის დაყენებას, დაზიანების შემდეგ კომპიუტერული სისტემების აღდგენას, იხ. 62.09.0

## **62.03 კომპიუტერული საშუალებების მართვის საქმიანობები**

### **62.03.0 კომპიუტერული საშუალებების მართვის საქმიანობები**

ეს ქვეკლასი შეიცავს კლიენტების კომპიუტერული სისტემების და/ან მონაცემთა დამუშავების საშუალებების ადგილზე მართვას და ექსპლუატაციას, აგრეთვე მათთან დაკავშირებულ დამხმარე მომსახურებას.

### **62.09 საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები**

#### **62.09.0 საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები**

ეს ქვეკლასი შეიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიებთან და კომპიუტერებთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობებს, რომლებიც არსად არ არის კლასიფიცირებული, როგორცაა:

- დაზიანების შემდეგ კომპიუტერული სისტემების აღდგენის მომსახურება
- პერსონალური კომპიუტერების დაყენება
- პროგრამული უზრუნველყოფის დაყენება

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მრავალფუნქციური და მსგავსი კომპიუტერების დაყენებას, იხ. 33.20.0
- კომპიუტერულ პროგრამირებას, იხ. 62.01.0
- საკონსულტაციო საქმიანობებს კომპიუტერული ტექნოლოგიების დარგში, იხ. 62.02.0
- კომპიუტერული საშუალებების მართვას, იხ. 62.03.0
- მონაცემთა დამუშავებას და განთავსებას, იხ. 63.11.0

## **63 საინფორმაციო სამსახურების საქმიანობები**

ეს განყოფილება შეიცავს საძიებო ვებ-პორტალების, მონაცემთა დამუშავების და განთავსების საქმიანობებს, აგრეთვე სხვა საქმიანობებს, რომლებიც უპირატესად ახორციელებენ ინფორმაციის მიწოდებას.

### **63.1 მონაცემთა დამუშავება, განთავსება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები; ვებ-პორტალები**

ეს ჯგუფი შეიცავს ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას მონაცემთა განთავსების და დამუშავებისათვის და სხვა შესაბამის მომსახურებებს, აგრეთვე საძიებო საშუალებებით და სხვა პორტალებით უზრუნველყოფას ინტერნეტში.

#### **63.11 მონაცემთა დამუშავება, განთავსება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები**

##### **63.11.0 მონაცემთა დამუშავება, განთავსება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას, მონაცემთა განთავსების და დამუშავებისათვის და სხვა შესაბამის მომსახურებებს
- განთავსების საქმიანობებს, როგორცაა:
  - ვებ-განთავსება
  - მონაცემთა ნაკადური მიწოდება
  - გამოყენებითი პროგრამების განთავსება
- პროგრამული საშუალებებით უზრუნველყოფას
- დროის გაყოფის რეჟიმში მომუშავე მრავალტერმინალური სისტემებით მომხმარებლების უზრუნველყოფას
- მონაცემთა დამუშავების საქმიანობებს:
  - კლიენტების მიერ მოწოდებული მონაცემების სრულ დამუშავებას
  - კლიენტების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე სპეციალიზებული ანგარიშების შედგენას
- მონაცემთა შეტანის მომსახურების უზრუნველყოფას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საქმიანობებს, სადაც მომწოდებელი იყენებს კომპიუტერებს მხოლოდ ინსტრუმენტის სახით (კლასიფიცირდება მისაწოდებელი მომსახურების ტიპის შესაბამისად)

#### **63.12 ვებ-პორტალები**

##### **63.12.0 ვებ-პორტალები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ვებ-საიტების ექსპლუატაციას, რომლებიც იყენებენ საძიებო მექანიზმებს ინტერნეტ-მისამართების და შინაარსის ვრცელი მონაცემთა ბაზების შექმნის და შენახვის მიზნით ადვილად მოსაძიებელ ფორმატში

- სხვა ვებ-საიტების ექსპლუატაციას, რომლებიც ფუნქციონირებენ ინტერნეტში პორტალების სახით, როგორცაა პერიოდულად განახლებადი ინფორმაციის მიმწოდებელი მედია-საიტები

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- წიგნების, გაზეთების, ჟურნალების და მისთ. გამოცემას ინტერნეტით, იხ. განყოფილება 58
- მაუწყებლობას ინტერნეტით, იხ. განყოფილება 60

### **63.9 საინფორმაციო მომსახურების სხვა საქმიანობები**

ეს ჯგუფი შეიცავს ახალი ამბების სააგენტოების და სხვა დანარჩენი საინფორმაციო მომსახურების საქმიანობებს

*ეს ჯგუფი არ შეიცავს:*

- ბიბლიოთეკების და არქივების საქმიანობას, იხ. 91.01

#### **63.91 ახალი ამბების სააგენტოების საქმიანობა**

##### **63.91.0 ახალი ამბების სააგენტოების საქმიანობა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საინფორმაციო სააგენტოების საქმიანობას, რომლებიც აწვდიან მასმედიას ახალ ამბებს, ფოტოებს და სხვა მასალებს

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- დამოუკიდებელი ფოტოჟურნალისტების საქმიანობას, იხ. 74.20.0
- დამოუკიდებელი ჟურნალისტების საქმიანობას, იხ. 90.03.0

### **63.99 საინფორმაციო მომსახურების სხვა საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

#### **63.99.0 საინფორმაციო მომსახურების სხვა საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

ეს ქვეკლასი შეიცავს საინფორმაციო მომსახურების სხვა საქმიანობებს, რომლებიც არ კლასიფიცირდება არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიაში:

- კომპიუტერიზებულ სატელეფონო საინფორმაციო მომსახურებას
- ინფორმაციის საძიებო მომსახურებას გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე
- სხვადასხვა წყაროებიდან მოძიებული ახალი ამბების და ნაბეჭდი გამოცემების ნაკრების მომზადების მომსახურებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სატელეფონო ცენტრების საქმიანობას, იხ. 82.20.0

---

## სექცია K – საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები

---

ეს სექცია შეიცავს საფინანსო მომსახურების საქმიანობებს, მათ შორის დაზღვევის, გადაზღვევის და საპენსიო ფონდების საქმიანობებს და საფინანსო მომსახურების დამხმარე საქმიანობებს.

ეს სექცია აგრეთვე შეიცავს ჰოლდინგურ აქტივებთან დაკავშირებულ საქმიანობებს, როგორცაა ჰოლდინგური კომპანიების და ტრასტების, ფონდების და მსგავსი საფინანსო ერთეულების საქმიანობები.

### **64 საფინანსო მომსახურების საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების საქმიანობის გარდა**

ეს განყოფილება შეიცავს ფულადი საშუალებების მიღების და გადანაწილების საქმიანობებს, სადაზღვევო, საპენსიო ფონდების ან სავალდებულო სოციალური უსაფრთხოების გარდა.

შენიშვნა: ეროვნული ინსტიტუციური მოწყობა ჩვეულებრივ თამაშობს არსებით როლს აღნიშნულ განყოფილებაში კლასიფიცირებისათვის.

#### **64.1 მონეტარული შუამავლობა**

ეს ჯგუფი შეიცავს ფულადი საშუალებების მიღებას გადაცემადი დეპოზიტების ფორმით, ანუ ფიქსირებული ფულადი გამოსახულების მქონე საშუალებების, რომლებიც მიიღება ყოველდღიურად და, ცენტრალური ბანკის საქმიანობისაგან განსხვავებით, არასაფინანსო წყაროებიდან.

#### **64.11 ცენტრალური ბანკის საქმიანობა**

##### **64.11.0 ცენტრალური ბანკის საქმიანობა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ეროვნული ვალუტის გამოშვებას და მართვას
- ფულის მიწოდების მონიტორინგს და კონტროლს
- დეპოზიტების მიღებას, რომლებიც გამოიყენება საფინანსო ინსტიტუტებს შორის ანგარიშსწორებისათვის
- საბანკო ოპერაციების ზედამხედველობას
- ქვეყნის საერთაშორისო რეზერვების შენახვას
- მთავრობის ბანკირის ფუნქციის შესრულებას

ცენტრალური ბანკების საქმიანობის სახეები შეიძლება იცვლებოდეს ინსტიტუციური მიზეზების გამო.

#### **64.19 სხვა მონეტარული შუამავლობა**

ეს კლასი შეიცავს დეპოზიტების ან/და დეპოზიტების ანალოგების მიღებას, ან კრედიტის და სესხების გაცემას. კრედიტის გაცემა შესაძლებელია სრულდებოდეს სხვადასხვა სახით, როგორცაა: სესხები, გირაო, საკრედიტო ბარათები და მისთ. ამ საქმიანობით ჩვეულებრივ დაკავებულნი

არიან საფინანსო დაწესებულებები, ცენტრალური ბანკების გარდა, როგორებიცაა:

- ბანკები
- შემნახველი ბანკები
- საკრედიტო კავშირები

*ეს კლასი აგრეთვე შეიცავს:*

- საფოსტო გადასახადების და საფოსტო შემნახველი ბანკების საქმიანობას
- კრედიტის გაცემას სახლების შესაძენად სპეციალიზებული საკრედიტო დაწესებულებების მიერ
- ფულადი გზავნილების სფეროში საქმიანობას

*ეს კლასი არ შეიცავს:*

- კრედიტის გაცემას სახლების შესაძენად სპეციალიზებული არასაკრედიტო დაწესებულებების მიერ, იხ. 64.92
- საკრედიტო ბარათების მიერ ტრანზაქციული ოპერაციების ჩატარებას და ანგარიშსწორების საქმიანობებს, იხ. 66.19

#### **64.19.1 კომერციული ბანკების საქმიანობა**

#### **64.19.9 მონეტარული შუამავლობის სხვა სახეები**

#### **64.2 ჰოლდინგური კომპანიების საქმიანობები**

#### **64.20 ჰოლდინგური კომპანიების საქმიანობები**

#### **64.20.0 ჰოლდინგური კომპანიების საქმიანობები**

ეს ქვეკლასი შეიცავს ჰოლდინგური კომპანიების საქმიანობებს, ანუ ერთეულების, რომლებიც ფლობენ შვილობილი კორპორაციების ჯგუფის აქტივებს (აქციების საკონტროლო პაკეტების ფლობით) და რომელთა ძირითადი საქმიანობაა ამ ჯგუფის ფლობა. ამ ქვეკლასის ჰოლდინგური კომპანიები არ უწევენ არანაირ სხვა მომსახურებას კომპანიებს, რომელთა აქტივებს ისინი ფლობენ, ანუ ისინი არ ხელმძღვანელობენ და არ მართავენ სხვა ერთეულებს.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კომპანიების და საწარმოების აქტიურ მართვას, სტრატეგიულ დაგეგმვას და კომპანიების მიერ გადაწყვეტილებების მიღებას, იხ. 70.10.0

#### **64.3 ტრასტები, ფონდები და მსგავსი ფინანსური სუბიექტები**

#### **64.30 ტრასტები, ფონდები და მსგავსი ფინანსური სუბიექტები**

## 64.30.0 ტრასტები, ფონდები და მსგავსი ფინანსური სუბიექტები

ეს ქვეკლასი შეიცავს იურიდიულ პირებს, რომლებიც შექმნილია ფასიანი ქაღალდების ან სხვა საფინანსო აქტივების ფონდის შესაქმნელად, მართვის გარეშე, აქციონერების ან ბენეფიციარების სახელით. პორტფელები ფორმდება სპეციფიკური საინვესტიციო მახასიათებლების მისაღწევად, როგორცაა დივერსიფიკაცია, რისკი, უკუგების ნორმა და ფასების მერყეობა. ეს სუბიექტები იღებენ საპროცენტო შემოსავალს, დივიდენდებს და სხვა შემოსავალს ქონებიდან, მაგრამ თითქმის არ ჰყავთ დასაქმებული პერსონალი და არ გააჩნიათ შემოსავალი მომსახურების გაყიდვიდან.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ღია ტიპის საინვესტიციო ფონდებს
- დახურული ტიპის საინვესტიციო ფონდებს
- საპაიო საინვესტიციო ფონდებს
- ბენეფიციარების სახელით მართულ მინდობილობითი საკუთრების (ტრასტების), უძრავი ქონების მართვის ან სააგენტო ანგარიშებს, სატრასტო ხელშეკრულების, ანდერძის ან სააგენტო ხელშეკრულების საფუძველზე

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ფონდებს და ტრასტებს, რომლებიც იღებენ შემოსავალს საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან, იხ. NACE-ის ქვეკლასი მათი ძირითადი საქმიანობის მიხედვით
- ჰოლდინგური კომპანიების საქმიანობებს, იხ. 64.20.0
- საპენსიო ფონდებს, იხ. 65.30.0
- ფონდების მართვას, იხ. 66.30.0

## 64.9 საფინანსო მომსახურების სხვა საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების გარდა

ეს ჯგუფი შეიცავს საფინანსო მომსახურების საქმიანობებს, იმ საქმიანობების გარდა, რომლებსაც ახორციელებენ საფინანსო დაწესებულებები.

*ეს ჯგუფი არ შეიცავს:*

- სადაზღვევო და საპენსიო ფონდების საქმიანობებს, იხ. განყოფილება 65

## 64.91 ფინანსური ლიზინგი

### 64.91.0 ფინანსური ლიზინგი

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ლიზინგს, რომლის მოქმედების ვადები მოიცავს აქტივის მოსალოდნელი ექსპლუატაციის ხანგრძლივობას და მოიჯარე არსებითად იღებს მისი გამოყენებისაგან ყველანაირ სარგებელს და თავის თავზე იღებს აღნიშნული ქონების მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკს. აქტივების მფლობელობასთან დაკავშირებული უფლებები საბოლოოდ შეიძლება გადაიცემოდეს ან არ გადაიცემოდეს სხვა პირზე. ასეთი სახის

იჯარა ფარავს ყველა ან თითქმის ყველა დანახარჯს, პროცენტების ჩათვლით.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ოპერაციულ ღირებულებას, იხ. განყოფილება 77, იჯარით გაცემული საქონლის ტიპის შესაბამისად.

## **64.92 სხვა სახის საკრედიტო მომსახურება**

### **64.92.0 სხვა სახის საკრედიტო მომსახურება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საფინანსო მომსახურების საქმიანობებს, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია კრედიტის გაცემასთან იმ ინსტიტუტების მიერ, რომლებიც არ არიან ჩართული საფინანსო შუამავლობაში, რომლის დროსაც კრედიტის გაცემამ შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმა, როგორცაა სესხები, გირაო, საკრედიტო ბარათები და მისთ. შემდეგი ტიპის მომსახურების მიწოდებით:
  - სამომხმარებლო კრედიტების გაცემა
  - საერთაშორისო სავაჭრო დაფინანსება
  - მრეწველობის გრძელვადიანი დაფინანსებით უზრუნველყოფა სამრეწველო ბანკების მიერ
  - ფულადი სესხების გაცემა საბანკო სისტემის გარეთ
  - კრედიტის გაცემა სახლის შესაძენად, სპეციალიზებული არადეპოზიტური ინსტიტუტების მიერ
  - ლომბარდების საქმიანობა

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კრედიტების გაცემას სახლის შესაძენად სპეციალიზებული დაწესებულებების მიერ, რომლებიც აგრეთვე იღებენ დეპოზიტებს, იხ. 64.19.0
- ოპერაციულ ღირებულებას, იხ. განყოფილება 77, იჯარით გაცემული საქონლის ტიპის შესაბამისად
- გრანტის გაცემის საქმიანობებს საწევრო ორგანიზაციების მიერ, იხ. 94.99.0

## **64.99 საფინანსო მომსახურების სხვა საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების გარდა, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

### **64.99.0 საფინანსო მომსახურების სხვა საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების გარდა, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საფინანსო მომსახურების სხვა საქმიანობებს, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ფონდების განაწილებასთან, სესხების გაცემისაგან განსხვავებით:
  - ფაქტორინგულ საქმიანობებს
  - სვოპების, ოპციონების და ჰეჯირების სხვა გარიგებების დადებას
  - ვიატიკური ანგარიშსწორების კომპანიების საქმიანობებს

- საინვესტიციო საქმიანობებს საკუთარ ხარჯზე, როგორცაა ვენჩურული კაპიტალის კომპანიები, საინვესტიციო კლუბები და მისთ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ფინანსურ ლიზინგს, იხ. 64.91.0
- ოპერაციებს ფასიანი ქაღალდებით სხვა პირების სახელით, იხ. 66.12.0
- უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას, ლიზინგს და იჯარას, იხ. განყოფილება 68
- დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, ვალების გამოსყიდვის გარდა, იხ. 82.91.0
- გრანტის გაცემის საქმიანობებს საწევრო ორგანიზაციების მიერ, იხ. 94.99.0

## **65 დაზღვევა, გადაზღვევა და საპენსიო ფონდების საქმიანობები საგადასახადო სოციალური უსაფრთხოების გარდა**

ეს განყოფილება შეიცავს სადაზღვეო ანუიტეტს, სადაზღვეო პოლისებს და საინვესტიციო პრემიებს ფინანსური აქტივების პორტფელის ფორმირების მიზნით, სამომავლო სასარჩელო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. პირდაპირი დაზღვევა და გადაზღვევა აგრეთვე შედის ამ განყოფილებაში.

### **65.1 დაზღვევა**

ეს ჯგუფი შეიცავს სიცოცხლის დაზღვევას დაზოგვის არსებითი ელემენტით ან მის გარეშე და დაზღვევის სხვა სახეებს.

#### **65.11 სიცოცხლის დაზღვევა**

##### **65.11.0 სიცოცხლის დაზღვევა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

სადაზღვეო ანუიტეტს, სადაზღვეო პოლისებს, შრომისუნარობის შედეგად შემოსავლების დაკარგვისაგან დაზღვევის პოლისებს და უბედური შემთხვევის შედეგად სიკვდილის ან დასახიზრებისაგან დაზღვევის პოლისებს (არსებითი დაზოგვის ელემენტით ან მის გარეშე).

#### **65.12 დაზღვევის სხვა სახეები**

##### **65.12.0 დაზღვევის სხვა სახეები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სადაზღვეო მომსახურებას, სიცოცხლის დაზღვევის გარდა:
  - უბედური შემთხვევების და ხანძრისაგან დაზღვევას
  - ჯანმრთელობის დაზღვევას
  - სამოგზაურო დაზღვევას
  - ქონების დაზღვევას
  - საავტომობილო, საზღვაო, საავიაციო ტრანსპორტის დაზღვევას
  - ფულადი დანაკარგების და ვალდებულებათა შესრულების დაზღვევას

## 65.2 გადაზღვევა

### 65.20 გადაზღვევა

#### 65.20.0 გადაზღვევა

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საქმიანობებს, რომლებიც ითვალისწინებს თავდაპირველად სხვა სადაზღვევო პროვაიდერების მიერ გამოწერილ სადაზღვევო პოლისებთან დაკავშირებული რისკების მთლიანად ან ნაწილობრივ საკუთარ თავზე აღებას.

## 65.3 საპენსიო ფონდების საქმიანობები

### 65.30 საპენსიო ფონდების საქმიანობები

#### 65.30.0 საპენსიო ფონდების საქმიანობები

ეს ქვეკლასი შეიცავს იურიდიულ პირებს (მაგალითად, ფონდები, გეგმები და/ან პროგრამები), რომლებიც შექმნილია საპენსიო შემოსავლებიდან გადახდების უზრუნველსაყოფად მხოლოდ სპონსორული ორგანიზაციების თანამშრომლების ან წევრებისათვის. ეს შეიცავს საპენსიო უზრუნველყოფის გეგმებს განსაზღვრული სარგებლით და აგრეთვე ინდივიდუალურ გეგმებს, რომლებშიც სარგებლის ოდენობა უბრალოდ განისაზღვრება საწევრო შენატანების საფუძველზე.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- თანამშრომლების შეღავათიანი საპენსიო უზრუნველყოფის გეგმებს
- საპენსიო ფონდებს და გეგმებს
- პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებულ გეგმებს

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საპენსიო ფონდების მართვას, იხ. 66.30.0
- სავალდებულო სოციალური დაზღვევის სქემებს, იხ. 84.30.0

## 66 საფინანსო მომსახურების და დაზღვევის დამხმარე საქმიანობები

ეს განყოფილება შეიცავს მომსახურებებს, რომლებიც ჩართულია ან მჭიდროდაა დაკავშირებული საფინანსო მომსახურების საქმიანობებთან, თვით საფინანსო მომსახურების გაწევის გარდა. მოცემულ განყოფილებაში ძირითადი დაყოფა ხორციელდება საფინანსო გარიგებების ან დაფინანსების სახეების მიხედვით.

### 66.1 საფინანსო მომსახურების დამხმარე საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების გარდა

ეს ჯგუფი შეიცავს ფიზიკური ან ელექტრონული სავაჭრო ადგილების აღჭურვას აქციების, საფონდო ოპციონების, ობლიგაციების ან სავაჭრო კონტრაქტების ყიდვა-გაყიდვის გამარტივების მიზნით.

## 66.11 საფინანსო ბაზრების ადმინისტრირება

### 66.11.0 საფინანსო ბაზრების ადმინისტრირება

ეს ქვეკლასი შეიცავს საფინანსო ბაზრების ადმინისტრირებას და ზედამხედველობას, სახელმწიფო ორგანოებისაგან განსხვავებული ერთეულების მიერ, როგორცაა:

- სასაქონლო ბირჟები
- ფიუჩერული სასაქონლო ბირჟები
- ფასიანი ქაღალდების ბირჟები
- საფონდო ბირჟები
- ფასიანი ქაღალდების ან სასაქონლო ოპციონების ბირჟები

## 66.12 ფასიან ქაღალდებთან და სასაქონლო კონტრაქტებთან დაკავშირებული საბროკერო მომსახურება

### 66.12.0 ფასიან ქაღალდებთან და სასაქონლო კონტრაქტებთან დაკავშირებული საბროკერო მომსახურება

ეს ქვეკლასი შეიცავს:

- საფინანსო ბაზრებზე გარიგებების განხორციელებას სხვა პირების დავალებით (მაგალითად, საბირჟო მაკლერების საქმიანობა) და მათთან დაკავშირებულ საქმიანობებს
- ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებულ საბროკერო მომსახურებას
- სასაქონლო კონტრაქტებთან დაკავშირებულ საბროკერო მომსახურებას
- ვალუტის გადამცვლელი პუნქტების და მისთ. საქმიანობებს

ეს ქვეკლასი არ შეიცავს:

- ბაზრებზე გარიგებების განხორციელებას საკუთარ ხარჯზე, იხ. 64.99.0
- პორტფელების მართვას გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე, იხ. 66.30.0

## 66.19 საფინანსო მომსახურების სხვა დამხმარე საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების გარდა

### 66.19.0 საფინანსო მომსახურების სხვა დამხმარე საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების გარდა

ეს ქვეკლასი შეიცავს საფინანსო მომსახურების დამხმარე საქმიანობებს, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული, როგორცაა:

- ფინანსური გარიგებების დამუშავების და ანგარიშსწორების საქმიანობები, საკრედიტო ბარათებით გარიგებების ჩათვლით
- საინვესტიციო საკონსულტაციო მომსახურება
- კონსულტანტების და ბროკერების საქმიანობები გირავნობის სფეროში

ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:

- ნდობით აღჭურვილი პირების, სამეურვეო და კასტდიანურ მომსახურებას გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სადაზღვევო აგენტების და ბროკერების საქმიანობას, იხ. 66.22.0
- ფონდების მართვას, იხ. 66.30.0

## **66.2 სადაზღვევო და საპენსიო ფონდების დამხმარე საქმიანობები**

ეს ჯგუფი შეიცავს აგენტების (შუამავლების) საქმიანობებს, რომლებიც დაკავშირებულია ანუიტეტების და სადაზღვევო პოლისების გაყიდვასთან ან დაქირავებულთა სადაზღვევო და საპენსიო სარგებლის მიწოდებასთან და სხვა თანამდევ მომსახურებას, როგორცაა დავების დარეგულირება და ადმინისტრირება მესამე მხარის მიერ.

### **66.21 რისკის და ზარალის შეფასება**

#### **66.21.0 რისკის და ზარალის შეფასება**

ეს ქვეკლასი შეიცავს დაზღვევის სფეროში ადმინისტრაციული მომსახურების გაწევას, როგორცაა სადაზღვევო მოთხოვნების შეფასება და დაკმაყოფილება, როგორცაა:

- სადაზღვევო მოთხოვნების შეფასება:
  - მოთხოვნების დარეგულირება
  - რისკის შეფასება
  - რისკის და ზარალის შეფასება
  - დანაკარგების და ზარალის დარეგულირება
- სადაზღვევო მოთხოვნების დაკმაყოფილება

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- უძრავი ქონების შეფასებას, იხ. 68.31.0
- შეფასებას სხვა მიზნებისათვის, იხ. 74.90.0
- საგამოძიებო საქმიანობებს, იხ. 80.30.0

### **66.22 სადაზღვევო აგენტების და ბროკერების საქმიანობები**

#### **66.22.0 სადაზღვევო აგენტების და ბროკერების საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სადაზღვევო აგენტების და ბროკერების (სადაზღვევო შუამავლების) საქმიანობებს, რომლებიც დაკავშირებულია ანუიტეტების და სადაზღვევო და საგადაზღვევო პოლისების გაყიდვასთან, პირობების დადგენასთან და მოთხოვნასთან.

### **66.29 სადაზღვევო და საპენსიო ფონდების სხვა დამხმარე საქმიანობები**

## **66.29.0 სადაზღვევო და საპენსიო ფონდების სხვა დამხმარე საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საქმიანობებს, რომლებიც ჩართულია ან მჭიდროდაა დაკავშირებული სადაზღვევო და საპენსიო ფონდებთან (საფინანსო შუამავლობის, მოთხოვნების დარეგულირების და სადაზღვევო აგენტების მომსახურების გარდა):
  - ქონების გადარჩენასთან დაკავშირებულ ადმინისტრირებას
  - აქტუარების მომსახურებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საზღვაო სამაშველო სამუშაოებს, იხ. 52.22.0

## **66.3 ფონდების მართვის საქმიანობები**

### **66.30 ფონდების მართვის საქმიანობები**

#### **66.30.0 ფონდების მართვის საქმიანობები**

ეს ქვეკლასი შეიცავს პორტფელის და ფონდების მართვის საქმიანობებს გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის და მისთ., როგორცაა:

- საერთო ფონდების მართვა
- სხვა საინვესტიციო ფონდების მართვა
- საპენსიო ფონდების მართვა

---

## სექცია L – უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები

---

ეს სექცია შეიცავს მოიჯარეების, აგენტების და/ან შუამავლების შემდეგი სახის საქმიანობებს: უძრავი ქონების ყიდვას ან გაყიდვას, უძრავი ქონების იჯარით გაცემას, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების გაწევას, როგორცაა უძრავი ქონების შეფასება ან უძრავი ქონების ესქროუ აგენტების საქმიანობა. აღნიშნული სექციის საქმიანობები შეიძლება ხორციელდებოდეს საკუთარი ან იჯარით გაცემული საკუთრების მიმართ და სრულდებოდეს გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე. აქ აგრეთვე შედის ნაგებობების მშენებლობა ამ ნაგებობებზე საკუთრების შენარჩუნებასთან ან მათ იჯარით გაცემასთან ერთად.

ეს სექცია შეიცავს უძრავი ქონების მართვას.

### 68 უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები

#### 68.1 საკუთარი უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა

#### 68.10 საკუთარი უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა

##### 68.10.1 საცხოვრებელი შენობების ყიდვა-გაყიდვა

##### 68.10.2 არასაცხოვრებელი შენობების ყიდვა-გაყიდვა

##### 68.10.3 მიწის ყიდვა-გაყიდვა

*ეს ქვეკლასები აგრეთვე შეიცავენ:*

უძრავი ქონების დაყოფას ნაწილებად, მიწის გაუმჯობესების და ტერიტორიის კეთილმოწყობის გარეშე

*ეს ქვეკლასები არ შეიცავენ:*

- სამშენებლო პროექტების შემუშავებას გასაყიდად, იხ. 41.10.0
- მიწის დაყოფას და ტერიტორიის კეთილმოწყობას, იხ. 42.99.0

#### 68.2 საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვა

#### 68.20 საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვა

*ეს კლასი შეიცავს:*

- საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვა:
  - საცხოვრებელი შენობების და სახლების
  - არასაცხოვრებელი შენობების, მათ შორის საგამოფენო დარბაზების, სასაწყობო საშუალებების
  - მიწის
- სახლების და კეთილმოწყობილი ან კეთილმოწყობელი ბინების ან აპარტამენტების გაქირავებას ხანგრძლივი გამოყენებისათვის, ჩვეულებრივ, თვეობით ან წლებით

*ეს კლასი აგრეთვე შეიცავს:*

- სამშენებლო პროექტების შემუშავებას საკუთარი გამოყენებისათვის
- მობილური საცხოვრებელი კომპლექსების ექსპლუატაციას

*ეს კლასი არ შეიცავს:*

- სასტუმროების, დასასვენებელი სახლების, კეთილმოწყობილი სახლების, საკემპინგო ადგილების, ტრეილერ-პარკების და სხვა არასაცხოვრებელი ან მოკლევადიანი საცხოვრებელი ადგილების ექსპლუატაციას, იხ. განყოფილება 55

**68.20.1 საკუთარი ან იჯარით აღებული საცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა**

**68.20.2 საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა**

**68.20.3 მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემა**

**68.20.9 საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები**

**68.3 უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე**

**68.31 უძრავი ქონების სააგენტოები**

**68.31.0 უძრავი ქონების სააგენტოები**

ეს ქვეკლასი შეიცავს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების უზრუნველყოფას უძრავი ქონების სააგენტოების მიერ:

- შუამავლობას უძრავი ქონების ყიდვის, გაყიდვის ან იჯარით გაცემის საქმეში, გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე
- საკონსულტაციო საქმიანობებს ან შეფასების მომსახურებებს, რომლებიც დაკავშირებულია უძრავი ქონების ყიდვასთან, გაყიდვასთან და იჯარით გაცემასთან, გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე
- უძრავი ქონების ესქრო აგენტების საქმიანობებს

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- იურიდიულ საქმიანობებს, იხ. 69.10.0

**68.32 უძრავი ქონების მართვა გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე**

**68.32.0 უძრავი ქონების მართვა გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე**

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- საიჯარო გადასახდელების ამკრეფ სააგენტოებს

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- იურიდიულ საქმიანობებს, იხ. 69.10.0
- შენობების მოვლასთან დაკავშირებულ მომსახურებებს (მომსახურებების ერთობლიობა, როგორცაა საერთო შიდა დალაგება, შენობების მოვლა და უმნიშვნელო შეკეთება, ნაგვის გატანა, დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა), იხ. 81.10.0
- შენობების მართვას, როგორცაა სამხედრო ბაზები, ციხეები და სხვა შენობები (ელექტრონული გამოთვლითი ცენტრების მართვის გარდა), იხ. 81.10.0

ეს სექცია შეიცავს სპეციალიზებულ პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობებს. ეს საქმიანობები მოითხოვს მომზადების მაღალ დონეს და უზრუნველყოფს სპეციალიზებული ცოდნის და უნარ-ჩვევების მისაწვდომობას მომხმარებლისათვის.

## 69 იურიდიული და სააღრიცხვო საქმიანობები

ეს განყოფილება შეიცავს სასამართლოებში ან სხვა იურიდიულ ორგანოებში ერთი მხარის ინტერესების იურიდიულ წარმომადგენლობას მეორე მხარის წინააღმდეგ, ადვოკატთა კოლეგიის წევრების მიერ ან მათი ზედამხედველობის ქვეშ, როგორცაა კონსულტირებადა წარმომადგენლობა სამოქალაქო საქმეებში, კონსულტირებადა წარმომადგენლობა სისხლის სამართლის საქმეებში, კონსულტირება და წარმომადგენლობა შრომით დავებთან დაკავშირებით.

ის აგრეთვე შეიცავს იურიდიული დოკუმენტების მომზადებას, როგორცაა კომპანიების რეგისტრაციის მოწმობები, საპარტნიორო შეთანხმებები ან სხვა მსგავსი დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიების შექმნასთან, პატენტებთან და საავტორო უფლებებთან, აქტების, ანდერძების, მინდობილობების და მისთ. მომზადებასთან, აგრეთვე სახელმწიფო და სამოქალაქო ნოტარიუსების, სასამართლო აღმასრულებლების, სამედიცინო მოსამართლეების, რევიზორების და მოსამართლეების სხვა საქმიანობებს.

ეს განყოფილება აგრეთვე შეიცავს სააღრიცხვო და საბუღალტრო მომსახურებას, როგორცაა სააღრიცხვო დოკუმენტების აუდიტი, საფინანსო ანგარიშების მომზადება და საბუღალტრო აღრიცხვა.

### 69.1 იურიდიული საქმიანობები

#### 69.10 იურიდიული საქმიანობები

*ეს კლასი შეიცავს:*

- სასამართლოებში ან სხვა იურიდიულ ორგანოებში ერთი მხარის ინტერესების იურიდიულ წარმომადგენლობას მეორე მხარის წინააღმდეგ, ადვოკატთა კოლეგიის წევრების მიერ ან მათი ზედამხედველობის ქვეშ:
  - კონსულტირებას და წარმომადგენლობას სამოქალაქო საქმეებში
  - კონსულტირებასდა წარმომადგენლობას სისხლის სამართლის საქმეებში
  - კონსულტირებას და წარმომადგენლობას შრომით დავებთან დაკავშირებით
- ზოგად კონსულტირებას და რჩევების მიცემას იურიდიული დოკუმენტების მომზადებაში:
  - კომპანიების რეგისტრაციის მოწმობების, საპარტნიორო შეთანხმებების ან კომპანიების შექმნასთან დაკავშირებული სხვა მსგავსი დოკუმენტების

- პატენტების და საავტორო უფლებების
- აქტების, ანდერძების, მინდობილობების და მისთ. მომზადებას
- სასამართლოს აღმასრულებლების, არბიტრების, რევიზორების და მოსამართლეების სხვა საქმიანობებს

### 69.10.1 ნოტარიული საქმიანობა

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სახელმწიფო და სამოქალაქო ნოტარიუსების საქმიანობას

### 69.10.9 სხვა იურიდიული საქმიანობები

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სასამართლოების საქმიანობას, იხ. 84.23

## 69.2 საადრიცხო, საბუღალტრო და სააუდიტო საქმიანობები; საგადასახადო კონსულტირება

### 69.20 საადრიცხო, საბუღალტრო და სააუდიტო საქმიანობები; საგადასახადო კონსულტირება

#### 69.20.0 საადრიცხო, საბუღალტრო და სააუდიტო საქმიანობები; საგადასახადო კონსულტირება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ბიზნესის ან სხვა პირების კომერციული გარიგებების რეგისტრაციას
- საფინანსო ანგარიშების მომზადებას ან აუდიტს
- ანგარიშების შემოწმებას და მათი სისწორის დადასტურებას (სერტიფიცირებას)
- საგადასახადო დეკლარაციების შედგენას ფიზიკური პირებისათვის ან საწარმოებისათვის
- საკონსულტაციო საქმიანობებს და კლიენტების სახელით წარმომადგენლობას საგადასახადო ორგანოების წინაშე

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მონაცემთა დამუშავების და ცხრილების შედგენის საქმიანობებს, იხ. 63.11.0
- კონსულტირებას საბუღალტრო სისტემების და საბიუჯეტო პროცედურების კონტროლის მართვის საკითხებში, იხ. 70.22.0
- გადასახდელების შეგროვებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, იხ. 82.91.0

## **70 სათავო ოფისების საქმიანობები; მართვის კონსულტირების საქმიანობები**

ეს განყოფილება შეიცავს კონსულტირებას და დახმარების გაწევას ბიზნესის და სხვა ორგანიზაციებისათვის მართვის საკითხებში, როგორცაა სტრატეგიული და ორგანიზაციული დაგეგმვა, ფინანსური დაგეგმვა და ბიუჯეტის შედგენა; მარკეტინგული მიზნები და პოლიტიკა; ადამიანური რესურსების პოლიტიკა, პრაქტიკა და დაგეგმვა; წარმოების დაგეგმვა; და კონტროლის დაგეგმვა.

ეს აგრეთვე შეიცავს ამავე კომპანიის ან საწარმოს სხვა ერთეულების ზედამხედველობას და მართვას, ანუ სათავო ოფისების საქმიანობებს.

### **70.1 სათავო ოფისების საქმიანობები**

#### **70.10 სათავო ოფისების საქმიანობები**

##### **70.10.0 სათავო ოფისების საქმიანობები**

ეს ქვეკლასი შეიცავს კომპანიის ან საწარმოს სხვა ერთეულების ზედამხედველობას და მართვას; კომპანიის ან საწარმოს სტრატეგიული ან ორგანიზაციული დაგეგმვის და გადაწყვეტილების მიღების ფუნქციების განხორციელებას; ოპერატიული კონტროლის განხორციელებას და მათთან დაკავშირებული ერთეულების ყოველდღიური ოპერაციების მართვას

*ეს ქვეკლასი შეიცავს საქმიანობებს:*

- სათავო ოფისების
- ცენტრალიზებული ადმინისტრაციული ოფისების
- კორპორაციული ოფისების
- რაიონული და რეგიონული ოფისების
- ფილიალების მმართველი ოფისების

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ჰოლდინგური კომპანიების საქმიანობებს, რომლებიც არ მონაწილეობენ მართვაში, იხ. 64.20.0

### **70.2 მართვის კონსულტირების საქმიანობები**

#### **70.21 საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის საქმიანობები**

##### **70.21.0 საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის საქმიანობები**

ეს ქვეკლასი შეიცავს საკონსულტაციო მომსახურების და საოპერაციო მხარდაჭერის უზრუნველყოფას, ლობისტური საქმიანობების ჩათვლით, კომპანიების და სხვა ორგანიზაციებისათვის საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის საკითხებში.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სარეკლამო სააგენტოების და მედია წარმომადგენლობების მომსახურებას, იხ.73.1
- მარკეტინგულ კვლევებს და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას, იხ. 73.20.0

## **70.22 საკონსულტაციო საქმიანობები ბიზნესის და მართვის სხვა საკითხებში**

### **70.22.0 საკონსულტაციო საქმიანობები ბიზნესის და მართვის სხვა საკითხებში**

ეს ქვეკლასი შეიცავს საკონსულტაციო მომსახურებას და საოპერაციო მხარდაჭერის უზრუნველყოფას კომპანიების და სხვა ორგანიზაციებისათვის მართვის საკითხებში, როგორცაა კორპორაციული სტრატეგიული და ორგანიზაციული დაგეგმვა, ბიზნეს პროცესების სრულყოფა, ცვლილებების მართვა, ხარჯების შემცირება და სხვა საფინანსო საკითხები; მარკეტინგული მიზნები და პოლიტიკა; ადამიანური რესურსების პოლიტიკა, პრაქტიკა და დაგეგმვა; საკომპენსაციო და საპენსიო სტრატეგიები; საწარმოო პროცესის და კონტროლის დაგეგმვა.

ბიზნესის მომსახურების ამგვარი უზრუნველყოფა შეიძლება შეიცავდეს ბიზნესის და საზოგადოების საკონსულტაციო მომსახურების და საოპერაციო მხარდაჭერის უზრუნველყოფას შემდეგ საკითხებში:

- აღრიცხვის მეთოდების ან პროცედურების, ხარჯთაღრიცხვის პროგრამების, ბიუჯეტის კონტროლის პროცედურების დაპროექტებაში
- კომპანიების და საჯარო სამსახურების საკონსულტაციო მომსახურებას და მხარდაჭერას ისეთ საკითხებში, როგორცაა დაგეგმვა, ორგანიზება, ეფექტიანობა და კონტროლი, მმართველობითი ინფორმაცია და ა.შ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებას სააღრიცხვო სისტემებისათვის, იხ. 62.01.0
- იურიდიულ კონსულტაციებს და წარმომადგენლობას, იხ. 69.10.0
- სააღრიცხვო, საბუღალტრო და სააუდიტო საქმიანობებს, საგადასახადო კონსულტირებას, იხ. 69.20.0
- არქიტექტურულ და საინჟინრო საკონსულტაციო საქმიანობებს, იხ. 71.11.0, 71.12.0
- გარემოს დაცვის, აგრონომიულ, უსაფრთხოების და მსგავს საკონსულტაციო საქმიანობებს, იხ. 74.90.0
- ხელმძღვანელ პოზიციებზე კანდიდატების მოძიებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო საქმიანობებს, იხ. 78.10.9
- საგანმანათლებლო საკონსულტაციო საქმიანობებს, იხ. 85.60.0

## **71 არქიტექტურული და საინჟინრო საქმიანობები; ტექნიკური გამოცდები და ანალიზი**

ეს განყოფილება შეიცავს არქიტექტურული მომსახურების, საინჟინრო მომსახურების, დაპროექტების მომსახურების, შენობების ინსპექტირების მომსახურების, ტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული მომსახურების გაწევას.

ის აგრეთვე შეიცავს ფიზიკური, ქიმიური და სხვა ანალიზის ჩატარებასთან დაკავშირებულ მომსახურებას.

### **71.1 არქიტექტურული და საინჟინრო საქმიანობები და მათთან დაკავშირებული ტექნიკური კონსულტაციები**

ეს ჯგუფი შეიცავს არქიტექტურული მომსახურების, საინჟინრო მომსახურების, ნახაზების შედგენის მომსახურების, შენობების ინსპექტირების მომსახურების, ტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული მომსახურების და ა.შ. გაწევას.

#### **71.11 არქიტექტურული საქმიანობები**

##### **71.11.0 არქიტექტურული საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- არქიტექტურულ საკონსულტაციო საქმიანობებს:
  - შენობების დაპროექტება და ნახაზების შედგენა
  - ქალაქების დაგეგმარება და ლანდშაფტური არქიტექტურა

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კომპიუტერული კონსულტანტების საქმიანობებს, იხ. 62.02.0, 62.09.0
- ინტერიერის გაფორმებას, იხ. 74.10.0

#### **71.12 საინჟინრო საქმიანობები და მათთან დაკავშირებული ტექნიკური კონსულტირება**

##### **71.12.0 საინჟინრო საქმიანობები და მათთან დაკავშირებული ტექნიკური კონსულტირება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საინჟინრო დიზაინს (ანუ ფიზიკური კანონების და საინჟინრო საქმიანობის პრინციპების გამოყენებას მანქანების, მასალების, ინსტრუმენტების, კონსტრუქციების, პროცესების და სისტემების შემუშავებაში) და საკონსულტაციო საქმიანობებს:
  - მანქანების და მოწყობილობების, სამრეწველო პროცესების და სამრეწველო საწარმოებისათვის
  - სამოქალაქო მშენებლობის, ჰიდროტექნიკური მშენებლობის, სატრანსპორტო მშენებლობის შემცველი პროექტებისათვის
  - წყლის რესურსების მართვის პროექტებისათვის

- პროექტების შემუშავებისა და რეალიზაციისათვის, რომლებიც დაკავშირებულია ელექტროტექნიკის და ელექტრონიკის, სამთომომპოვებითი ინჟინერიის, ქიმიური ტექნოლოგიების, მანქანათმშენებლობის, მრეწველობის ორგანიზების, სისტემოტექნიკის, უსაფრთხოების ტექნიკის სფეროებთან
- პროექტების შემუშავებას, რომლებიც ეხება ჰაერის კონდიციონირების, გაცივების სისტემებს, სანიტარული მდგომარეობის და გარემოს დაბინძურების კონტროლთან და ხმაურთან ბრძოლასთან დაკავშირებულ საინჟინრო დამუშავებებს და ა.შ.
- გეოფიზიკურ, გეოლოგიურ და სეისმურ გამოკვლევებს
- გეოდეზიური გამოკვლევების საქმიანობებს:
  - მიწის ნაკვეთების და მათი საზღვრების გაზომვის საქმიანობებს
  - ჰიდროლოგიურ მიმოკვლევით საქმიანობებს
  - მიწისქვეშა ფენების გამოსაკვლევ საქმიანობებს
  - კარტოგრაფიული და სივრცითი ინფორმაციის საქმიანობებს

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საცდელ ბურღვას, რომელიც დაკავშირებულია სამთომომპოვებით ოპერაციებთან, იხ. 09.10.0, 09.90.0
- გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებას და გამოცემას, იხ. 58.29.0, 62.01.0
- კომპიუტერული კონსულტანტების საქმიანობებს, იხ. 62.02.0, 62.09.0
- ტექნიკურ გამოცდებს, იხ. 71.20.0
- კვლევებს და დამუშავებებს, რომლებიც დაკავშირებულია საინჟინრო საქმიანობებთან, იხ. 72.19.0
- სამრეწველო დიზაინს, იხ. 74.10.0
- აეროფოტოგადაღებებს, იხ. 74.20.0

## 71.2 ტექნიკური გამოცდები და ანალიზები

### 71.20 ტექნიკური გამოცდები და ანალიზები

#### 71.20.0 ტექნიკური გამოცდები და ანალიზები

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ყველა სახის მასალების და პროდუქტების ფიზიკური, ქიმიური და სხვა ანალიზური გამოცდების ჩატარებას, როგორცაა:
  - აკუსტიკური და ვიბრაციული გამოცდები
  - მინერალების შემადგენლობის და მათი სიწმინდის გამოცდები და ა.შ.
  - საგამოცდო საქმიანობები კვების ჰიგიენის დარგში, ვეტერინარული და კვების პროდუქტების წარმოებაზე კონტროლის ჩათვლით
  - მასალების ფიზიკური მახასიათებლები და საექსპლუატაციო გამოცდები, როგორცაა გამძლეობა, სისქე, ცვეთამდგრადობა, რადიოაქტიურობა და ა.შ.
  - ტექნიკური პირობების შესაბამისობის და საიმედოობის გამოცდები

- დასრულებული მანქანების და მოწყობილობების საექსპლუატაციო გამოცდები: ძრავების, ავტომობილების, ელექტრონული მოწყობილობების და ა.შ.
- შენადული ნაკერების და პირაპირების რადიოგრაფიული გამოცდები
- ტექნიკური შეფერხების ანალიზი
- გარემოს დაცვის მახვენებლების გამოკვლევა და გაზომვა: ჰაერის და წყლის რესურსების დაბინძურება და ა.შ.

- პროდუქტების სერტიფიცირებას, სამომხმარებლო საქონლის, ავტომობილების, საჰაერო ხომალდების, ჰერმეტიკული კონტეინერების, ატომური ელექტროსადგურების და მისთ. ჩათვლით
- ავტომობილების პერიოდულ გამოცდებს საგზაო უსაფრთხოებაზე
- გამოცდებს საექსპერიმენტო მოდელების და მაკეტების გამოყენებით (მაგალითად: საჰაერო ხომალდების, გემების, კაშხლების და მისთ.)
- პოლიციის ლაბორატორიების საქმიანობის მართვას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ცხოველებისაგან აღებული სინჯების ტესტირებას, იხ. 75.00
- დიაგნოსტიკურ ვიზუალიზაციას, სამედიცინო და სტომატოლოგიური სინჯების გამოცდებს და ანალიზს, იხ. 86

## **72 მეცნიერული კვლევები და დამუშავებები**

ეს განყოფილება შეიცავს კვლევების და დამუშავებების სამი სახის საქმიანობას: 1) ფუნდამენტურ კვლევებს: ექსპერიმენტულ ან თეორიულ სამუშაოებს, უპირატესად ახალი ცოდნის მიღების მიზნით, რომელიც საფუძვლად უდევს მოვლენებს და დასაკვირვებელ ფაქტებს, კონკრეტული გამოყენების გარეშე; 2) გამოყენებით კვლევებს: თავდაპირველ კვლევებს ახალი ცოდნის მიღების მიზნით, უპირატესად კონკრეტული პრაქტიკული მიზნის ან ამოცანის მისაღწევად; 3) ექსპერიმენტულ დამუშავებებს: სისტემატურ სამუშაოებს, კვლევების ან პრაქტიკული გამოცდილების შედეგად მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით, რომლებიც მიმართულია ახალი მასალების, პროდუქტების და მოწყობილობების წარმოებაზე, ახალი პროცესების, სისტემების და მომსახურების დანერგვაზე და უკვე წარმოებულის და დაყენებულის გაუმჯობესებაზე.

კვლევების და ექსპერიმენტული დამუშავებების საქმიანობები მოცემულ განყოფილებაში დაყოფილია ორ კატეგორიად: საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებები; სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები.

*ეს განყოფილება არ შეიცავს:*

- ბაზრის გამოკვლევას, იხ. 73.20.0

## 72.1 კვლევები და ექსპერიმენტული დამუშავებები საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებებში

ეს ჯგუფი შეიცავს ფუნდამენტურ კვლევებს, გამოყენებით კვლევებს, ექსპერიმენტულ დამუშავებებს საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებებში.

### 72.11 კვლევები და ექსპერიმენტული დამუშავებები ბიოტექნოლოგიაში

#### 72.11.0 კვლევები და ექსპერიმენტული დამუშავებები ბიოტექნოლოგიაში

ეს ქვეკლასი შეიცავს კვლევებს და ექსპერიმენტულ დამუშავებებს ბიოტექნოლოგიაში:

- დნმ/რნმ: გენომიკა, ფარმაკოგენეტიკა, გენების სინჯები, გენეტიკური ინჟინერია, დნმ/რნმ-ის სტრუქტურის თანმიმდევრობის დადგენა/ /სინთეზი/ამპლიფიკაცია, გენის გამოვლენის პროფილის დადგენა და უკუშეგრობების (antisense) ტექნოლოგიის გამოყენება
- ცილები და სხვა მოლეკულები: ცილების და პეპტიდების სტრუქტურის თანმიმდევრობის დადგენა/ /სინთეზი/ინჟინერია (დიდი მოლეკულების ჰორმონების ჩათვლით); დიდი მოლეკულური მედიკამენტების მიღების მეთოდების გაუმჯობესება; პროტეომიკა, ცილების იზოლირება და გასუფთავება, უჯრედების რეცეპტორების სიგნალის გადაცემა და იდენტიფიცირება
- უჯრედების და ქსოვილების კულტივირება და ინჟინერია: უჯრედების/ქსოვილების კულტივირება, ქსოვილების ინჟინერია (ქსოვილების ფორმირების და დამუშავების დამხმარე საშუალებების და ბიოსამედიცინო ინჟინერიის ჩათვლით), უჯრედული შერწყმა, ვაქცინური/იმუნური სტიმულატორები, ემბრიონზე მანიპულაციები
- პროცესული ბიოტექნოლოგიის ტექნიკური ხერხები: ფერმენტაცია ბიორეაქტორების გამოყენებით, ბიოდამუშავება, ბიოგამოტუტვა, ბიოპულპირება (მასალების გარდაქმნა ბოჭკოვან მასაში), ბიოგათეთრება, ბიოდესულფირიზაცია, ბიორემედიაცია, ბიოფილტრაცია და ფიტორემედიაცია
- გენი და რნმ ვექტორები: გენური თერაპია, ვირუსული ვექტორები
- ბიოინფორმატიკა: გენომების, პროტეინური მწკრივების მონაცემთა ბაზების შექმნა, კომპლექსური ბიოლოგიური პროცესების მოდელირება, სისტემური ბიოლოგიის ჩათვლით
- ნანობიოტექნოლოგიები: იყენებს ნანო/მიკროფაბრიკაციის ინსტრუმენტებს და პროცესებს მეთოდების შესაქმნელად, ბიოსისტემების შესწავლის და მედიკამენტების მიღების, დიაგნოსტიკის და მისთ. სფეროში პრაქტიკული გამოყენების მიზნით.

## 72.19 სხვა კვლევები და ექსპერიმენტული დამუშავებები საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებებში

**72.19.0 სხვა კვლევები და ექსპერიმენტული დამუშავებები საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებებში**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- კვლევებს და ექსპერიმენტულ დამუშავებებს საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებებში, ბიოტექნოლოგიური კვლევების და ექსპერიმენტული დამუშავებების გარდა:
  - კვლევები და დამუშავებები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში
  - კვლევები და დამუშავებები საინჟინრო მეცნიერებებში და ტექნოლოგიების დარგში
  - კვლევები და დამუშავებები სამედიცინო მეცნიერებებში
  - კვლევები და დამუშავებები სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებებში
  - ინტერდისციპლინარული კვლევები და დამუშავებები, უპირატესად საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებებში

**72.2 კვლევები და ექსპერიმენტული დამუშავებები სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში**

**72.20 კვლევები და ექსპერიმენტული დამუშავებები სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში**

**72.20.0 კვლევები და ექსპერიმენტული დამუშავებები სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- კვლევებს და დამუშავებებს სოციალურ მეცნიერებებში
- კვლევებს და დამუშავებებს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ინტერდისციპლინარულ კვლევებს და დამუშავებებს, უპირატესად სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ბაზრის გამოკვლევას, იხ. 73.20.0

**73 სარეკლამო საქმიანობა და ბაზრის გამოკვლევა**

ეს განყოფილება შეიცავს სარეკლამო კამპანიების შექმნას და რეკლამების განთავსებას პერიოდულ გამოცემებში, გაზეთებში, რადიოსა და ტელევიზიაში ან მასმედიის სხვა საშუალებებში, აგრეთვე სადემონსტრაციო საშუალებების და ადგილების მომზადებას.

**73.1 რეკლამირება**

**73.11 სარეკლამო სააგენტოები**

**73.11.0 სარეკლამო სააგენტოების საქმიანობა**

ეს ქვეკლასი შეიცავს სარეკლამო მომსახურების სრული სპექტრის უზრუნველყოფას (საკუთარი ძალებით ან ქვეკონტრაქტორის გამოყენებით),

კონსულტირების, შემოქმედებითი მომსახურების, სარეკლამო მასალების წარმოების და შექმნის ჩათვლით.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სარეკლამო კამპანიების შექმნას და რეალიზაციას:
  - რეკლამის შექმნა და განთავსება გაზეთებში, პერიოდულ გამოცემებში, რადიოში, ტელევიზიაში, ინტერნეტში და სხვა მედია საშუალებებში
  - გარე რეკლამის, მაგალითად, ბილბორდების, პანელების და პროსპექტების, სარეკლამო ვიტრინების, საგამოფენო დარბაზების, ტრანსპორტში შიდასალონური რეკლამის და მისთ. შექმნა და განთავსება
  - საჰაერო რეკლამა
  - სარეკლამო მასალების ან ნიმუშების გავრცელება ან მიწოდება
  - სტენდების და სხვა სადემონსტრაციო საშუალებების და ადგილების შექმნა
- მარკეტინგული კამპანიების და სხვა სარეკლამო მომსახურების ჩატარებას კლიენტების მოზიდვის და შენარჩუნების მიზნით:
  - პროდუქციის ბაზარზე წარმოჩენა
  - სავაჭრო ადგილებზე მარკეტინგი
  - პირდაპირი საფოსტო რეკლამირება
  - მარკეტინგული კონსულტაციები

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სარეკლამო მასალების გამოცემას, იხ. 58.19.0
- კომერციული სატელევიზიო შეტყობინებების და ფილმების წარმოებას, იხ. 59.11.0
- კომერციული შეტყობინებების წარმოებას რადიოსთვის, იხ. 59.20.0
- ბაზრის გამოკვლევას, იხ. 73.20.0
- სარეკლამო ფოტოგადაღებას, იხ. 74.20.0
- შეხვედრების და სავაჭრო ჩვენებების ორგანიზებას, იხ. 82.30.0
- საფოსტო საქმიანობას, იხ. 82.19.0

## **73.12 რეპრეზენტაცია მედიაში**

### **73.12.0 რეპრეზენტაცია მედიაში**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მედიაში რეპრეზენტაციას, ანუ დროის და ადგილის ყიდვას და გადაყიდვას მედიაში რეკლამირებისათვის

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სარეკლამო დროის და ადგილის გაყიდვას უშუალო მფლობელების მიერ (მაგალითად, გამომცემლების), იხ. შესაბამისი საქმიანობის ქვეკლასი
- საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმიანობებს, იხ. 70.21.0

## 73.2 ბაზრის გამოკვლევა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლა

### 73.20 ბაზრის გამოკვლევა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლა

#### 73.20.0 ბაზრის გამოკვლევა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლა

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ბაზრის პოტენციალის, საქონელზე და მომსახურებაზე ინფორმირებულობის და მისაღებობის, მომხმარებელთა ჩვევების შესწავლას, პროდუქციის გასაღების და ახალი საქონლის შექმნის და სრულყოფის მიზნით, შედეგების სტატისტიკური ანალიზის ჩათვლით
- საზოგადოებრივი აზრის შესწავლას პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოვლენების შესახებ და მის შემდგომ სტატისტიკურ ანალიზს

## 74 სხვა პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები

ეს განყოფილება შეიცავს პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფას (იურიდიული და საბანკო საქმიანობების; არქიტექტურული და საინჟინრო საქმიანობების; ტექნიკური გამოცდების და ანალიზის; მართვის და მმართველობითი კონსულტირების; კვლევების და შემუშავებების და სარეკლამო საქმიანობების გარდა).

### 74.1 სპეციალიზებული დიზაინერული საქმიანობები

#### 74.10 სპეციალიზებული დიზაინერული საქმიანობები

##### 74.10.0 სპეციალიზებული დიზაინერული საქმიანობები

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- დიზაინს, რომელიც დაკავშირებულია ტექსტილის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ძვირფასეულობის, ავეჯის და სხვა ინტერიერის გაფორმების, სხვა მოდური საქონლის, აგრეთვე პირადი მოხმარების ან საყოფაცხოვრებო საქონლის მოდელირებასთან
- სამრეწველო დიზაინს, ანუ დიზაინს და სპეციფიკაციების შექმნას და სრულყოფას პროდუქციის გამოყენების, ღირებულების და იერსახის ოპტიმიზაციის მიზნით, პროდუქტის მასალების, მექანიზმების, ფორმის, ფერის და საბოლოო სახის დადგენის ჩათვლით, ადამიანური მახასიათებლების და მოთხოვნილებების, უსაფრთხოების, ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით პროდუქციის გავრცელების, გამოყენების და ტექნიკური მომსახურების დროს.
- გრაფიკული დიზაინერების საქმიანობებს
- ინტერიერის დეკორატორების საქმიანობებს

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ვებ-საიტების დიზაინს და პროგრამირებას, იხ. 62.01.0
- არქიტექტურულ დიზაინს, იხ. 71.11.0

- საინჟინრო დიზაინს, ანუ ფიზიკური კანონების და საინჟინრო საქმიანობის პრინციპების გამოყენებას მანქანების, მასალების, ინსტრუმენტების, კონსტრუქციების, პროცესების და სისტემების შემუშავებაში, იხ. 71.12.0

## 74.2 ფოტოგრაფიული საქმიანობები

### 74.20 ფოტოგრაფიული საქმიანობები

#### 74.20.0 ფოტოგრაფიული საქმიანობები

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- კომერციული და სამომხმარებლო ფოტოსამუშაოების წარმოებას:
  - პორტრეტული ფოტოგრაფიების – პასპორტების, სკოლების, საქორწილო ღონისძიებებისათვის და მისთ.
  - ფოტოგრაფიების – კომერციული, საგამომცემლო, მოდური, უძრავი ქონების ან ტურისტული მიზნებისათვის
  - აეროფოტოგადაღებას
  - მოვლენების ვიდეოგადაღებას: ქორწილების, შეხვედრების და მისთ.
- ფირის დამუშავებას:
  - გამჟღავნებას, ბეჭდვას და გადიდებას კლიენტის ნეგატივებიდან ან კინოფირებიდან
  - ფირის გასამჟღავნებელ და ფოტოების საბეჭდო ლაბორატორიებს
  - მომენტალურ ფოტომაღაზიებს (არ წარმოადგენენ ფოტოტექნიკით მოვაჭრე მაღაზიების შემადგენელ ნაწილს)
  - სლაიდების დამზადებას
  - ასლგადაღებას და ფოტოგრაფიებთან დაკავშირებულ რესტავრირებას ან რეტუშირებას
- ფოტოჟურნალისტების საქმიანობებს

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- დოკუმენტების მიკროგადაღებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კინოფირის დამუშავებას კინო- ან ტელეინდუსტრიისათვის, იხ. 59.12.0
- კარტოგრაფიული და სივრცული ინფორმაციის საქმიანობებს, იხ. 71.12.0
- (თვითმომსახურების) ფოტოავტომატების ექსპლუატაციას, იხ. 96.09.0

## 74.3 მთარგმნელობითი (წერილობითი და ზეპირი) საქმიანობები

### 74.30 მთარგმნელობითი (წერილობითი და ზეპირი) საქმიანობები

#### 74.30.0 მთარგმნელობითი (წერილობითი და ზეპირი) საქმიანობები

**74.9 სხვა პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

**74.90 სხვა პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

**74.90.0 სხვა პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

ეს ქვეკლასი შეიცავს მომსახურების საქმიანობების დიდ ჩამონათვალს, ძირითადად კომერციული კლიენტებისათვის. ის შეიცავს საქმიანობებს, რომლებიც მოითხოვენ უფრო მაღალ პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ დონეს, მაგრამ არ შეიცავს მიმდინარე, რეგულარულ საქმიანობებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, მოკლე ხანგრძლივობისაა.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- კომერციულ საბროკერო საქმიანობებს, ანუ ყიდვა-გაყიდვის გარიგებების ორგანიზებას მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, პროფესიული პრაქტიკის ჩათვლით, მაგრამ არ შეიცავს უძრავი ქონების ბროკერების საქმიანობას
- საპატენტო საბროკერო საქმიანობებს (პატენტების ყიდვა-გაყიდვის ორგანიზება)
- შეფასების საქმიანობებს, უძრავი ქონების და სადაზღვევო ობიექტების (ანტიკვარიატი, ძვირფასეულობა და მისთ.) გარდა
- ინფორმაციას ფინანსური დოკუმენტების აუდიტის და სატვირთო ტარიფების შესახებ
- ამინდის პროგნოზირების საქმიანობებს
- კონსულტირებას უსაფრთხოების დარგში
- კონსულტირებას აგრონომიის დარგში
- კონსულტირებას გარემოს დაცვის დარგში
- სხვა ტექნიკურ კონსულტირებას
- კონსულტანტების საქმიანობებს არქიტექტურის, საინჟინრო და მართვის კონსულტანტების გარდა
- ინჟინერ-ხარჯთაღმრიცხველების საქმიანობებს

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- აგენტების და სააგენტოების საქმიანობებს, რომლებიც ხორციელდება ცალკეული ფიზიკური პირების სახელით და ჩვეულებრივ მოიცავს კინოფილმებში, თეატრალურ დადგმებში ან სხვა გასართობ ან სპორტულ სანახაობებში ჩართვის უზრუნველყოფას და წიგნების, თამაშების, ხელოვნების ნიმუშების, ფოტოების და მისთ. გამოცემას გამომცემლებთან, პროდუსერებთან და მისთ. ერთად.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ნახმარი ავტომობილებით საბითუმო ვაჭრობას აუქციონის გზით, იხ. 45.1
- აუქციონების საქმიანობებს ინტერნეტით (საცალო ვაჭრობა), იხ. 47.90.0
- აუქციონების საქმიანობას (საცალო ვაჭრობა), იხ. 47.79.0
- უძრავი ქონების ბროკერების საქმიანობებს, იხ. 68.31.0

- საბუღალტრო საქმიანობებს, იხ. 69.20.0
- მართვის კონსულტანტების საქმიანობებს, იხ. 70.22.0
- არქიტექტურული და საინჟინრო კონსულტანტების საქმიანობებს, იხ. 71.1
- სამრეწველო და მანქანების და მოწყობილობების დიზაინს, იხ. 71.12.0, 74.10.0
- ვეტერინარულ და კვების პროდუქტების წარმოების კონტროლს, იხ. 71.20.0
- რეკლამის ჩვენებას და სარეკლამო დიზაინის სხვა სახეებს, იხ. 73.11.0
- სტენდების და სხვა სადემონსტრაციო საშუალებების და ადგილების შექმნას, იხ. 73.11.0
- შეხვედრების და სავაჭრო ჩვენებების ორგანიზების საქმიანობებს, იხ. 82.30.0
- დამოუკიდებელი აუქციონერების საქმიანობებს, იხ. 82.99.0
- ლოიალობის პროგრამების ადმინისტრირებას, იხ. 82.99.0
- კონსულტირებას სამომხმარებლო კრედიტებთან და ვალებთან დაკავშირებით, იხ. 88.99.0

## **75 ვეტერინარული საქმიანობები**

ეს განყოფილება შეიცავს საქმიანობებს, რომლებიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო ან შინაური ბინადარი ცხოველების მკურნალობასა და კონტროლთან. ეს სამუშაოები ხორციელდება კვალიფიციური ვეტერინარების მიერ სავეტერინარო საავადმყოფოებში, აგრეთვე ფერმებში, საძაღლეებსა ან ცხოველების თავშესაფრებში ვიზიტის დროს, საკუთარ საკონსულტაციო ცენტრებში, საოპერაციოებში ან სხვა ადგილებში.

ეს განყოფილება აგრეთვე შეიცავს ცხოველების ამბულატორიულ მომსახურებას.

### **75.0 ვეტერინარული საქმიანობები**

#### **75.00 ვეტერინარული საქმიანობები**

*ეს კლასი შეიცავს:*

- ცხოველების ჯანმრთელობაზე ზრუნვას და კონტროლის საქმიანობებს სასოფლო-სამეურნეო ცხოველებზე
- ცხოველების ჯანმრთელობაზე ზრუნვას და კონტროლის საქმიანობებს შინაურ ცხოველებზე

ეს სამუშაოები ხორციელდება კვალიფიციური ვეტერინარების მიერ სავეტერინარო საავადმყოფოებში, აგრეთვე ფერმებში, საძაღლეებსა ან ცხოველების თავშესაფრებში ვიზიტის დროს, საკუთარ საკონსულტაციო ცენტრებში, საოპერაციოებში ან სხვა ადგილებში.

*ეს კლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ვეტერინარული ასისტენტების ან სხვა დამხმარე ვეტერინარული პერსონალის საქმიანობებს
- ცხოველებთან დაკავშირებულ კლინიკო-პათოლოგიურ და სხვა დიაგნოსტიკურ საქმიანობებს
- ცხოველების ამბულატორიულ მკურნალობას

*ეს კლასი არ შეიცავს:*

- სასოფლო-სამეურნეო ცხოველების განთავსების საქმიანობებს მკურნალობის გარეშე, იხ. 01.62.0
- ცხერის კრეჭას, იხ. 01.62.0
- საქმიანობებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯოგის გამოკვლევასთან, პირუტყვის გარეკვასთან, საძოვრების გამოყენების უფლების მოპოვებასთან, ფრინველების კასტრირებასთან, იხ. 01.62.0
- ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, იხ. 01.62.0
- შინაური ბინადარი ცხოველების შენახვას ჯანმრთელობაზე ზრუნვის გარეშე, იხ. 96.09

**75.00.1 ვეტერინარული სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების საქმიანობები**

**75.00.2 ვეტერინარული სამედიცინო ლაბორატორიების საქმიანობები**

**75.00.9 სხვა ვეტერინარული საქმიანობები**

ეს სექცია შეიცავს სხვადასხვა საქმიანობებს, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკური სუბიექტის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. ეს საქმიანობები განსხვავდება M სექციაში მოცემული საქმიანობებისაგან, რადგან მათ ძირითად დანიშნულებას არ წარმოადგენს სპეციალიზებული ცოდნის გადაცემა.

## 77 საიჯარო და სალიზინგო საქმიანობები

ეს განყოფილება შეიცავს მატერიალური და არასაფინანსო არამატერიალური აქტივების იჯარას და ლიზინგს, მატერიალური საქონლის ფართო ასორტიმენტის ჩათვლით, როგორცაა ავტომობილები, კომპიუტერები, სამომხმარებლო საქონელი, სამრეწველო მანქანები და მოწყობილობები, კლიენტებისათვის პერიოდული საიჯარო ან სალიზინგო გადასახადის სანაცვლოდ. ის დაყოფილია შემდეგ ჯგუფებად: (1) ავტომობილების იჯარა, (2) რეკრეაციული და სპორტული მოწყობილობების და პირადი და საყოფაცხოვრებო მოწყობილობების იჯარა, (3) სხვა მანქანების და მოწყობილობების ლიზინგი, რომლებიც ხშირად გამოიყენება ბიზნესში, სხვა სატრანსპორტო მოწყობილობების ჩათვლით და (4) ინტელექტუალური საკუთრების და მსგავსი პროდუქციის ლიზინგი.

ეს განყოფილება შეიცავს მხოლოდ საოპერაციო ლიზინგის უზრუნველყოფას.

*ეს განყოფილება არ შეიცავს:*

- ფინანსურ ლიზინგს, იხ. 64.91.0
- უძრავი ქონების იჯარას, იხ. სექცია L
- მოწყობილობების იჯარას ოპერატორთან ერთად, იხ. მოცემული მოწყობილობების დახმარებით შესრულებული სამუშაოების შესაბამისი კლასები, მაგალითად: მშენებლობა (სექცია F), ტრანსპორტი (სექცია H).

### 77.1 ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარა და ლიზინგი

77.11 ავტომობილების და მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარა და ლიზინგი

77.11.0 ავტომობილების და მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარა და ლიზინგი

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- შემდეგი ტიპის სატრანსპორტო საშუალებების იჯარას და საოპერაციო ლიზინგს:
  - სამგზავრო ავტომობილების და სხვა მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების (წონით 3,5 ტონამდე), მძღოლის გარეშე

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ავტომობილების ან მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარას ან ლიზინგს მძღოლთან ერთად, იხ. 49.32.0, 49.39.0

## **77.12 სატვირთო ავტომობილების იჯარა და ლიზინგი**

### **77.12.0 სატვირთო ავტომობილების იჯარა და ლიზინგი**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- შემდეგი ტიპის სატრანსპორტო საშუალებების იჯარას და საოპერაციო ლიზინგს:
  - სატვირთო ავტომობილების, მსუბუქი ავტომობილის სატვირთო მისაბმელების და მძიმე სატრანსპორტო საშუალებების (წონით 3,5 ტონაზე მეტი)
  - სარეკრეაციო სატრანსპორტო საშუალებების

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მძიმე ავტოსატრანსპორტო საშუალებების ან სატვირთო ავტომობილების იჯარას და ლიზინგს მძღოლთან ერთად, იხ. 49.41.0

## **77.2 პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის იჯარა და ლიზინგი**

ეს ჯგუფი შეიცავს პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის იჯარას, აგრეთვე სარეკრეაციო და სპორტული მოწყობილობების და ვიდეოჩანაწერების იჯარას. საქმიანობები ძირითადად შეიცავენ საქონლის მოკლევადიან იჯარას, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში საქონელი შესაძლოა გაცემულ იქნას იჯარით ხანგრძლივი ვადით.

### **77.21 სარეკრეაციო და სპორტული საქონლის იჯარა და ლიზინგი**

#### **77.21.0 სარეკრეაციო და სპორტული საქონლის იჯარა და ლიზინგი**

ეს ქვეკლასი შეიცავს სარეკრეაციო და სპორტული მოწყობილობების იჯარას:

- სასეირნო ნაგებობის, კანოების, იალქნიანი ნაგებობის
- ველოსიპედების
- პლაჟის საწოლების და ქოლგების
- სხვა სპორტული მოწყობილობების
- თხილამურების

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სასეირნო ნაგებობის და იახტების იჯარას ეკიპაჟთან ერთად, იხ. 50.10.0, 50.30.0
- ვიდეოფირების და ვიდეოდისკების იჯარას, იხ. 77.22.0
- სხვა პირადი მოხმარების და საყოფაცხოვრებო საქონლის იჯარას, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი, იხ. 77.29.0

- მოწყობილობების იჯარას, დასვენების და თავისუფალი დროისათვის, როგორც სარეკრეაციო საშუალებების განყოფილები ნაწილის, იხ. 93.29.0

**77.22 ვიდეოფირების და ვიდეოდისკების იჯარა**

**77.22.0 ვიდეოფირების და ვიდეოდისკების იჯარა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ვიდეოფირების, ვიდეოჩანაწერების, CD და DVD ვიდეოდისკების და მისთ. იჯარას

**77.29 სხვა პირადი მოხმარების და საყოფაცხოვრებო საქონლის იჯარა და ლიზინგი**

**77.29.0 სხვა პირადი მოხმარების და საყოფაცხოვრებო საქონლის იჯარა და ლიზინგი**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ყველა სახის პირადი მოხმარების და საყოფაცხოვრებო საქონლის იჯარას შინამეურნეობების ან საწარმოებისათვის (სარეკრეაციო და სპორტული მოწყობილობების გარდა):
  - ტექსტილის, ტანსაცმლის და ფეხსაცმლის
  - ავეჯის, კერამიკის და მინის, სამზარეულო და სასადილო ჭურჭლის, ელექტრული ხელსაწყოების და საოჯახო ნივთების
  - ძვირფასეულობის, მუსიკალური ინსტრუმენტების, სადეკორაციო საგნების და სასცენო კოსტუმების
  - წიგნების, ჟურნალების და გაზეთების
  - ტექნიკის და მოწყობილობების, რომლებიც გამოიყენება არაკომერციული მიზნებისათვის, მაგალითად, ინსტრუმენტები სახლის რემონტისათვის
  - ყვავილების და მცენარეების
  - ელექტრონული მოწყობილობების საყოფაცხოვრებო გამოყენებისათვის

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების, ტრეილერების და სარეკრეაციო სატრანსპორტო საშუალებების იჯარას მძღოლის გარეშე, იხ. 77.1
- სარეკრეაციო და სპორტული საქონლის იჯარას, იხ. 77.21.0
- ვიდეოფირების და ვიდეოდისკების იჯარას, იხ. 77.22.0
- საოფისე ავეჯის იჯარას, იხ. 77.33.0
- მოტოციკლების და ავტოფურგონების იჯარას მძღოლის გარეშე, იხ. 77.39.0
- თეთრეულით, სამუშაო ტანსაცმლით და შესაბამისი ნივთებით უზრუნველყოფას სამრეცხაოების მიერ, იხ. 96.01.0

**77.3 სხვა მანქანების, მოწყობილობების და მატერიალური საქონლის იჯარა და ლიზინგი**

77.31 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და მოწყობილობების იჯარა და ლიზინგი

77.31.0 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და მოწყობილობების იჯარა და ლიზინგი

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ტექნიკის და მოწყობილობების იჯარას და ოპერაციულ ლიზინგს ოპერატორის გარეშე:
  - 28.30 კლასში წარმოებული პროდუქციის იჯარას, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორები და მისთ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ტექნიკის და მოწყობილობების იჯარას ოპერატორთან ერთად, იხ. 01.61.0, 02.40.0

77.32 სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკის და მოწყობილობების იჯარა და ლიზინგი

77.32.0 სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკის და მოწყობილობების იჯარა და ლიზინგი

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკის და მოწყობილობების იჯარას და ოპერაციულ ლიზინგს ოპერატორის გარეშე:
  - ტვირთამწეების
  - სამშენებლო ხარახოების და სამუშაო პლატფორმების, დაყენების და დემონტაჟის გარეშე

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკის და მოწყობილობების იჯარას ოპერატორთან ერთად, იხ. განყოფილება 43

77.33 საოფისე ტექნიკის და მოწყობილობების იჯარა და ლიზინგი (კომპიუტერების ჩათვლით)

77.33.0 საოფისე ტექნიკის და მოწყობილობების იჯარა და ლიზინგი (კომპიუტერების ჩათვლით)

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საოფისე ტექნიკის და მოწყობილობების იჯარას და საოპერაციო ლიზინგს ოპერატორის გარეშე:
  - კომპიუტერების და კომპიუტერული პერიფერიული მოწყობილობების
  - გასამრავლებელი მანქანების, საწერი მანქანების და ტექსტის დასამუშავებელი მანქანების

- სათვლელი მანქანების და მოწყობილობების: საღარო აპარატების, ელექტრონული კალკულატორების და მისთ.
- საოფისე ავეჯის

### **77.34 წყლის სატრანსპორტო საშუალებების იჯარა და ლიზინგი**

#### **77.34.0 წყლის სატრანსპორტო საშუალებების იჯარა და ლიზინგი**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- წყლის სატრანსპორტო საშუალებების იჯარას და საოპერაციო ლიზინგს ოპერატორის გარეშე:
  - კომერციული გემების და ნაგების

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- წყლის სატრანსპორტო საშუალებების იჯარას ოპერატორთან ერთად, იხ. განყოფილება 50
- სასაქონლო ნაგების იჯარას, იხ. 77.21.0

### **77.35 საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების იჯარა და ლიზინგი**

#### **77.35.0 საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების იჯარა და ლიზინგი**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების იჯარას და საოპერაციო ლიზინგს ოპერატორის გარეშე:
  - თვითმფრინავების
  - აეროსტატების

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების იჯარას ოპერატორთან ერთად, იხ. განყოფილება 51

### **77.39 სხვა ტექნიკის, მოწყობილობების და მატერიალური საშუალებების იჯარა და ლიზინგი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის**

#### **77.39.0 სხვა ტექნიკის, მოწყობილობების და მატერიალური საშუალებების იჯარა და ლიზინგი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სხვა მანქანების და მოწყობილობების იჯარას და საოპერაციო ლიზინგს ოპერატორის გარეშე, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება როგორც წარმოების ძირითადი საშუალებები:
  - ძრავების და ტურბინების
  - მანქანური ხარხების
  - სამთო და ნავთობმოსაპოვებელი მოწყობილობების
  - პროფესიული რადიო, სატელევიზიო და ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობების

- კინოფილმების საწარმოებელი მოწყობილობების
  - საზომი და მაკონტროლებელი მოწყობილობების
  - სხვა სამეცნიერო, კომერციული და სამრეწველო მანქანების და მოწყობილობების
- სახმელეთო სატრანსპორტო მოწყობილობების იჯარას და ოპერაციულ ლიზინგს (ავტომობილების გარდა) მძღოლის გარეშე:
    - მოტოციკლების, ავტოფურგონების, საცხოვრებელი ავტომისაბმელების და მისთ.
    - სატრანსპორტო საშუალებების

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- საცხოვრებელი ან საოფისე კონტეინერების იჯარას
- ცხოველების იჯარას (მაგალითად, ჯოგის, დოღის ცხენების)
- კონტეინერების იჯარას
- სატვირთო პალეტების იჯარას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ველოსიპედების იჯარას, იხ. 77.21.0
- სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ტექნიკის და მოწყობილობების იჯარას, იხ. 77.31.0
- სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკის და მოწყობილობების იჯარას, იხ. 77.32.0
- საოფისე ტექნიკის და მოწყობილობების იჯარას, კომპიუტერების ჩათვლით, იხ. 77.33.0

**77.4 ინტელექტუალური საკუთრების და მსგავსი პროდუქციის იჯარა, საავტორო უფლებით დაცული პროდუქტების გარდა**

**77.40 ინტელექტუალური საკუთრების და მსგავსი პროდუქციის იჯარა, საავტორო უფლებით დაცული პროდუქტების გარდა**

**77.40.0 ინტელექტუალური საკუთრების და მსგავსი პროდუქციის იჯარა, საავტორო უფლებით დაცული პროდუქტების გარდა**

ეს ქვეკლასი შეიცავს ინტელექტუალური საკუთრების და მსგავსი პროდუქტების გამოყენებაზე უფლებების გაცემასთან დაკავშირებულ საქმიანობებს, რისთვისაც მფლობელს (ანუ ქონების მფლობელს) უხდიან როიალტის ან სალიცენზიო გადასახდელს. ასეთი პროდუქციის ლიზინგი შესაძლოა ხორციელდებოდეს სხვადასხვა ფორმებით, როგორცაა აღწარმოების ნებართვა, გამოყენება შემდგომ პროცესებში ან პროდუქტებში, ბიზნესის მართვა ფრანჩაიზინგის პირობებზე და ა.შ. ამჟამინდელ მფლობელებს შესაძლოა ჰქონდეთ ან არ ჰქონდეთ შექმნილი აღნიშნული პროდუქტები.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ინტელექტუალური საკუთრების პროდუქციის ლიზინგს (საავტორო უფლებით დაცული პროდუქტების გარდა, როგორცაა წიგნები და პროგრამული უზრუნველყოფა)
- როიალტის ან სალიცენზიო გადასახდელის მიღებას შემდეგი პროდუქციის გამოყენებაზე:
  - დაპატენტებული ნივთების
  - სავაჭრო ან სერვისის ნიშნების
  - ბრენდების დასახელებების
  - სასარგებლო წიაღისეულის დაზვერვის და შეფასების
  - ფრანჩაიზინგული შეთანხმებების

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- უფლებების შექმნას და გამოცემას, იხ. განყოფილება 58 და 59
- საავტორო უფლებებით დაცული პროდუქციის (წიგნების, პროგრამული უზრუნველყოფის, ფილმების) წარმოებას, აღწარმოებას და გავრცელებას, იხ. განყოფილებები 58 და 59
- უძრავი ქონების ლიზინგს, იხ. 68.20.0
- მატერიალური საქონლის (აქტივების) ლიზინგს, იხ. ჯგუფები 77.1, 77.2, 77.3

## **78 დასაქმებასთან დაკავშირებული საქმიანობები**

ეს განყოფილება შეიცავს საქმიანობებს, რომლებიც დაკავშირებულია ვაკანსიების აღრიცხვასთან ან სამუშაოს მაძიებლებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებასთან ან მათ დასაქმებასთან, სადაც სამუშაოს მაძიებლები არ წარმოადგენენ დასაქმების სააგენტოების თანამშრომლებს; კლიენტი საწარმოების დროის განსაზღვრული პერიოდით სამუშაო ძალის უზრუნველყოფასთან; და სხვა სახის ადამიანური რესურსების უზრუნველყოფასთან.

*ეს განყოფილება შეიცავს:*

- ხელმძღვანელ პოზიციებზე კანდიდატების მოძიების და დანიშვნის საქმიანობებს
- საკრუინგო საქმიანობას
- თეატრალური პერსონალის შესარჩევი სააგენტოების საქმიანობას

*ეს განყოფილება არ შეიცავს:*

- ხელოვნების პირადი აგენტების საქმიანობებს, იხ. 74.90.0

### **78.1 დასაქმების სააგენტოების საქმიანობები**

#### **78.10 დასაქმების სააგენტოების საქმიანობები**

ეს კლასი შეიცავს ვაკანსიების აღრიცხვის ან სამუშაოს მაძიებლებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების ან მათი დასაქმების საქმიანობებს, სადაც სამუშაოს მაძიებლები არ წარმოადგენენ დასაქმების სააგენტოების თანამშრომლებს.

*ეს კლასი შეიცავს:*

- პერსონალის მოძიების, მიმართულების მიცემის და დასაქმების საქმიანობებს, ხელმძღვანელ პოზიციებზე კანდიდატების მოძიების და დანიშვნის ჩათვლით
- შერჩევის სააგენტოების და ბიუროების საქმიანობებს, მაგალითად, საკრუინგო საქმიანობის განმახორციელებელი პირების, თეატრალური პერსონალის შესარჩევი სააგენტოების
- დასაქმების ინტერნეტ სააგენტოების საქმიანობებს

#### **78.10.1 საკრუინგო საქმიანობა**

ეს ქვეკლასი შეიცავს საქმიანობას გემთმფლობელის სახელით ან მის სასარგებლოდ მეზღვაურთა დასაქმების პროცესის წარმართვით.

#### **78.10.9 სხვა დასაქმების სააგენტოების საქმიანობები, გარდა საკრუინგო საქმიანობისა**

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საკრუინგო საქმიანობას, იხ. 78.10.1
- თეატრალური ან სამხატვრო პირადი აგენტების ან სააგენტოების საქმიანობებს, იხ. 74.90.0

#### **78.2 დროებითი დასაქმების სააგენტოების საქმიანობები**

##### **78.20 დროებითი დასაქმების სააგენტოების საქმიანობები**

##### **78.20.0 დროებითი დასაქმების სააგენტოების საქმიანობები**

ეს ქვეკლასი შეიცავს კლიენტი საწარმოების სამუშაო ძალით უზრუნველყოფის საქმიანობებს დროის განსაზღვრული პერიოდით, სამუშაო ძალის დროებითი ჩანაცვლების ან შევსების მიზნით, სადაც წარდგენილი პირები არიან დამხმარე ერთეულების თანამშრომლები. ამასთან, აღნიშნულ კლასში შემაჯავალი ერთეულები არ ახორციელებენ უშუალო ზედამხედველობას მათ მიერ წარდგენილ მუშაკებზე კლიენტის სამუშაო ადგილზე.

#### **78.3 სხვა ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა**

##### **78.30 სხვა ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა**

##### **78.30.0 სხვა ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა**

ეს ქვეკლასი შეიცავს ბიზნეს კლიენტების ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის საქმიანობებს. აღნიშნულ კლასში შესული ერთეულები წარმოადგენენ ადამიანური რესურსების დამსაქმებლებს ისეთ სფეროებში, რომლებიც დაკავშირებულია სახელფასო ფონდთან, გადასახადებთან და ფისკალური და ადამიანური რესურსების სხვა საკითხებთან, მაგრამ არ არიან პასუხისმგებელი ამ მუშაკების ზედამხედველობასა და კონტროლზე.

ადამიანური რესურსების მიწოდება ჩვეულებრივ ხდება გრძელვადიან ან მუდმივ საფუძველზე და აქ კლასიფიცირებული ერთეულები ასრულებენ

ადამიანური რესურსების და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ამოცანების ფართო დიაპაზონს.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ადამიანური რესურსების ფუნქციების უზრუნველყოფას ბიზნესის ზედამხედველობასა ან მართვასთან ერთად, იხ. აღნიშნული საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისი ქვეკლასი
- ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფას კლიენტის სამუშაო ძალის დროებითი ჩანაცვლების ან შევსების მიზნით, იხ. 78.20.0

## **79 ტურისტული სააგენტოები, ტურ-ოპერატორები და სხვა დაჯავშნის მომსახურება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები**

ეს განყოფილება შეიცავს სააგენტოების საქმიანობებს, რომლებიც უპირატესად დაკავებულნი არიან საზოგადოების და კომერციული კლიენტებისათვის მოგზაურობების, ტურების, ტრანსპორტირების და დროებითი საცხოვრებელი ადგილების უზრუნველყოფით; ტურისტული სააგენტოების ან უშუალოდ აგენტების მიერ, როგორცაა ტურ-ოპერატორები, გასაყიდი ტურების ორგანიზების და ჩატარების საქმიანობას; და მოგზაურობასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებებს, ადგილების დაჯავშნის ჩათვლით. ტურისტული გიდების და ტურიზმის ხელშემწყობი საქმიანობები აგრეთვე შედის ამ განყოფილებაში.

### **79.1 ტურისტული სააგენტოების და ტურ-ოპერატორების საქმიანობები**

ეს ჯგუფი შეიცავს სააგენტოების საქმიანობებს, რომლებიც უპირატესად დაკავებულნი არიან საზოგადოების და კომერციული კლიენტებისათვის მოგზაურობების, ტურების, ტრანსპორტირების და დროებითი საცხოვრებელი ადგილების უზრუნველყოფით; ტურისტული სააგენტოების ან უშუალოდ აგენტების მიერ, როგორცაა ტურ-ოპერატორები, გასაყიდი ტურების ორგანიზების და ჩატარების საქმიანობას.

#### **79.11 ტურისტული სააგენტოების საქმიანობები**

##### **79.11.0 ტურისტული სააგენტოების საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სააგენტოების საქმიანობებს, რომლებიც უპირატესად დაკავებულნი არიან მოგზაურობების, ტურების, ტრანსპორტირების და დროებითი საცხოვრებელი ადგილების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურების საბითუმო და საცალო გაყიდვით

#### **79.12 ტურ-ოპერატორების საქმიანობები**

##### **79.12.0 ტურ-ოპერატორების საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ტურისტული სააგენტოების ან უშუალოდ ტურ-ოპერატორების მიერ გასაყიდი ტურების ორგანიზებას. ტურები შეიძლება შეიცავდნენ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ყველა ან ცალკეულ საქმიანობებს, როგორცაა:
  - ტრანსპორტირება
  - საცხოვრებელი ადგილებით უზრუნველყოფა
  - კვება
  - მუზეუმების, ისტორიული და კულტურული ადგილების დათვალიერება, თეატრალურ, მუსიკალურ ან სპორტულ ღონისძიებებზე დასწრება

**79.9 დაჯავშნის სხვა მომსახურება და მასთან დაკავშირებული საქმიანობები**

**79.90 დაჯავშნის სხვა მომსახურება და მასთან დაკავშირებული საქმიანობები**

**79.90.0 დაჯავშნის სხვა მომსახურება და მასთან დაკავშირებული საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მოგზაურობებთან დაკავშირებულ დაჯავშნის სხვა მომსახურებას:
  - ტრანსპორტირების, სასტუმროების, რესტორნების, მანქანის გაქირავების, გასართობი და სპორტული ღონისძიებების და მისთ. დაჯავშნას
- დროის გაყოფით დასვენების სისტემის (timeshare exchange) მომსახურებას
- ბილეთების გაყიდვის საქმიანობებს თეატრალურ, სპორტულ და სხვა გასართობ ღონისძიებებზე დასასწრებად
- ვიზიტორებისათვის დახმარების გაწევას:
  - ინფორმაციის მიწოდებას ტურისტული მოგზაურობების შესახებ
  - ტურისტული გიდების საქმიანობებს
- ტურიზმის ხელშემწყობ საქმიანობებს

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ტურისტული სააგენტოების და ტურ-ოპერატორების საქმიანობებს, იხ. 79.11.0, 79.12.0
- ღონისძიებების ორგანიზებას და მართვას, როგორცაა შეხვედრები, შეკრებები და კონფერენციები, იხ. 82.30.0

**80 უსაფრთხოების დაცვის და საგამომძიებლო საქმიანობები**

ეს განყოფილება შეიცავს უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ მომსახურებას, როგორცაა: გამოძიება და დეტექტივების მომსახურება, დაცვის და საპატრულო მომსახურება; ფულის, ქვითრების ან სხვა ფასიანი ნივთების აკრეფა და მიწოდება პერსონალის და მოწყობილობების მეშვეობით ტრანსპორტირების დროს აღნიშნული ქონების დაცვის მიზნით; უსაფრთხოების ელექტრონული საგანგაშო სისტემების ფუნქციონირებას, როგორცაა ძარცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები, სადაც საქმიანობა უპირატესად მიმართულია ამ სისტემების დისტანციურ

კონტროლზე, მაგრამ აგრეთვე შეიძლება შეიცავდეს გაყიდვას, დაყენებას და სარემონტო მომსახურებას. თუ უკანასკნელი კომპონენტები მიეწოდება ცალ-ცალკე, მაშინ ისინი გამოირიცხება აღნიშნულ განყოფილებიდან და კლასიფიცირდება საცალო ვაჭრობაში, მშენებლობაში და სხვ.

## **80.1 უსაფრთხოების დაცვის კერძო სამსახურების საქმიანობები**

### **80.10 უსაფრთხოების დაცვის კერძო სამსახურების საქმიანობები**

#### **80.10.0 უსაფრთხოების დაცვის კერძო სამსახურების საქმიანობები**

ეს ქვეკლასი შეიცავს ჩამოთვლილთაგან ერთ ან მეტ საქმიანობას: დაცვის და საპატრულო მომსახურებას; ფულის, ქვითრების ან სხვა ფასიანი ნივთების აკრეფას და მიწოდებას პერსონალის ან მოწყობილობების მეშვეობით ტრანსპორტირების დროს აღნიშნული ქონების დაცვის მიზნით.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- დაჯავშნული მანქანების მომსახურებას
- პირადი მცველების მომსახურებას
- სიცრუის დეტექტორების მომსახურებას
- თითების ანაბეჭდებთან დაკავშირებულ მომსახურებას
- უსაფრთხოების დაცვის მომსახურებას
- უსაფრთხოების მიზნით ინფორმაციის განადგურებას ნებისმიერი მედია-მატარებლიდან

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმიანობებს, იხ. 84.24.0

## **80.2 უსაფრთხოების სისტემების მომსახურების საქმიანობები**

### **80.20 უსაფრთხოების სისტემების მომსახურების საქმიანობები**

#### **80.20.0 უსაფრთხოების სისტემების მომსახურების საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- უსაფრთხოების ელექტრონული საგანგაშო სისტემების კონტროლს ან დისტანციურ კონტროლს, როგორცაა ძარცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია, მათი დაყენების და ტექნიკური მომსახურების ჩათვლით
- მექანიკური ან ელექტრონული ჩამკეტი მოწყობილობების, სეიფების და უსაფრთხოების საცაგების დაყენებას, შეკეთებას, აღდგენას და რეგულირებას შემდგომი კონტროლის და დისტანციური კონტროლის მიზნით.

ერთეულები, რომლებიც ასრულებენ აღნიშნულ საქმიანობებს, შეიძლება აგრეთვე ეწეოდნენ ამგვარი უსაფრთხოების სისტემების, მექანიკური და

ელექტრონული ჩამკეტი მოწყობილობების, სეიფების და დაცული საცავეების გაყიდვას.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- უსაფრთხოების სისტემების დაყენებას, როგორცაა ძარცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია, მათი შემდგომი კონტროლის გარეშე, იხ. 43.21.0
- საცალო ვაჭრობას ელექტრონული დამცავი სიგნალიზაციის სისტემებით, მექანიკური ან ელექტრონული ჩამკეტი მოწყობილობებით, სეიფებით და დაცული საცავეებით სპეციალიზებულ მაღაზიებში, კონტროლის, დაყენების ან ტექნიკური მომსახურების გარეშე, იხ. 47.59.0
- უსაფრთხოების კონსულტანტების მომსახურებას, იხ. 74.90.0
- საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვის საქმიანობებს, იხ. 84.24.0
- გასაღებების დუბლიკატების მომზადების მომსახურებას, იხ. 95.29.0

### **80.3 საგამომძიებლო საქმიანობები**

#### **80.30 საგამომძიებლო საქმიანობები**

##### **80.30.0 საგამომძიებლო საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- გამოძიებას და დეტექტივების მომსახურებას
- ყველა კერძო გამომძიებლის საქმიანობებს, კლიენტის ტიპის ან გამოძიების მიზნის მიუხედავად

### **81 შენობების და ტერიტორიის მომსახურების საქმიანობები**

ეს განყოფილება შეიცავს ისეთი ზოგადი დამხმარე საქმიანობების უზრუნველყოფას, როგორცაა დამხმარე კომპლექსური მომსახურების მიწოდება კლიენტების ობიექტებზე, ყველა ტიპის შენობის ინტერიერის და ექსტერიერის დასუფთავება, სამრეწველო მანქანების და მოწყობილობების დასუფთავება, მატარებლების, ავტობუსების, თვითმფრინავების და მისთ. დასუფთავება, ავტოცისტერნების და საზღვაო ტანკერების შიდა დასუფთავება, სადეზინფექციო და გაუვნებელყოფის საქმიანობები შენობებში, გემებზე, მატარებლებში და მისთ., ბოთლების რეცხვა, ქუჩების დაგვა, თოვლის და ყინულის აღება, ტერიტორიის მოვლა და სისუფთავის დაცვა და ამ მომსახურებების მიწოდება ტერიტორიის კეთილმოწყობის დაგეგმარების და/ან ბილიკების, საყრდენი კედლების, პლატფორმების, ღობეების, გუბურების და მსგავსი კონსტრუქციების მშენებლობასთან (დაყენებასთან) ერთად.

#### **81.1 ობიექტების კომპლექსური დამხმარე მომსახურება**

##### **81.10 ობიექტების კომპლექსური დამხმარე მომსახურება**

### 81.10.0 ობიექტების კომპლექსური დამხმარე მომსახურება

ეს ქვეკლასი შეიცავს კომპლექსური დამხმარე მომსახურების მიწოდებას კლიენტის ობიექტებზე. ეს მომსახურება შეიცავს საერთო შიდა დასუფთავებას, მოვლას, ნაგვის გატანას, დაცვას და უსაფრთხოებას, ფოსტის დარიგებას, მიმღების (reception) მომსახურებას, სამრეცხაოების და დამხმარე ოპერაციებთან დაკავშირებულ საქმიანობებს ობიექტებში. ამ დამხმარე საქმიანობებს ახორციელებს მომსახურე პერსონალი, რომელიც არ არის ჩართული ან პასუხისმგებელი კლიენტის ძირითად საქმიანობაზე.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მხოლოდ ერთი დამხმარე მომსახურების მიწოდებას (მაგალითად, საერთო შიდა დასუფთავების მომსახურება) ან მხოლოდ ერთ ფუნქციას (მაგალითად, გათბობას), იხ. მისაწოდებელი მომსახურების შესაბამისი ქვეკლასი
- მმართველობითი და მომსახურე პერსონალის მიწოდებას კლიენტის დაწესებულების სრული ფუნქციონირებისათვის, როგორცაა სასტუმრო, რესტორანი, შახტი, საავადმყოფო, იხ. შესაბამისი ერთეულის ქვეკლასი
- მომსახურების გაწევას სამუშაო ადგილზე მართვით და კლიენტის კომპიუტერული სისტემების და/ან მონაცემთა დამუშავების სისტემების მართვას, იხ. 62.03.0
- გამასწორებელი დაწესებულებების ექსპლუატაციას გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე, იხ. 84.23.0

### 81.2 დასუფთავების საქმიანობები

ეს ჯგუფი შეიცავს ყველა სახის შენობების შიდა დასუფთავების საქმიანობებს, შენობების გარე დასუფთავებას, შენობების სპეციალიზებული დასუფთავების საქმიანობებს ან სხვა სპეციალიზებული დასუფთავების საქმიანობებს, სამრეწველო მექანიკური მანქანების და მოწყობილობების დასუფთავებას, ავტოცისტერნების და საზღვაო ტანკერების შიდა დასუფთავებას, შენობების, მანქანების და მოწყობილობების სადეზინფექციო და გაუვნებელყოფის სამუშაოებს, ბოთლების რეცხვას, ქუჩების დაგვას, თოვლის და ყინულის აღებას.

*ეს ჯგუფი არ შეიცავს:*

- სასოფლო-სამეურნეო მავნებლების კონტროლს, იხ. 01.61
- ახლი შენობების დასუფთავებას მშენებლობის დასრულების შემდეგ, იხ. 43.39
- შენობების გარე კედლების ორთქლით გაწმენდას, სილაჭავლურ დამუშავებას და სხვა მსგავს საქმიანობებს, იხ. 43.99
- ხალიჩების და ნოხების რეცხვას, ფარდების და შტორების წმენდას, იხ. 96.01

## 81.21 შენობების საერთო დასუფთავება

### 81.21.0 შენობების საერთო დასუფთავება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ყველა ტიპის შენობების საერთო (არასპეციალიზებულ) დასუფთავებას, როგორცაა:
  - ოფისები
  - სახლები და ბინები
  - ქარხნები
  - მაღაზიები
  - დაწესებულებები
- სხვა კომერციული და პროფესიული დანიშნულების შენობების და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების საერთო (არასპეციალიზებულ) დასუფთავებას

ეს საქმიანობები ძირითადად წარმოადგენენ შიდა დასუფთავებას, თუმცა შეიძლება შეიცავდნენ ისეთი დაკავშირებული ობიექტების გარე დასუფთავებას, როგორცაა ფანჯრები ან გასასვლელები (დერეფნები).

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სპეციალიზებული დასუფთავების სამუშაოებს, როგორცაა ფანჯრების, მილების, ბუხრების და საკვამურების, ფილების, ღუმელების, ნაგავსაწვავების, ბოილერების, სავენტილაციო შახტების, გამოსაბოლქვი ნაგებობების წმენდას, იხ. 81.22.0

## 81.22 შენობების და სამრეწველო ობიექტების დასუფთავების სხვა საქმიანობები

### 81.22.0 შენობების და სამრეწველო ობიექტების დასუფთავების სხვა საქმიანობები

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ყველა ტიპის შენობების გარე დასუფთავებას, ოფისების, ქარხნების, მაღაზიების, დაწესებულებების და სხვა კომერციული და პროფესიული დანიშნულების შენობების და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ჩათვლით
- შენობების სპეციალიზებულ წმენდას, მაგალითად, ფანჯრების, მილების, ბუხრების და საკვამურების, ქურების, ღუმელების, ნაგავსაწვავების, ბოილერების, სავენტილაციო შახტების და გამოსაბოლქვი ნაგებობების
- სამრეწველო მანქანების და მოწყობილობების წმენდას
- შენობების და სამრეწველო ობიექტების სხვა სახის დასუფთავებას, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- შენობების გარე კედლების ორთქლით წმენდას, სილაჭავლურ დამუშავებას და სხვა მსგავს საქმიანობებს, იხ. 43.99.0

## 81.29 დასუფთავების სხვა საქმიანობები

### 81.29.0 დასუფთავების სხვა საქმიანობები

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საცურაო აუზების გასუფთავების და მოვლის საქმიანობებს
- მატარებლების, ავტობუსების, თვითმფრინავების და მისთ. დასუფთავებას
- ავტოციკლერების და საზღვაო ტანკერების შიდა წმენდას
- სადუნიფექციო და გაუვნებელყოფის საქმიანობებს
- ბოთლების რეცხვას
- ქუჩების დაგვას და თოვლის და ყინულის აღებას
- დასუფთავების სხვა საქმიანობებს, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სასოფლო-სამეურნეო მავნებლების კონტროლს, იხ. 01.61.0
- ავტომობილების წმენდას, მანქანების რეცხვას, იხ. 45.20.0

## 81.3 ტერიტორიის მომსახურების საქმიანობები

### 81.30 ტერიტორიის მომსახურების საქმიანობები

#### 81.30.0 ტერიტორიის მომსახურების საქმიანობები

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- გაშენებას, მოვლას და მომსახურებას:
  - პარკების და ბაღების:
  - კერძო და საზოგადოებრივი საცხოვრებელი სახლებისათვის
  - საზოგადოებრივი და ნახევრადსაზოგადოებრივი შენობებისათვის (სკოლები, საავადმყოფოები, ადმინისტრაციული შენობები, ეკლესიები და მისთ.)
  - მუნიციპალური ტერიტორიებისათვის (პარკები, გამწვანებული ტერიტორიები, სასაფლაოები და მისთ.)
  - გზისპირა გამწვანება (გზების, სარკინიგზო და ტრამვაის გზების, საწყლოსნო გზების, პორტების)
  - სამრეწველო და კომერციული შენობებისათვის
- გამწვანებას:
  - შენობების (ბაღები სახურავებზე, ფასადების გამწვანება, შენობების შიდა ბაღები და მისთ.)
  - სპორტული მოედნების (საფეხბურთო, გოლფის სათამაშო მოედნების და მისთ.), სათამაშო მოედნების, მზის აბაზანების მისაღები ადგილების და სხვა სარეკრეაციო პარკების
  - დამდგარი და გამდინარე წყლების (აუზების, ცვლადი ტენიანობის ადგილების, ტბორების, საცურაო აუზების, თხრილების, წყლის არხების, ნარგავების სარწყავი სისტემების)
- მცენარეებს ხმაურის, ქარის, ეროზიის, ხილვადობის და სინათლისაგან დასაცავად

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მცენარეების, ხეების კომერციულ წარმოებას და გაშენებას კომერციული წარმოების მიზნებისათვის, იხ. განყოფილებები 01, 02
- ხის და ტყის ხეების სანერგეებს, იხ. 01.30.0, 02.10.0
- მიწების კარგ ეკოლოგიურ მდგომარეობაში შენახვას სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად, იხ. 01.61.0
- სამშენებლო საქმიანობებს ლანდშაფტური მიზნებისათვის, იხ. სექცია F
- ლანდშაფტურ დიზაინს და არქიტექტურულ საქმიანობებს, იხ. 71.11.0

## **82 ოფისის ადმინისტრაციული, ოფისის დამხმარე და ბიზნესის სხვა დამხმარე საქმიანობები**

ეს განყოფილება შეიცავს ოფისის ყოველდღიური ადმინისტრაციული მომსახურებების გაწევას, აგრეთვე ბიზნესის დამხმარე რუტინული ფუნქციების განხორციელებას სხვა ერთეულებისათვის, გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე.

ეს განყოფილება აგრეთვე შეიცავს ყველა სხვაგან არსად კლასიფიცირებულ დამხმარე საქმიანობას, რომელიც ჩვეულებრივ მიეწოდება კომერციული საქმიანობის მქონე საწარმოებს.

მოცემულ განყოფილებაში კლასიფიცირებული ერთეულები არ აწვდიან მომსახურე პერსონალს საწარმოს კომერციული საქმიანობის სრულად განხორციელებისათვის.

### **82.1 საოფისე ადმინისტრაციული და დამხმარე საქმიანობები**

ეს ჯგუფი შეიცავს ყოველდღიური საოფისე ადმინისტრაციული მომსახურებების გაწევას, როგორცაა ფინანსური დაგეგმვა, ანგარიშების და ჩანაწერების წარმოება, პერსონალის, მატერიალური საშუალებების განაწილებას და ლოჯისტიკას სხვა სუბიექტებისათვის გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე.

ეს ჯგუფი აგრეთვე შეიცავს დამხმარე საქმიანობებს სხვა სუბიექტებისათვის გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე, რომლებიც წარმოადგენენ ბიზნესის დამხმარე რუტინულ ფუნქციებს და რომლებსაც საწარმოები და ორგანიზაციები ტრადიციულად თვითონ ასრულებენ.

მოცემულ განყოფილებაში კლასიფიცირებული ერთეულები არ აწვდიან მომსახურე პერსონალს საწარმოს კომერციული საქმიანობის სრულად განხორციელებისათვის. აღნიშნული საქმიანობების ცალკეული ასპექტით დაკავებული ერთეულები კლასიფიცირდება ამ ცალკეული საქმიანობის სახის შესაბამისად.

#### **82.11 კომპლექსური საოფისე ადმინისტრაციული მომსახურების საქმიანობები**

##### **82.11.0 კომპლექსური საოფისე ადმინისტრაციული მომსახურების საქმიანობები**

ეს ქვეკლასი შეიცავს ყოველდღიურ საოფისე ადმინისტრაციულ მომსახურებებს, როგორცაა მიმდების საქმიანობა, ფინანსური დაგეგმვა, ანგარიშების და ჩანაწერების წარმოება, პერსონალთან დაკავშირებული და საფოსტო მომსახურება და მისთ. სხვა სუბიექტებისათვის, გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ამ საქმიანობებიდან მხოლოდ ერთი ცალკეული სახის მომსახურების მიწოდებას, იხ. ქვეკლასი მოცემული საქმიანობის სახის შესაბამისად
- მომსახურე პერსონალის მიწოდებას ზედამხედველობის გარეშე, იხ. 78

## **82.19 ფოტოასლგადამღები, დოკუმენტების მოსამზადებელი და სხვა სპეციალიზებული საოფისე დამხმარე საქმიანობები**

### **82.19.0 ფოტოასლგადამღები, დოკუმენტების მოსამზადებელი და სხვა სპეციალიზებული საოფისე დამხმარე საქმიანობები**

ეს ქვეკლასი შეიცავს ასლგადამღების, დოკუმენტების მომზადების და სპეციალიზებულ საოფისე დამხმარე სამუშაოებს. მოცემულ კლასში შესული დოკუმენტების ასლგადამღების/ბეჭდვის საქმიანობები მოიცავს მხოლოდ მოკლევადიან ბეჭდვით საქმიანობებს.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- დოკუმენტების მომზადებას
- დოკუმენტების რედაქტირებას და შემოწმებას
- ტექსტის აკრეფას და დამუშავებას
- სამდივნო დამხმარე მომსახურებას
- დოკუმენტების ტრანსკრიფციას (გადაწერას) და სხვა სამდივნო მომსახურებას
- წერილების ან დასკვნების წერას
- საფოსტო ყუთების იჯარას ან სხვა საფოსტო და საკურიერო მომსახურებას, როგორცაა, წინასწარი დახარისხება, დამისამართება და მისთ.
- ფოტოასლგადამღებას
- დუბლიკატების მომზადებას
- შუქპირგადამღებას
- დოკუმენტების სხვა ასლგადამღებ მომსახურებას (საბეჭდი მომსახურების გაწევის გარეშე, როგორცაა ოფსეტური ბეჭდვა, სწრაფი ბეჭდვა, ციფრული ბეჭდვა, ბეჭდვის მოსამზადებელი მომსახურება)

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- დოკუმენტების ბეჭდვას (ოფსეტურ ბეჭდვას, სწრაფ ბეჭდვას და მისთ.), იხ. 18.12.0
- ბეჭდვის მოსამზადებელ მომსახურებას, იხ. 18.13.0
- საფოსტო სარეკლამო კამპანიების შემუშავებას და ორგანიზებას, იხ. 73.11.0
- სპეციალიზებულ სტენოგრაფიულ მომსახურებას, როგორცაა, სტენოგრაფირება სასამართლოებში, იხ. 82.99.0
- საზოგადოების სტენოგრაფიულ მომსახურებას, იხ. 82.99.0

## **82.2 სატელეფონო ცენტრების მომსახურება**

### **82.20 სატელეფონო ცენტრების მომსახურება**

#### **82.20.0 სატელეფონო ცენტრების მომსახურება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს საქმიანობებს:*

- შემავალი ზარების სატელეფონო ცენტრების, რომლებიც პასუხობენ კლიენტების ზარებს, ოპერატორების, ზარების ავტომატური განაწილების სისტემების, კომპიუტერული სატელეფონო კვანძების, ინტერაქტიული ხმოვანი სისტემების მეშვეობით შეკვეთების მიღების, პროდუქტზე ინფორმაციის მიწოდების, კლიენტების მოთხოვნების შესაბამისად დახმარების გაწევის ან მომხმარებლის საჩივრებზე რეაგირების მიზნით
- გამომავალი ზარების სატელეფონო ცენტრების, რომლებიც ზემოაღნიშნული მეთოდების მეშვეობით ახორციელებენ საქონლის ან მომსახურების გაყიდვას პოტენციურ კლიენტებზე, ბაზრის ან საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევას და მსგავს საქმიანობებს კლიენტებისათვის

## **82.3 კონფერენციების და სავაჭრო გამოფენების ორგანიზება**

### **82.30 კონფერენციების და სავაჭრო გამოფენების ორგანიზება**

#### **82.30.0 კონფერენციების და სავაჭრო გამოფენების ორგანიზება**

ეს ქვეკლასი შეიცავს სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას, წარმოჩენას და/ან მართვას, როგორცაა ბიზნეს და სავაჭრო ღონისძიებები, შეკრებები, კონფერენციები და შეხვედრები, აღნიშნული ღონისძიებების ჩატარების ადგილებში პერსონალის მართვით და მიწოდებით ან მის გარეშე.

## **82.9 ბიზნესის დამხმარე მომსახურების საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

ეს ჯგუფი შეიცავს გადასახდელების შემგროვებელი სააგენტოების, საკრედიტო ბიუროების საქმიანობებს და ყველა დამხმარე საქმიანობებს,

რომლებიც ჩვეულებრივ მიეწოდება ბიზნესს, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველს.

## **82.91 გადასახდელების შემგროვებელი სააგენტოების და საკრედიტო ბიუროების საქმიანობები**

### **82.91.0 გადასახდელების შემგროვებელი სააგენტოების და საკრედიტო ბიუროების საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მოთხოვნის საფუძველზე გადასახდელების შეგროვებას ან კლიენტებისათვის შეგროვებული გადასახდელების გადაგზავნას, როგორცაა დებიტორული დაგაღიანების შეგროვების მომსახურება
- ინფორმაციის თავმოყრას, როგორცაა ფიზიკური პირების და საწარმოების საკრედიტო და დასაქმების ისტორია და ინფორმაციის მიწოდებას საფინანსო დაწესებულებებისათვის, საცალო მოვაჭრეებისათვის და სხვა სუბიექტებისათვის, რომლებსაც სჭირდებათ ამ იურიდიული და ფიზიკური პირების კრედიტუნარიანობის შეფასება

## **82.92 შეფუთვის საქმიანობები**

### **82.92.0 შეფუთვის საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- შეფუთვის საქმიანობებს გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე, მიუხედავად იმისა, ავტომატიზებულია თუ არა ეს პროცესები:
  - ბოთლების და ქილების შევსებას თხევადი პროდუქტებით, სასმელების და კვების პროდუქტების ჩათვლით
  - მყარი საქონლის შეფუთვის (ბლისტერული შეფუთვა, ფოლგა და მისთ.)
  - ფარმაცევტული პრეპარატების უსაფრთხო შეფუთვის
  - ეტიკეტირებას, მარკირებას, წარწერების და შტამპების დატანას
  - ამანათების და საჩუქრების შეფუთვის

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების წარმოებას, იხ. 11.07.0
- ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ შეფუთვის საქმიანობებს, იხ. 52.29.0

## **82.99 ბიზნესის სხვა დამხმარე მომსახურების საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

### **82.99.0 ბიზნესის სხვა დამხმარე მომსახურების საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სასამართლო სხდომების სტენოგრაფიულ დოკუმენტირებას, სტენოგრაფიული ჩანაწერებით უზრუნველყოფას და ჩაწერილი მასალების შემდგომ ტრანსკრიფციას (გადაწერას), როგორცაა:
  - სასამართლო ანგარიში და სტენოგრაფიული მომსახურება
  - საზოგადოების სტენოგრაფიული მომსახურება
- რეალურ დროში (ანუ ერთდროულად) სუბტიტრების შეყვანას შესვედრების, კონფერენციების სატელევიზიო ტრანსლირების დროს
- სამისამართო კოდეზის დატანის მომსახურებას
- შტრიხ-კოდების დატანის მომსახურებას
- ფულადი სახსრების შეგროვების აქციების ორგანიზებას ხელშეკრულების ან გასამრჯელოს საფუძველზე
- გადაუხდელობის გამო აქტივების დასაკუთრების მომსახურებას
- პარკირებისათვის ფულის შეგროვების მომსახურებას
- დამოუკიდებელი აუქციონერების საქმიანობას
- ლოიალობის პროგრამების ადმინისტრირებას
- სხვა დამხმარე საქმიანობებს, რომლებიც ჩვეულებრივ მიეწოდებათ ბიზნესს, სხვა დაჯგუფებებში ჩაუროველი

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- დოკუმენტების ტრანსკრიფციის (გადაწერის) მომსახურების გაწევას, იხ. 82.19.0
- ფილმების და ფირების ტიტრების და სუბტიტრების დადებას, იხ. 59.12.0

---

## სექცია O – სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება

---

ეს სექცია შეიცავს სახელმწიფოებრივი ხასიათის საქმიანობებს სახელმწიფო მართვის სფეროში. ეს შეიცავს კანონების მიღებას და მათ იურიდიულ ინტერპრეტაციას, შესაბამის რეგულაციებს, აგრეთვე მათ ბაზაზე დაფუძნებული პროგრამების მართვას, საკანონმდებლო საქმიანობას, დაბეგვრას, ეროვნულ თავდაცვას, საზოგადოებრივ წესრიგს და უსაფრთხოებას, საიმპერაციო სამსახურებს, საგარეო საქმეებს და სახელმწიფო პროგრამების მართვას.

იურიდიული და ინსტიტუციური სტატუსი თავისთავად არ წარმოადგენს განმსაზღვრელ ფაქტორს საქმიანობის სახის აღნიშნული სექციისთვის მიკუთვნებისათვის. ეს უფრო დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეესაბამება საქმიანობის ხასიათი წინა პარაგრაფში მოყვანილ საქმიანობებს. ეს ნიშნავს, რომ საქმიანობები, რომლებიც კლასიფიცირებულია NACE-ის სხვა განყოფილებებში, არ ჩაირთვება მოცემულ სექციაში მაშინაც კი, როდესაც მათ ახორციელებენ მართვის სახელმწიფო ორგანოები. მაგალითად, სასკოლო სისტემის მართვა (ე.ი. რეგულაციები, შემოწმებები, სასწავლო პროგრამები) შედის ამ სექციაში, მაგრამ თვით სწავლება – არა (იხ. სექცია P), ხოლო ციხის და სამხედრო პოსპიტლები კლასიფიცირდება ჯანდაცვაში (იხ. სექცია Q). ამის მსგავსად, ამ სექციას მიკუთვნებულ ზოგიერთ საქმიანობას შეიძლება ასრულებდნენ არასამთავრობო ერთეულები.

ეს სექცია აგრეთვე შეიცავს სავალდებულო სოციალური დაზღვევის საქმიანობებს.

### **84 სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება**

#### **84.1 სახელმწიფო მმართველობა და საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა**

ეს ჯგუფი შეიცავს ზოგადი ხასიათის მართვას (ე.ი. აღმასრულებელ, საკანონმდებლო, საფინანსო მართვას და მისთ. სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე) და ზედამხედველობას სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების სფეროებში.

#### **84.11 ზოგადი ხასიათის სახელმწიფო მმართველობის საქმიანობები**

*ეს კლასი შეიცავს:*

- ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების აღმასრულებელ და საკანონმდებლო მართვას
- ფისკალური საქმიანობის მართვას და ზედამხედველობას:
  - დაბეგვრის სისტემების მართვას
  - საქონელზე გადასახადების/ბაჟის შეგროვებას და საგადასახადო დარღვევების გამოძიებას
  - საბაჟოს მართვას

- ბიუჯეტის შესრულებას და სახელმწიფო სახსრების და სახელმწიფო ვალის მართვას:
  - ფულადი სახსრების შეგროვებას და მიღებას, მათი ხარჯვის კონტროლს
- ზოგადი (სამოქალაქო) კვლევების და დამუშავებების პოლიტიკის და მასთან დაკავშირებული სახსრების მართვას
- ზოგადი ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვის და სტატისტიკური სამსახურების მართვას და ფუნქციონირებას სახელმწიფო მართვის სხვადასხვა დონეზე

*ეს კლასი არ შეიცავს:*

- სახელმწიფო საკუთრების ან სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დაკავებული შენობების მართვას, იხ. 68.2, 68.3
- ადამიანების პირადი კეთილდღეობის ამაღლების მიზნებისათვის განხორციელებული კვლევების და დამუშავებების პოლიტიკის და მასთან დაკავშირებული სახსრების ადმინისტრირებას, იხ. 84.12.0
- ეკონომიკური ეფექტიანობის და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად მიმართული კვლევების და დამუშავებების პოლიტიკის ადმინისტრირებას, იხ. 84.13.0
- თავდაცვასთან დაკავშირებული კვლევების და დამუშავებების პოლიტიკის და მასთან დაკავშირებული სახსრების ადმინისტრირებას, იხ. 84.22.0
- სახელმწიფო არქივების საქმიანობას, იხ. 91.01.2

**84.11.1 ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების აღმასრულებელი და საკანონმდებლო მართვა**

**84.11.2 ფინანსური და ფისკალური საქმიანობის მართვა და ზედამხედველობა**

**84.11.3 ზოგადი ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვის და სტატისტიკის სამსახურების მართვა და ფუნქციონირება**

**84.11.4 სახელმწიფო მმართველობის დამხმარე საქმიანობები**

**84.12 ჯანდაცვის, განათლების, კულტურული მომსახურების და სხვა სოციალური მომსახურების საქმიანობების რეგულირება, სოციალური უსაფრთხოების გარდა**

**84.12.0 ჯანდაცვის, განათლების, კულტურული მომსახურების და სხვა სოციალური მომსახურების საქმიანობების რეგულირება, სოციალური უსაფრთხოების გარდა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- პირადი კეთილდღეობის ამაღლების მიზნებისთვის მიმართული პროგრამების სახელმწიფო მართვას შემდეგ სფეროებში:
  - ჯანმრთელობის დაცვის
  - განათლების

- კულტურის
  - სპორტის
  - რეკრეაციის
  - გარემოს დაცვის
  - საცხოვრისებით უზრუნველყოფის
  - სოციალური მომსახურების
- კვლევების და დამუშავებების პოლიტიკის და მასთან დაკავშირებული სახსრების სახელმწიფო მართვას ამ სფეროებში

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- სარეკრეაციო და კულტურული საქმიანობების ხელშეწყობას
- სახელმწიფო გრანტების განაწილებას ხელოვანთათვის
- სასმელი წყლით უზრუნველყოფის პროგრამების მართვას
- ნარჩენების შეგროვების და მოცილების მართვას
- გარემოს დაცვის პროგრამების მართვას
- საცხოვრისებით უზრუნველყოფის პროგრამების მართვას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საკანალიზაციო, ნაგვის მოსაცილებელი და სანიტარული დამუშავების საქმიანობებს, იხ. განყოფილებები 37, 38, 39
- სავალდებულო სოციალური უსაფრთხოების საქმიანობებს, იხ. 84.30.0
- განათლების საქმიანობებს, იხ. სექცია P
- ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საქმიანობებს, იხ. განყოფილება 86
- მუზეუმების და სხვა კულტურული დაწესებულებების საქმიანობებს, იხ. განყოფილება 91
- სახელმწიფო ბიბლიოთეკების და არქივების საქმიანობებს, იხ. 91.01.0
- სპორტულ და სხვა სარეკრეაციო საქმიანობებს, იხ. განყოფილება 93

**84.13 ბიზნესის ეფექტიანობის ხელშეწყობა და რეგულირება**

**84.13.0 ბიზნესის ეფექტიანობის ხელშეწყობა და რეგულირება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სახელმწიფო მართვას და რეგულირებას, სუბსიდიების გამოყოფის ჩათვლით, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში:
  - სოფლის მეურნეობის
  - მიწათსარგებლობის
  - ენერგეტიკის და მინერალური რესურსების
  - ინფრასტრუქტურის
  - ტრანსპორტის
  - კომუნიკაციების
  - სასტუმროების და ტურიზმის
  - საბითუმო და საცალო ვაჭრობის
- კვლევების და დამუშავებების პოლიტიკის და მასთან დაკავშირებული სახსრების მართვას ეკონომიკური ეფექტიანობის ასამაღლებლად

- ზოგადი ხასიათის შრომის საკითხების მართვას
- რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელებას, მაგალითად, უმუშევრობის დონის შემცირების

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კვლევების და ექსპერიმენტული დამუშავებების საქმიანობებს, იხ. განყოფილება 72

## **84.2 ზოგადი მომსახურების მიწოდება საზოგადოებისათვის**

ეს ჯგუფი შეიცავს საგარეო საქმეთა, თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვის საქმიანობებს

### **84.21 საგარეო საქმიანობა**

#### **84.21.0 საგარეო საქმიანობა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საგარეო საქმეთა სამინისტროს და საზღვარგარეთ ან საერთაშორისო ორგანიზაციებში მოქმედი დიპლომატიური და საკონსულო მისიების საქმიანობების ადმინისტრირებას და ფუნქციონირებას
- საინფორმაციო და კულტურული სამსახურების ადმინისტრირებას, ფუნქციონირებას და დახმარებას, რომელთა მოქმედების სფერო ვრცელდება სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ
- საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის დახმარების გაწევა, საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით ან მათ გარეშე
- სამხედრო დახმარების გაწევას საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის
- საგარეო ვაჭრობის, საერთაშორისო ფინანსების და საგარეო ტექნიკური დახმარების მართვას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საერთაშორისო ხასიათის უბედურებებთან ან კონფლიქტში დაზარალებული ლტოლვილების მომსახურებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს, იხ. 88.99.0

### **84.22 თავდაცვის საქმიანობები**

#### **84.22.0 თავდაცვის საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სამხედრო შეიარაღებული ძალების და სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო და კოსმოსური შეიარაღებული ძალების ადმინისტრირებას, ზედამხედველობას და ფუნქციონირებას, როგორცაა:
  - სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო შეიარაღებული ძალების საბრძოლო ნაწილები
  - საინჟინრო, სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, სადაზვერვო, ლოჯისტიკური, საკადრო და სხვა არასაბრძოლო ქვედანაყოფები

- თავდაცვის სარეზერვო და დამხმარე ძალები
  - სამხედრო ლოჯისტიკა (აღჭურვილობით, საინჟინრო-ტექნიკური საშუალებებით, სურსათ-სანოვაგით და მისთ. უზრუნველყოფა)
  - სამხედრო პერსონალის ჯანდაცვის მომსახურება საველე პირობებში
- სამოქალაქო თავდაცვის ძალების ადმინისტრირებას, ფუნქციონირებას და მხარდაჭერას
  - საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმების შემუშავების მხარდაჭერას და სამოქალაქო დაწესებულებების და მოსახლეობის მონაწილეობით სწავლების ჩატარებას
  - თავდაცვასთან დაკავშირებული კვლევების და დამუშავებების პოლიტიკის და მასთან დაკავშირებული სახსრების ადმინისტრირებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კვლევების და ექსპერიმენტული დამუშავებების საქმიანობებს, იხ. განყოფილება 72
- სამხედრო დახმარების გაწევას საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის, იხ. 84.21.0
- სამხედრო ტრიბუნალების საქმიანობებს, იხ. 84.23.0
- მშვიდობიან დროს მომხდარი უბედური შემთხვევებისას მოსახლეობის პირველადი მოხმარების საგნებით უზრუნველყოფას, იხ. 84.24.0
- სამხედრო სკოლების, კოლეჯების და აკადემიების საგანმანათლებლო საქმიანობებს, იხ. 85.4
- სამხედრო ჰოსპიტლების საქმიანობებს, იხ. 86.10.0

## **84.23 იუსტიციის და სასამართლოების საქმიანობები**

### **84.23.0 იუსტიციის და სასამართლოების საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოების, სამხედრო ტრიბუნალების და სასამართლო სისტემის ფუნქციონირებას და მართვას, მათ შორის იურიდიულ წარმომადგენლობას და კონსულტირებას მთავრობის სახელით ან რომელიც უზრუნველყოფილია მთავრობის მიერ ფულადი სახსრების ან მომსახურების სახით
- სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებას და კანონების ინტერპრეტირებას
- სამოქალაქო საქმეების საარბიტრაჟო გარჩევას
- ციხეების ადმინისტრირებას და გამოსასწორებელი მომსახურების გაწევას, სარეაბილიტაციო მომსახურების ჩათვლით, იმის მიუხედავად, ასრულებენ ამ საქმიანობებს სამთავრობო თუ კერძო ერთეულები, გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კონსულტირებას და წარმომადგენლობას სამოქალაქო, სისხლის სამართლის და სხვა საქმეებში, იხ. 69.10.0
- ციხის სკოლების საქმიანობებს, იხ. განყოფილება 85
- ციხის საავადმყოფოების საქმიანობებს, იხ. 86.10.0

#### **84.24 საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმიანობები**

##### **84.24.0 საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სახელმწიფოს დაფინანსებაზე მყოფი რეგულარული და დამხმარე პოლიციური ძალების, აგრეთვე საპორტო, სასაზღვრო, სანაპირო დაცვის და სხვა სპეციალური პოლიციური ძალების ადმინისტრირებას და ფუნქციონირებას, ქუჩაში მოძრაობის რეგულირების, უცხოელების რეგისტრირების, დაპატიმრებების რეგისტრირების ჩათვლით
- მშვიდობიან დროს მომხდარი უბედური შემთხვევებისას მოსახლეობის პირველადი მოხმარების საგნებით უზრუნველყოფას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- პოლიციის ლაბორატორიების ფუნქციონირებას, იხ. 71.20.0
- სამხედრო შეიარაღებული ძალების ფუნქციონირებას და მართვას, იხ. 84.22.0

#### **84.25 სახანძრო მომსახურების საქმიანობები**

##### **84.25.0 სახანძრო მომსახურების საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ხანძრის ჩაქრობას და თავიდან აცილებას:
  - რეგულარული და დამხმარე სახანძრო ბრიგადების ფუნქციონირებას და მართვას, რომლებიც უზრუნველყოფენ ხანძრის თავიდან აცილებას, ხანძრის ჩაქრობას, ადამიანების და ცხოველების გადარჩენას, სტიქიური უბედურებების, წყალდიდობების, საგზაო შემთხვევების დროს დახმარების გაწევას და მისთ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ტყის ხანძრისაგან დაცვის და ხანძართან ბრძოლის მომსახურებებს, იხ. 02.40.0
- ნავთობის და აირის საბადოებზე ხანძრის ჩაქრობას, იხ. 09.10.0
- ხანძართან ბრძოლის და ხანძრის თავიდან აცილების მომსახურებას აეროპორტებში არასპეციალიზებული ერთეულების მიერ, იხ. 52.23.0

### 84.3 სავალდებულო სოციალური უსაფრთხოების საქმიანობები

#### 84.30 სავალდებულო სოციალური უსაფრთხოების საქმიანობები

##### 84.30.0 სავალდებულო სოციალური უსაფრთხოების საქმიანობები

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მთავრობის მიერ წარმოდგენილი სოციალური უსაფრთხოების პროგრამების დაფინანსებას და ადმინისტრირებას:
  - დაავადებების, სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევების და უმუშევრობის დაზღვევის
  - მოხუცებულობის პენსიების
  - ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის, დროებითი შრომისუუნარობის, დაქვრივების და მისთ. გამო შემოსავლის დაკარგვის საკომპენსაციო პროგრამების

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- არასავალდებულო სოციალურ დაზღვევას, იხ. 65.30.0
- სოციალური დახმარების და სოციალური მომსახურების გაწევას (საცხოვრებელი ადგილებით უზრუნველყოფის გარეშე), იხ. 88.10.0, 88.99.0

---

## სექცია P – განათლება

---

ეს სექცია შეიცავს განათლებას ნებისმიერ დონეზე ან ნებისმიერი პროფესიონალისათვის. სწავლება შეიძლება ხორციელდებოდეს ზეპირი ან წერილობითი ფორმით, რადიოს, ტელევიზიის, ინტერნეტის ან მიმოწერის საშუალებით.

ეს სექცია შეიცავს განათლებას, რომელიც მიეწოდება სხვადასხვა დაწესებულებების მიერ სხვადასხვა დონის რეგულარული საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში, აგრეთვე განათლებას ზრდასრულთათვის, წერაკითხვის სწავლების პროგრამებს და მისთ. აქ აგრეთვე შედის სამხედრო სკოლები და აკადემიები, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული სკოლები და მისთ. შესაბამის დონეებზე. ეს სექცია შეიცავს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო განათლებას.

საწყისი განათლების ყოველი საფეხური შეიცავს ინკლუზიურ განათლებასაც, რაც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლებას.

ამ სექციაში მოყვანილი განმარტებები განათლების საფეხურების შესახებ ეყრდნობა განათლების საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკაციას ISCED-1997. საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობები, რომლებიც აწვდიან განათლებას ISCED-ის 0-ოვანსაფეხურზე, კლასიფიცირდება NACE-ის კლასში 85.10, ISCED-ის 1-ელ საფეხურზე – კლასში 85.20, ISCED-ის მე-2-3 საფეხურებზე – ჯგუფში 85.3, ISCED-ის მე-4 საფეხურზე – კლასში 85.41 და ISCED-ის მე-5-6 საფეხურებზე – კლასში 85.42.

ეს სექცია აგრეთვე შეიცავს სწავლებას, რომელიც უპირატესად დაკავშირებულია სპორტულ და გასართობ საქმიანობებთან, როგორცაა ჩოგბურთი ან გოლფი, და დამხმარე საგანმანათლებლო საქმიანობებს.

### 85 განათლება

#### 85.1 ადრეული და სკოლამდელი განათლება

#### 85.10 ადრეული და სკოლამდელი განათლება

#### 85.10.0 ადრეული და სკოლამდელი განათლება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ადრეულ და სკოლამდელ განათლებას (პირველი საფეხურის წინა განათლება). ადრეული და სკოლამდელი განათლება განისაზღვრება როგორც ორგანიზებული სწავლების საწყისი ეტაპი, რომელიც უპირატესად გამიზნულია არასასკოლო ასაკის საბავშვო ცხოვრებისეული უნარჩვევების გამომუშავებისა და ბავშვების სასკოლო მზაობისათვის.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ბავშვთა ყოველდღიური მოვლის საქმიანობას, იხ. 88.91.0

#### 85.2 დაწყებითი განათლება

## 85.20 დაწყებითი განათლება

### 85.20.0 დაწყებითი სასკოლო განათლება

ეს ქვეკლასი შეიცავს ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურს: აკადემიური საგნების სწავლებას, რაც აძლევს მოსწავლეებს საფუძვლიან საბაზისო უნარებს კითხვაში, წერასა და მათემატიკაში და ზოგად ცოდნას ისეთ საგნებში, როგორცაა საზოგადოებრივი მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, უცხოური ენები, ხელოვნება და მუსიკა.

ასეთი განათლება ძირითადად მიეწოდება ბავშვებს, თუმცა ის აგრეთვე შეიცავს წერა-კითხვის პროგრამებს სასკოლო სისტემის ფარგლებში ან მის გარეთ, რომლებიც შინაარსობრივად დაწყებითი განათლების პროგრამების მსგავსია, მაგრამ განკუთვნილია მათთვის, რომელთა ასაკი აღემატება დაწყებით სკოლაში შემსვლელთა ასაკს (მაგალითად, წერა-კითხვის პროგრამები ზრდასრულთათვის).

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- განათლებას ზრდასრულთათვის, რომელიც განმარტებულია 85.5 ჯგუფში
- ბავშვთა დღის განმავლობაში მოვლის საქმიანობებს, იხ. 88.91.0

## 85.3 საშუალო განათლება

ეს ჯგუფი შეიცავს ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურებს, ასევე პროფესიულ განათლებას.

*ეს ჯგუფი არ შეიცავს:*

- განათლებას ზრდასრულთათვის, როგორც განმარტებულია 85.5 ჯგუფში

## 85.31 ზოგადი საბაზო და საშუალო განათლება

### 85.31.0 ზოგადი საბაზო და საშუალო განათლება

ეს ქვეკლასი შეიცავს ისეთი სახის განათლებას, რომელიც წარმოადგენს საფუძველს ადამიანის სწავლებისა და განვითარებისათვის ცხოვრების მანძილზე და იძლევა განათლების შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობას. განათლების ეს საფეხურები სთავაზობენ პროგრამებს, რომლებიც ძირითადად ცალკეულ დისციპლინებზეა ორიენტირებული და ისწავლება საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლების მიერ. გაკვეთილები ტარდება მასწავლებლების მიერ მათი სპეციალიზაციის სფეროს მიხედვით.

საგნობრივი სპეციალიზაცია ამ დონეზე ხშირად გავლენას ახდენს იმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო გამოცდილებაზეც, რომლებიც გადიან ზოგად პროგრამებს. ასეთი პროგრამები გათვლილია პროფესიული განათლების მიღების მოსამზადებლად ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩასაბარებლად რაიმე განსაზღვრული სპეციალიზაციის შერჩევის აუცილებლობის გარეშე.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურს, რომელიც მეტ-ნაკლებად შეესაბამება სავალდებულო სასკოლო სწავლების პერიოდს
- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურს, რომელიც იძლევა წვდომას უმაღლეს განათლებაზე.

## **85.32 პროფესიული განათლება**

### **85.32.0 პროფესიული განათლება**

ეს ქვეკლასი შეიცავს განათლების მიწოდებას, რომლისთვისაც ჩვეულებრივ დამახასიათებელია საგნობრივ-თემატური სპეციალიზაცია და თეორიული საფუძვლების და პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლება და ძირითადად დაკავშირებულია დღევანდელ ან მომავალ პროფესიულ საქმიანობასთან. პროგრამის მიზნები შეიძლება იცვლებოდეს მოსწავლის პროფესიული საქმიანობისთვის ზოგადი მომზადებიდან კონკრეტული პროფესიის მიღებამდე.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ტექნიკურ და პროფესიულ განათლებას, უმაღლეს განათლებაზე უფრო დაბალი საფეხურის, როგორც განმარტებულია 85.4 ჯგუფში

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ტურისტული გიდების მომზადებას
- მზარეულების, სასტუმროს და რესტორნის მენეჯერების მომზადებას
- კოსმეტოლოგების და პარიკმახერების სკოლებს
- კომპიუტერის შეკეთების სწავლებას
- ავტოსკოლებს პროფესიული მძღოლებისათვის (სატვირთო მანქანების, ავტობუსების, ტაქსის)
- პროფესიული პილოტების სკოლებს

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- უმაღლეს პროფესიულ განათლებას, იხ. 85.4
- სახელოვნებო სწავლებას რეკრეაციის, პოპის და თვითგანვითარების მიზნებისათვის, იხ. 85.52.0
- ავტოსკოლების საქმიანობებს, რომლებიც არ განეკუთვნება მძღოლების პროფესიულ სწავლებას, იხ. 85.53.0
- სამუშაო ადგილზე სწავლებას როგორც სოციალური საქმიანობის ნაწილს, საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფის გარეშე, იხ. 88.10.0, 88.99.0

## 85.4 საშუალოს შემდგომი განათლება

ეს ჯგუფი შეიცავს საშუალოს შემდგომი არაუმაღლესი განათლების მიწოდებას და აკადემიურ სწავლებას ბაკალავრის, მაგისტრის და დოქტორის ხარისხების მინიჭებით. მოთხოვნას ჩაბარებისათვის წარმოადგენს სულ მცირე ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ატესტატი.

*ეს ჯგუფი არ შეიცავს:*

- განათლებას ზრდასრულთათვის, როგორც განსაზღვრულია 85.5-ში

## 85.41 საშუალოს შემდგომი არაუმაღლესი განათლება

### 85.41.0 საშუალოს შემდგომი არაუმაღლესი განათლება

ეს ქვეკლასი შეიცავს საშუალოს შემდგომი განათლების მიწოდებას, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს უმაღლეს განათლებად. მაგალითად, დამატებითი საშუალოს შემდგომი განათლების მიწოდებას უმაღლესი განათლების ან პროფესიული არაუმაღლესი განათლებისათვის მოსამზადებლად.

## 85.42 უმაღლესი განათლება

### 85.42.0 უმაღლესი განათლება

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- უმაღლესი განათლების პირველ, მეორე და მესამე საფეხურებს

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- საშემსრულებლო ხელოვნების დარგში უმაღლესი განათლების მიმწოდებელი სკოლების საქმიანობას

## 85.5 სხვა განათლება

ეს ჯგუფი შეიცავს უწყვეტ განათლებას და სწავლებას ნებისმიერი პროფესიის, ჰობის ან თვითგანვითარების მიზნებისათვის.

ეს ჯგუფი არ შეიცავს საგანმანათლებლო საქმიანობებს, რომლებიც კლასიფიცირებულია 85.1-85.4 ჯგუფებში, ანუ ადრეულ და სკოლამდელ განათლებას, დაწყებით განათლებას, საბაზო განათლებას, საშუალო განათლებას ან საშუალოს შემდგომ განათლებას. ის შეიცავს ბანაკების და სკოლების საქმიანობებს, რომლებიც სთავაზობენ ჯგუფურ და ინდივიდუალურ სწავლებას ათლეტიკის სფეროში, უცხოური ენების სწავლებას, ხელოვნების, დრამის, მუსიკის ან სხვა სახის სწავლებას ან სპეციალიზებულ ტრენინგებს, 85.1-85.4 ჯგუფებში განმარტებული განათლების გარდა.

## 85.51 განათლება სპორტის და დასვენების სფეროში

### 85.51.0 განათლება სპორტის და დასვენების სფეროში

ეს ქვეკლასი შეიცავს ათლეტიკის სწავლებას ჯგუფებში მაგალითად, ბანაკებში და სკოლებში. სპორტული სადღეღამისო და დღის ბანაკები აგრეთვე შედის ამ კლასში. აქ არ შედის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, კოლეჯები და უნივერსიტეტები. სწავლება შეიძლება მიეწოდებოდეს სხვადასხვა ადგილებში, როგორცაა მომხმარებლის ან სასწავლო დაწესებულების სასწავლო ობიექტები, საგანმანათლებლო ინსტიტუტები და ა.შ. სწავლება აღნიშნულ კლასში ფორმალურად ორგანიზებულია.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სპორტულ სწავლებას (ბეისბოლი, კალათბურთი, კრიკეტი, ფეხბურთი და მისთ.)
- სპორტულ სწავლებას ბანაკებში
- ტანვარჯიშის სწავლებას
- საცხენოსნო სწავლებას აკადემიებში ან სკოლებში
- ცურვის სწავლებას
- პროფესიული სპორტული ინსტრუქტორების, მასწავლებლების, მწვრთნელების საქმიანობებს
- საბრძოლო ხელოვნებების სწავლებას
- ბანქოს თამაშების სწავლებას (მაგალითად, ბრიჯის)
- იოგას სწავლებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კულტურულ განათლებას, იხ. 85.52.0

## 85.52 განათლება კულტურის სფეროში

### 85.52.0 განათლება კულტურის სფეროში

ეს ქვეკლასი შეიცავს განათლების მიწოდებას ხელოვნებასა და მუსიკაში. ერთეულებს, რომლებიც დაკავებულნი არიან აღნიშნული ტიპის სწავლებით, შეიძლება დაერქვას “სკოლები”, “სტუდიები”, “კლასები” და ა.შ. ისინი აწვდიან ფორმალურ ორგანიზებულ სწავლებას, ძირითადად ჰობის, დასვენების ან თვითგანვითარების მიზნებისათვის, მაგრამ ასეთი სწავლება არ იძლევა პროფესიული დიპლომს, ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხს.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ფორტეპიანოს მასწავლებლების საქმიანობებს და სხვა მუსიკალურ სწავლებას
- ხელოვნების სწავლებას
- ცეკვის სწავლებას და საცეკვაო სტუდიებს
- დრამატულ სკოლებს (აკადემიურის გარდა)
- სახვითი ხელოვნების სკოლებს (აკადემიურის გარდა)

- საშემსრულებლო ხელოვნების სკოლებს (აკადემიურის გარდა)
- ფოტოგრაფიის სკოლებს (კომერციულის გარდა)

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- უცხო ენების სწავლებას, იხ. 85.59.0

### **85.53 სატრანსპორტო საშუალებების მძღოლების მოსამზადებელი სკოლების საქმიანობები**

#### **85.53.0 სატრანსპორტო საშუალებების მძღოლების მოსამზადებელი სკოლების საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- საფრენოსნო და სანავიგაციო სკოლების საქმიანობებს, კომერციული სერტიფიკატების და ნებართვების გაცემის გარეშე

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- პროფესიული მძღოლების მომზადების სკოლებს, იხ. 85.32.0

### **85.59 სხვა განათლება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

#### **85.59.0 სხვა განათლება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- განათლებას, რომელიც არ განისაზღვრება განათლების დონით
- აკადემიურ სწავლებას კერძო მასწავლებლების მიერ
- სასწავლო ცენტრებს, რომლებიც აწვდიან მოსამზადებელ კურსებს
- პროფესიული გამოცდის მოსამზადებელ კურსებს
- ენების სწავლებას და სასაუბრო უნარ-ჩვევების შესწავლას
- კომპიუტერულ ტრენინგებს
- რელიგიურ სწავლებას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- მაშველების სწავლებას
- სიცოცხლის გადარჩენის სწავლებას
- ორატორული ხელოვნების სწავლებას
- სწრაფი კითხვის სწავლებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- წერა-კითხვის პროგრამებს ზრდასრულთათვის, იხ. 85.20.0
- ზოგად საშუალო განათლებას, იხ. 85.31.0
- პროფესიულ განათლებას, იხ. 85.32.0
- უმაღლეს განათლებას, იხ. 85.4

## 85.6 დამხმარე საგანმანათლებლო საქმიანობები

### 85.60 დამხმარე საგანმანათლებლო საქმიანობები

#### 85.60.0 დამხმარე საგანმანათლებლო საქმიანობები

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საგანმანათლებლო პროცესების ან სისტემების დამხმარე არასასწავლო საქმიანობის განხორციელება:
  - საგანმანათლებლო კონსულტაციებს
  - კონსულტაციებს საგანმანათლებლო მიმართულების შერჩევის საკითხებში
  - საგანმანათლებლო ტესტების შეფასების საქმიანობებს
  - საგანმანათლებლო ტესტირების ჩატარების საქმიანობებს
  - სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების ორგანიზებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კვლევებს და ექსპერიმენტულ დამუშავებებს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, იხ. 72.20.0

## სექცია Q – ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები

ეს სექცია შეიცავს ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების მიწოდებას. ის შეიცავს საქმიანობების ფართო სპექტრს, როგორცაა ჯანმრთელობის დაცვა, რომელიც მიეწოდება კვალიფიციური სამედიცინო პროფესიონალების მიერ საავადმყოფოებში და სხვა დაწესებულებებში, მზრუნველობა საცხოვრებელი ადგილის უზრუნველყოფით, რომელიც გარკვეული ხარისხით მაინც შეიცავს ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქმიანობებს სამედიცინო პროფესიონალების ყოველგვარი ჩართვის გარეშე.

### 86 ჯანდაცვის საქმიანობები

ეს განყოფილება შეიცავს საავადმყოფოების, ზოგადი ან სპეციალიზებული სამედიცინო, ქირურგიული, ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური საავადმყოფოების, სანატორიუმების, პროფილაქტორიუმების, ბავშვთა სამედიცინო სახლების, თავშესაფრების, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის სამკურნალო დაწესებულებების, სარეაბილიტაციო ცენტრების, ლეპროზორიუმების და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებების საქმიანობებს, რომლებსაც გააჩნიათ განთავსების საშუალებები და რომლებიც ატარებენ სხვადასხვა დაავადებების მქონე პაციენტების დიაგნოსტიკურ და სამედიცინო მკურნალობას.

ეს განყოფილება აგრეთვე შეიცავს სამედიცინო კონსულტირებას და მკურნალობას ზოგადი და სპეციალიზებული მედიცინის დარგში ზოგადი პრაქტიკის ექიმების, სამედიცინო სეციალისტების და ქირურგების მიერ. ის შეიცავს ზოგადი ან სპეციალიზებული ხასიათის სტომატოლოგიურ და ორთოდონტულ საქმიანობებს. გარდა ამისა, ეს განყოფილება შეიცავს ჯანდაცვის საქმიანობებს, რომლებიც სრულდება არა საავადმყოფოებში ან პრაქტიკოსი ექიმების მიერ, არამედ პარასამედიცინო პერსონალის მიერ, რომლებიც კანონიერად მკურნალობენ პაციენტებს.

#### 86.1 საავადმყოფოების საქმიანობები

##### 86.10 საავადმყოფოების საქმიანობები

##### 86.10.0 საავადმყოფოების საქმიანობები

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- მოკლე ან გრძელვადიანი საავადმყოფოების საქმიანობებს, ე.ი. სამედიცინო, დიაგნოსტიკურ და სამკურნალო საქმიანობებს, ზოგადი პროფილის საავადმყოფოების (მაგალითად, ადგილობრივი და რეგიონული საავადმყოფოები, არაკომერციული ორგანიზაციების საავადმყოფოები, საუნივერსიტეტო კლინიკები, სამხედრო ჰოსპიტლები და ციხის საავადმყოფოები) და სპეციალიზებული საავადმყოფოები (მაგალითად, ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური საავადმყოფოები, ინფექციური საავადმყოფოები, სამშობიარო სახლები, სპეციალიზებული სანატორიუმები).

საქმიანობები ძირითადად მიმართულია სტაციონარული პაციენტების მკურნალობისათვის, ხორციელდება მკურნალი ექიმების უშუალო მეთვალყურეობით და შეიცავს:

- სამედიცინო და პარასამედიცინო პერსონალის მომსახურებას
- ლაბორატორიებით და ტექნიკური საშუალებებით მომსახურებებს, რადიოლოგიური და ანესთეზიოლოგიური მომსახურების ჩათვლით
- გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საქმიანობებს
- საოპერაციოების მომსახურებით, ფარმაცევტული მომსახურებით, კვებით და საავადმყოფოების სხვა მომსახურებით უზრუნველყოფას
- ოჯახის დაგეგმვის ცენტრების მომსახურებას, სამედიცინო მკურნალობის მიწოდებით, როგორცაა სტერილიზაცია და ფესმძიმობის შეწყვეტა, სტაციონარული მომსახურებით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ყველა ტიპის მასალების და პროდუქტების ლაბორატორიულ შემოწმებას და ინსპექტირებას, სამედიცინოს გარდა იხ. 71.20.0
- ვეტერინარულ საქმიანობებს, იხ. 75.00
- სამხედრო პერსონალის ჯანდაცვის მომსახურებას საველე პირობებში, იხ. 84.22.0
- ზოგადი და სპეციალიზებული ხასიათის სტომატოლოგიური პრაქტიკის საქმიანობებს, მაგალითად, კბილების მკურნალობა, ენდოდონტია და პედიატრული სტომატოლოგია; პირის ღრუს პათოლოგია, ორთოდონტული საქმიანობები და ა.შ., იხ. 86.23.0
- კერძო საკონსულტაციო მომსახურებას სტაციონარული პაციენტებისათვის, იხ. 86.2
- სამედიცინო ლაბორატორიულ ანალიზებს, იხ. 86.90.0
- სასწრაფო სამედიცინო დახმარების ტრანსპორტის საქმიანობას, იხ. 86.90.0

## **86.2 სამედიცინო და სტომატოლოგიური პრაქტიკის საქმიანობები**

ეს ჯგუფი შეიცავს სამედიცინო კონსულტირებას და მკურნალობას, რომლებიც ხორციელდება ზოგადი სამედიცინო პრაქტიკის მქონე ექიმების და სამედიცინო სპეციალისტების მიერ, ქირურგების, სტომატოლოგების და მისთ. ჩათვლით.

ასეთი საქმიანობები შეიძლება სრულდებოდეს კერძო პრაქტიკის სახით, ექიმთა ჯგუფების მიერ და საავადმყოფოების, ფირმების, სკოლების, ხანდაზმულთა სახლების, შრომით ორგანიზაციების და მისთ ამბულატორიულ კლინიკებში, ასევე პაციენტის სახლში დახმარების სახით.

*ეს ჯგუფი აგრეთვე შეიცავს:*

- კერძო კონსულტანტების მიერ სტაციონარული პაციენტების მომსახურებას

## 86.21 ზოგადი სამედიცინო პრაქტიკის საქმიანობები

### 86.21.0 ზოგადი სამედიცინო პრაქტიკის საქმიანობები

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სამედიცინო კონსულტირებას და მკურნალობას ზოგადი მედიცინის დარგში ზოგადი პრაქტიკის ექიმების მიერ

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სტაციონარულ საქმიანობებს, იხ. 86.10.0
- პარასამედიცინო საქმიანობებს, როგორცაა ბებიჩალები, მედღების და ფიზიოთერაპევტების საქმიანობები, იხ. 86.90.0

## 86.22 სპეციალიზებული სამედიცინო პრაქტიკის საქმიანობები

### 86.22.0 სპეციალიზებული სამედიცინო პრაქტიკის საქმიანობები

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სამედიცინო კონსულტირებას და მკურნალობას სპეციალიზებული მედიცინის დარგში სამედიცინო სპეციალისტების და ქირურგების მიერ

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ოჯახის დაგეგმვის ცენტრების მომსახურებას, სამედიცინო მკურნალობის მიწოდებით, როგორცაა სტერილიზაცია და ფეხმძიმობის შეწყვეტა, სტაციონარული მომსახურების გარეშე

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სტაციონარულ საქმიანობებს, იხ. 86.10.0
- ბებიჩალები, ფიზიოთერაპევტების და სხვა პარასამედიცინო პერსონალის საქმიანობებს, იხ. 86.90.0

## 86.23 სტომატოლოგიური პრაქტიკის საქმიანობები

### 86.23.0 სტომატოლოგიური პრაქტიკის საქმიანობები

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ზოგადი და სპეციალიზებული ხასიათის სტომატოლოგიური პრაქტიკის საქმიანობებს, მაგალითად, კბილების მკურნალობა, ენდოდონტია და პედიატრული სტომატოლოგია; პირის ღრუს პათოლოგია
- ორთოდონტულ საქმიანობებს

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- სტომატოლოგიურ საქმიანობებს საოპერაციოებში

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ხელოვნური კბილების, პროთეზების და საპროთეზო სამარჯვების წარმოებას სტომატოლოგიური ლაბორატორიების მიერ, იხ. 32.50.0
- სტაციონარულ საქმიანობებს, იხ. 86.10.0
- სტომატოლოგიური პარასამედიცინო პერსონალის საქმიანობებს, როგორცაა სტომატოლოგიური ჰიგიენისტები, იხ. 86.90.0

## **86.9 ჯანდაცვის სხვა საქმიანობები**

### **86.90 ჯანდაცვის სხვა საქმიანობები**

#### **86.90.0 ჯანდაცვის სხვა საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ჯანდაცვის საქმიანობებს, რომლებიც არ ხორციელდება საავადმყოფოებში ან ექიმების ან სტომატოლოგების მიერ:
  - მედლების, ბებიქალების, ფიზიოთერაპევტების ან სხვა პარასამედიცინო პერსონალის საქმიანობებს, ოპტომეტრიის, ჰიდროთერაპიის, სამკურნალო მასაჟის, შრომითი თერაპიის, ლოგოპედიის, ქიროპოდიის, ჰომეოპათიის, ქიროპრაქტიკის, აკუპუნქტურის (ნემსითთერაპიის) და ა.შ. საქმიანობებს

ეს საქმიანობები შეიძლება ხორციელდებოდეს სამედიცინო კლინიკებში, რომლებიც მოქმედებენ კომპანიებთან, სკოლებთან, ხანდაზმულთა სახლებთან, შრომით ორგანიზაციებთან და ჯანდაცვის სხვა პუნქტებში, რომლებიც არ წარმოადგენენ საავადმყოფოებს, აგრეთვე საკონსულტაციო ოთახებში, პაციენტების ბინებში ან სხვა ადგილებში.

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- სტომატოლოგიური პარასამედიცინო პერსონალის საქმიანობებს, როგორცაა კბილის თერაპევტები, სკოლის სტომატოლოგიური კაბინეტების მედლები და სტომატოლოგიური ჰიგიენისტები, რომლებსაც შეუძლიათ დამოუკიდებელი მუშაობა, მაგრამ სტომატოლოგის პერიოდული დაკვირვების ქვეშ
- სამედიცინო ლაბორატორიების საქმიანობებს, როგორცაა:
  - რენტგენოლოგიური ლაბორატორიები და სხვა დიაგნოსტიკური გამოსახულების ცენტრები
  - სისხლის ანალიზის ლაბორატორიები
- სისხლის ბანკების, სპერმის ბანკების, სატრანსპლანტაციო ორგანოების ბანკების და მისთ. საქმიანობებს
- ავადმყოფების გადაყვანას სასწრაფო დახმარების მანქანებით და სხვა სატრანსპორტო საშუალებებით, თვითმფრინავის ჩათვლით. ეს მომსახურება ხშირად გაეწევათ სამედიცინო კრიტიკული სიტუაციების დროს.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ხელოვნური კბილების, პროთეზების და საპროთეზო სამარჯვების წარმოებას სტომატოლოგიური ლაბორატორიების მიერ, იხ. 32.50.0

- ავადმყოფების გადაყვანას სიცოცხლის გადასარჩენი მოწყობილობების და სამედიცინო პერსონალის გარეშე, იხ. განყოფილებები 49, 50, 51
- არასამედიცინო ლაბორატორიულ ანალიზებს, იხ. 71.20.0
- კვების ჰიგიენის შემოწმების საქმიანობებს, იხ. 71.20.0
- საავადმყოფოების საქმიანობებს, იხ. 86.10.0
- სამედიცინო და სტომატოლოგიური პრაქტიკის საქმიანობებს, იხ. 86.2
- სამედიცინო მოვლას საცხოვრებელი ადგილის უზრუნველყოფით, იხ. 87.10.0

## 87 რეზიდენტული ზრუნვა

ეს განყოფილება შეიცავს მოვლას საცხოვრებელი ადგილის უზრუნველყოფით, მომვლელის, ზედამხედველის ან სხვა ტიპის მომსახურების მიწოდებით დაწესებულებებში მცხოვრები პაციენტების მოთხოვნის შესაბამისად. ასეთი დაწესებულებები წარმოადგენენ საწარმოო პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს და მოვლა წარმოადგენს სამედიცინო და სოციალური მომსახურების ერთობლიობას, უპირატესად მომვლელების მიერ სამედიცინო მომსახურების მიწოდებით.

### 87.1 რეზიდენტული საექთნო მოვლა

#### 87.10 რეზიდენტული საექთნო მოვლა

##### 87.10.0 რეზიდენტული საექთნო მოვლა

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ხანდაზმულთა სახლების საქმიანობებს მომვლელის მომსახურებით
- სარეაბილიტაციო დაწესებულებების საქმიანობებს
- მზრუნველობის სახლების საქმიანობებს მომვლელის მომსახურებით
- დაწესებულებების საქმიანობებს მომვლელის მომსახურებით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სამედიცინო მომსახურებას ბინაზე მისვლით პროფესიონალების მიერ, იხ. განყოფილება 86
- ხანდაზმულთა სახლების საქმიანობებს მინიმალური სამედიცინომოვლის მომსახურებით ან მის გარეშე, იხ. 87.30.0
- სოციალური სამსახურების საქმიანობებს საცხოვრებლის უზრუნველყოფით, როგორცაა ობოლთათა ვაშლსაფრები, ბავშვთა პანსიონები და საერთო საცხოვრებლები, უსახლკაროთა დროებითი თავშესაფრები, იხ. 87.90.0

### 87.2 რეზიდენტული მოვლა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირთათვის, ფსიქიკური და ნარკოლოგიური დაავადებების მქონე პირთათვის

#### 87.20 რეზიდენტული მოვლა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირთათვის, ფსიქიკური და ნარკოლოგიური დაავადებების მქონე პირთათვის

## **87.20.0 რეზიდენტული მოვლა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირთათვის, ფსიქიკური და ნარკოლოგიური დაავადებების მქონე პირთათვის**

ეს ქვეკლასი შეიცავს მოვლას საცხოვრებელი ადგილის უზრუნველყოფით (მაგრამ არა ლიცენზირებულ საავადმყოფოში) გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირთათვის, ფსიქიკური ან ნარკოლოგიური დაავადებების მქონე ადამიანებისათვის. ასეთი დაწესებულებები უზრუნველყოფენ პაციენტებს ოთახებით, კვებით, მზრუნველობითი ზედამხედველობით, კონსულტირებით და გარკვეული სამედიცინო მოვლით.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სამკურნალო დაწესებულებების საქმიანობებს ალკოჰოლური ან ნარკოტიკული დამოკიდებულების მქონე პაციენტთათვის
- ფსიქიატრიული სარეაბილიტაციო სახლების საქმიანობებს
- ემოციური დარღვევების მქონე პირთა სახლების საქმიანობებს
- გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირთა დაწესებულებების საქმიანობებს
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სარეაბილიტაციო სახლების საქმიანობებს

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ფსიქიკური დაავადებების და ნარკოტიკული დამოკიდებულების მქონე ავადმყოფების რეზიდენტულ მოვლას და მკურნალობას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს, იხ. 86.10.0
- სოციალურ მომსახურებებს საცხოვრებლის უზრუნველყოფით, როგორცაა უსახლკაროთა დროებითი თავშესაფრები, იხ. 87.90.0

## **87.3 რეზიდენტული მოვლის საქმიანობები ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის**

### **87.30 რეზიდენტული მოვლის საქმიანობები ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის**

#### **87.30.0 რეზიდენტული მოვლის საქმიანობები ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის**

ეს ქვეკლასი შეიცავს რეზიდენტულ მოვლასდა პერსონალურ მოვლას ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, რომელთაც არ შეუძლიათ საკუთარი თავის სრული მოვლა და/ან არ სურთ დამოუკიდებლად ცხოვრება. მოვლა ჩვეულებრივ შეიცავს ოთახით, საკვებით, ზედამხედველობით და ყოველდღიური დახმარებით (მაგალითად, დალაგება) უზრუნველყოფას. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ერთეულები სთავაზობენ პაციენტებს მომვლელების დახმარებას ადგილზე არსებულ სპეციალურ პუნქტებში.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- დაწესებულებების საქმიანობებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის

- პენსიონერთა მუდმივი მოვლის დასახლებების საქმიანობებს
- ხანდაზმულთა სახლების საქმიანობებს მომვლელის მინიმალური მომსახურებით
- მზრუნველობის სახლების საქმიანობებს მომვლელის მომსახურების გარეშე

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ხანდაზმულთა სახლების საქმიანობებს მომვლელის მომსახურებით, იხ. 87.10.0
- სოციალური მომსახურების საქმიანობებს საცხოვრებლის უზრუნველყოფით, სადაც სამედიცინო მკურნალობა ან განათლება არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს, იხ. 87.90.0

## **87.9 რეზიდენტული მოვლის სხვა საქმიანობები**

### **87.90 რეზიდენტული მოვლის სხვა საქმიანობები**

#### **87.90.0 რეზიდენტული მოვლის სხვა საქმიანობები**

ეს ქვეკლასი შეიცავს მოვლას საცხოვრებელი ადგილის უზრუნველყოფით და პერსონალურ მოვლას პირებისათვის (ხანდაზმულების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების გარდა), რომელთაც არ შეუძლიათ საკუთარი თავის სრული მოვლა და/ან არ სურთ დამოუკიდებლად ცხოვრება.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საქმიანობებს სადღეღამისო მომსახურების მიწოდებით, რომლებიც მიმართულია სოციალური დახმარების უზრუნველსაყოფად ბავშვების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ცალკეული კატეგორიების ადამიანთათვის, სადაც მკურნალობა ან განათლება არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს:
  - მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლების
  - ბავშვთა პანსიონების და საერთო საცხოვრებლების
  - უსახლკაროთა დროებითი თავშესაფრების
  - მარტოხელა დედებზე და მათ შვილებზე მზრუნველი დაწესებულებების

ეს საქმიანობები შეიძლება ხორციელდებოდეს სახელმწიფო დაწესებულებების ან კერძო ორგანიზაციების მიერ.

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- სოციალური ან პერსონალური პრობლემების მქონე პირთა სარეაბილიტაციო სახლების საქმიანობებს
- დამნაშავეების და კანონდამრღვევების სარეაბილიტაციო სახლების საქმიანობებს
- არასრულწლოვანი დამნაშავეების გამასწორებელი სახლების საქმიანობებს

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სოციალური დაცვის სავალდებულო პროგრამების დაფინანსებას და მართვას, იხ. 84.30.0
- დაწესებულებების საქმიანობებს მომვლელის მომსახურებით, იხ. 87.10.0
- მოვლას საცხოვრებლის უზრუნველყოფით ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის იხ. 87.30.0
- შვილის აყვანასთან დაკავშირებულ საქმიანობებს, იხ. 88.99.0
- მოკლევადიანი თავშესაფრების საქმიანობებს უბედური შემთხვევების მსხვერპლთათვის, იხ. 88.99.0

**88 სოციალური მომსახურების საქმიანობები საცხოვრებლით უზრუნველყოფის გარეშე**

ეს განყოფილება შეიცავს სხვადასხვა სახის სოციალური მომსახურების გაწევას უშუალოდ კლიენტებისათვის. ამ განყოფილების საქმიანობები არ შეიცავს საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფას, დროებითის გარდა.

**88.1 სოციალური მომსახურების საქმიანობები საცხოვრებლით უზრუნველყოფის გარეშე ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის**

**88.10 სოციალური მომსახურების საქმიანობები საცხოვრებლით უზრუნველყოფის გარეშე, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის**

**88.10.0 სოციალური მომსახურების საქმიანობები საცხოვრებლით უზრუნველყოფის გარეშე, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სოციალურ, საკონსულტაციო, საცნობარო და მსგავსს მომსახურებას, კეთილდღეობაზე ზრუნვას, რომელიც მიეწოდებათ ხანდაზმულებს და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს სახლში ან სხვა ადგილებში, სახელმწიფო დაწესებულებების ან კერძო ორგანიზაციების, ურთიერთდახმარების ეროვნული ან ადგილობრივი ორგანიზაციების ან საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელი სპეციალისტების მიერ:
  - ხანდაზმულთა ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონახულება
  - ხანდაზმულთა ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღიური მოვლა
  - პროფესიული რეაბილიტაცია და მომზადება რაიმე საქმიანობისათვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, განათლების კომპონენტის მინიმუმით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სავალდებულო სოციალური უსაფრთხოების პროგრამების დაფინანსებას და მართვას, იხ. 84.30.0

- მოცემულ კლასში მოყვანილ მსგავს საქმიანობებს, მაგრამ საცხოვრებელი ადგილის უზრუნველყოფით, იხ. 87.30.0
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დღიურ მოვლას, იხ. 88.91.0

## 88.9 სოციალური მომსახურების სხვა საქმიანობები საცხოვრებელი უზრუნველყოფის გარეშე

### 88.91 ბავშვთა დღიური მოვლის საქმიანობები

#### 88.91.0 ბავშვთა დღიური მოვლის საქმიანობები

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- მოზარდების დღიურ მოვლას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დღიური მოვლის ჩათვლით

## 88.99 სოციალური სამსახურების სხვა საქმიანობები საცხოვრებელი უზრუნველყოფის გარეშე, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

### 88.99.0 სოციალური სამსახურების სხვა საქმიანობები საცხოვრებელი უზრუნველყოფის გარეშე, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სოციალურ, საკონსულტაციო, კეთილდღეობაზე ზრუნვის, ლტოლვილთა რეფერირების და მსგავს მომსახურებებს, რომლებიც მიეწოდება ინდივიდუალურ პირებს ან ოჯახებს თავიანთ სახლებში ან სხვა ნებისმიერ ადგილზე და ხორციელდება სამთავრობო დაწესებულებების ან კერძო ორგანიზაციების, საგანგებო სიტუაციების სამსახურების, თვითდახმარების ადგილობრივი და ეროვნული ორგანიზაციების და საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებელი სპეციალისტების მიერ:
  - ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობასთან და აღზრდის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ საქმიანობებს
  - შვილის აყვანასთან დაკავშირებულ საქმიანობებს, ბავშვებთან ან სხვა პირებთან უხეში მოპყრობის პრევენციულ საქმიანობებს
  - კონსულტირებას შინამეურნეობის ბიუჯეტის, ქორწინების და ოჯახის, კრედიტის და ვალის საკითხებზე
  - სათემო და სამეზობლო საქმიანობებს
  - უბედური შემთხვევების მსხვერპლთა, ლტოლვილების, იმიგრანტებისათვის და მისთ. დახმარების გაწევის საქმიანობებს, მათთვის დროებითი ან შედარებით გრძელვადიანი თავშესაფრების გამოყოფის ჩათვლით
  - უმუშევრების პროფესიულ რეაბილიტაციას ან გარკვეული საქმიანობისათვის მომზადებას, განათლების კომპონენტის მინიმუმით
  - სოციალური დახმარების, სუბსიდირებული რენტის ან სასურსათო ტალონების მიღების უფლების დადგენას
  - დღის დაწესებულებების საქმიანობას უსახლკაროთა და სხვა სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის

- საქველმოქმედო საქმიანობებს, როგორცაა სახსრების შეგროვება, ან სოციალურ მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა დამხმარე საქმიანობებს

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სავალდებულო სოციალური უსაფრთხოების პროგრამების დაფინანსებას და მართვას, იხ. 84.30.0
- მოცემულ კლასში მოყვანილ მსგავს საქმიანობებს, მაგრამ საცხოვრებელი ადგილის უზრუნველყოფით, იხ. 87.30.0

ეს სექცია შეიცავს საქმიანობათა ფართო სპექტრს საზოგადოების სხვადასხვა კულტურული, გასართობი და დასასვენებელი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ცოცხალი წარმოდგენების, მუზეუმების, აზარტული თამაშების, სპორტული და დასვენების საქმიანობების ჩათვლით.

**90 შემოქმედებითი, სახელოვნებო და გართობის საქმიანობები**

ეს განყოფილება შეიცავს დაწესებულებების მართვას და მომსახურებას კლიენტების კულტურული და გასართობი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ის შეიცავს ცოცხალი წარმოდგენების, ღონისძიებების და საჯარო დათვალიერებისათვის განკუთვნილი გამოფენების მოწყობას, წარმოჩენას და მათში მონაწილეობას; სამხატვრო, შემოქმედებითი და ტექნიკური პერსონალით უზრუნველყოფას სამხატვრო პროდუქციის შექმნის და ცოცხალი წარმოდგენების ორგანიზებისათვის.

*ეს განყოფილება არ შეიცავს:*

- ყველა ტიპის მუზეუმების, ბოტანიკური და ზოოლოგიური ბაღების ფუნქციონირებას; ისტორიული ადგილების დაცვას; და ბუნებრივი ნაკრძალების საქმიანობებს, იხ. განყოფილება 91
- აზარტული თამაშების საქმიანობებს, იხ. განყოფილება 92
- სპორტულ, გასართობ და დასვენების საქმიანობებს, იხ. განყოფილება 93

ზოგიერთი ერთეული, რომელიც სთავაზობს კულტურულ, გასართობ ან დასვენების საშუალებებს და აწვდის შესაბამის მომსახურებას, კლასიფიცირდება სხვა განყოფილებებში, როგორცაა:

- კინოფილმების და ვიდეო პროდუქციის წარმოება და გავრცელება, იხ. 59.11.0, 59.12.0, 59.13.0
- კინოფილმების დემონსტრირება, იხ. 59.14.0
- რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობა, იხ. 60.1, 60.2

**90.0 შემოქმედებითი, სახელოვნებო და გასართობი საქმიანობები**

ეს ჯგუფი შეიცავს შემოქმედებით, სახელოვნებო და მასთან დაკავშირებულ საქმიანობებს.

**90.01 საშემსრულებლო ხელოვნება**

**90.01.0 საშემსრულებლო ხელოვნება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ცოცხალი თეატრალური დადგმების, კონცერტების და საოპერო სპექტაკლების ან საცეკვაო წარმოდგენების და სხვა სასცენო პროდუქციის წარმოებას:
  - ჯგუფების, ცირკების ან დასების, ორკესტრების ან ანსამბლების საქმიანობებს

- ინდივიდუალური ხელოვანების საქმიანობებს, როგორცაა მსახიობები, მოცეკვავეები, მუსიკოსები, ლექტორები

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- პერსონალური თეატრალური ან სამხატვრო აგენტების და სააგენტოების საქმიანობებს, იხ. 74.90.0
- კასტინგის საქმიანობებს, იხ. 78.10.9

## **90.02 საშემსრულებლო ხელოვნების დამხმარე საქმიანობები**

### **90.02.0 საშემსრულებლო ხელოვნების დამხმარე საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საშემსრულებლო ხელოვნების დამხმარე საქმიანობებს ცოცხალი თეატრალური წარმოდგენების, კონცერტების და საოპერო სპექტაკლების ან საცეკვაო წარმოდგენების და სხვა სასცენო წარმოდგენების წარმოებისათვის:
  - რეჟისორების, პროდიუსერების, სცენის მხატვარ-დეკორატორების, სცენის მუშების, განათების ინჟინრების და მისთ. საქმიანობებს

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ცოცხალი მხატვრული ღონისძიებების პროდიუსერების ან ანტრეპრენერების საქმიანობებს, შესაბამისი ადგილით ან მის გარეშე.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- პერსონალური თეატრალური ან სამხატვრო აგენტების და სააგენტოების საქმიანობებს, იხ. 74.90.0
- კასტინგის საქმიანობებს, იხ. 78.10.9

## **90.03 მხატვრული შემოქმედება**

### **90.03.0 მხატვრული შემოქმედება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ინდივიდუალური ხელოვანების საქმიანობებს, როგორცაა მოქანდაკეები, მხატვრები, მულტიპლიკატორები, გრაფიკორები, ოფორტისტები და მისთ.
- ინდივიდუალური მწერლების საქმიანობებს, ისეთი სფეროების ჩათვლით, როგორცაა მხატვრული ლიტერატურა, ტექნიკური ლიტერატურა და მისთ.
- დამოუკიდებელი ჟურნალისტების საქმიანობებს
- ხელოვნების ნიმუშების რესტავრირებას, როგორცაა ნახატები და მისთ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ქანდაკებების წარმოებას, რომელიც არ წარმოადგენს ხელოვნების ნიმუშს, იხ. 23.70.0
- ორგანების და სხვა ისტორიული მუსიკალური ინსტრუმენტების რესტავრირებას, იხ. 33.19.0
- კინოფილმების და ვიდეოპროდუქციის წარმოებას, იხ. 59.11.0, 59.12.0
- ავეჯის რესტავრირებას (სამუზეუმო ავეჯის რესტავრირების გარდა), იხ. 95.24.0

## **90.04 ხელოვნების დაწესებულებების ექსპლუატაცია**

### **90.04.0 ხელოვნების დაწესებულებების ექსპლუატაცია**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საკონცერტო და თეატრალური დარბაზების და ხელოვნების სხვა დაწესებულებების ექსპლუატაციას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კინოთეატრების საქმიანობებს, იხ. 59.14.0
- ბილეთების გაყიდვის სააგენტოების საქმიანობას, იხ. 79.90.0
- სხვადასხვა ტიპის მუზეუმების ფუნქციონირებას, იხ. 91.02.0

## **91 ბიბლიოთეკების, არქივების, მუზეუმების და კულტურის სხვა დაწესებულებების საქმიანობები**

ეს განყოფილება შეიცავს ბიბლიოთეკების და არქივების საქმიანობებს; ყველა სახის მუზეუმების, ბოტანიკური ბაღების და ზოოლოგიური პარკების საქმიანობებს. ისტორიული ადგილების და ბუნებრივი ნაკრძალების ექსპლუატაციას.

ის აგრეთვე შეიცავს ობიექტების, ადგილების და ისტორიული, კულტურული ან საგანმანათლებლო ღირებულების მქონე ბუნების საოცრებების დაცვას და ჩვენებას (მაგალითად, მსოფლიო მემკვიდრეობის ადგილების და მისთ.).

*ეს განყოფილება არ შეიცავს:*

- სპორტულ, გასართობ და დასვენების საქმიანობებს, როგორცაა პლაჟების და დასვენების პარკების საქმიანობები, იხ. განყოფილება 93

## **91.0 ბიბლიოთეკების, არქივების, მუზეუმების და კულტურის სხვა დაწესებულებების საქმიანობები**

### **91.01 ბიბლიოთეკების და არქივების საქმიანობები**

#### **91.01.0 ბიბლიოთეკების და არქივების საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ყველა სახის ბიბლიოთეკების, სამკითხველო, მოსასმენი და საჩვენებელი დარბაზების, საჯარო არქივების მიერ დოკუმენტებით და ინფორმაციით უზრუნველყოფის საქმიანობებს ფართო საზოგადოებისა ან სპეციალური მომხმარებლებისათვის, როგორცაა სტუდენტები, მეცნიერები, თანამშრომლები, ორგანიზაციების წევრები, ასევე სახელმწიფო არქივების საქმიანობას:
  - სპეციალიზებული ან არასპეციალიზებული კოლექციების ორგანიზებას
  - კოლექციების კატალოგიზებას
  - წიგნების, რუკების, პერიოდიკის, ფილმების, ფირების, ჩანაწერების, ხელოვნების ნაწარმოებების დროებით გაცემას და შენახვას
  - ინფორმაციის მოძიებას მოთხოვნის შესაბამისად და მისთ.
- ფოტო- და კინობიბლიოთეკების წარმართვა და ბიბლიოთეკების სხვა მომსახურება მომსახურებას

## 91.02 მუზეუმების საქმიანობა

### 91.02.0 მუზეუმების საქმიანობა

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ყველა სახის მუზეუმების საქმიანობებს:
  - სახვითი ხელოვნების, ძვირფასეულობის, ავეჯის, კოსტუმების, კერამიკის, ვერცხლის ნაკეთობების მუზეუმების
  - ბუნებათმცოდნეობის, სამეცნიერო და ტექნოლოგიური მუზეუმების, ისტორიული მუზეუმების, სამხედრო მუზეუმების ჩათვლით
  - ღია ცის ქვეშ მუზეუმების

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კომერციული სამხატვრო გალერეების საქმიანობებს, იხ. 47.78.0
- ხელოვნების ნიმუშების და სამუზეუმო კოლექციის ნიმუშების რესტავრირებას, იხ. 90.03.0
- ბიბლიოთეკების და არქივების საქმიანობებს, იხ. 91.01.0

## 91.03 ისტორიული ადგილების და ნაგებობების და მსგავსი კულტურის ძეგლების ექსპლუატაცია

### 91.03.0 ისტორიული ადგილების და ნაგებობების და მსგავსი კულტურის ძეგლების ექსპლუატაცია

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ისტორიული ადგილების და ნაგებობების ექსპლუატაციას და დაცვას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ისტორიული ადგილების და ნაგებობების რეკონსტრუქციას და რესტავრაციას, იხ. სექცია F

## **91.04 ბოტანიკური ბაღების და ზოოლოგიური პარკების და ბუნებრივი ნაკრძალების საქმიანობები**

### **91.04.0 ბოტანიკური ბაღების, ზოოლოგიური პარკების და ბუნებრივი ნაკრძალების საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ბოტანიკური ბაღების და ზოოლოგიური პარკების ფუნქციონირებას, საბავშვო ზოოპარკების ჩათვლით
- ბუნებრივი ნაკრძალების ფუნქციონირებას, ველური ბუნების დაცვის ჩათვლით

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სალანდშაფტო და მებაღეობის საქმიანობებს, იხ. 81.30.0
- სპორტული თევზჭერის და სამონადირეო ნაკრძალების ფუნქციონირებას, იხ. 93.19.0

## **92 აზარტული თამაშების საქმიანობები**

ეს განყოფილება შეიცავს აზარტული დაწესებულებების ექსპლუატაციას, როგორცაა კაზინოები, ბინგოს დარბაზები და ვიდეო-თამაშების ტერმინალები, და აზარტული თამაშების მომსახურებას, როგორცაა ლატარიები და ტოტალიზატორები.

### **92.0 აზარტული თამაშების საქმიანობები**

#### **92.00 აზარტული თამაშების საქმიანობები**

##### **92.00.0 აზარტული თამაშების საქმიანობები**

ეს ქვეკლასი შეიცავს აზარტული თამაშების საქმიანობებს, როგორცაა:

- ლატარიის ბილეთების გაყიდვა
- აზარტული თამაშების ავტომატების ექსპლუატაცია
- ვირტუალური აზარტული თამაშების ვებ-საიტების ექსპლუატაცია
- ბუკმეკერობა და ფსონის დადების სხვა საქმიანობები
- კაზინოების ფუნქციონირება, “მცურავი კაზინოების” ჩათვლით

## **93 საქმიანობები სპორტის, გართობის და დასვენების სფეროში**

ეს განყოფილება შეიცავს საქმიანობებს დასვენების, გართობის და სპორტის სფეროში (მუზეუმების საქმიანობების, ისტორიული ადგილების დაცვის, ბოტანიკური და ზოოლოგიური ბაღების და ბუნებრივი ნაკრძალების საქმიანობების; და აზარტული თამაშების საქმიანობების გარდა).

ეს განყოფილება არ შეიცავს დრამატულ ხელოვნებას, მუსიკას და ხელოვნების და გართობის სხვა საქმიანობებს, როგორცაა თეატრალური,

საკონცერტო, საოპერო, საცეკვაო და სხვა სასცენო დადგმები ცოცხალი შესრულებით, იხ. განყოფილება 90.

### 93.1 საქმიანობები სპორტის სფეროში

ეს ჯგუფი შეიცავს სპორტული ობიექტების ფუნქციონირებას; სპორტული გუნდების ან კლუბების საქმიანობებს, რომლებიც უპირატესად მონაწილეობენ ცოცხალ სპორტულ ღონისძიებებში მაყურებლის წინაშე; დამოუკიდებელი ათლეტების საქმიანობას, რომლებიც მონაწილეობენ ცოცხალ სპორტულ ღონისძიებებში ან რბოლებში მაყურებლის წინაშე; მანქანების, ძაღლების, ცხენების და მისთ. მფლობელების საქმიანობებს, რომლებიც უპირატესად მონაწილეობენ რბოლებში და სხვა საჩვენებელ სპორტულ ღონისძიებებში; სპორტული მწვრთნელების მიერ სპეციალიზებული მომსახურების გაწევას სპორტულ ღონისძიებებში ან შეჯიბრებებში მონაწილეთათვის; არენების და სტადიონების ოპერატორების საქმიანობებს; სპორტული ღონისძიებების ორგანიზების, წარმოჩენის ან მართვის სხვა საქმიანობებს, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი.

#### 93.11 სპორტული ობიექტების საქმიანობები

##### 93.11.0 სპორტული ობიექტების საქმიანობები

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სპორტული ღონისძიებების ჩასატარებელი ღია ან დახურული ობიექტების ფუნქციონირებას (ღია, დახურული ან გადახურული, დასასხდომი ადგილებით ან მათ გარეშე):
  - ფეხბურთის, ჰოკეის, კრიკეტის, რაგბის სტადიონების
  - სარბოლო ავტომობილების ტრასების, დოღის ძაღლების და ცხენების სარბენი ბილიკების
  - საცურაო აუზების და სტადიონების
  - მძლეოსნობის სტადიონების
  - არენების და სტადიონების ზამთრის სპორტის სახეობებისათვის
  - ყინულის ჰოკეის მოედნების
  - კრივის არენების
  - გოლფის მინდვრების
  - ბოულინგის დარბაზების
- სპორტული ღონისძიებების ორგანიზებას და ჩატარებას პროფესიონალებისა და მოყვარულთათვის საკუთარ ღია და დახურულ ობიექტებში

ეს ქვეკლასი შეიცავს პერსონალით უზრუნველყოფას და მის მართვას ამ ობიექტების ფუნქციონირებისათვის.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სამთო-სათხილამურო ამწეების ფუნქციონირებას, იხ. 49.39.0
- სარეკრეაციო და სპორტული მოწყობილობების იჯარას, იხ. 77.21.0
- ფიტნესის ობიექტების საქმიანობებს, იხ. 93.13.0

- პარკების და პლაკების საქმიანობებს, იხ. 93.29.0

## 93.12 სპორტული კლუბების საქმიანობები

### 93.12.0 სპორტული კლუბების საქმიანობები

ეს ქვეკლასი შეიცავს პროფესიულ, ნახევრადპროფესიულ ან სამოყვარულო სპორტული კლუბების საქმიანობებს, რომლებიც სთავაზობენ შესაძლებლობას თავის წევრებს სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სპორტული კლუბების ფუნქციონირებას:
  - საფეხბურთო კლუბების
  - ბოულინგის კლუბების
  - საცურაო კლუბების
  - გოლფის კლუბების
  - კრივის კლუბების
  - ზამთრის სპორტის კლუბების
  - საჭადრაკო კლუბების
  - მძლეოსნობის კლუბების
  - სროლის კლუბების და მისთ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კერძო მასწავლებლების, მწვრთნელების სპორტულ სწავლებას, იხ. 85.51.0
- სპორტული ობიექტების ფუნქციონირებას, იხ. 93.11.0
- სპორტული ღონისძიებების ორგანიზებას და ჩატარებას პროფესიონალებისა და მოყვარულთათვის სპორტული კლუბების მიერ საკუთარ ღია და დახურულ ობიექტებში, იხ. 93.11.0

## 93.13 ფიტნესის ობიექტები

### 93.13.0 ფიტნესის ობიექტები

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ფიტნესის და ბოდი-ბილდინგის კლუბებს და ობიექტებს

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- კერძო მასწავლებლების, მწვრთნელების სპორტულ სწავლებას, იხ. 85.51.0

## 93.19 სხვა სპორტული საქმიანობები

### 93.19.0 სხვა სპორტული საქმიანობები

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- სპორტული ღონისძიებების პროდიუსერების ან პრომოუტერების საქმიანობებს, სპორტული ობიექტების მქონე ან არმქონე
- დამოუკიდებელი სპორტსმენების და ათლეტების, მსაჯების, ქრონომეტრაჟისტების და მისთ. საქმიანობებს
- სპორტული ლიგების და მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობებს
- სპორტული ღონისძიებების წარმოჩენსათან დაკავშირებულ საქმიანობებს
- დოლისთვის განკუთვნილი საჯინბოების, საძაღლეების და სარბოლო ავტომობილების სადგომების საქმიანობას
- სპორტული თევზჭერის და ნადირობისათვის განკუთვნილი ადგილების ფუნქციონირებას
- სამთო გამყოლების საქმიანობებს
- სპორტული ან სარეკრეაციო ნადირობის და თევზჭერის დამხმარე საქმიანობებს

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სპორტული მოწყობილობების იჯარას, იხ. 77.21.0
- სპორტული და სათამაშო სკოლების საქმიანობებს, იხ. 85.51.0
- სპორტული ინსტრუქტორების, მასწავლებლების, მწრთვნელების საქმიანობებს, იხ. 85.51.0
- სპორტული ღონისძიებების ორგანიზებას და ჩატარებას ღია ან დახურულ შენობებში პროფესიონალებისა ან მოყვარულთათვის საკუთარი ობიექტების მქონე ან არმქონე სპორტული კლუბების მიერ, იხ. 93.11.0, 93.12.0
- პარკების და პლაჟების საქმიანობებს, იხ. 93.29.0

**93.2 გართობის და დასვენების საქმიანობები**

ეს ჯგუფი შეიცავს ერთეულების ფართო სპექტრს, რომლებიც მართავენ დაწესებულებებს ან აწვდიან მომსახურებას კლიენტების სხვადასხვა გასართობი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ის შეიცავს გართობის სხვადასხვა საშუალებებს, როგორცაა კარუსელები, თამაშები, შოუები, თემატური გამოფენები და საპიკნიკო მოედნები.

ეს ჯგუფი არ შეიცავს სპორტულ საქმიანობებს, სასცენო ხელოვნებას, მუსიკალურ და სხვა ხელოვნებას და გართობას.

**93.21 გასართობი პარკების და თემატური პარკების საქმიანობები**

**93.21.0 გასართობი პარკების და თემატური პარკების საქმიანობები**

ეს ქვეკლასი შეიცავს გასართობი პარკების და თემატური პარკების საქმიანობებს. ის შეიცავს გართობის სხვადასხვა საშუალებებს, როგორცაა კარუსელები, თამაშები, შოუები, თემატური გამოფენები და საპიკნიკო მოედნები.

**93.29 გართობის და დასვენების სხვა საქმიანობები**

### 93.29.0 გართობის და დასვენების სხვა საქმიანობები

ეს ქვეკლასი შეიცავს გართობასთან და დასვენებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს (გასართობი და თემატური პარკების გარდა), სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი:

- სათამაშო ავტომატების ექსპლუატაციას
- დასვენების პარკების საქმიანობებს (საცხოვრებელი ადგილების გარეშე)
- სარეკრეაციო სატრანსპორტო საშუალებებით, მაგალითად, ნაგებით, უზრუნველყოფას
- სამთო-სათხილამურო ტრასების ფუნქციონირებას
- დასვენებისათვის განკუთვნილი მოწყობილობების, როგორც სარეკრეაციო ობიექტების განუყოფელ ნაწილის იჯარას
- დასასვენებელი ხასიათის სანახაობებს და შოუებს
- პლაუების საქმიანობებს, აღჭურვილობის იჯარის ჩათვლით, როგორცაა გასახდელი კაბინები, ჩასაკეტი კარადები, შეზღონგები და მისთ.
- საცეკვაო მოედნების ფუნქციონირებას

ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს ცოცხალი ჩვენებების (სასცენო ან სპორტული ღონისძიებების გარდა) პროდიუსერების და ანტრეპრენიორების საქმიანობებს, შესაბამისი ობიექტებით ან მათ გარეშე.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საბაგრო გზების, ფუნიკულორების, სამთო-სათხილამურო და საკაბელო ამწეების ექსპლუატაციას, იხ. 49.39.0
- სათევზაო კრუიზებს, იხ. 50.10.0, 50.30.0
- ადგილით და აღჭურვილობით უზრუნველყოფას ვიზიტორების მოკლევადიანი გაჩერების დროს დასასვენებელ პარკებში, ტყეებში და საკემპინგო ბანაკებში, იხ. 55.30.0
- ტრეილერ-პარკებს, დასასვენებელ ბანაკებს, სამონადირეო და სათევზაო ბანაკებს, საკემპინგო ადგილებს და მოედნებს, იხ. 55.30.0
- დისკოთეკებს, იხ. 56.30.0 თეატრალური და საცირკო ჯგუფების საქმიანობებს, იხ. 90.01.0

---

## სექცია S – სხვა სახის მომსახურება

---

ეს სექცია (როგორც დარჩენილი დაჯგუფება) შეიცავს საწევრო ორგანიზაციების საქმიანობებს, კომპიუტერების, პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტს და სხვადასხვა პერსონალური მომსახურების საქმიანობებს, რომლებიც არ ექვემდებარება სხვა კლასიფიკაციას.

### 94 საწევრო ორგანიზაციების საქმიანობები

ეს განყოფილება შეიცავს ორგანიზაციების საქმიანობებს, რომლებიც წარმოადგენენ სპეციალური ჯგუფების ინტერესებს ან წარმოაჩენენ იდეებს საზოგადოებისათვის. ამ ორგანიზაციებს, ჩვეულებრივ, ჰყავთ გაწევრიანებული პირები, მაგრამ მათი საქმიანობა შეიძლება ეხებოდეს იმათაც, ვინც არ წარმოადგენს მათ წევრებს და ხორციელდებოდეს მათ ინტერესებში. ამ განყოფილების ძირითადი დაყოფა განისაზღვრება ისეთი ორგანიზაციების მიზნებით, როგორცაა დამსაქმებელთა, თვითდასაქმებულთა და სამეცნიერო საზოგადოების (ჯგუფი 94.1) დაქირავებულთა (ჯგუფი 94.2) ინტერესების დაცვა ან რელიგიური, პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სარეკრეაციო იდეების და საქმიანობების წარმოჩენა (ჯგუფი 94.9).

#### 94.1 ბიზნესის, დამსაქმებელთა და პროფესიული საწევრო ორგანიზაციების საქმიანობები

ეს ჯგუფი შეიცავს ერთეულების საქმიანობებს, რომლებიც წარმოაჩენენ ბიზნესის და დამსაქმებელთა ორგანიზაციების ინტერესებს. პროფესიული საწევრო ორგანიზაციების შემთხვევაში, ის აგრეთვე შეიცავს მოცემული დარგის წევრების პროფესიული ინტერესების წარმოჩენის საქმიანობებს.

#### 94.11 ბიზნესის და დამსაქმებელთა საწევრო ორგანიზაციების საქმიანობები

##### 94.11.0 ბიზნესის და დამსაქმებელთა საწევრო ორგანიზაციების საქმიანობები

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ორგანიზაციების საქმიანობებს, რომელთა წევრების ინტერესები მიმართულია კომერციული საქმიანობის კონკრეტული სფეროს, (ფერმერობის ჩათვლით), განვითარებასა და აყვავებაზე, ან კონკრეტული გეოგრაფიული რაიონების ან ადმინისტრაციული ერთეულების ეკონომიკურ განვითარებაზე, კომერციული საქმიანობის მიუხედავად
- ამგვარი ასოციაციების ფედერაციების საქმიანობებს
- სავაჭრო პალატების, გილდიების და მსგავსი ორგანიზაციების საქმიანობას
- ინფორმაციის გავრცელებას, წარმომადგენლობას სახელმწიფო ორგანოების წინაშე, საზოგადოებასთან ურთიერთობებს და ბიზნესის და დამსაქმებელთა ორგანიზაციებთან შრომით მოლაპარაკებებს

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- პროფესიული კავშირების საქმიანობებს, იხ. 94.20.0

## **94.12 პროფესიული საწევრო ორგანიზაციების საქმიანობები**

### **94.12.0 პროფესიული საწევრო ორგანიზაციების საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ორგანიზაციების საქმიანობებს, რომელთა წევრების ინტერესები მიმართულია, ძირითადად, სამეცნიერო დისციპლინებზე, პროფესიულ პრაქტიკაზე ან ტექნიკურ სფეროზე, როგორცაა სამედიცინო, იურიდიული, ბულალტრული, საინჟინრო, არქიტექტორთა ასოციაციები და ა.შ.
- სპეციალისტთა ასოციაციების საქმიანობებს, რომლებიც მოღვაწეობენ სამეცნიერო, აკადემიურ ან კულტურის სფეროში, როგორცაა მწერლების, მხატვრების, სხვადასხვა სახის შემსრულებლების, ჟურნალისტების ასოციაციები და ა.შ.
- ინფორმაციის გავრცელებას, პროფესიული სტანდარტების დაწესებას და მათ დაცვას, წარმომადგენლობას სახელმწიფო დაწესებულებების წინაშე და პროფესიული ორგანიზაციების საზოგადოებასთან ურთიერთობებს

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- სამეცნიერო საზოგადოებების საქმიანობებს

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- განათლების მიწოდებას აღნიშნული ორგანიზაციების მიერ, იხ. განყოფილება 85

## **94.2 პროფესიული კავშირების საქმიანობები**

### **94.20 პროფესიული კავშირების საქმიანობები**

#### **94.20.0 პროფესიული კავშირების საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ორგანიზებული სამუშაო ძალის და დაქირავებულთა კავშირების ინტერესების წარმოჩენას

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- ასოციაციების საქმიანობებს, რომელთა წევრები არიან დაქირავებული პირები, რომლებიც ძირითადად დაინტერესებული არიან საკუთარი შეხედულებების წარდგენით ხელფასის და შრომის პირობებზე და შეთანხმებულ მოქმედებებში ორგანიზაციის მეშვეობით
- ცალკეული საწარმოო გაერთიანებების, მომიჯნავე დარგების კავშირებისა და შრომითი ორგანიზაციების კავშირების საქმიანობებს,

პროფესიის, რეგიონის, საორგანიზაციო სტრუქტურის ან სხვა კრიტერიუმების საფუძველზე

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- განათლების მიწოდებას აღნიშნული ორგანიზაციების მიერ, იხ. განყოფილება 85

## **94.9 სხვა საწევრო ორგანიზაციების საქმიანობები**

ეს ჯგუფი შეიცავს ერთეულების საქმიანობებს (ბიზნესის და დამსაქმებელთა ორგანიზაციების, პროფესიული ორგანიზაციების, პროფესიული კავშირების გარდა), რომლებიც წარმოადგენენ თავიანთი წევრების ინტერესებს.

### **94.91 რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობები**

#### **94.91.0 რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- რელიგიური ორგანიზაციების ან პირების საქმიანობებს, რომლებიც უშუალოდ აწვდიან მომსახურებას მრევლისათვის ეკლესიებში, მქეცთებში, ტაძრებში, სინაგოგებსა და სხვა ადგილებში
- მამათა და დედათა მონასტრების მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების საქმიანობებს
- რელიგიური თავშესაფრების საქმიანობებს

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- დაკრძალვის რელიგიურ მომსახურებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- აღნიშნული ორგანიზაციების მიერ განათლების მიწოდებას, იხ. განყოფილება 85
- აღნიშნული ორგანიზაციების მიერ ჯანდაცვის საქმიანობებს, იხ. განყოფილება 86
- აღნიშნული ორგანიზაციების მიერ სოციალური მომსახურების საქმიანობებს, იხ. განყოფილებები 87, 88

### **94.92 პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობები**

#### **94.92.0 პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- პოლიტიკური ორგანიზაციების და დამხმარე ორგანიზაციების საქმიანობებს, როგორცაა ახალგაზრდული დამხმარე გაერთიანებები პოლიტიკურ პარტიებთან. ეს ორგანიზაციები, ძირითადად, გავლენას ახდენენ ხელისუფლების ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე, პარტიის წევრების ან პარტიის გულშემმატკივარი პირების პოლიტიკურ თანამდებობებზე დანიშვნის გზით და დაკავებულნი არიან

ინფორმაციის გავრცელებით, საზოგადოებასთან ურთიერთობებით, სახსრების შეგროვებით და ა.შ.

**94.99 სხვა საწევრო ორგანიზაციების საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

**94.99.0 სხვა საწევრო ორგანიზაციების საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ორგანიზაციების საქმიანობებს (რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული პოლიტიკურ პარტიასთან), რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ აზრზე ან პრობლემებზე საზოგადოებრივი განათლების, პოლიტიკური გავლენის, სახსრების შეგროვების გზით და მისთ:
  - სამოქალაქო ინიციატივების და საპროტესტო მოძრაობების
  - გარემოს დაცვის და ეკოლოგიური მოძრაობების
  - სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი გაერთიანებების და განათლების მხარდამჭერი ორგანიზაციების
  - მოსახლეობის სპეციალური ჯგუფების, მაგალითად, ეთნიკური ჯგუფების და უმცირესობების, დამცველი და პირობების გასაუმჯობესებელი ორგანიზაციების
  - პატრიოტული მიზნების მქონე ორგანიზაციების, ომის ვეტერანთა ასოციაციების ჩათვლით
- მომხმარებელთა ასოციაციებს
- ავტომობილებების ასოციაციებს
- სოციალური კონტაქტების დასამყარებელ ასოციაციებს, როგორცაა საქმიანი ადამიანების კლუბები, ლოკები და მისთ.
- მოზარდთა ასოციაციებს, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, სტუდენტურ ასოციაციებს, კლუბებს და მისთ.
- კულტურული, სარეკრეაციო ან ჰობის (სპორტის და თამაშების გარდა) მიზნით შექმნილ ასოციაციებს, მაგალითად, პოეტური, ლიტერატურული და წიგნის მოყვარულთა კლუბების, ისტორიული კლუბების, მებაღეობის კლუბების, კინო- და ფოტომოყვარულთა კლუბების, მუსიკალური და ხელოვანთა კლუბების, ხელობის მოყვარულთა და კოლექციონერების კლუბების, სოციალური კლუბების, კარნავალების მოყვარულთა კლუბების და ა.შ.

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- საწევრო ან სხვა ორგანიზაციების მიერ გრანტების გაცემის საქმიანობებს

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- საქველმოქმედო საქმიანობებს, როგორცაა სახსრების შეგროვება სოციალური მომსახურების მიზნებისათვის, იხ. 88.99.0
- პროფესიული მხატვრული ჯგუფების ან ორგანიზაციების საქმიანობებს, იხ. 90.0
- სპორტული კლუბების საქმიანობებს, იხ. 93.12.0

– პროფესიული ასოციაციების საქმიანობებს, იხ. 94.12.0

## **95 კომპიუტერების, პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტი**

ეს განყოფილება შეიცავს კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას, როგორცაა მაგიდის კომპიუტერები, პორტატული კომპიუტერები, კომპიუტერული ტერმინალები, ინფორმაციის შენახვის მოწყობილობები და პრინტერები. ის აგრეთვე შეიცავს რემონტს: საკომუნიკაციო მოწყობილობების, როგორცაა ფაქსები, მიმღები და გადამცემი რადიო და საყოფაცხოვრებო ელექტრონიკა, მაგალითად, რადიო და ტელევიზორები; სახლის და ბაღის მოწყობილობების, როგორცაა გაზონსათიბლები და ვენტილატორები; ფეხსაცმლის და ტყავის ნივთების; ავეჯის და საყოფაცხოვრებო საკუთნობის; ტანსაცმლის და ტანსაცმლის აქსესუარების; სპორტული ნივთების; მუსიკალური ინსტრუმენტების; ჰობის საგნების; პირადი მოხმარების სხვა საგნების და საყოფაცხოვრებო საქონლის.

ეს განყოფილება არ შეიცავს სამედიცინო და დიაგნოსტიკური მოწყობილობების, საზომი და გეოდეზიური ინსტრუმენტების, ლაბორატორიული ინსტრუმენტების, სარადარო და სალოკაციო მოწყობილობების რემონტს, იხ. 33.13

### **95.1 კომპიუტერების და საკომუნიკაციო მოწყობილობების რემონტი**

ეს ჯგუფი შეიცავს კომპიუტერების, პერიფერიული და საკომუნიკაციო მოწყობილობების რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას.

#### **95.11 კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების რემონტი**

##### **95.11.0 კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების რემონტი**

ეს ქვეკლასი შეიცავს ელექტრონული მოწყობილობების რემონტს, როგორცაა კომპიუტერები, გამოთვლითი მანქანები და პერიფერიული მოწყობილობები.

*ეს ქვეკლასი შეიცავს რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას:*

- მაგიდის კომპიუტერების
- პორტატული კომპიუტერების
- მაგნიტური დისკ-მატარებლების (დისკდებები), ფლეშ-მასსოვრობების და სხვა შემნახველი მოწყობილობების
- ოპტიკური დისკ-მატარებლების (CD-RW, CD-ROM, DVD-ROM, DVD-RW)
- პრინტერების
- მონიტორების
- კლავიატურების
- მაუსების, ჯოისტიკების და ტრეკბოლმაუსების
- გარე და შიდა კომპიუტერული მოდემების
- კომპიუტერული ტერმინალების
- კომპიუტერული სერვერების

- სკანერების, შტრიხ-კოდების სკანერების ჩათვლით
- სმარტ-ბარათების რიდერების
- ჩაფხუტების, ვირტუალური თამაშებისათვის
- კომპიუტერის პროექტორების

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას:*

- კომპიუტერული ტერმინალების, როგორცაა ბანკომატები (ATM), პოს ტერმინალები (POS), არამექანიკური მართვით
- მცირე ზომის კომპიუტერების (PDA)

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- გადამცემი მოწყობილობების მოდემების რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას, იხ. 95.12.0

## **95.12 საკომუნიკაციო მოწყობილობების რემონტი**

### **95.12.0 საკომუნიკაციო მოწყობილობების რემონტი**

*ეს ქვეკლასი შეიცავს ისეთი საკომუნიკაციო მოწყობილობების რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას, როგორცაა:*

- უსადენო ტელეფონები
- მობილური ტელეფონები
- გადამცემი მოწყობილობების მოდემები
- ფაქსები
- საკომუნიკაციო გადამცემი მოწყობილობები (მაგალითად, მარშრუტიზატორები, ხიდები, მოდემები)
- მიმღები და გადამცემი რადიომოწყობილობები
- კომერციული ტელე- და ვიდეოკამერები

## **95.2 პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტი**

*ეს ჯგუფი შეიცავს პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტს და მომსახურებას*

### **95.21 საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის რემონტი**

#### **95.21.0 საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის რემონტი**

*ეს ქვეკლასი შეიცავს საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას:*

- საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის რემონტს:
  - ტელევიზორების, რადიომიმღებების
  - კასეტური ვიდეომაგნიტოფონების (VCR)
  - CD პლეერების
  - საყოფაცხოვრებო ტიპის ვიდეოკამერების

## 95.22 საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების, სახლის და ბაღის მოწყობილობების რემონტი

### 95.22.0 საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების, სახლის და ბაღის მოწყობილობების რემონტი

ეს ქვეკლასი შეიცავს საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების, სახლის და ბაღის მოწყობილობების რემონტს და მომსახურებას:

- საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების რემონტს და მომსახურებას:
  - მაცივრების, ღუმელების, სარეცხი მანქანების, ტანსაცმლის საშრობების, ოთახის კონდიციონერების და მისთ.
- სახლის და ბაღის მოწყობილობების რემონტს და მომსახურებას:
  - გაზონსათიბლების, საჭრელების, თოვლის და ფოთლების გამფრქვევების, ტრიმერების და მისთ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ხელის ელექტრული ინსტრუმენტების რემონტს, იხ. 33.12.0
- ჰაერის კონდიციონერების ცენტრალური სისტემების რემონტს, იხ. 43.22.0

## 95.23 ფეხსაცმლის და ტყავის ნაწარმის რემონტი

### 95.23.0 ფეხსაცმლის და ტყავის ნაწარმის რემონტი

ეს ქვეკლასი შეიცავს ფეხსაცმლის და ტყავის ნაწარმის რემონტს და მომსახურებას:

- ჩექმების, ფეხსაცმელების, ჩემოდნების და მსგავსი ნივთების
- ქუსლების შეკეთებას

## 95.24 ავეჯის და საოჯახო საკუთნოების რემონტი

### 95.24.0 ავეჯის და საოჯახო საკუთნოების რემონტი

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ავეჯის და საოჯახო საკუთნოების ხელახალ გადაკვრას, რემონტს და რესტავრაციას, საოფისე ავეჯის ჩათვლით

## 95.25 საათების და საიუველირო ნაწარმის რემონტი

### 95.25.0 საათების და საიუველირო ნაწარმის რემონტი

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საათების და მათი ნაწილების, როგორცაა საათის კორპუსები და ფუტლარები სხვადასხვა მასალებისაგან; მოქმედი ნაწილების, ქრონომეტრების და მისთ. რემონტს
- საიუველირო ნაწარმის რემონტს

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ტაიმერების, დროის/თარიღის შტამპების, ტაიმერიანი საკეტების და დროის დამფიქსირებელი მსგავსი ხელსაწყოების რემონტს, იხ. 33.13.0

## **95.29 სხვა პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტი**

### **95.29.0 სხვა პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტი**

*ეს ქვეკლასი შეიცავს პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტს:*

- ველოსიპედების რემონტს
- ტანსაცმლის რემონტს და შეკეთებას
- სპორტული საგნების (სპორტული იარაღის გარდა) და საკემპინგო მოწყობილობების რემონტს
- წიგნების რემონტს
- მუსიკალური ინსტრუმენტების (ორგანების და ისტორიული მუსიკალური ინსტრუმენტების გარდა) რემონტს
- სათამაშოების და მსგავსი ნივთების რემონტს
- სხვა პირადი და საყოფაცხოვრებო საგნების რემონტს
- ფორტეპიანოს აწყობას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ლითონების სამრეწველო გრავირებას, იხ. 25.61.0
- სპორტული და სარეკრეაციო იარაღის რემონტს, იხ. 33.11.0
- ხელის ელექტრული ინსტრუმენტების რემონტს, იხ. 33.12.0

## **96 სხვა პერსონალური მომსახურების საქმიანობები**

ეს განყოფილება შეიცავს ყველა სახის მომსახურების საქმიანობებს, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული არცერთ სხვა კატეგორიაში. სახელდობრ, ის შეიცავს მომსახურების სახეებს, როგორცაა ტექსტილის და ბეწვეულის პროდუქციის რეცხვა და ქიმწმენდა, საპარიკმახეროების და სილამაზის საღონების მომსახურებას, დაკრძალვას და მასთან დაკავშირებულ საქმიანობებს.

### **96.0 სხვა პერსონალური მომსახურების საქმიანობები**

#### **96.01 ტექსტილის და ბეწვეულის პროდუქციის რეცხვა და ქიმწმენდა**

##### **96.01.0 ტექსტილის და ბეწვეულის პროდუქციის რეცხვა და ქიმწმენდა**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ყველა სახის ტანსაცმლის (ბეწვეულის ჩათვლით) და ტექსტილის რეცხვას და ქიმწმენდას, დაუთოვებას და მისთ. მექანიკური მოწყობილობების გამოყენებით, ხელით ან ფულზე მომუშავე თვითმომსახურების სამრეცხაო ავტომატებით, როგორც მოსახლეობისათვის, ისე სამრეწველო და კომერციული კლიენტებისათვის

- სარეცხის შეგროვებას და მიწოდებას
- ხალიჩების და ფარდაგების შამპუნით რეცხვას და ფარდების წმენდას ადგილზე მომსახურებით ან სხვაგან
- სამრეცხაოების მიერ თეთრეულით, სამუშაო ტანსაცმლით და მსგავსი ნივთებით უზრუნველყოფას
- საფენების მიწოდების მომსახურებას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- ტანსაცმლის გაქირავებას, სამუშაო ტანსაცმლის გარდა, მაშინაც კი, როცა ამ ნივთების რეცხვა წარმოადგენს ამ საქმიანობის განუყოფელ ნაწილს, იხ. 77.29.0
- ტანსაცმლის რემონტს და შეკეთებას, იხ. 95.29.0

## **96.02 საპარიკმახეროების და სხვა სილამაზის სალონების მომსახურება**

### **96.02.0 საპარიკმახეროების და სხვა სილამაზის სალონების მომსახურება**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- თმის დაბანას, შესწორებას და შეჭრას, ვარცხნას, ღებვას, დახვევას, გასწორებას და მსგავს საქმიანობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის
- წვერის გაპარსვას და შესწორებას
- სახის მასაჟს, მანიკიურს და პედიკიურს, მაკიაჟს და მისთ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- პარიკების დამზადებას, იხ. 32.99.0

## **96.03 დაკრძალვა და მასთან დაკავშირებული საქმიანობები**

### **96.03.0 დაკრძალვა და მასთან დაკავშირებული საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- ადამიანების და ცხოველების გვამების დაკრძალვას და კრემაციას და მასთან დაკავშირებულ საქმიანობებს:
  - გვამის მომზადებას დაკრძალვის ან კრემაციისათვის, ბალზამირების და დამკრძალავი ბიუროების მომსახურებას
  - დაკრძალვის ან კრემაციის მომსახურებას
  - მოწყობილი ფართის გაქირავებას სარიტუალო დარბაზებში
- ადგილების იჯარას ან გაყიდვას სასაფლაოებზე
- საფლავების და მავზოლეუმების ტექნიკურ მოვლას

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სასაფლაოების ლანდშაფტურ მოვლას, იხ. 81.30.0
- დაკრძალვის რელიგიური მომსახურების საქმიანობებს, იხ. 94.91.0

## **96.04 გამაჯანსაღებელი საქმიანობები**

#### **96.04.0 გამაჯანსაღებელი საქმიანობები**

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- თურქული აბანოების, საუნების და ორთქლის აბანოების, სოლარიუმების, გასახდომი სალონების, მასაჟის სალონების და მისთ. საქმიანობებს

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- სამედიცინო მასაჟს და თერაპიას, იხ. 86.90.0
- ჯანმრთელობის, ფიტნესის და ბოდი-ბილდინგის კლუბების და ობიექტების საქმიანობას, იხ. 93.13.0

#### **96.09 სხვა პერსონალური მომსახურების საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

*ეს კლასი შეიცავს:*

- ასტროლოგიურ და სპირიტუალურ საქმიანობებს
- სოციალურ საქმიანობებს, როგორცაა ესკორტის მომსახურება, გაცნობის სამსახურები, ქორწინების ბიუროები
- შინაური ბინადარი ცხოველების მომსახურებას, როგორცაა მათი შენახვა, წვრთნა და მოვლა
- გენეოლოგიური ორგანიზაციების საქმიანობებს
- ტატუირების და პირსინგის სტუდიების საქმიანობებს
- ფეხსაცმლის მწმენდავების, მებარგულების, საავტომობილო სადგომების მომსახურე პერსონალის და მისთ. საქმიანობებს
- ფულზე მომუშავე პერსონალური მომსახურების ავტომატების (ფოტოავტომატების, ასაწონი მანქანების, წნევის გამზომი აპარატების, შემნახველი საკნების და მისთ.) კონცესიურ ექსპლუატაციას

*ეს კლასი არ შეიცავს:*

- ვეტერინარულ საქმიანობებს, იხ. 75.00
- ფულზე მომუშავე სამრეცხაო ავტომატების ექსპლუატაციას, იხ. 96.01.0
- ფულზე მომუშავე აზარტული თამაშების ავტომატების ექსპლუატაციას, იხ. 92.00.0

#### **96.09.1 მომსახურება შინაური ბინადარი ცხოველების წვრთნით**

#### **96.09.2 შინაური ბინადარი ცხოველების მოკლევადიანი განთავსების დაწესებულებების საქმიანობები**

#### **96.09.3 მიუსაფარი შინაური ბინადარი ცხოველების თავშესაფრების საქმიანობები**

#### **96.09.4 მომსახურება შინაური ბინადარი ცხოველების ბეწვის მოვლით და ტატუირებით და შინაური ბინადარი ცხოველების სილამაზის სალონების სხვა საქმიანობები**

#### **96.09.9 სხვა პერსონალური მომსახურების საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი**

---

**სექცია T – შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები;  
არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება  
შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის**

---

**97 შინამეურნეობების, როგორც მომსახურე პერსონალის დამქირავებლის, საქმიანობები**

**97.0 შინამეურნეობების, როგორც მომსახურე პერსონალის დამქირავებლის, საქმიანობები**

**97.00 შინამეურნეობების, როგორც მომსახურე პერსონალის დამქირავებლის, საქმიანობები**

**97.00.0 შინამეურნეობების, როგორც მომსახურე პერსონალის დამქირავებლის, საქმიანობები**

ეს ქვეკლასი შეიცავს შინამეურნეობების, როგორც მომსახურე პერსონალის (მოახლეების, მზარეულების, მიმტანების, მოსამსახურეების, მსახურთუფროსების, მრეცხავების, მეზღვეების, კარისკაცების, მეჯინიბეების, მძღოლების, დარაჯების, აღმზრდელების, ბავშვის მომვლელების, საშინაო მასწავლებლების, მდივნების და ა.შ.) დამქირავებლის საქმიანობებს.

ეს საშუალებას აძლევს დასაქმებულ მომსახურე პერსონალს, მოახდინოს მათი დამქირავებლის საქმიანობის დეკლარირება აღწერებში ან კვლევებში, მაშინაც კი, თუ დამსაქმებელი ფიზიკური პირია. ამ საქმიანობის შედეგად წარმოებული პროდუქტი გამოიყენება დამქირავებელი შინამეურნეობის მიერ.

*ეს ქვეკლასი არ შეიცავს:*

- მომსახურების გაწევას, როგორცაა საკვების მომზადება, მეზღვეობა და მისთ. მომსახურების დამოუკიდებელი მიმწოდებლების (კომპანიების ან ინდივიდუალური პირების) მიერ, იხ. მომსახურების შესაბამისი ტიპი

**98 არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოების საქმიანობები კერძო შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის**

ეს განყოფილება შეიცავს არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოების საქმიანობებს შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის.

შინამეურნეობები შეიძლება იყოს კლასიფიცირებული ამ განყოფილებაში მხოლოდ მაშინ, თუ შეუძლებელია შინამეურნეობის საკუთარი მოხმარებისათვის განხორციელებული საქმიანობებიდან ძირითადი საქმიანობის დადგენა. თუ შინამეურნეობა დაკავებულია საბაზრო საქმიანობით, ის უნდა იყოს კლასიფიცირებული ძირითადი საქმიანობის შესრულების შესაბამისად.

**98.1 არადიფერენცირებული საქონლის წარმოების საქმიანობები შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის**

**98.10 არადიფერენცირებული საქონლის წარმოების საქმიანობები შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის**

**98.10.0 არადიფერენცირებული საქონლის წარმოების საქმიანობები შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის**

ეს ქვეკლასი შეიცავს არადიფერენცირებული საქონლის წარმოების საქმიანობებს შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის, რაც გულისხმობს შინამეურნეობების საქმიანობებს, რომლებიც ასრულებენ სხვადასხვა საქმიანობებს, როგორცაა საქონლის წარმოება საკუთარი მოხმარებისათვის. ეს საქმიანობები შეიცავენ მონადირეობას, ნაყოფების კრეფას, გლეხურ მეურნეობას, საცხოვრისების, ტანსაცმლის და სხვა საქონლის წარმოებას შინამეურნეობების მიერ, საკუთარი მოხმარებისათვის.

თუ შინამეურნეობები აგრეთვე დაკავებულნი არიან საქონლის წარმოებით ბაზარზე გასაყიდად, ისინი კლასიფიცირდებიან NACE-ის შესაბამისი საქონელმწარმოებლური მრეწველობის მიხედვით. თუ ისინი დაკავებულნი არიან სპეციფიური (კონკრეტული) საქონელმწარმოებლური საარსებო საქმიანობით, ისინი კლასიფიცირდებიან NACE-ის შესაბამისი საქონელმწარმოებლური მრეწველობის მიხედვით.

**98.2 არადიფერენცირებული მომსახურების წარმოების საქმიანობები, კერძო შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის**

**98.20 არადიფერენცირებული მომსახურების წარმოების საქმიანობები, კერძო შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის**

**98.20.0 არადიფერენცირებული მომსახურების წარმოების საქმიანობები, კერძო შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის**

ეს ქვეკლასი შეიცავს არადიფერენცირებული საარსებო მომსახურების წარმოების საქმიანობებს შინამეურნეობების მიერ. ეს საქმიანობები შეიცავენ საკვების მომზადებას, სწავლებას, შინამეურნეობების წევრების მოვლას და სხვა მომსახურების მიწოდებას შინამეურნეობების მიერ საკუთარი არსებობისათვის.

თუ შინამეურნეობები აგრეთვე დაკავებულნი არიან მრავალმხრივი საქონლის წარმოებით საარსებო მიზნით, ისინი კლასიფიცირდებიან არადიფერენცირებული საქონელმწარმოებლური საარსებო საქმიანობის მიხედვით შინამეურნეობების მიერ.

---

სექცია U – ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების  
საქმიანობები

---

99 ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები

99.0 ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები

99.00 ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები

99.00.0 ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები

*ეს ქვეკლასი შეიცავს:*

- საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობებს, როგორცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი სისტემის სპეციალიზებული დაწესებულებები, რეგიონული ორგანოები და მისთ., საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, ნავთობის მწარმოებელი და ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია, ევროპის კავშირი, თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია და ა.შ.

*ეს ქვეკლასი აგრეთვე შეიცავს:*

- დიპლომატიური და საკონსულო მისიების საქმიანობებს, როცა ისინი აღირიცხებიან მათი ადგილმდებარეობის ქვეყნის და არა იმ ქვეყნისმიხედვით, რომელსაც ისინი წარმოადგენენ.